⁷ Cp. G. L a k o f f, Global rules, Lg. vol. 46, № 3, 1970.

ლ. აბულაძე

სტილის სტატისტიკური ანალიზის მართი ცდა

ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში ნ. ლორთქიფანიძის ენისა და სტილის შესახებ საკმაოდ ზოგადად არის აღნიშნული, რომ მისი „მხატვრული სტილი თავისუფალია ყოველგვარი მანერულობისაგან, ხელოვნური გართულები-საგან, ბუნდოვანებისაგან... იგი იუველირის გულმოდგინებით ძერწავს სახეებს და ხეწს ფრაზას. ნამდვილი პოეტური გზებით მუშაობს სიტყვაზე. მაგრამ იგი აღწევს ისეთი მაღალი მხატვრული სისადავის დონეს, სადაც ფორმის სტიქია თითქოს შთანქმულია ნაწარმოებში განსახიერებული აზრისა და განწყობილების მიერ, სადაც სტილი... იმდენად გაუჩინარებელია, რომ თითქოს აღარც კი იგრძნობა“.

„...ნიკო ლორთქიფანიძის მხატვრული სტილის თვისებების გათვალისწინებისათვის უნდა გავიხსენოთ მისი უაღრესი ლაკონიზმი, მხატვრულ საშუალებათა შეგნებული სიძუნწე და სიზუსტე“¹.

„მეტყველების კულტურა ნ. ლორთქიფანიძეს დახვეწილი აქვს უაღრესად“².

ასევე ზოგადია ლეო ქიაჩელის სტილის დახასიათება:

„ლეო ქიაჩელის მდიდარი და უხვი ლექსიკა, თხრობის სისადავე და ლაპიდრობა, ქართული ენის კანონების ცოდნა და მისდამი ფაქიზი დამოკიდებულება განსაკუთრებული სიცხადით მოსჩანს „გვადი ბიგვაში“³.

„ქიაჩელისათვის დამახასიათებელია ენერგიული ფრაზა, ნათელი, გამკვივრავლე, ზუსტი სიტყვიერი მასალა. სიტყვიერი ქსოვილის დიდი რეალობი იყო და არის ლეო ქიაჩელის სტილის მთავარი თვისება... ქიაჩელის მოთხრობებსა და რომანებში ყოველი სიტყვა, ყოველი ფრაზა ემორჩილება მეტყველების რეალობს. აქ არაფერია ნაძალადევი და ხელოვნური, გამოგონილი და განგებ გართულებული, ბუნდოვანი, მძიმე და დანისლული სტრიქონები, ყალბი პათეტიკური ინტონაცია უცხოა მისი რომანებისათვის“⁴.

როგორც მოყვანილი ციტატებიდან ჩანს, არაფერი კონკრეტული არ არის ნათქვამი ამ ავტორებისათვის სპეციფიკურ სტილისტურ ხერხებზე, მათ ენობრივ თავისებურებებზე. ჩვენ შევეცადეთ სტატისტიკური მეთოდის საშუალებ-

1 ბ. ქ. დ. ე. ნ. ტ. ი., ნიკო ლორთქიფანიძის შემოქმედებითი მემკვიდრეობა, ნიკო ლორთქიფანიძე, რჩეული თხზულებანი, ტომი II, თბილისი, 1953, გვ. 491, 492.

2 მ. გ. ვ. ე. ტ. ა. ძ. ე., ნოველა თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში, თბილისი, 1963, გვ. 30.

3 ა. ე. თ. თ. უ. რ. ი. ა., ლეო ქიაჩელი, თბილისი, 1954, გვ. 85.

4 ს. ჭ. ი. ლ. ა. ი. ა., ლეო ქიაჩელი, თბილისი, 1954, გვ. 28.

ბით მოგვეძებნა კონკრეტული მახასიათებლები აღნიშნული ავტორების სტილებისათვის.

საკვლევად შევარჩიეთ სამ-სამი მოდელი ნიკო ლორთქიფანიძისა და ლეო ქიაჩელის პროზიდან.

ესენია:

- ნ. ლორთქიფანიძის მოთხრობა „მსახიობი“, „კერიასათვის“ (ნაწ. 1), „უამთა სიავე“ (ნაწყვეტი)⁵.
 ლეო ქიაჩელის მოთხრობა „ალმასგირ კიბულან“, „ტარიელ გოლუა“ (პირველი 5 თავი), „პაკი აძბა“ (ნაწყვეტი)⁶.

თითოეული არჩევნიდან ვიწერდით თანმიმდევრულად მსაზღვრელ-საზღვრულის ტიპის შესიტყვებებს. შევეცადეთ, რომ ორივე ავტორისათვის ბარათების რაოდენობა თანაბარი გამოსულიყო. ამრიგად, მსაზღვრელ-საზღვრულთა რაოდენობა ამ არჩევნებში თანაბარია და უდრის:

$$N_{1a} = N_{1b} = 328$$

$$N_{2a} = N_{2b} = 634$$

$$N_{3a} = N_{3b} = 848^7$$

მსაზღვრელ-საზღვრულის ტიპის შესიტყვების წვერთა რაოდენობა, თუ მიმღობასა და საწყისის ცალკე ჯგუფებად ვიანგარიშებთ, 6-ს უდრის. მსაზღვრელ-საზღვრულის შემადგენელ წევრებად შეიძლება აღმოგვაჩნდეს: არსებითი სახელი, ზედსართავი სახელი, რიცხვითი სახელი, ნაცვალსახელი, მიმღობა და საწყისი. თუ განვასხვავებთ შესიტყვებათა ტიპებს არა მარტო მათი შემადგენლობის, არამედ წვერების რიგის მიხედვითაც (მსაზღვრელ-საზღვრული და ინვერსიული საზღვრულ-მსაზღვრელი), მაშინ თეორიულად შესაძლო კომბინაციების რიცხვი იქნება $6^2=36$. ჩვენ არც ერთ ავტორთან 26-ზე მეტი ჯგუფი არ მიგვიღია.

ძირითადად ორივე ავტორთან გამოიყო მხოლოდ ექვსი ჯგუფი, რომელთა შესახებ მიღებული დასკვნები სტატისტიკურად სანდოდ შეიძლება ჩაითვალოს. ეს ჯგუფებია: SS, AS, PS, PrS, NS და SI.

S	აღნიშნავს არსებით სახელს,
N	„ რიცხვით სახელს,
A	„ ზედსართავ სახელს,
Pr	ნაცვალსახელს,
P	მიმღობას,
I	„ საწყისს.

⁵ ნ. ლორთქიფანიძე, თხზულებათა სრული კრებული ოთხ ტომად, ტ. I, თბილისი, 1958.

⁶ ლ. ქიაჩელი, მოთხრობები, თბილისი, 1959.

⁷ N_{1a} -ში აღნიშნულია I არჩევანი ნ. ლორთქიფანიძის პროზიდან, N_{2a} -ში აღნიშნულია II არჩევანი ნ. ლორთქიფანიძის პროზიდან და ა. შ. N_{1b} აღნიშნავს I არჩევანს ლეო ქიაჩელის პროზიდან და ა. შ.

ეს ექვსი ჯგუფი მოიცავს ნ. ლორთქიფანიძის არჩევნებში შეხვედრილ მსაზღვრელ-საზღვრულთა მთელი რაოდენობის 88%-ს, ხოლო ლეო ქიაჩელის არჩევნებში—92%-ს. დანარჩენი (დაახლოებით 12% ნ. ლორთქიფანიძისთვის და დაახლოებით 8% ლეო ქიაჩელისათვის) მოდის იშვიათად ხმარებულ ჯგუფებზე, რომელთა შესახებ მიღებული მონაცემები იმდენად პატარა რიცხვებია, რომ სტატისტიკური კვლევის დროს უგულებელყოფა.

ძირითადი ჯგუფების განაწილებებს შორის მსგავსება-განსხვავება ნათლად ჩანს I ტაბულიდან, რომელიც მოიცავს ძირითადი ჯგუფების შეხვედრის სიხშირეებს და მათ საშუალოებს, გამოთვლილს ცალ-ცალკე ნიკო ლორთქიფანიძისა და ლეო ქიაჩელის თხზულებებისათვის.

ტ ა ბ უ ლ ა 1

(ნიკო ლორთქიფანიძის პროზიდან შეჩვენული მოვლენებისათვის)

	N_{1a}	N_{2a}	N_{3a}	საშუალო \bar{p}
AS	0,268	0,205	0,238	0,237
PrS	0,207	0,220	0,227	0,218
SS	0,173	0,126	0,217	0,172
NS	0,085	0,178	0,065	0,109
PS	0,085	0,101	0,101	0,095
SI	0,067	0,056	0,039	0,054
Σ	0,805	0,886	0,887	0,885

როგორც ვხედავთ, ამ ტაბულაში შეჩვენებულია აგრეთვე ძირითადი ჯგუფების ხმარების პროცენტული რაოდენობები.

ახლა მოვიყვანთ ასეთსავე ტაბულას ლეო ქიაჩელის არჩევნებისათვის:

	N_{1b}	N_{2b}	N_{3b}	საშუალო \bar{p}
SS	0,338	0,267	0,275	0,275
AS	0,219	0,205	0,246	0,233
PrS	0,098	0,220	0,160	0,157
PS	0,182	0,130	0,116	0,143
SI	0,079	0,071	0,054	0,068
NS	0,045	0,038	0,053	0,045
Σ	0,961	0,931	0,904	0,921

ამ ტაბულებიდან ჩანს, რომ ნიკო ლორთქიფანიძისთან პირველ ადგილზე ხმარების მიხედვით არის AS ტიპის მსაზღვრელ-საზღვრული, ხოლო ლეო ქიაჩელთან პირველ ადგილზეა SS ტიპი.

ტაბულის მიხედვით შეგვიძლია შევაფასოთ კვლევის სიზუსტის ხარისხი. გამოვიანგარიშოთ საშუალო კვადრატული გადახრა σ ნიკო ლორთქიფანიძის პროზის კვლევის შედეგად მიღებული სიდიდეებისათვის. როგორც ცნობილია,

$$\sigma = \sqrt{\frac{\sum(x_i - \bar{x})^2 \cdot n_i}{N}}$$

ჩვენ შემთხვევაში NS ჯგუფისათვის: $x_1=0,085$

$$x_2=0,178$$

$$x_3=0,065$$

$$\bar{x}=0,109$$

$$N=3$$

$$\begin{aligned} \sigma &= \sqrt{\frac{(0,085-0,109)^2 \cdot 1 + (0,178-0,109)^2 \cdot 1 + (0,065-0,109)^2 \cdot 1}{3}} = \\ &= \sqrt{\frac{(0,024)^2 + (0,069)^2 + (-0,044)^2}{3}} = \\ &= \sqrt{\frac{0,000576 + 0,004761 + 0,001936}{3}} = \\ &= \sqrt{\frac{0,006273}{3}} = \sqrt{0,002091} \approx 0,045 \end{aligned}$$

$$\sigma \approx 0,045 \quad 2\sigma = 0,090.$$

σ არის სიხშირეების მერყეობის ზღვარის მაჩვენებელი. $\bar{x} - 2\sigma$ და $\bar{x} + 2\sigma$ -ს საზღვრებში უნდა მოთავსდეს ყველა სიხშირის არა ნაკლებ 95%-ისა. მაშინ იქნება მიღებული შედეგები სტატისტიკურად სანდო.

ჩვენ შემთხვევაში:

$\bar{x} - 2\sigma = 0,109 - 0,090 = 0,019$, ხოლო $\bar{x} + 2\sigma = 0,109 + 0,090 = 0,199$. მართლაც, ამ ორ სიდიდეს შორის თავსდება ყველა სიხშირე.

ახლა გამოვიანგარიშებთ σ -ს ლეო ქიაჩელის არჩევნების მიხედვით დადგენილი სიხშირეებისათვის. ამ არჩევნებში ყველაზე მეტ სხვაობას ავლენს PrS ჯგუფი.

$$\text{აქ } x_1=0,098$$

$$x_2=0,220$$

$$x_3=0,160$$

$$\bar{x}=0,157$$

$$N=3.$$

$$\begin{aligned} \sigma &= \sqrt{\frac{(0,098-0,158)^2 \cdot 1 + (0,220-0,157)^2 \cdot 1 + (0,160-0,157)^2 \cdot 1}{3}} = \\ &= \sqrt{\frac{(-0,059)^2 + (0,063)^2 + (0,003)^2}{3}} = \\ &= \sqrt{\frac{0,007459}{3}} = \sqrt{0,002453} \approx 0,049 \end{aligned}$$

$$2\sigma = 0,098$$

$$\bar{x} - 2\sigma = 0,157 - 0,098 = 0,059$$

$$\bar{x} + 2\sigma = 0,157 + 0,098 = 0,255$$

აქაც ამ ორ სიდიდეს შორის თავსდება ყველა სიხშირე, გამოანგარიშებული ჩვენი არჩევნების მიხედვით PrS ჯგუფისათვის. ე. ი. ამ შემთხვევაშიც ტაბულის მონაცემები არ გადიან სტატისტიკურად დასაშვებ საზღვრებს გარეთ.

ჩვენი არჩევნებისათვის შევადგინეთ აგრეთვე ტაბულა, რომელშიაც შევიდა იშვიათად შეხვედრილი ჯგუფების სია. ეს ტაბულა მოყვანილია დამატების სახით.

II ტაბულა გვიჩვენებს რამდენწევრიანი მსაზღვრელ-საზღვრული გვხვდება განსახილველ ავტორებთან და როგორია მათი პროცენტული რაოდენობა, როგორც ცალკეულ არჩევნებში, ისე მთლიანობაში.

ტ ა ბ უ ლ ა II

(ნიკო ლორთქიფანიძის თხზულებებისათვის)

	N _{1a}		N _{2a}		N _{3a}	
	რაოდ.	%	რაოდ.	%	რაოდ.	%
ორწევრიანი მსაზღვრელ-საზღვრული	214	64,8	474	74,7	615	72,5
სამწევრიანი მსაზღვრელ-საზღვრული	89	27	131	20,6	168	19,6
დანარჩენი	25	8,2	29	4,7	65	6,9

(ლეო ქიაჩელის თხზულებებისათვის)

	N _{1b}		N _{2b}		N _{3b}	
	რაოდ.	%	რაოდ.	%	რაოდ.	%
ორწევრიანი მსაზღვრელ-საზღვრული	213	64,8	434	68,5	509	60
სამწევრიანი მსაზღვრელ-საზღვრული	95	28	150	23,5	186	21,8
დანარჩენი	20	7,2	50	8	153	18,2

ახლა შევადაროთ ერთმანეთს ამ ტაბულების შეჯამების შედეგები

	ნიკო ლორთქიფანიძე		ლეო ქიაჩელი	
	რაოდენობა	%	რაოდენობა	%
ორწევრიანი მსაზღვრელ-საზღვრული	1303	72	1156	61
სამწევრიანი მსაზღვრელ-საზღვრული	388	21,5	431	24
დანარჩენი	109	6,5	213	15

ამ ტაბულიდან ცხადად ჩანს, რომ ორწევრიან შესიტყვებათა რაოდენობა, როგორც საერთო, ისე პროცენტული, გაცილებით მეტია ნიკო ლორთქიფანიძის, ვიდრე ლეო ქიაჩელის ნაწარმოებებში. ხოლო სამზე მეტწევრიან შესიტყვებათა რიცხვი ბევრად სუარბობს ლეო ქიაჩელის არჩევნებში.

ჩვენი აზრით, ეს სიდიდეები პირდაპირ მიუთითებენ ამ ორი მწერლის სტილთა სხვაობაზე.

ლეო ქიაჩელთან ხშირად ვხვდებით ისეთ გრძელ შესიტყვებებს, როგორიცაა, მაგალითად: მიტოვებული (P) სახლის (S) სინესტის (S) და თოფის (S) წამლის (S) გულისამრევი (A) სუნი (S). (ეს შესიტყვება შეიტანილი გვაქვს SS ჭგუფში, რადგან მისი ძირითადი საზღვრულია (S) — «სუნი», ხოლო ძირითადი მსაზღვრელები — «სინესტის» (S) და «წამლის» (S)).

ან, მაგალითად: დავითის (S) ქალის (S) მოტაცების (I) ამბავის (S) ხსენებამ (I) (ასეთი ტიპის შესიტყვება განეკუთვნება SI ტიპს, რადგან აქ მთავარი საზღვრულია „ხსენება“ (I), ხოლო მსაზღვრელი — „ამბავი“ (S), რომელსაც, თავის მხრივ, ახლავს მსაზღვრელი „მოტაცების“ (I), ამას კიდევ აქვს მსაზღვრელი „ქალის“ (S) თავისი მსაზღვრელითურთ — „დავითის“ (S).

განსაკუთრებით ბევრია ასეთ გრძელ შესიტყვებათა რიცხვი SS ჭგუფში: მიმაღული (P) ორი (N) გუშავის (S) უძრავი (P) სილუეტების (S) ნაკეთები (S).

გარდა ამისა, ლეო ქიაჩელთან ნიკო ლორთქიფანიძისაგან განსხვავებით ვხვდებით კიდევ ერთ თავისებურებას. ეს არის ე. წ. გათიშული მსაზღვრელის ხმარება. მაგალითად:

„შავი ქურთუკი ეცვა, სახელოებზე ყაითანშემოყოლებული“.

„ოქრო-ვერცხლით მოსალტული ტარი მოჩანდა, ხმარებისაგან დაფერილი და მოელვარე“.

„წმინდა გიორგის ჭვარი ციალებდა, მინანქრით მოოქვილი“ და სხვ.

ამ მაგალითებში მსაზღვრელი საზღვრულისაგან ზმნით არის გათიშული. ნიკო ლორთქიფანიძესთან გათიშული მსაზღვრელის ხმარების შემთხვევა არ შეგვხვებდრია.

ლეო ქიაჩელის პროზიდან შერჩეულ ნაწევებებში კი 17-ჯერ შეგვხვდა. ვიდრე სხვა დასკვნებს გამოვიტანდეთ ამ ორი ავტორის სტილის შესახებ, იმ მიზნით, რომ ჩვენ მიერ მიღებული შედეგების მეთი განზოგადების უფლება გვექონოდა, სტატისტიკურად გავაანალიზეთ მსაზღვრელ-საზღვრულის ჭკუფები კიდევ ორ ავტორთან: კ. გამსახურდიასა და ს. კლდიაშვილთან.

შევარჩიეთ სამ-სამი მოდელი.

კ. გამსახურდია	— „ტაბუ“ (გვ. 86—100).
	— „ხოგაის მინდია“ (გვ. 176—191),
	— „ქოსა გახუ“ (გვ. 62—80) ⁸ ,
და ს. კლდიაშვილი	— „მყუდრო სავანე“ (ნაწ. I) (გვ. 5—21),
	— „მყუდრო სავანე“ (ნაწ. II) (გვ. 121—140),
	— „პატარა ცხოვრება“ (თ. II, V, VIII) ⁹ .

შემოვიღეთ შემდეგი აღნიშვნები: პირველი არჩევანი კ. გამსახურდიას პროზიდან აღენიშნეთ N_{1c} -თი, მეორე — N_{2c} -თი, ხოლო მესამე — N_{3c} -თი. ს. კლდიაშვილის პირველი არჩევანი აღენიშნეთ N_{1d} -თი, მეორე — N_{2d} -თი, მესამე — N_{3d} -თი. მსაზღვრელ-საზღვრულთა რაოდენობა ყველა არჩევნიდან

⁸ კ. გამსახურდია, რჩეული თხზულებები, ტ. II, თბილისი, 1959.

⁹ ს. კლდიაშვილი, „მყუდრო სავანე“ და მოთხრობები, თბილისი, 1962.

თანაბარი შევარჩიეთ, 500—500. ამან შესაძლებლობა მოგვცა ტაბულებში მოგვეყვანა არა ფარდობითი, არამედ აბსოლუტური სიხშირეები.

ამ ავტორებთანაჲ ძირითადად ექვსი ჯგუფი გამოიყო მსაზღვრელ-საზღვრულებისა. მოვიყვანოთ მათი სიხშირეები:

ტაბულა I

(ქ. გამსახურდიას პროზიდან შერჩეული ნაწყვეტებისათვის)

	N_{1c}	N_{2c}	N_{3c}	Σ	\bar{x}	\bar{p}
SS	156	173	147	476	158	0,316
AS	147	125	136	408	136	0,272
PS	68	71	64	203	67	0,134
PrS	59	55	79	193	64	0,128
SI	28	26	25	79	26	0,052
NS	20	25	24	69	23	0,046
წერილი ჯგუფები	23	27	27	77	25	0,050

მოვიყვანოთ მსგავს ტაბულას სერგო კლდიაშვილის ნაწარმოებებისათვის

	N_{1d}	N_{2d}	N_{3d}	Σ	\bar{x}	\bar{p}
AS	148	120	125	393	131	0,262
PrS	114	133	134	381	127	0,254
SS	82	76	78	236	78	0,156
PS	68	54	47	169	56	0,112
NS	23	25	37	85	28	0,056
SI	24	22	13	59	19	0,038
წერილი ჯგუფები	41	71	67	179	59	0,118

შევადგინოთ კვლევის სიზუსტის ხარისხი: გამოვიანგარიშოთ კვადრატული გადახრა ქ. გამსახურდიას არჩევნების ანალიზის შედეგად მიღებული სიდიდეებისათვის: PrS ჯგუფისათვის

$$x_1 = 59$$

$$x_2 = 55$$

$$x_3 = 79$$

$$\bar{x} = 64$$

$$N = 3$$

$$\sigma = \sqrt{\frac{(64-59)^2 \cdot 1 + (64-55)^2 \cdot 1 + (79-64)^2 \cdot 1}{3}} =$$

$$= \sqrt{\frac{25+81+225}{3}} = \sqrt{\frac{331}{3}} \approx 10,5 \quad 2\sigma = 21$$

$$\bar{x} + 2\sigma = 64 + 21 = 85$$

$$\bar{x} - 2\sigma = 64 - 21 = 43.$$

ამ ორ სიდიდეს შორის თავსდება როგორც x_1 , ისე x_2 და x_3 .

ახლა გამოვიანგარიშოთ კვლარატული გადახრა ს. კლდიაშვილის არჩევნების ანალიზის შედეგად მიღებული სიხშირეებისათვის:

$$SI \text{ ჯგუფისათვის } x_1 = 24$$

$$x_2 = 22$$

$$x_3 = 13$$

$$\bar{x} = 19$$

$$N = 3$$

$$\sigma_{SI} = \sqrt{\frac{(24-19)^2 \cdot 1 + (22-19)^2 \cdot 1 + (13-19)^2 \cdot 1}{3}} =$$

$$= \sqrt{\frac{5^2 + 3^2 + 6^2}{3}} = \sqrt{\frac{25 + 9 + 36}{3}} = \sqrt{\frac{70}{3}} \approx 4,5. \quad 2\sigma = 9$$

$$\bar{x} + 2\sigma = 19 + 9 = 28;$$

$$\bar{x} - 2\sigma = 19 - 9 = 10.$$

ე. ი. ამ შემთხვევაშიაც ჩვენი მონაცემები არ გადის სტატისტიკურად დასაშვებ საზღვრებს გარეთ.

როგორც ნიკო ლორთქიფანიძისა და ლეო ქიაჩელის არჩევნებისათვის, ასევე კონსტანტინე გამსახურდიასა და სერგო კლდიაშვილის პროზიდან აღებული ნაწყვეტებისათვისაც, შევადგინეთ ტაბულები, რომლებიც დაწვრილებით გვიჩვენებენ ამ ავტორთა მიერ ხმარებულ მსაზღვრელ-საზღვრულთა ტიპებს და მათ სიხშირეებს. ეს ტაბულები მოყვანილია დამატებაში. ჩვენ აქ მოვიყვანთ მხოლოდ იმ ტაბულას, რომელიც გვიჩვენებს მსაზღვრელ-საზღვრულის განაწილებებს შემადგენელ წევრთა რაოდენობის მიხედვით.

ტ ა ბ უ ლ ი II

(კ. გამსახურდიას ნაწარმოებებისათვის)

	N _{1c}		N _{2c}		N _{3c}	
	რაოდ.	%	რაოდ.	%	რაოდ.	%
ორწევრიანი მსაზღვრელ-საზღვრული	315	62,8	344	68,6	375	73,9
სამწევრიანი მსაზღვრელ-საზღვრული	110	21,9	83	16,5	81	16,1
დანარჩენი	76	15,3	75	14,9	50	10

(სერგო კლდიაშვილის ნაწარმოებებისათვის)

	N _{1d}		N _{2d}		N _{3d}	
	რაოდ.	%	რაოდ.	%	რაოდ.	%
ორწევრიანი მსაზღვრელ-საზღვრული	344	68,8	404	80,8	382	76,4
სამწევრიანი მსაზღვრელ-საზღვრული	125	25	71	14	93	18,4
დანარჩენი	31	6,2	26	5,2	26	5,2

შეუღლართ ერთმანეთს ამ ორი ტაბულის შეჯამების შედეგები:

	კ. გამსახურდია		ს. კლდიაშვილი	
	რაოდ.	%	რაოდ.	%
ორწევრიანი მსაზღვრელ-საზღვრული	1034	68,05	1130	75,2
სამწევრიანი მსაზღვრელ-საზღვრული	274	18,03	289	19,2
დანარჩენი	201	13,92	83	5,6

ამ ტაბულიდან ჩანს, რომ ორწევრიანი შესიტყვებათა რაოდენობა მეტია სერგო კლდიაშვილის ნაწარმოებებში, ხოლო სამზე მეტწევრიანი შესიტყვებებისა—კ. გამსახურდიას თხზულებებში. ამ თვისებით კ. გამსახურდიას ნაწარმოებები ახლოს დგანან ლეო ქიაჩელის ნაწარმოებებთან; ხოლო სერგო კლდიაშვილის პროზა მეტ მსგავსებას ამჟღავნებს ნიკო ლორთქიფანიძის პროზასთან. მოვიყვანთ საერთო ტაბულაში ამ ოთხი ავტორის მონაცემთა შეჯამების შედეგებს:

	კ. გამსახურდია	ლ. ქიაჩელი	ნ. ლორთქიფანიძე	ს. კლდიაშვილი
SS	31,6	27,5	17,2	15,6
AS	27,2	23,3	23,7	26,2
PS	13,4	14,3	9,5	11,2
PrS	12,8	15,7	21,8	25,4
SI	5,2	6,8	5,4	3,8
NS	4,6	4,5	10,9	5,6
წერილი: ჭკუფები	5	7,9	11,5	11,8

ეს ტაბულა გვიჩვენებს ოთხი ავტორის მსგავსება-განსხვავებებს ძირითადი და წერილი ჭკუფების პროცენტული რაოდენობების მიხედვით. ახლა მოვიყვანთ ტაბულას, რომელიც გვიჩვენებს ავტორთა სხვაობებს შესიტყვებებში წევრთა რაოდენობის მიხედვით.

	კ. გამსახურდია	ლ. ქიაჩელი	ნ. ლორთქიფანიძე	ს. კლდიაშვილი
2-წევრიანი შესიტყვებები	68,05	61	72	75,2
3-წევრიანი	18,03	24	21,5	19,2
დანარჩენი	13,92	15	6,5	5,6

პირველი ტაბულიდან ჩანს, რომ მსაზღვრელ-საზღვრულის ხმარების მიხედვით ყველაზე მკვეთრად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან კ. გამსახურდიასა და ს. კლდიაშვილის მოთხრობები.

კ. გამსახურდიას არჩევნების მიხედვით მიღებული მონაცემები განსხვავდება აგრეთვე ნ. ლორთქიფანიძის მონაცემებისაგან. ყველაზე დიდ მსგავსებას ეს ავტორი ლეო ქიაჩელთან იჩენს. ისინი ახლოს დგანან ერთმანეთთან როგორც ძირითადი ჭკუფების, ისე მრავალწევრიანი შესიტყვებების ხმარების თვალსაზრისითაც. სამაგიეროდ მათ შორის დიდი სხვაობა იჩენს თავს მსაზღვრელ-საზღვრულში შემავალი წევრების რიგის განხილვისას. ინვერსიული წყობის მსაზღვრელ-საზღვრული კ. გამსახურდიას პირველ არჩევანში შეგვხვდა 35-ჯერ, მეორე არჩევანში—42-ჯერ, ხოლო მესამეში—24-ჯერ, მაშინ

როცა ლეო ქიაჩელთან თითქმის არ შეგვხვებდრია. რაც შეეხება გათიშული მსაზღვრელის ხმარებას, ის ორივე მწერლისთვის არის დამახასიათებელი. კ. გამსახურდიასთან მისი ხმარების 26 შემთხვევა აღმოგვაჩნდა (სამივე არჩევნის მიხედვით), ლეო ქიაჩელთან კი, როგორც ზევით უკვე გვქონდა აღნიშნუ-ლი,—17.

ლეო ქიაჩელისა და ნიკო ლორთქიფანიძის არჩევნების სხვაობა უკვე იყო აღნიშნული. ახლა შევადაროთ ერთმანეთს ნიკო ლორთქიფანიძისა და სერგო კლდიაშვილის არჩევნები.

როგორც ტაბულებიდან ჩანს, ისინი ძალიან ჰგვანან ერთმანეთს როგორც მსაზღვრელ-საზღვრულთა ძირითადი ჯგუფების განაწილების, ისე შესიტყვე-ბაში შემავალ წვერთა რაოდენობის მიხედვითაც. ინვერსიული წყობა მსაზღ-ვრელ-საზღვრულისა არც ერთისათვის არ არის დამახასიათებელი.

კვლევის დროს თავი იჩინა ს. კლდიაშვილის სტილის ერთმა თავისებუ-რებამ, რითაც ის განსხვავდება ჩვენ მიერ განხილული ავტორებისაგან. ეს თავისებურებაა განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელის ხშირი ხმარება მსაზღ-ვრელად. მაგ.: უცნაური რამ ამბავი, რალაც წუთიერი იმედი და ა. შ. სულ 42 შემთხვევა (აქედან N₁₄ არჩევანში—20, N₂₄-ში—12 და N₃₄-ში—10) გვქონდა.

ასევე განასხვავებს ს. კლდიაშვილს სხვა ავტორთაგან ზედსართავი სახე-ლის „კიკნას“ ხმარება. ეს სახელი სხვა ავტორებთან არ შეგვხვებდრია, მაშინ როცა სერგო კლდიაშვილის სამივე არჩევანში შეგვხვდა.

ამრიგად, ჩვენ განვიხილეთ მსაზღვრელ-საზღვრულის ტიპის სინტაგმები ოთხ ავტორთან შემდეგი თვალსაზრისით:

- ა) მსაზღვრელ-საზღვრულში შემავალ წვერთა მიხედვით;
- ბ) ამ წვერთა რაოდენობის მიხედვით და
- გ) მათი რიგის მიხედვით.

აღმოჩნდა, რომ პირველი ორი პარამეტრის მიხედვით ოთხი ავტორი დაიყო ორ ჯგუფად; ერთ ჯგუფში აღმოჩნდნენ კონსტანტინე გამსახურდია და ლეო ქიაჩელი, ხოლო მეორეში—ნიკო ლორთქიფანიძე და სერგო კლდიაშვი-ლი. რაც შეეხება მესამე პარამეტრს, ის ფასეული აღმოჩნდა იმდენად, რამდე-ნადაც მკვეთრად დაუპირისპირა კ. გამსახურდია სამ დანარჩენ ჩვენ მიერ გან-ხილულ ავტორს.

გარდა ამისა გაირკვა, რომ ის სტილისტური თავისებურებები, რაც ახა-სიათებდა ლეო ქიაჩელს ნ. ლორთქიფანიძესთან შედარებით, არ ყოფილა ოდენ ლეო ქიაჩელისათვის დამახასიათებელი.

მსაზღვრელ-საზღვრულის მიხედვით სხვადასხვა ავტორთა ინდივიდუა-ლური სტილის შედარების დროს ვერ მოიძებნება მხოლოდ ერთი სტატის-ტიკური მახასიათებელი, რომელიც განასხვავებდა ამ სტილებს ერთმანეთისა-გან. საჭირო აღმოჩნდა სამივე კრიტერიუმის (შემადგენლობა, წვერთა რაო-დენობა, რიგი) ერთობლივი განხილვა და ზოგჯერ დამატებითი თავისებურებე-ბის აღნიშვნაც (როგორც, მაგალითად, ნ. ლორთქიფანიძისა და ს. კლდიაშვი-ლის შედარების დროს).

ჩანაწერი	N _{1a}	N _{2a}	N _{3a}
AI	1	—	2
AP	1	—	6
APr	—	5	4
SA	1	3	10
SP	8	—	7
SN	—	4	1
SPr	—	2	1
PI	1	—	—
PPr	1	—	2
IS	5	6	8
IA	1	5	—
PrI	4	10	15
PrPr	2	8	11
PrP	—	11	9
PrN	—	—	2
PrA	—	—	12
NPr	—	—	4
NP	—	—	1
NI	—	—	2

ჩანაწერი	N _{1b}	N _{2b}	N _{3b}
AI	4	1	11
AP	—	2	—
APr	—	2	—
SA	—	—	3
SP	—	—	3
SN	—	—	1
PI	—	1	—
PP	—	—	1
IS	—	—	10
IP	—	—	1
II	—	—	4
PrI	—	12	10
PrPr	2	2	4
PrP	—	1	—
PrA	1	6	—
NPr	—	1	1
NI	—	1	1

ჩანაწერი	N _{1c}	N _{2c}	N _{3c}
PI	1	—	—
AI	2	4	1
PrI	2	—	2
NP	—	1	—
NPr	2	2	1
PrP	1	1	1
PrA	2	2	1
PrPr	1	—	1
SP	—	4	—
PPr	—	1	—
IS	—	2	1
PA	—	1	—
IPr	—	2	—
II	—	1	—
PrA	—	2	10
AP	—	—	1
PP	—	—	1

ჩანაწერი	N _{1d}	N _{2d}	N _{3d}
APr	2	—	3
AI	3	5	5
AP	1	—	—
PrI	5	16	20
NI	1	1	1
NPr	2	3	—
PrA	3	11	9
PrP	5	3	—
PrPr	8	16	6
SP	—	4	7
IS	—	7	—
IA	—	2	—
APr	—	4	—
PrN	—	1	—
PPr	—	2	1

ლ. ბ. აბულაძე

ОБ ОДНОЙ ПОПЫТКЕ СТАТИСТИЧЕСКОГО ИЗУЧЕНИЯ СТИЛЯ

Резюме

В статье рассматриваются выборки из художественной прозы четырех авторов XX века: Н. Лордкипанидзе, Л. Квачели, С. Квдиашвили, К. Гамсахурдиа.

В этих выборках с нескольких точек зрения анализируются синтагмы типа «определяющее-определяемое»:

- а) по составу,
- б) по количеству членов,
- в) по порядку их расположения.

На основе полученных данных составлены таблицы, которые дают возможность сделать следующие выводы:

По первым двум параметрам произведения четырех авторов распределились по двум группам. В одну группу вошли произведения К. Гамсахурдиа и Л. Киачели, а в другую — произведения Н. Лордкипанидзе и С. Квдиашвили.

По третьему параметру произведения К. Гамсахурдиа резко противопоставляются всем остальным.

ბ. კვარაცხელია

ფერისა და სინათლის აღმნიშვნელი სიტყვები მათა-ფსაველას ლექსიკაში

ამა თუ იმ მწერლის პოეტური (მხატვრული) ენის აღწერა ვერ მოხერხდება მისი ლექსიკის შესწავლის გარეშე. ენის ლექსიკას კი მეტ-ნაკლები სიზუსტით ლექსიკონი აღრიცხავს. აქედან ცხადია ცალკეული მწერლის ლექსიკონის შედგენის მნიშვნელობა. ეს ამოცანა არც თუ ისე ახალია, მაგრამ მიუხედავად ამისა, ასეთი ლექსიკონების რიცხვი დღემდე ძალიან მცირეა (ცნობილია, რომ წარმოებს მუშაობა შევჩენკოს, თუმანიანის, მიცკევიჩის, ბოტევის, იუხანის, პეტეფის, მახას, ემინესკუს, გოეთესა და სხვ. ლექსიკონების შესადგენად)¹.

კიდევ უფრო მცირეა იმ სიხშირის ლექსიკონთა რიცხვი, რომლებიც აგებულია გარკვეული მწერლის მთელი შემოქმედების გათვალისწინებით². ასეთი სიხშირის ლექსიკონის მნიშვნელობას ზრდის ის გარემოებაც, რომ იგი შეიძლება საფუძვლად დაედოთ მწერლის ლექსიკის სტატისტიკურ გამოკვლევას, რისი აუცილებლობაც დღეისათვის ექვს არ იწვევს.

მწერლის ენის დახასიათება „ლექსიკის სიმდიდრე-სიღარიბის“, ნეოლოგიზმთა, არქაიზმთა, დიალექტიზმთა... ხმარების, კომპოზიტების წარმოებისა და სხვ. მიხედვით შინაარსისაგან დაცილია, თუ კი არ ემყარება ამ მახასიათებელთა სტატისტიკასა და აგრეთვე არ ითვალისწინებს მთელი ლექსიკის სტატისტიკურ სტრუქტურას, რის საშუალებასაც იძლევა სიხშირის ლექსიკონი.

ფერისა და სინათლის აღმნიშვნელი სიტყვების შესწავლა ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში პოეტის ლექსიკის ერთ-ერთი სემანტიკური ველის გამოყოფასა და კვლევას ნიშნავს. წინამდებარე ნაშრომი ნაწილია იმ სამუშაოსი, რომე-

¹ იხ. В. П. Григорьев, Словарь языка русской советской поэзии, М., 1965, სადაც ჩამოთვლილია ცალკეული მწერლების ლექსიკონები ან ინდექსები, შედგენილი მათ ნაწარმოებთა მიხედვით.

² ცალკეული ნაწარმოების სტატისტიკური შესწავლის ნიმუშს წარმოადგენს Males L. Hapley, Word Index to James Joyce's Ulysses, Madison, 1951. ერთი ავტორის სპეციფიკური სიტყვარის გამოკვლევა მოგვცა ვოზეჟ პერსანდმა წიგნში Chaucer's Vocabulary, A New Estimate-Chaucer's Romane Vocabulary, N. J., 1937. იხ. აგრეთვე А. М. Ля т и н а, Опыт статистического анализа языка писателя (по материалам частотного словаря «Поднятой целины» М. Л. Шолохова), Л., 1968; წიგნში: Межвузовская конференция по вопросам частотных словарей и автоматизации лингвистических работ, Л., 1966; აგრეთვე: П. М. Алексеев, Е. А. Белоусова, Е. Е. Палицкая, О частотном словаре автобиографической трилогии М. Горького; М. А. Генкель, Частотный словарь романа Д. Н. Мамина-Сибиряка Приваловские миллионы; К. Б. Бектаев, Частотный словарь языка Абая.

ლიც გულისხმობს ვაჟას ლექსიკაში სემანტიკური სტრუქტურების გამოვლენასა და ძირითადი სემანტიკური ველების აღწერას. გამოკვლევა დაკავშირებულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებულ ვაჟა-ფშაველას კაბინეტთან, სადაც მუშაობა წარმოებს ვაჟას ლექსიკონის შედგენაზე და განზრახულია აგრეთვე სიხშირის ლექსიკონის აგება.

ფერისა და სინათლის აღმნიშვნელი სიტყვები ამოკრეფილია ზემოხსენებული კაბინეტის ძირითადი ფონდიდან და შემდეგ შეჯერებულია ვაჟას ხუთ-ტომეულთან.

ფერის აღმნიშვნელი სახელი ამოწერილია ბარათზე კონტექსტიურთ. მითითებულია ნაწარმოები, ტომი, გვერდი და სტრიქონი. ქვემოთ ჩამოვთვლით იმ ქრომატული და აქრომატული ფერების აღმნიშვნელ სახელებს, რომლებიც შეგვხვდა ვაჟას შემოქმედებაში. ამჯერად გამოტანილი არ არის ის რთული სახელები, რომლებიც ერთ-ერთ კომპონენტად ფერის აღმნიშვნელ სიტყვას შეიცავენ, ზედსართავის შედარების ხარისხის ფორმები, მიმღეობები და ზნეები, მათზე ქვემოთ გვექნება ლაპარაკი.

ფერთა სახელებია: შავი, თეთრი, წითელი, მწვანე, ყვითელი, ლურჯი, ცისფერი, ვარდისფერი, სვილისფერი, ოქროსფერი, ჭიაფერი, ბროლისფერი, კრიანტლისფერი, ქარვისფერი, ლილისფერი, წაბლისფერი, ეანგისფერი, ღაღაღა, გაყინედილებული, მკვდრისფერი, მურა, თაღი, თაფლა, ქერა, შავგვრემანი, შემურვილი, წითური, შილა, ზერდაგი, ქურანი, ლურჯა, ლეგა, ნისლა, ნაცარა, ნაცრისფერი, რუხი, ჭროლა, ჭრელი, გაფითრებული, მკრთალი და აგრეთვე ფერის მნიშვნელობით ძვირფასი ქვების სახელები: ლალი, გიშერი, ქარვა, იაგუნდი, ლაყვარდი.

მოცემულ ფერთა სახელებში შეიძლება გამოვყოთ როგორც საერთო და ცალკეული, ისე აბსტრაქტული და კონკრეტული სახელები. მაგალითად, საერთოა: წითელი, ლურჯი, მწვანე, ყვითელი, შავი, თეთრი (თუ ამ ორ უკანასკნელს პირობითი ფერებად ჩავთვლით); ცალკეულია: ვარდისფერი, ქარვისფერი, ჭიაფერი, ეანგისფერი, ოქროსფერი და სხვ. გამოიყოფა აგრეთვე სპეციალიზებულ-ცალკეული სახელები: ლურჯა, ქურანი, ზერდაგი, წითლა, შილა, ქერა, შავგვრემანი, სვილა, წითური, მურა. პირველი ოთხი ცხენთა სახელია. ლურჯა—„მოლურჯო რუხი ფერის ცხენი“, ქურანი—„წაბლისფერი ცხენი“; ზერდაგი—„ჩალისფერი, მოყვითალო ცხენი“; წითლა—„წითელი ფერის ცხენი“. შეგვხვდა აგრეთვე სიტყვა თეთრონი, რომელიც ხალხურ პოეზიაში ცხენის მიმართ იხმარება, ვაჟასთან კი გარეული ტახის ეპითეტია.

აღამიანის სახისა და თმა-ბალნის ფერს განსაზღვრავს: წითური—„ღაღაჟა სახიანი“, შავგვრემანი—„მოშავო აღამიანი“; სვილისფერი—„მკრთალი, გაფითრებული სახის მქონე (იხმარება კარგი ვაჟაკის ეპითეტად)“³, მეორე განმარტება ასეთია: „მკრთალი შავგვრემანი“; შილა—„წითელი ფერის ქსოვილი“; მურა—„შავ-წითელი ძალი“ (ვაჟასთან არის შემთხვევა ამ სიტყვის ფერის, ელფერის მნიშვნელობით გამოყენებისა—„პირ-მურა“).

აბსტრაქტული სახელებია: წითელი, მწვანე, ლურჯი, ყვითელი... კონკრეტულია: ვარდისფერი, ეანგისფერი, ოქროსფერი, ქარვისფერი, გიშრისფერი,

³ აღ. კ ი ნ კ ა რ ა უ ლ ი, ვაჟა-ფშაველას მცირე ლექსიკონი, თბილისი, 1969, სხვა განმარტებანი აღებულია ქართულ ენის განმარტებითი ლექსიკონიდან.

კრიანტლისფერი (კრიანტელი — „ტყემლის წვენი“, კრიანტლისფერი — „მომწეანო-მორუხო“) და სხვ.

უშვარესი ფერი		სიხშ.	ხშირი ფერი სიხშ.		საშუალო ფერი სიხშ.		იშვიათი ფერი სიხშ.	
საერთო	წითელი	202	მწვანე	180	ლურჯი	91	ცისფერი	3
ცალკეული	ნაცრისფერი	22	გიშრისფერი	10	ყვითელი	78	ვარდისფერი	24
სპეც. ცალკეული	ქალარა	36	სწილისფერი	10	ოქროსფერი	7	ზერდაგი	18
აბსტრაქტული	წითელი	202	მწვანე	180	—	—	—	—
კონკრეტული	ნაცრისფერი	22	გიშრისფერი	10	ლურჯი	91	ცისფერი	3
					ყვითელი	78		
					ოქროსფერი	7		

ცალკე ჯგუფად უნდა გამოიყოს ისეთი სახელები, რომლებიც სინათლისა და ფერის მოვლენებს ახასიათებენ ზოგადად. მაგ., კროლა, კრელი, ნათელი, მკრთალი, მკვეთრი, ბნელი.

თუ ფერებს დაეყოფთ ტონების მიხედვით, მივიღებთ ჯგუფებს, სადაც შევა სინონიმები⁴ და მნიშვნელობით განსხვავებული, ანუ ელფერის მატარებელი სახელები.

წითელი ფერი გააერთიანებს შემდეგ სახელებს: წითელი, ლაქაქა, კიაფერი, გაჟინკლილებული, სისხლისფერი, ლალი, იაგუნდი, ეანგისფერი, ალიანი, ჭურა, წითლა, წითური, ვარდისფერი.

ყვითელი ფერი—ყვითელი, ოქროსფერი, ქარვისფერი, ქერა, გაფითრებული, ზერდაგი, მკრთალი (ზოგ შემთხვევაში).

ლურჯი ფერი: ლურჯი, ლურჯა, ლილისფერი, ლაქვარდი, მტრედისფერი, ცისფერი.

ლეგა, ნაცარა, ნაცრისფერი, რუხი—ერთი ჯგუფი იქნება.

ქვემოთ ვიძლევიტ ფერთა აღმნიშვნელ ყველა სიტყვას, რაც კი შეგეხვდა ვაჟას შემოქმედებაში. სიტყვები წარმოდგენილია სალექსიკონო ერთეულების სახით, დალაგებულია სიხშირეთა კლების მიხედვით და მიწერილი აქვს სიხშირის აბსოლუტური მაჩვენებელი.

სალექსიკონო ერთეულთა სია

- | | |
|--------------------------|---------------|
| 1. შავი 318 | 7. ნათელი 84 |
| 2. თეთრი 150 | 8. სინათლე 72 |
| 3. ბნელი 128 | 9. კრელი 45 |
| 4. მწვანე 101 | 10. ლურჯა 43 |
| 5. შავად ⁷ 90 | 11. წითლად 38 |
| 6. წითელი 88 | 12. ქალარა 36 |

⁴ აქვე იქნება სისხლისფერი, ეანგისფერი, კრიანტლისფერი, ქარვისფერი და სხვ.

⁵ აგრეთვე: ქურანი, წითლა, შილა და სხვ.

⁶ მხოლოდ პირობით შეიძლება ვუწოდოთ ამ სახელებს სინონიმები, ვინაიდან, წინააღმდეგ შემთხვევაში, ღარიბად წარმოვადგენით ვაჟას ფერთახედვას.

⁷ ვითარებით ბრუნვაში დასმული ყველა სახელი ცალკე სალექსიკონო ერთეულად წარმოვადგინეთ.

13. ლურჯი 35
14. ყვითელი 32
15. თეთრად 30
16. თვალშავი 29
17. ბნელა 28
18. ყვითლად 23
19. ამწვანებული 22
20. მწვანედ 16
21. ლეგა 15
22. უკუნეთი 15
23. ნაცარა 14
24. ამწვანდება 13
25. სიბნელე 13
26. წითლდება 12
27. მწვანობს 11
28. პირშავი 10
29. გაყვითლებული 9
30. გიშრის 9
31. მკრთალი 9
32. აკრელებული 8
33. გაფითრებული 8
34. სვილისფერა 8
35. სპეტაკი 8
36. წითელ-ყვითელი 8
37. შავგვრემანი 8
38. შავ-ბნელი 8
39. ბნელეთი 7
40. გადაპენტელი 7
41. გაშავებული 7
42. თალხი 7
43. თეთრონი 7
44. ლურჯად 7
45. მოშავფრო 7
46. ნაცრისფერი 7
47. გაფითრდა 6
48. გაშავდა 6
49. თეთრწვერა 6
50. ოქროსფერი 6
51. სიმწვანე 6
52. მკრთალად 5
53. უკუნე 5
54. ქერა 5
55. ყელკრელი 5
56. შავფერა 5
57. აკრელდა 4
58. გაათეთრებს 4
59. გაათეთრდება 4
60. გაღალანებული 4
61. გაყვითლდა 4
62. ღალანებს 4
63. წითელ-ყვითლად 4
64. კიაფრად 4
65. აშავებს 3
66. გააშავებს 3
67. გააწითლებს 3
68. გათეთრდება 3
69. ლალი 3
70. უღვამამწვანებული 3
71. შავთვალა 3
72. შავფერად 3
73. ცისფერი 3
74. წითელგულისპირიანი 3
75. კრელა-კრულა 3
76. ამწვანება 2
77. ბნელობა 2
78. გადააშავებს 2
79. გათეთრებული 2
80. გულშავი 2
81. გულწითელი 2
82. თეთრუა 2
83. ლილისფერი 2
84. მკედრისფერი 2
85. მოთეთრო 2
86. მოლურჯო 2
87. მტრედისფერად 2
88. ნათდება 2
89. ნახშირისფერი 2
90. ნისლა 2
91. პირნათელი 2
92. პირწითელი 2
93. რქათეთრი 2
94. სიყვითლე 2
95. სისხლისფერად 2
96. ფერმიხდილი 2
97. ლაქდაჯა 2
98. შავ-ბედი 2
99. შავფერი 2
100. შავყურა 2
101. შავ-შუა-ღამე 2
102. ჩაყვითლებული 2

103. წაბლისფერი 2
 104. წითელკაბა 2
 105. წითელპერანგა 2
 106. წითელწვერა 2
 107. წითლა 2
 108. ქროლა 2
 109. ლოყაწითელი 2
 110. გაწითლებული 2
 111. აგიწითლო 1
 112. ალიანი 1
 113. ამწვანება-აყვავება 1
 114. აშავდი 1
 115. აშავებს 1
 116. აწითებს 1
 117. აქრელებს 1
 118. აქრელებულ-ამწვანებელი 1
 119. ბნელდება 1
 120. ბნელეთი 1
 121. ბროლისფერი 1
 122. გააღეგავა 1
 123. გააწითებინა 1
 124. გადააწითა 1
 125. გადათეთრებული 1
 126. გალურჯებული 1
 127. განაცრებული 1
 128. გაჟივლივებული 1
 129. გაჟინქლილებული 1
 130. გაყვითლებულ-გაწითლებული 1
 131. გაშავება 1
 132. გიშრისფერი 1
 133. გულთეთრი 1
 134. დაწითდენ 1
 135. დასწითლებია 1
 136. დასწითლებოდა 1
 137. ვარდისფერი 1
 138. ვარდისფერად 1
 139. ზერდაგი 1
 140. თალხ-კაბა 1
 141. თეთრთმაწვეროვანი 1
 142. თეთრიანი 1
 143. თეთრკაბებიანი 1
 144. თეთრ-საყურეებიანი 1
 145. თეთრ-ტარა 1
 146. თეთრცხენიანი 1
 146. თეთრცხენოსანი 1
 147. თეთრძუძუობა 1
 148. თვალ-წითელი 1
 149. თვალპირელი 1
 150. თმათათლა 1
 151. იაგუნდი 1
 152. კანქწითელი 1
 153. კუპრი 1
 154. ლალისფერი 1
 155. ლაქვარი 1
 156. ლეგ-ლუგა 1
 157. ლეგ-ჩოხა 1
 158. ლილისფერად 1
 159. ლურჯცხენიანი 1
 160. ლურჯხორცი 1
 161. მეშავეთება 1
 162. მომეწითურა 1
 163. მოშავო 1
 164. მოწითალო 1
 165. მწვანინა 1
 166. მწვანინა-ნაშინი 1
 167. ნათელ-მირონი 1
 168. ნათელ-მფინარი 1
 169. ნათლიანი 1
 170. ნახშირი 1
 171. ნახშირიანი 1
 172. ოქროსფერად 1
 173. პირგაშაული 1
 174. პირმურა 1
 175. პირშავი 1
 176. პირყვითელი 1
 177. პურშავი 1
 178. ჟანგიანი ფერი 1
 179. რუხი 1
 180. რუხად 1
 181. სვილა 1
 182. სითეთრე 1
 183. ულვაშგათეთრებული 1
 184. უმწვანოდ 1
 185. უშავებს 1
 186. ფერგახუნებული 1
 187. ფერდაკარგული 1
 188. ფერ-მწვანე 1
 189. ფერწასული 1
 190. ქალბნელი 1
 191. ქალკუპრი 1

- | | |
|------------------------|-----------------------------|
| 192. ქარვის 1 | 216. ჩაყვითლდა 1 |
| 193. ქარვისფერი 1 | 217. ჩაშავდა 1 |
| 194. ქურანი 1 | 218. ჩაშავებული 1 |
| 195. ღაქლაქებს 1 | 219. ჩაწითლებული 1 |
| 196. ღაქლაქი 1 | 220. წამოწითლებული 1 |
| 197. ყვითელა 1 | 221. წამოწითლება 1 |
| 198. ყურშავი 1 | 222. წაყვითლო 1 |
| 199. შავ-ბედიანი 1 | 223. წითელაური 1 |
| 200. შავ-ბედობა 1 | 224. წითელენაგადმოგდებული 1 |
| 201. შავ-ბნელად 1 | 225. წითელ-ლურჯი 1 |
| 202. შავ-გიორგაანი 1 | 226. წითელკაბიანი 1 |
| 203. შავ-კაბა 1 | 227. წითელფეხება 1 |
| 204. შავ-კლდე 1 | 228. წითელღვინიანი 1 |
| 205. შავ-ნაბღიანი 1 | 229. წითელჩოხიანი 1 |
| 206. შავ-ნისლი 1 | 230. წითლიანი 1 |
| 207. შავობა 1 | 231. წითური 1 |
| 208. შავ-ფაფანაკიანი 1 | 232. ჭიაფერი 1 |
| 209. შავ-შავი 1 | 233. ჭრელა 1 |
| 210. შალშავი 1 | 234. ჭრელადა 1 |
| 211. შემურვილი 1 | 235. ჭრიანტლისფერი 1 |
| 212. შილა 1 | 236. ჭროლა 1 |
| 213. შავ-ბნელობა 1 | 237. ჭროლაფერი 1 |
| 214. შეყვითლებული 1 | 238. ჭრულაფერი 1 |
| 215. ჩალურჯებული 1 | |

ვაყას შემოქმედებაში ფერთა აღნიშვნის სემანტიკური სტრუქტურის სტატისტიკური შესწავლის მიზნით მასალას წარმოვადგენთ იმდაგვარად, რომ ერთი და იმავე ფერის აღნიშვნელი სახელები და მათგან ნაწარმოები ფორმები—არსებითები თუ ზმნები, კომპოზიტები და სხვ. ერთად იქნება გადათვლილი.

როგორც მე-2 ტაბულიდან ჩანს, ვაჟა-ფშაველას ფერთა აღნიშვნის სემანტიკური ველის სტატისტიკური სტრუქტურა ოთხფენოვანია; მასში გამოიყოფა უხშირესი, ხშირი, საშუალო სიხშირისა და იშვიათი სიტყვები.

პირველ ჯგუფში შევიდა ოთხი ძირითადი ქრომატული ფერი: წითელი, მწვანე, ყვითელი და ლურჯი; ორი ძირითადი, მთავარი აქრომატული ფერი — შავი და თეთრი. მეორე ჯგუფში თავი მოიყარა მხოლოდ აქრომატული ფერების დასახელებებმა—ქალარა, ნაცრისფერი, უყუნი, ლეგა, მკრთალი, გაფითრებული და ა. შ. მესამე ჯგუფის განხილვა გვიჩვენებს, რომ მისი შემადგენელი ერთეულები პირველი ჯგუფის ერთეულთა სინონიმებს წარმოადგენენ. მაგალითად, გისშრისფერი, თალხი შავის სინონიმებია; სპეტაკი, ვადაპენტილი—თეთრისა; ჭიაფერი—წითლისა; ოქროსფერი, ქერა—ყვითლის. უფრო მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანია მეოთხე ქვესისტემა, სადაც გამოიყო სინონიმთა რამდენიმე ჯგუფი. ესენია: წითელი ფერის სინონიმები—ლაღისფერი, ღაქლაქი, სისხლისფერი, იაგუნდი, ქანგისფერი, ალიანი, გაყვიღვიღვი, გაყინედილებული. ერთად არის თავმოყრილი: ქარვისფერი, ფერმიხდილი, ფერგახუნებული, ფერწასული, ფერდაკარგული, შავის სინონიმები—ნახშირის-

რიგითი №	რანგი	ფერის დასახელება	პროზაში	პოეტ. ნაწ.	სულ	სხშ. ჩაუფ.
1	1	შავი	273	264	537	I
2	2	თეთრი	145	79	224	II
3	3	წითელი	138	64	202	I
4	4	ბნელი	78	103	181	I
5	5	მწვანე	86	94	180	I
6	6	ნათელი	83	80	163	I
7	7	ლურჯი	33	58	91	I
8	8	ყვითელი	57	21	78	I
9	9	ქივი	47	22	69	I
10	10	ჭალარა	7	29	36	II
11	11	ნაცრისფერი	12	10	22	II
12	12	უკუნი	7	13	20	II
13	13	ლუბა	13	5	18	II
14	14	გაფითრებული	11	6	17	II
15	15	მკათალი	4	12	16	II
16	16	გიშრისფერი	2	8	10	III
17	16	სეილისფერი	8	2	10	III
18	17	გალახებული	5	3	8	III
19	17	თალხი	4	4	8	III
20	17	სპეტაკი	4	4	8	III
21	18	გადაპნტილი	6	1	7	III
22	18	ოქროსფერი	5	2	7	III
23	19	ქერა	2	3	5	III
24	19	ქიაფერი	—	5	5	III
25	19	ქროლა	5	—	5	III
26	20	ლალისფერი	1	3	4	IV
27	20	ლაელაქა	4	—	4	IV
28	20	ნახშირისფერი	3	1	4	IV
29	21	ლილისფერი	3	—	3	IV
30	21	ციისფერი	3	—	3	IV
31	22	ვარდისფერი	2	—	2	IV
32	22	ყუპრი	—	2	2	IV
33	22	მკვდრისფერი	2	—	2	IV
34	22	მტრედისფერი	1	1	2	IV
35	22	ნისლა	1	1	2	IV
36	22	რუხი	2	—	2	IV
37	22	სისხლისფერი	1	1	2	IV
38	22	ფერმიხილი	2	—	2	IV
39	22	ჭარკისფერი	2	—	2	IV
40	22	წაბლისფერი	2	—	2	IV
41	23	გაყვინღავებული	1	—	1	IV
42	23	გაყვინღავებული	1	—	1	IV
43	23	ალიანი	1	—	1	IV
44	23	ბროლისფერი	1	—	1	IV
45	23	ზურდავი	—	1	1	IV
46	23	იაგუნდი	—	1	1	IV
47	23	ლაქეარდი	—	1	1	IV
48	23	მურა	—	1	1	IV
49	23	ქანისფერი	—	1	1	IV
50	23	ფერგახუნებული	1	—	1	IV
51	23	ფერდაკარგული	—	1	1	IV
52	23	ფეროწყალის	1	—	1	IV
53	23	ჭურანი	—	1	1	IV
54	23	მემურელი	—	1	1	IV
55	23	შილა	1	—	1	IV
56	23	კრიანტილისფერი	1	—	1	IV

ფერი, შემურვილი, კუპრი; სინონიმები—ცისფერი, მტრედისფერი, ლაევარდი, ლალისფერი. აქვეა სპეციალიზებული სიტყვები: ზერდაგი, ქურანი, შილა. ამგვარად, სინათლისა და ფერთა აღმნიშვნელი სიტყვების სინშირეთა ურთიერთმიმართების საფუძველზე შეგვიძლია ვიმსჯელოთ ვაჟას ფერთა სახელების სემანტიკური ველის აგებულების შესახებ.

ახლა შევამოწმოთ ჰიპოთეზა, —რაც უფრო ხშირია სიტყვა, მით უფრო აქტიურია იგი. თუ ისევე გამოვყოფთ სიტყვის აქტიურობის ოთხ ასპექტს, როგორც გამოყო მოსკოვიჩმა, მაშინ უნდა დავაკვირდეთ პოლისემიას, სიტყვაწარმოების, სიტყვაშეერთებისა და ფრაზეოლოგიზმებში სიტყვის შესვლის უნარს⁸.

ავილოთ პირველი ჯგუფის სიტყვები (გარდა სიტყვებისა: ბნელი, ნათელი და კრელი), შევისწავლოთ ისინი სიტყვის აქტიურობის თვალსაზრისით.

პირველ რიგში დავაკვირდეთ ზემოჩამოთვლილი სიტყვების პოლისემიურობას. განვიხილოთ სიტყვა „შავი“ მნიშვნელობები: 1. სოფლის თავს სძინავს შავს ნისლსა (II, 103.7)⁹; 2. როცა შავს ზღვაში ჩაეშვი გემი (II, 270,36); 3. შავად მენახოს, ქმარაო შენი ვარსკვლავი ცაზედა (II, 139, 19); ჩამოებრდი შავად (III, 417,35); უნდა ჩამაპდნე შავად (II, 43,34); 4. გუშინ მთლად დავხიე დისერტაციის შავი (IV, 620, 28); ჩემი ნაწერები ერთხელის მეტად არ გადამიწერია შავად დაწერილიდან (V, 317, 7); 5. სამყარომ შავი ჩაიცვა (II, 14, 19); 6. ნუ ცრუობ, შავო, შავბნელო (II, 43, 33); 7. ის დღე გაშავდეს, რას დღესაც მე შენ დავისვი ცოლად (II, 173, 30); 8. ვით არ დამეცვა შიშნია, რომ ურცხვად გააშავესა (II, 287, 12); 9. ადგ, ამირან, აშავდი, ცხენს დაუყარე ღანძილი (V, 93, 3); 10. მე არ ვაშავებ არასა (I, 120, 13).

„თეთრის“ მნიშვნელობანი: 1. თეთრ მიტკალში ახვევდა დროშას (IV, 75, 13); 2. თეთრ გიორგისთვის ერთი სანთელი დაენტო (III, 250, 7); 3. შემოწირული თეთრი ჰხმარდება ლაშარის ჯვარის ზვარს (V, 207, 35); 4. მკითხველი საზოგადოებისათვის არ არის ერთი თეთრი და შავი (V, 204, 23); 5. შეც ეგეთი ვარ, როგორც შენ, ზამთარო, თეთრი, ქალარა (I, 351, 9); 6. ყორნის ფრთა-ბოლოდ ქცეულა თეთრი, ნარევი თმაშია (I, 520, 40); 7. შამოსებით შავადა, თეთრს არ ჩაიცომთ ტანზედა (V, 131, 28).

„წითელი“ შეგვხვდა შემდეგი მნიშვნელობებით: 1. (მგლები) წითელ ენებს ატრიალებდნენ (III, 561, 40); 2. წითელი ქარი—სნეულება (V, 420, 25); 3. თვეში წითელი ქალღი შენტვის მზად არისო (III, 115, 11)⁴. ვერას შოკვიდე, წითელი ვერ გავადინე ერთსაცა (II, 121, 33); 5. შჩედრინისებური კალმის წამოწითლებისა არ იყოს, მედიცინა წითლღება (V, 364, 26); 6. თეთრიანი რო დაკლილა, წითლიანს ქვევრსა ხდისაო (I, 393, 6); 7. ერთს წითელ-წვეკრას დავტყლიშე, დავაგლეჩინენ ყბანია (I, 57; 15). აქ, და სხვაგანაც, ვაჟასთან, წითელწვეკრა თათრის სინონიმია, ერთგვარი პარაფრაზია.

⁸ В. А. Москвич, Статистика в семантика, М., 1969.

⁹ ვაჟა-ფშაველა, თხზულებათა სრული კრებული ხუთ ტომად, თბილისი, 1961, მასალა ყველგან ამ გამოცემიდან არის მოტანილი, პირველი ციფრი აღნიშნავს ტომს, მეორე — გვერდს. ხოლო მესამე — სტრიქონს.

„მწვანე“ შეგვხვდა მხოლოდ სამი მნიშვნელობით: 1. მწვანე ხავსით შემოსილი კლდე (IV, 61, 15); 2. წავედგე მწვანეზე (II, 312, 11); 3. ...სთქვა ერთმა ახალგაზრდამ, ახლად ულვაშამწვანებულმა (IV, 77, 29). „ყვითელი“ და „ლურჯი“ მხოლოდ თითო მნიშვნელობითაა წარმოდგენილი.

ამგვარად, განსაკუთრებულ პოლისემიურობას იჩენს შავი, თეთრი და წითელი. შავისა და თეთრის აქ მოტიანილი მნიშვნელობები, ჩვეულებრივ, გავრცელებულია. იმავეს ვერ ვიტყვით წითლის მნიშვნელობების შესახებ მეოთხე (სისხლი) და მეექვსე (ღვინო) ნიმუშებში. სრულიად ახალია ჩვენთვის სიტყვა ულვაშამწვანებული—„ვისაც ულვაში ახლად ამოსული აქვს“¹⁰. (ულვაშამწვანებული ქაბუკი, IV, 104, 34; სალომეს ვაჟიშვილი, ახლად ულვაშამწვანებული, IV, 77, 29).

ახლა განვიხილოთ მოცემულ ფერთა სახელების სიტყვაწარმოების უნარი.

ფერის ზედსართავი სახელებიდან ნაწარმოებ მეტყველების ნაწილთა შორის საკვლევ მასალაში გვხვდება ზედსართავის ოდნაობითი ხარისხის ფორმები, გაარსებითებული სახელები, აბსტრაქტული სახელები, გარდაუვალი და გარდაშავალი ზმნები, მიმღეობა და საწყისი, ზმნიზედები. ზმნიზედად ჩავთვალეთ ყველა ფერის ზედსართავი სახელი, დასმული ვითარებით ბრუნვაში, რომელიც გამოხატავს მოქმედების ვითარებას.

ჩამოვთვლით იმ ნაწარმოებ სახელებს, რომლებიც არ შევიდა ტაბულაში: თეთრუა, თეთრონი, თეთრიანი; წითლა, წითლიანი, წითური; უმწვანოდ, მწვანინა; ყვითელა.

კომპოზიტებში შესვლის ყველაზე კარგ უნარს იჩენს შავი, შემდეგ წითელი. ჩამოვთვლით იმ რთულ სახელებს, რომელთა კომპონენტს ფერის სახელი წარმოადგენს:

შავფერი (რთულ სიტყვად ვთვლით, ვინაიდან ფერთა სახელებს, ჩვეულებრივ, არ ერთვის „ფერი“, ისინი აბსტრაქტულად გადმოსცემენ ფერს), შავ-ბნელი, შავ-ბნელობა, შავ-ბედი, შავ-ბედიანი, შავ-ბედობა, შავ-ნაბდიანი, შავფაფანაკიანი, შავ-კლდე, შავ-ნისლი, შავ-კაბა, შავ-თვალა, შავ-თვალწარბა, შავყურა, ყურშავი, პირშავი, გულშავი, პირგაშაული, შავ-შუა-ღამე, თვალშავი; თეთრთმაწვეროვანი, თეთრ-ტარა, თეთრკაბებიანი, თეთრსაყურებიანი, თეთრცხენიანი, თეთრცხენოსანი, თეთრქუქობა, თეთრწვერა, გულთეთრი, რქათეთრი, ულვაშგათერებული; ლოყაწითელი, წითელგულსპირიანი, წითელენაგადმოვლებული, წითელკაბა, წითელკაბიანი, წითელპერანგა, წითელფეხება, წითელღვინიანი, წითელ-წვერა, წითელჩოხიანი, კანქწითელი, თვალწითელი, გულ-წითელი, წითელ-ლურჯი, წითელ-ყვითელი, გაყვითლებულ-გაწითლებული, პირწითელა; ფერ-მწვანე, ამწვანება, აყვავება, მწვანინა-ნამიანი, აპრელეულ-ამწვანებული, ულვაშებ-ამწვანებული; ლურჯცხენიანი, ლურჯ-ხოცი.

საკვლევ მასალაზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ფრაზეოლოგიზმებში უმეტესად მონაწილეობენ აქრომატული ფერები თეთრი და შავი, ალბათ იმიტომ, რომ ისინი აქრომატული არიან და სინათლე-სიბნელეს უფრო აღნიშნავენ, ვიდრე ფერს, სიბნელე-სინათლის დაპირისპირებას კი ხალხი ბევრ რამეს უკავშირებს. ქრომატული ფერებიდან მხოლოდ წითელი შეგვხვდა, ისიც რამდენიმე ფრაზეოლოგიზმში.

¹⁰ ალ. ჭიჭარაული, ვაჟ-ფშაველას მძივრე ლექსიკონი.

ნ ა წ ა რ ბ ო ბ ე ბ ი

ფერის ზედსართავი სახელები	ს ა ხ ე ლ ე ბ ი			ზ ე ნ ე ბ ი		ს ა ხ ე ლ ზ ე ნ ა		ზენიზედა
	ზედს. ხარისხ	სუბსტ.	აბსტრ.	გარდამავალი	გარდაუვალი	მიმდევობა	საწყისი	
შავი	შოშავი	შავი	შავობა	გააშავებს	გაშავდა	გაშავებული	გაშავება	შავად
თეთრი	შითეთრი	თეთრ:	სითეთრე	გათეთრა	გათეთრდა	გათეთრებული	—	თეთრად
წითელი	მოწითალო	წითელი	სიწითლე	გაწითლა	წითლდება	გაწითლებული	წამოწითლება	წითლად
შვანე	—	შვანე	სიშვანე	—	შვანობა, შვანდება	აშვანებული	აშვანება	შვანედ
ყვითელი	წყვითალო	—	სიყვითლე	—	გაყვითლდა	გაყვითლებული, შეყვითლებული	—	ყვითლად
ლურჯი	მოლურჯო	—	—	—	—	გალურჯებული	—	ლურჯად

ძოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს: „ნეტავი შენს დანახვას შავი კატა ღამენახა“ (III, 233, 23); „...შავი დღისათვის ინახებოდა“ (IV, 545, 33); „...რაც დავგაყენა იმან შავი დღე“ (IV, 44, 33); „მეგან რა შავი ქვა იცის, ხურმა რა ხილია“ (V, 112, 28); შავი და ბნელი ხანა (V, 200, 5); „თავს და მუყფს შავი ყორანი“ (I, 187, 7); „შავმა დრომ გადაიარა“ (II, 327, 32); „გულში ჩაიხვევა, ჩაიკეცება შავი, მწარე ფიქრები; არ გაგითენებია ღამე თეთრად კარში“ (III, 524, 11); „შავს თეთრს უწოდებს, და თეთრად მიაჩნია და თეთრი—შავად“ (V, 207, 3); „ბრბო მაინც არ გათეთრდება, რაც უნდა ჰხეხო ქვიშითა“ (I, 118, 35); „წითლის თავშალით მიცინის ბედი“ (I, 421, 19).

ამგვარად, უნდა აღინიშნოს, რომ სიტყვის აქტიურობის ის ოთხი ასპექტი, რომელიც აქ იყო წარმოდგენილი, ერთგვარად განსაზღვრავს ფერთა სახელების სიხშირეს, მაგრამ ამ ასპექტთაგან ყველას თანაბარი მნიშვნელობა არა აქვს. გარდა ამისა, ყველა სახელი ერთნაირ უნარს არ იჩენს. მაგალითად, ჩვენი ნიმუშებიდან ჩანს, რომ რთულ სიტყვებში ხშირად შედის კომპონენტად შავი, შემდეგ წითელი. სიტყვაწარმოების მხრივ შავი ნაკლებ აქტიურია, ვიდრე მწვანე, რომელიც რთულ სიტყვებში სულ ხუთჯერ მონაწილეობს. ცხადია, ამ ფაქტების განზოგადება საერთოდ ენის მიმართ, შეუძლებელია. ჭერ საჭიროა ასეთივე წესით დამუშავდეს სხვადასხვა ავტორის ტექსტები.

საინტერესოა, თუ რა საგნების, რა სიტყვების მიმართ არის გამოყენებული ფერთი ეპითეტები¹¹. დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ უნდა გამოიყოს ოთხი ჯგუფი: 1. ადამიანისა და ადამიანის სხეულის ნაწილთა აღმნიშვნელი სახელები; 2. ქსოვილები, ტანსაცმელი და მისი შემადგენელი ნაწილები; 3. ლანდშაფტისა და ბუნების მოვლენათა სახელები; 4. ფრინველები და ცხოველები.

შავი ფერით არის განსაზღვრული პირველი ჯგუფის შემდეგი სახელები: კაცი, რაინდი, ბიჭი, ძმა, თათარი, ქალი, კაცი, შვილი, ალუდა, ხორეშანი, ნატო, გიორგი; სახე, თვალა, ხელი, გული, კბილი, ხორცის კანი, მკლავი, პირი, თმა, ბალანი, წარბი, ნაწნავი.

მეორე ჯგუფის სახელებია: ტანისამოსი, პერანგი, ნაბადი, ჭუბა, წამოსასხამი, თევზოსახვევი, ქუდი, ბატკნის ქუდი, ჩოხა, პირბადე, ჩადრი, მანდილი, ძაძა, ლასტიკი, ზეწარი, ნაქუწები, თიკვი, ძაფი, ხელსახოცი, ხავერდი.

მესამე ჯგუფის სახელებია: ქვა, კლდე, მიწა, ღრუბელი, ტყე, ჯანლი, ხეობა, არაგვი, მთა, ლოდი, დღე, ღამე.

მეოთხე ჯგუფის სახელებია: ცხვარი, ძაღლი, კატა, ვეშაპი, ცხენი, კურატი, ირემი, ტახი, კოდალა, როჭო, მიმინო, ქათამი, ყორანი, გველი.

შავი ფერით არის აგრეთვე აღნიშნული ადამიანის ბედთან და განცდებთან დაკავშირებული სიტყვები: ფიქრი, ნაღველი, ბედი, სვე, სიკვდილი.

თეთრი ეპითეტად აქვს პირველი ჯგუფის სიტყვებს: გიორგი, ქალი, პაპა, მოხუცი, ხევისბერი, კაცი, პასტორი; წვერი, თვალის კილო, ცხვირი, ძუძუ, თმა-წვერი, ბალანი, თმა; მეორე ჯგუფის სიტყვებს: ტანისამოსი, წამოსასხამი, ნაბადი, პაპიკები, სამოსელი, მანდილი, მიტკალი, ტილო, თიკვი, ნაქერი, ხელსახოცი, ტომარა, ზეწარი, ლოგინი, საბანი; მესამე ჯგუფის სახელებს:

¹¹ წარმოდგენილი მასალა ვასათვალისწინებელია ვაჟას ეპითეტთა ლექსიკონისთვის. ასეთი ლექსიკონები საერთოდ იშვიათობას წარმოადგენს. ჩვენთვის ცნობილია: L. F. Daigre, Dictionnaire des épithètes françaises, Paris, 1817; და А. л. З е л е н е ц к и й, Эпитеты литературной русской речи, М., 1913.

ღრუბელი, არაგვი, მთის თავი, მთა, ზვავი, თოვლი, ტირიფი; მეოთხე ჯგუფის სახელებს: თხუენელა, ხარი, ცხენი, ლეკვი, ცხვარი ტახი, მელა, ჭია, ფრინველი; ჩლიქი, ბუმბული, ფრთა, წიხლი, კული.

წითელი ფერთაა აღნიშნული პირველი ჯგუფის სახელები: ღისხლი, წამწამი, ლოყა, ხორცი, ენა, სახე, წვერი, ბალანი; მეორე ჯგუფის სახელები: კაბა, კაბალახი, დარაია, ჩოხა, პერანგი, პაიჭი, ახალოხი, არშია, ჯუბის ბოლო, თავშალი, ღილი; მესამე ჯგუფის სახელები: კლდე, სხივი, ვარდი, წვიმა; მეოთხე ჯგუფის სახელები: ცხვარი, ხბო, ფური, ცხენი, გველი, ფრთა, ფრთაბუმბული.

მწვანე ზედსართავით განსაზღვრულ სიტყვებში მხოლოდ მესამე ჯგუფი გამოიყო: მთა-ბარი, დედამიწა, კორდი, ველი, მთის კალთა, გზის კიდე, ქალა, ქელი, მთა, მინდორი, ხევი, ტყე, კლდე, გოხი, მდელო, ბუნება. განმარტოებით დგას სიტყვა უღვეშამწვანებული, რომელიც პირველი ჯგუფის სახელს (ახალგაზრდა, ქაბუჯი, ვაიშვილი) ახლავს.

ყვითელი შეგვხვდა შემდეგ ჯგუფებში: 1. სახე, თვალი, წვერი, თმა; 2. ხაბადი; 3. კლდე, მოლი, ბრძამი, ხავსი, ლოდი, ფოთოლი, სიმინდი.

ლურჯი—2. ქულაჯა, პერანგი, ბექთარი, სუფრა; 3. კლდე, ცა, ნისლი, ყინული, ჭეჭილი; 4. ცხენი, მერანი, ტაიჭი, კვიცი.

აი, ეს არის ის გარემო, რომელსაც მწერალი „აფერადებს“. როგორც ვხედავთ, ნებსით თუ უნებლიეთ, ხდება საგნების ერთგვარი შერჩევა. ყველა საგანი როდის არის შეფერილი მწერლის მიერ, არამედ საგანთა, მოვლენათა მხოლოდ გარკვეული ჯგუფები.

ცალკე გვინდა შევეხოთ სიტყვებს: ფერადი, ათასფერი, სხვადასხვაფერი და, განსაკუთრებით, ფერი რისამე.

მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს:

სხვადასხვა ფერი დაეღვა

კაცსა და ცხოველს ყველასა (I, 206, 26);

ტურფა სხვადასხვა ფერისა

ჯაღონურია ქსოვილი (I, 368, 23);

სხვადასხვა ფერის ქოთნები (IV, 556, 30);

გავხედე მინდორს თვალუწედენს,

ჰყვოდა ათას ფერადა (I, 237, 2);

ლანჯრის მხატვრობა აბრიალდა ათასფერად (IV, 549, 27);

უყურეთ შაზიკულია

ზინზილით ათას ფერთა (II, 127, 40);

ლანჯრი საუცხოვოდ იყო ნახატი მრავალი ფერადით (IV, 649, 16);

გალავანს შიგნით ბაღია

ფერად ყვავილით წყობილი (II, 51, 9);

ფერად კლდეებში დაბადებულნი

მოკამკამებენ ციფნი წყარონი (IV, 296, 10);

დაფლეთილს ოზლის კაბასა

ფერად ნაჭრებით ჰყარავენ (II, 248, 25);

ხალხი მახრის მიერ დროშის ჩაბარების ამბავს სხვადასხვა ფერადებით ამკობდა (IV, 91, 20);

ქსელი გაუბამთ და ათასნაირი ფერადებითა ქსოვენო (IV, 51, 10).

ვეზირი უცქერს ეთერსა,

ფერი ფერადად სდიოდა (II, 299, 25);

მაკრამ მასპინძელს სახეზედ

ფერი ფერადად სდიოდა (II, 50, 43).

„ფერადს“ განმარტავენ როგორც სხვადასხვა ფერისა, ნაირნა რი, კრელ-კრელი. ამგვარად, ფერადი, სხვადასხვა ფერი, თასნაირი ფერი, თასფერი და მსგავსი სიტყვები უნდა განვიხილოთ სიტყვა „კრელის“ სიბრტყეზე, ისინიც შევლენ ფერისა და სინათლის სახელთა სემანტიკურ ველში. ოღონდ უნდა განვასხვავოთ ის შემთხვევები, როცა სიტყვა „ფერი“ იერის, სახის მნიშვნელობით არის ნახმარი, მაგალითად,

მანამ თმას იწნავ,
ქალის ფერი ვაქვს
და სული გიღვას, იყავ ქალადა (II, 30, 11).

ფერს შეიძლება ჰქონდეს „მსგავსის“, „ღარის“ მნიშვნელობა. მაგ.,

ერთი სხვას მისდევს მტკერის საოზრადა
გულითა რკინა და ლომის ფერა (II, 22, 20);
ყინულის ფერი ჭაჭეები,
თილისმა დანაქერიითა (II, 58, 3);
ის რო წაუა და სხვა მოუა
ღიაცი მზისა ფერია (II, 81, 25);

ზემოჩამოთვლილ შემთხვევებში ძნელი არ არის იმის გაგება, თუ სიტყვის რომელი მნიშვნელობაა ნაგულისხმევი, მაგრამ ზოგჯერ ამის განსაზღვრა თითქმის შეუძლებელია:

ყველაფერს ძილის ფერი სძე (III, 548, 35);
ყველას სიციცხლის ფერი ედო იმ ხანებში (III, 39, 20);
ფერი ედებო ბერდაის,
ფერი სხვა-რიგის შიშისა (II, 36, 34);
პატარა ხევსურს სიცივის ფერი ედო (IV, 347, 16);

საორკოფოჟ ასეთი ნიმუშებიც:

გაჭაერდა ქეთელაური
ფერი დაედო მგლისაო (II, 37, 2);
მაგრამ როს ნახა უცნობი,
ფერი დაედო მგლისაო (II, 106, 5);
მუცალს არ სწადის სიყვილიო,
ფერს არა ჰქარავს მგლისასა (II, 32, 13).

ერთი მხრივ, მგლისფერი რუხს ნიშნავს, მეორე მხრივ, კი ზემოჩამოთვლილ კონტექსტებში არც ის არის მოულოდნელი, რომ მუცალი, ქეთელაური, მოხუცი გაათრებულეყენენ მგელივით.

დასასრულ, შევეხოთ საკითხს, არის თუ არა თავისებური ფერთა აღნიშვნა ვაჟას შემოქმედებაში.

უნდა ითქვას, რომ ფერთა აღნიშვნის მხრივ რაიმე არსებითი განსხვავება არ შეგვიმჩნევია ვაჟას პოეზიისა და პროზას შორის, რთულ შედგენილ სახელთა განაწილებაც კი თითქმის ერთნაირია. ჩანს, ვაჟას არ ახასიათებს მოულოდნელი ფერთი ეპითეტები, უჩვეულო ფერთა აღნიშვნები¹².

¹² ლექსში „წაღილი“ კვითხულობთ: მინდა შევეთვი მომღერალს
სტუმრად მწვეყვიყუნენ მთანია
თან კლდენი შევგერემანანი, —
მთების მამშვენნი ძმანია.

კლდენი შევგერემანანი — ვაჟასათვის დამახასიათებელი პერსონაჟიციის შედეგია.

ვაჟასთვის ჩვეულებრივია ფერთა სახელების ან ზმნიზედების თავმოყრა, ჩამოთვლა:

ეს კლდე მთელი მთაა კლდედ, ქვედ გადაქცეული... ზოგან ჩაშავებული. ზოგან ჩაყვითლებული, სხვაგან ჩალურჯებული (III, 112, 7);

ჩიტები... ხმელს, ყვითელს ფოთლებში წითლის და მწვანის ფრთაბუმბულით ჩემს წინ დაგოგვენ... (III, 32, 19);

ბუმბურაზი მუხბის გროვა ეყარა, ზოგი მწვანედ, სხვა შავად (III, 411, 37);

კლდე სამფეროვანდ — ყვითლად, ლურჯად და შავად გამოიქვირებოდა (III, 358, 35);

— რა ექნა, — ამოთქვა აფშინამ

წვერმოტეხილის ენითა,

თან დნება ლურჯად, შავადა,

გულში ბოროტის კბენითა (II, 24, 2);

ტყემალი დაიკუნწლა წითლად და ყვითლად (III, 594, 13);

წითლად თუ ყვითლად გამოიყურება ველი და მინდორი (IV, 182, 15);

ხეხილი წითლად, ყვითლად, თეთრად ყვაოდა (III, 362, 4);

დედამიწა წითლად, ყვითლად და მწვანედ დაფარული გაპლუის (III, 81, 20—21);

ზედ ყვავილები ჰყვავიან

წითლად, ყვითლად და ლურჯადა (II, 45, 4);

წითლად და ყვითლად კმოსაედა

ქვეყანას მწირს და ვერანსა (I, 74, 8);

ტყე ჰყვავის თეთრად და წითლად,

ამწვანებულა მინდვრები (II, 239, 11);

ერთი მამალი იხეი, მწვანედ, ყვითლად და მოწითალო ბუმბულით აქრელებული გამოერჩია გუნდიდან და წამოვიდა (III, 512, 35);

ადის და დადს მთათ მკერდი

წითლად, ყვითლად და მწვანედ (III, 264, 42);

მთელს იმ მინდორზე ყანაა,

როგორც ზღვა ისე ლუავედა,

თვალ-გადუწედნენელს სივრცესა

წითლად და ყვითლად ჰფერავდა (II, 194, 17);

ხშირად ხმარობს პოეტი გამოთქმას უმტკერო თოვლივით თეთრი, მაგ.,

...უმტკერო თოვლივით თეთრი წვერი გულზედა სცემდა (III, 24, 37);

მიხტოდა მისი პასტორი, თეთრი, როგორც უმტკერო თოვლი (IV, 566, 38);

ადამიანი იყო, ქალის სახისა... თეთრი იყო, როგორც უმტკერო თოვლი (III, 594, 33);

ლოგინი მეგო, როგორაც

თეთრი, უმტკერო თოვლა (II, 331, 4);

ეს იყო შვილი, თეთრი, თეთრი, როგორც უმტკერო თოვლი (IV, 19, 29),

... უჩვენა თავი, უმტკერო თოვლივით თეთრის თმით დაფარულ (III, 135, 29).

მეორე ტაბულის მონაცემების დაჯამებით მივიღებთ, რომ სინათლისა და ფერთა აღმნიშვნელი სახელები ვაჟას შემოქმედებაში უდრის 1982-ს. აქედან პროზაულ ტექსტში გამოყენებული სიტყვა 1074-ა, ხოლო პოეზიაში—90მ. იმავე ტაბულის მიხედვით შეგვიძლია ვიანგარიშოთ ქრომატულ და აქრომატულ ფერთა სახელების შეფარდება. ქრომატულია 615, აქრომატულია, 1367, ე. ი. ქრომატული ფერები შეადგენს მთელი ფერთა სახელების 31%-ს, ხოლო აქრომატული სახელები—69%-ს. 56 ფერის (ელფერის) დასახელებიდან 28 აქრომატულია და 28 ქრომატული, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ოთხი მთავარი ფერის გარდა, სხვა ქრომატულ ფერთა სახელები არც თუ ისე ხშირად

ინმარება და, ამასთანავე, ვაჟასთან ხშირია ამ კატეგორიის სახელთათვის სიხშირის შეჩვენება, რაც ზრდის განსხვავებულ სიტყვათა რაოდენობას.

მართალია, ჩვენ დავადგინეთ ფერთა აღმნიშვნელი სახელების რაოდენობა როგორც პროზაში, ისე პოეზიაში, მაგრამ ეს რიცხვითი მაჩვენებლები აბსოლუტურია და მათ ურთიერთმიმართებას არაერთგვაროვანი მნიშვნელობა არა აქვს მანამ, სანამ არ დადგინდება მთელ სიტყვათა რაოდენობა ვაჟას შემოქმედებაში, აგრეთვე პოეზიისა და პროზის ხვედრითი წონა. ამის გარეშე არ შეგვიძლია იმის თქმა, რომ პროზაული ტექსტებიდან ამოწერილი ფერთა სახელები უფრო მეტია პოეტური ტექსტებიდან ამოწერილი ფერთა სახელებზე და რომ ეს ეწინააღმდეგება მიღებულ მოსაზრებას, რომ პოეზიაში ფერთა აღნიშვნა უფრო ხშირად გვხვდება, ვიდრე პროზაში. ამავე დროს, ვაჟას ლექსიკის სტატისტიკური სტრუქტურის თავისებურების გამოვლენა და დადგენა შეიძლება მხოლოდ სხვა ავტორებთან მისი შედარებით ამ თვალსაზრისით.

ფერის გამოხატვა მხატვრულ ნაწარმოებში არსებითად ალბათ მიჰყვება ენის ტრადიციასა და თვით ენაში არსებულ განაწილებას, მაგრამ ცალკეულ ავტორთან მოსალოდნელია ესა თუ ის გადახრა ე. წ. სალიტერატურო ნორმიდან. ამ ვარაუდის საფუძველს იძლევა ერთი ის, რომ ფერთი ეპითეტები მხატვრული შერჩევის შედეგია. არა ყველა ჩამოთვლილი, ნაწარმოებში დასახელებული საგნის ფერია განსაზღვრული, არამედ მხოლოდ ზოგიერთისა, ისიც ამორჩევით; მეორე, ფერთა დასახელება დამოკიდებულია ნაწარმოების თემატიკაზე. თემატიკა უშუალო გავლენას ახდენს არა მარტო გამოყენებული ფერთა სახელების რაოდენობაზე, არამედ ტექსტში მათ სიხშირულ განაწილებაზეც; შესაშვ ეს არის ორი ასეთი რიგის მწერალთა არსებობის ფაქტი—ფერმწერი—მწერლები და მწერალი გრაფიკოსები. მაგალითად, ჯონათან სვიფტი ითვლება გრაფიკოს მწერლად, ვინაიდან ფერთა სახელებს უმნიშვნელო რაოდენობით იყენებს. მის ნაწარმოებში „მოგზაურობა ლილიპუტების ქვეყანაში“ სულ 16 ფერის სახელია, აქედან ხუთჯერ თერთია ნახსენები და ხუთჯერ შავი. ამავე ავტორის „მოგზაურობა ლაპუტუში“ ასევე ღარიბია ფერთი ეპითეტებით. აქ ფერთა სახელი სულ რვაჯერ გვხვდება. რუსი მწერალი ი. ბუნინი ითვლება ფერმწერად, უფრო მეტიც—კოლორისტად¹³. ქართულ მწერალთა შემოქმედების კვლევა ამ მიმართულებით ჯერ არ ჩატარებულა.

ფერთა სახელების გამოყენებას მხატვრულ ნაწარმოებში სამი ფუნქცია აქვს: 1. აზრობრივი, 2. აღწერითი და 3. ემოციური. მოცემული მასალის ანალიზს ამ თვალსაზრისით წინამდებარე ნაშრომი არ ითვალისწინებს.

ჩვენ მიერ მოპოვებული მასალის შემდგომ კვლევას მოითხოვს იმის დადგენა, თუ რა ხერხებით (ერთფეროვნება, ფერთა სიჭრელი, არჩეული ფერის მიზნობრივი გამეორება, ფერთა გარკვეული შეხამება-შეერთება, ფერთი კონტრასტები და სხვ.) ხდება ფერთი ეპითეტების ზემოაღნიშნული ფუნქციების განხორციელება და როგორია თვით ამ ფუნქციათა ურთიერთმიმართება რაოდენობრივი და თვისობრივი თვალსაზრისით. ამის საშუალებით დადგინდება ფერთა აღნიშვნის სტილისტიკური ფუნქცია ვაჟას შემოქმედებაში.

¹³ Е. Штенгелов, Цвет в художественной литературе, Наука и жизнь, № 8, 1970, сс. 24—26.

	f_x	x	f_x	x	f_x	x	f_x
1	138	28	1	1	16	180	1
2	35	29	1	2	10	181	1
3	11	30	1	3	2	202	1
4	8	32	1	4	3	224	1
5	5	35	1	5	3	537	1
6	5	36	1	7	2		
7	8	38	1	8	3		
8	7	43	1	10	2		
9	3	45	1	16	1		
10	1	72	1	17	1		
11	1	84	1	18	1		
12	1	88	1	20	1		
13	2	90	1	22	1		
14	1	101	1	36	1		
15	2	128	1	69	1		
16	1	150	1	78	1		
22	1	312	1	91	1		
23	1			163	1		

Г. Ш. КВАРАЦХელია

ЦВЕТООБОЗНАЧЕНИЯ В ЛЕКСИКЕ ВАЖА-ПШАВЕЛА

Резюме

Исследуемый материал был извлечен из пятитомника Важа-Пшавела. Были составлены частотные списки цветообозначений.

Определились 4 группы цветообозначений, различающиеся по уровню частотности: 1. наиболее частотные слова, 2. частотные слова, 3. слова средней частотности и 4. редкие слова. В первую группу попали слова, обозначающие четыре основных хроматических цвета — красный, зеленый, желтый и синий, а также, два главных ахроматических — черный и белый. Вторую группу заполнили слова, обозначающие лишь ахроматические цвета. Цветообозначения третьей группы, без исключения, оказались синонимами слов первой группы. Более многочисленной и многообразной оказалась четвертая подсистема, где выделились несколько подгрупп синонимов, специализированных цветообозначений и др.

Таким образом, по соотношению частотностей слов, принадлежащих к семантическому полю цветообозначений языка Важа-Пшавела, можно судить о строении указанного поля.

Так как, между частотностью слова в речи и его активностью в языке существует тесная взаимозависимость, мы проверили гипотезу о том, что чем частотнее слово, тем оно активнее. Были изучены 4 аспекта активности слова: 1. полсемия, 2. способность к словопроизвод-

ству, 3. способность к словосложению, 4. способность входить в состав фразеологизмов (В. А. Москович).

Были установлены слова, эпитетам которых служат исследуемые цветообозначения. Эти слова относятся к следующим группам предметов: 1. человек и части человеческого тела, 2. материал, одежда и ее составные части, 3. ландшафт и явления природы и 4. птицы и животные.

Исследования показали, что семантическое поле цвета одинаково строится в стихе и прозе Важа-Пшавела. Установлено, что неожиданные цветовые эпитеты и необычные цветообозначения чужды языку писателя, но тем не менее, его лексика цвета богата, многообразна и эластична.

ლ. ენუკიძე

ზმნის ვალენტობისა და პირინაობის მიმართების საკითხისათვის პარტულში

სინტაქსური ვალენტობის ცნება პირველად ჩამოყალიბდა 1953 წელს. იგი გამოყო და დააფუძნა ფრანგმა ენათმეცნიერმა ლ. ტენიერმა ნაშრომში „ნარკვევები სტრუქტურული სინტაქსის შესახებ“¹. მაგრამ სინტაქსურ ნიშანთა სისტემა, რომელიც საფუძვლად დაედო ვალენტობის ცნებას, ჩამოყალიბდა გაცილებით უფრო ადრე.

ჯერ კიდევ 1934 წელს ლ. ტენიერის სტატიაში „როგორ უნდა აიგოს სინტაქსი“² მოცემული იყო ძირითადი დებულებები, რომლებიც მან განავითარა შემდეგდროინდელ ნაშრომებში. კერძოდ, ლ. ტენიერს თავისი სინტაქსური თეორია დასრულებული სახით და ვრცლად გადმოცემული აქვს ნაშრომში „სტრუქტურული სინტაქსის ელემენტები“³.

ლ. ტენიერი გახაზავს, რომ სინტაქსის თეორია უნდა დაემყაროს წმინდა სინტაქსურ მონაცემებს. კერძოდ, ავტორი ფიქრობს, რომ სინტაქსის თეორიაში უნდა გავარჩიოთ ორი ძირითადი ნაწილი:

1. კატეგორიალური ანუ სტატიკური სინტაქსი, რომელიც შეისწავლის გრამატიკულ კატეგორიებს, მათი თანამიმდევრობების და ორგანიზაციის პრინციპებს ენაში.

2. ფუნქციონალური ანუ დინამიკური სინტაქსი, რომელიც შეისწავლის „ცოცხალი“ ფრაზის სტრუქტურა-მექანიზმს, მისი კავშირების რეალურ სისტემას⁴.

ლ. ტენიერის აზრით, ფრაზა წარმოადგენს მრავალაირუსიან იერარქიულ აღნაგობას (ორგანიზმს), რომლის ცენტრშიც დგას ზმნა, მმართველი ამ ორგანიზმისა. პერიფერიებზე განლაგებული არიან მრავალრიცხოვანი გრამატიკუ-

¹ L. Tesnière, *Esquisse d'une syntaxe structurale*, Paris, 1953.

² მისივე, *Comment construire une Syntaxe*, «Bulletin de la Faculté des Lettres de Strasbourg», 7, 1934.

³ მისივე, *Eléments de syntaxe structurale*, Paris, 1959.

⁴ კატეგორიალური სინტაქსის საკითხებზე ჩვენ არ შეეჩერდებით, რადგან ამჟერად ფრაზის სტრუქტურა-მექანიზმი გვინტერესებს.

ლი ელემენტები, რომლებიც ექვემდებარებიან ერთმანეთს და საბოლოო ჯამში—გრამატიკულად უმნიშვნელოვანეს ელემენტს—ზმნას⁶.

ფრაზის შიგნით გამოიყოფა სტრუქტურული გაერთიანება, რომლის ცენტრიც შეიძლება იყოს ზმნა, არსებითი სახელი, ზედსართავი სახელი და ზმნი-ზედა. მსგავს გაერთიანებებს ლ. ტენიერი შესაბამისად უწოდებს ვერბალურ, ზედსართავულსა და ზმნიზედურ კვანძებს⁷. ფრაზა შედგება ერთი ან რამდენიმე კვანძისაგან. უმრავლესი ფრაზის მორგანიზებელი ცენტრი არის ზმნა (ზმნური კვანძი). ტენიერის აზრით, ვერბალურ ენათა უმრავლესობაში ზმნა თავისი გარემოცვით დგას ფრაზის ცენტრში⁸.

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ, ბუნებრივია, რომ ლ. ტენიერი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ზმნას, მის კავშირს სხვა სიტყვებთან. სწორედ ამან განაპირობა, რომ სინტაქსური ვალენტობის ცნების ჩამოყალიბება დაუკავშირდა ზმნას.

ლ. ტენიერი ზმნას ადარებს პატარა პიესას. ნამდვილი სექტაკლის მსგავსად, აღნიშნავს იგი, ზმნური კვანძი აუცილებლად გამოხატავს რაიმე პროცესს. იგი მოიცავს მოქმედ პირებს (აქტანტებს) და რაიმე ტიპობრივ გარემოცვას. ზმნას (პროცესს) ექვემდებარებიან მოქმედი პირები (არსებითი სახელები) და გარემოცვის დაბაზასიათებელი წევრები, გარემოება-ზმნიზედები⁹.

ლ. ტენიერი გამოყოფს სამ მოქმედს, რომელთაგან თითოეულს აქვს რიგითი ნომერი: პირველი მონაწილე, მეორე მონაწილე, მესამე მონაწილე (პირველი, მეორე, მესამე აქტანტი; ისინი სემანტიკურად შემდეგნაირად ხასიათდებიან: პირველი მონაწილე არის მოქმედი, ანუ ის, ვისაც მოქმედების ჩადენა შიეწერება. ეს არის ტრადიციულ გრამატიკაში ცნობილი წინადადების მთავარი წევრი—ქვემდებარე. მეორე მონაწილე არის ის, ვიზედაც გადადის მოქმედება, ვინც განიცდის მოქმედებას—ტრადიციული გრამატიკის პირდაპირი დამატება. მესამე მონაწილე არის ის, ვისთვისაც სრულდება მოქმედება, ანუ ტრადიციულ გრამატიკაში ცნობილი ირიბი დამატება. ლ. ტენიერი ვახაზავს, რომ ტრადიციული სემანტიკური დაპირისპირება „ქვემდებარე-დამატება“ სტრუქტურული განხილვის დროს იხსნება და გადაიქცევა უბრალო განსხვავებულ პირველ, მეორე და მესამე მოქმედს შორის¹⁰.

ამგვარად, ქვემდებარე, რომელსაც განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ტრადიციულ სინტაქსში, როგორც წინადადების მთავარ წევრს, გამოდის ამ შემთხვევაში დამატების გვერდით, როგორც ერთ-ერთი მოქმედი. ეს გარემოება ქმნის ლ. ტენიერის სტრუქტურული სინტაქსის მნიშვნელოვან თავისებურებას და არაერთხელ გამხდარა კრიტიკის საგნი¹¹.

ვერბალური ფრაზის, ზმნური კვანძის მოქმედთა რიცხვი შეზღუდულია და ყოველთვის ექვემდებარება მკაცრ აღრიცხვას. ამგვარი რამის თქმა არ შეიძლება გარემოებებზე. ისინი, შეიძლება სულ არ შეგვხვდნენ წინადადებაში,

⁶ L. Tesnière, *Éléments de syntaxe structurale*, გვ. 103.

⁷ იქვე, გვ. 15, 102, 181.

⁸ იქვე, გვ. 15, 61, 103.

⁹ იქვე, გვ. 103.

¹⁰ იქვე, გვ. 105—107.

¹¹ ამ დებულების კრიტიკული ანალიზი იხ. შრომაში: Р. Ф. Мякуш, *Структуральный синтаксис Л. Теньера и синтагматический структурализм*, ВЯ, 1960, № 5, გვ. 127.

ან შეგვხედვს მათი ნებისმიერად ცვალებადი რიცხვი, ამიტომ ვალენტობა განისაზღვრება მოქმედ სახელებზე და არა გარემოებებზე.

▲ ამგვარად, სინტაქსური ვალენტობა ლ. ტენიერის მიერ გაიგება, როგორც ზმნის პოტენციალური შესაძლებლობა დაუკავშირდეს სახელებს (ჩვეულებრივ, პირველ, მეორე და მესამე აქტანტს). ზმნის ვალენტობა განისაზღვრება იმ მოქმედთა რიცხვით, რომელსაც მართავს ზმნა.

ვალენტობის ცნება ტენიერთან საფუძვლად ედება ზმნათა კლასიფიკაციას. გამოიყოფა ზმნები ნულოვანი ვალენტობით, ერთვალენტიანი, ორვალენტიანი და სამვალენტიანი ზმნები.

ზმნებს ხულოვანი ვალენტობით არ ახლავთ მოქმედი. ესენი არიან ტრადიციულ გრამატიკაში ცნობილი „უპირო ზმნები“. ისინი გამოხატავენ პროცესს, რომელიც ხდება თავისთავად, ვინმეს მონაწილეობის გარეშე (წვიმს, თოვს...).

ერთვალენტიანი ზმნები გამოხატავენ მოქმედებას, პროცესს, რომელშიაც მხოლოდ ერთი პირი მონაწილეობს. მაგალითად: Alfred tombe «ალფრედი ეცემა». ჩვეულებრივ ასეთ ზმნებს ევროპულ ენათა გრამატიკებში უწოდებენ გარდაუვალ ზმნებს.

ორვალენტიანი არიან ზმნები, რომელნიც მოქმედებაში, პროცესში აერთიანებენ ორ პირს : ნ საგანს. მაგალითად: Alfred frappe Bernard «ალფრედი სცემს ბერნარს». აქ მოქმედება ვადადის ერთი პირიდან მეორეზე, ამიტომ მას ტრადიციულ გრამატიკაში გარდაუვალ ზმნებს უწოდებენ.

სამვალენტიანი ზმნა გამოხატავს პროცესს, რომელშიაც მონაწილეობას იღებს სამი სახელი: სამი პირი ან საგანი. მაგალითად: Alfred donne le livre à Charles «ალფრედი აძლევს წიგნს შარლს».

ჩვეულებრივ, სამვალენტიან ზმნაში პირველი და მესამე მოქმედი პირი არის სულიერი, მეორე მოქმედი კი—საგანი¹¹.

ტრადიციულ სინტაქსში, აღნიშნავს ტენიერი, სამვალენტიანი ზმნისათვის არ არსებობს სპეციალური სახელი. იგი, ისევე, როგორც ორვალენტიანი ზმნები, „გარდაუვალ ზმნათა“ ქვეჯგუფში ერთიანდება¹².

ლ. ტენიერი ვახაზავს იმ გარემოებას, რომ მოქმედნი ყოველთვის არ ავსებენ ზმნის ყველა ვალენტობებს. ცალკეული ვალენტობები შეიძლება არ შევიდნენ ზმნაში, დარჩნენ თავისუფლად. მაგალითად. სამვალენტიანი ზმნა donne „მიცემა“ შეიძლება ვიხმართ მესამე ან მეორე მონაწილის გარეშე. Alfred donne aux pauvres „ალფრედი აძლევს ღარიბებს“ Alfred donne la main „ალფრედი აძლევს ხელს“. ამგვარი მაგალითების საფუძველზე ტენიერს შემოაქვს „თავისუფალი ვალენტობის“ ცნება.¹³

ლ. ტენიერი ვრცლად ეხება აქტანტთა (მონაწილეთა) გამოხატვის საკითხს ენაში. ეკრძოდ, აღნიშნავს, რომ ყოველ აქტანტს აქვს რაღაც დამახასიათებელი ფორმალური ნიშანი, რომლითაც იგი განსხვავდება სხვა აქტანტებისაგან. ეს ნიშანი მეტ-ნაკლებად ან ამ აქტანტთან არის შეერთებული (წინდებული, თანდებული, პრეფიქსი, სუფიქსი), ან განსხვავებულია აქტანტთა ადგილი მეტყველების ნაკადში.

¹¹ L. T e s n i è r e, *Éléments de syntaxe structurale*, გვ. 105—110, 239—242, 255.

¹² იქვე, გვ. 242.

¹³ იქვე, გვ. 239—240.

ენებში, რომელთაც აქვთ განვითარებული ბრუნვათა სისტემა, აქტანტები ერთმანეთისაგან ბრუნვებით განსხვავდებიან. მაგალითად, ბევრ ევროპულ ენაში პირველი აქტანტი სახელობითი ბრუნვით ვადმოიცემა, ხოლო ბასიურში შოქმედების გამოხატველ ზმნებთან სპეციალური ბრუნვა გვაქვს. ასევე ქართულში აქტიური მონაწილის გამოსახატავად იხმარება სპეციალური ბრუნვა—ერგატივი. ქართულის საილუსტრაციოდ ტენიერს მოჰყავს მაგალითი „კაცმან წიგნი დაწერა“¹⁴. თვით ფრანგულში კი აქტანტები ერთმანეთისაგან ადგილმდებარეობით განსხვავდებიან.

ტენიერი ერთმანეთისაგან განასხვავებს აქტივის მეორე აქტანტს (შემდგომ აქტანტს) და პასივის მეორე (შემდგომ) აქტანტს. პასივის მეორე აქტანტი, აქტივისაგან განსხვავებით, ირიბი ბრუნვით ვადმოიცემა:

Bernhard wird geschlagen von Alfred.

Грош несом товарищам!!!¹⁵.

თავის მხრივ აქტანტები გამოიხატებიან ზმნაში. მათ აქვთ ზმნაში პირის მაჩვენებლები (indices personnels). ზოგ ენაში ხდება ამ ნიშანთა შერწყმა ზმნასთან, ზოგან კი იგი ზმნის გარეთაა, მაგალითად, ფრანგულში: je parle. ამასთანავე, ზმნაში შეიძლება წარმოდგენილი იყოს ორი აქტანტის ნიშანი (სუბიექტის და ობიექტის). უნგრულში én lát-ok ნიშნავს „მე ვხედავ“ (საერთოდ), ხოლო én lát-om a fát „მე ვხედავ ხეს“. უკანასკნელი ფორმა გვხვდება მხოლოდ მაშინ, როდესაც მეორე აქტანტი სახეზეა.¹⁶

ლ. ტენიერი ახდენს ზმნათა კლასიფიკაციას, როგორც ვალენტობათა მიხედვით, ისე ზმნასთან დაკავშირებულ აქტანტთა ურთიერთმიმართების თვალსაზრისით. აქტანტთა ურთიერთმიმართების მიხედვით გამოიყოფა შემდეგი კვარტები (დიათეზები).

აქტიური	A→B			
პასიური	A←B			
რეფლექსური	A↔			
საურთიერთო	<table> <tr> <td rowspan="2">}</td> <td>A→B</td> </tr> <tr> <td>A←B¹⁷</td> </tr> </table>	}	A→B	A←B ¹⁷
}	A→B			
	A←B ¹⁷			

შესაძლებელია ზმნები ერთმანეთისაგან არ განსხვავდებოდნენ ფორმალურად შინაგანი სტრუქტურით, მაგრამ განსხვავებული იყოს მათთან დაკავშირებულ აქტანტთა რიცხვი. მაგალითად, ფრანგულში tomber „დაცემა“ ერთვალენტია—ნი ზმნა, ხოლო renverser „დაცემა“—ორვალენტია: Alfred tombe „ალფრე-

14 L. Tesnière, *Eléments de syntaxe structurale*, გვ. 112.

როგორც აღვნიშნეთ, ტენიერს გარემოებები არ შეაქვს ზმნის ვალენტობაში, ამიტომ ჩვენ მათზე არ შევჩერდებით, მაგრამ აღვნიშნავთ, რომ ნაშრომში ქართული ენის მასალა გამოყენებულია გარემოებათა დასახასიათებლად. კერძოდ, ტენიერი გამოყოფს პრეპოზიციური და პოსტპოზიციური წყობის ენებს (les langues centrifuges და les langues centripètes). ქართული განეკუთვნება უკანასკნელ ტიპს. მოყვანილია მაგალითი „ის ამაყად მიიბიჯებს“.

15 ი ქ ე ე, გვ. 114.

16 ი ქ ე ე, გვ. 144.

17 ი ქ ე ე, გვ. 243.

დი ეცემა“, მაგრამ Alfred reverse Bernard „აღფრემა დააგლო (დასცა) ბერნარი“¹⁸.

ასეთი სემანტიკური ცვლილება, აღნიშნავს ტენიერი, ენაში, უმრავლეს შემთხვევაში, მორფოლოგიური საშუალებით გამოიხატება, იცვლება ზმნის აგებულება, მორფოლოგიური სტრუქტურა. ოპერაციას, რომელიც ზრდის აქტანტთა რიცხვს, ეწოდება კაუზატივი (la diathèse causative), ხოლო ოპერაციას, რომელიც ამცირებს აქტანტთა რიცხვს, ეწოდება შეკვეცის დიათეზა (la diathèse recessive).

ახალი აქტანტი, რომელიც კაუზატივის შედეგად წარმოიქმნება, არის მოქმედების უშუალოდ შემსრულებელი. ლ. ტენიერი ამ პროცესს სქემატურად შემდეგნაირად გამოხატავს.

A → B, სადაც C არის პირველი აქტანტი,
 $\begin{array}{c} | \\ C \end{array}$

A — მორე აქტანტი,
 B — მესამე აქტანტი.

კაუზატივის საშუალებით შეიძლება გაწარმოთ ოთხვალენტიანი ზმნებიც, მაგალითად: Charles (პირველი აქტანტი), donne le livre (შემდგომი აქტანტი), à Alfred (მესამე აქტანტი). „შარლი აძლევს წიგნს ალფრედს“. აღნიშნულ წინადადებაში ზმნა donne სამვალენტია. წარმოდგენილია სამი აქტანტი. კაუზატივის შედეგად გვექნება: Daniel (I) fait donner le livre (II) à Alfred (III) par Charles (IV).¹⁹

სქემატურად აღნიშნული დამოკიდებულება შემდეგნაირად გამოიხატება:

$A_3 \rightarrow B_2$
 $D_1 \rightarrow \begin{array}{c} | \\ C_4 \end{array}$

კაუზატივის გამოხატვის შედეგად აქტანტების მომატებისა და ვალენტობის გაზრდის საილუსტრაციოდ ტენიერს მოჰყავს ქართულის მაგალითიც და აღნიშნავს, რომ ქართულში კაუზატივი გამოხატულია ორმაგად: აფიქსის (a—) და სუფიქსის (in—eb) საშუალებით:

v—a—cer

v—a—cer—in—eb

სქემატურად: A → B

$D \rightarrow \begin{array}{c} | \\ C \end{array}$

როგორც სქემიდან ჩანს, „ვაწერინებ“ ფორმა ტენიერს მიაჩნია ოთხვალენტისა და თვლის მას „ვაწერ“ სამვალენტია ზმნის კაუზატივად²¹.

¹⁸ L. Tesnière, *Eléments de syntaxe structurale*, გვ. 259.

¹⁹ იქვე, გვ. 261—262.

²⁰ იქვე, გვ. 260—262.

²¹ იქვე, გვ. 270.

„სტრუქტურული სინტაქსის ელემენტებში“ მოყვანილი მრავალი ცხოვანი გახაზვებისა და მაგალითების საფუძველზე შეიძლება დავადგინოთ:

ტენიერის ფრანგულში აქტანტებად გამოყოფილი აქვს ზმნის მიერ მართული სახელები. ეს სახელები ან წინდებულებთან ერთად გვხვდება (მესამე ან მეოთხე აქტანტი, პასივის მეორე აქტანტი) ან დამოუკიდებლად, მკაცრად განსაზღვრულ პოზიციებში.

წინამდებარე ნაშრომში ჩვენს მიზანს არ შეადგენს ლ. ტენიერის მთელი სინტაქსური თეორიის გადმოცემა და კრიტიკული ანალიზი. შევჩერდებით მხოლოდ ვალენტობის ცნებაზე.

სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთგზის არის აღნიშნული, რომ ვალენტობის ცნების შემოტანა სასარგებლო აღმოჩნდა ენათმეცნიერებაში სინტაქსური კვლევისათვის. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ თვით ვალენტობის ცნება არ არის ტენიერთან განსაზღვრული მკაცრად და ცალსახად. 1. არა ჩანს ნათლად, ვალენტობა ფორმალური ნიშნით განისაზღვრება მხოლოდ (აქტანტთა გახლაგებისა და გაფორმების საფუძველზე), თუ გადამწყვეტია ზმნის სემანტიკური მხარე. 2. თუ ზმნის ვალენტობაში შევა მასთან დაკავშირებული წინდებულიანი სახელი (ან თანდებულიანი და ირიბ ბრუნვაში მდგომი სახელები სხვა ენებში), როგორცაა, მაგალითად, მესამე აქტანტი, ან პასივის მეორე აქტანტი ფრანგულში, მაშინ როგორ უნდა მოგვეცეთ სხვა წინდებულიანი სახელებს, რა ნიშნის მიხედვით უნდა გამოვირიცხოთ ისინი ზმნის ვალენტობიდან? (ფრანგულში ზმნასთან დაკავშირებული ყველა წინდებულიანი სახელი ტენიერს არ შეაქვს მის ვალენტობაში). 3. თუ ირიბსა და წინდებულიან (თანდებულიან) ბრუნვებს ზმნის ვალენტობაში არ შევიტანთ, მაშინ რას მოგვცემს ახალს კვლევისათვის ამ ცნების შემოტანა? ხომ არ მივიღებთ უკვე არსებული ცნებების (სუბიექტი, ობიექტი, პრედიკატი, ზმნური შესიტყვება, გარდამავლობა) რიჩტერპრეტაციას? 4. ნაყოფიერი აღმოჩნდება თუ არა ამ ცნების გამოყენება სტრუქტურულად განსხვავებულ სხვა ენათა კვლევისას?

ვფიქრობთ, აღნიშნულ საკითხთა გაურკვევლობამ განაპირობა ის, რომ, მართალია, ლ. ტენიერის თეორია სწრაფად გავრცელდა ენათმეცნიერებაში, მაგრამ, ამავე დროს, გაჩნდა სხვადასხვა თვალსაზრისი ვალენტობის განსაზღვრის საკითხზე.

ტენიერის თეორიასთან, ვალენტობის გაგების თვალსაზრისით, განსაკუთრებით ახლოს დგას პ. ბრინკმანი²². თავის წიგნში „გერმანული ენა“ ბრინკმანი აღნიშნავს, რომ ზმნა წინადადებაში გამოდის არა მხოლოდ ქვემდებარესთან კავშირში (მიმართებაში „ქვემდებარე-შემასმენელი“), არამედ ავლენს სხვა კავშირებსაც, რომლებიც შემდეგ ბუნებრივად შედიან გაფართოებულ მიმართებაში „სუბიექტი-პრედიკატი“.

ზმნის უნარს, განსაზღვროს სხვა წევრების პოზიცია წინადადებაში, ტენიერის მსგავსად ბრინკმანი უწოდებს ვალენტობას (die Valenz), ხოლო მართულ წევრებს — მონაწილეებს (Mitspieler).

ბრინკმანთან, ტენიერისაგან განსხვავებით, უფრო თვალსაჩინოდ არის გამოვლენილი განსხვავება ტერმინებს შორის „ვალენტობა“ და „პოზიცია“. ტენიერი ტერმინით „ვალენტობა“ გამოხატავს, როგორც ზმნის უხარს გაერთიან-

²² H. Brinkmann, Die deutsche Sprache, Gestalt und Leistung, Düsseldorf, 1962.

ხოს თავისთან, მართოს გარკვეული წევრები, ისე გარკვეულ პოზიციებს ზმნასთან (იხ. ტენიერთან „თავისუფალი ვალენტობის“ ცნება). ბრინკმანისათვის „ვალენტობა“ არის მხოლოდ ზმნის უნარი, მისი სიტყვათგამაერთიანებელი პოტენციალი, ხოლო იქ, სადაც საუბარია ამ პოტენციალის გამოვლინებაზე, იგი იყვება ტერმინს „პოზიცია“. ვალენტობა ახასიათებს ზმნის სინტაქსურ შესაძლებლობას, პოზიცია ამ შესაძლებლობათა რეალიზაციაა.

ბრინკმანი ვალენტობის ცნებას იყენებს სახელთა მიმართაც. მისი დაკვირვებით, ზმნისა და სახელის ვალენტობრივი თვისებები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან: მაშინ, როდესაც არსებითი სახელი და ზედსართავი სახელი განაგებს მხოლოდ ერთ ვაქანტურ ადგილს, პოზიციას, სხვა არსებითი სახელის რომელიმე ბრუნვის ფორმისათვის, ზმნას შეიძლება ჰქონდეს რამდენიმე ვაქანტური ადგილი.

„მონაწილეთა“ როლში გამოდიან მხოლოდ ისეთი პოზიციები, რომლებსაც ავსებენ არსებითი სახელები ნებისმიერ ბრუნვაში. ფორმები, რომელნიც ზმნას უკავშირდებიან წინდებულთა საშუალებით, აეტორს არ შეაქვს ზმნის ვალენტობაში.

✓ ბრინკმანის აზრით, ენისათვის არსებითია სამი საკითხი: 1. რამდენი ვაქანტური პოზიცია არის დასაშვები ამ ენაში ზმნასთან? 2. რომელი ბრუნვები არის გამოყენებული ამ პოზიციათა შესავსებად? 3. როგორ ნაწილდებიან ეს ბრუნვები ზმნის გარემოცვაში?

თანამედროვე გერმანულ ენაში ოთხი ბრუნვიდან (სახელობითი, ნათესაობითი, მიცემითი, ბრალდებითი) სახელობითი არის ქვემდებარის ბრუნვა, ნათესაობითი განკუთვნილია განსაზღვრების პოზიციისათვის, ხოლო ზმნისათვის რჩება მიცემითი და ბრალდებითი ბრუნვები. თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ყოველი ამ ბრუნვათაგანი ზმნასთან შეიძლება ვიხმაროთ მხოლოდ ერთხელ, შეიძლება დავადგინოთ, რომ ზმნა განაგებს სამ პოზიციას (ქვემდებარის ჩათვლით). ბრინკმანი გამოყოფს ზმნის 8 სინტაქსურ ტიპს. იწყებს ნულ-ვალენტიანი ზმნებით და ამთავრებს სამვალენტიანით: თითოეულში ქვეჯგუფები გამოიყოფა.

ნაკლოვანებანი, რომელიც შეიმჩნევა ლ. ტენიერის სინტაქსურ კონცეფციაში, არ არის დაძლეული არც ბრინკმანთან. მთავარი ნაკლი იმაში მდგომარეობს, რომ ზმნის ვალენტობის განმსაზღვრელი წევრები გამოიყოფა წინასწარ შემუშავებული თვალსაზრისით, იმის გათვალისწინებით, თუ რამდენი ბრუნვაა გერმანულში. მაგრამ როგორ უნდა გადაწყდეს საკითხი იმ ენებში, რომლებშიც ბრუნვათა რიცხვი ვარიაციებით მერია. მაგალითად, უნგრულში, სადაც გამოყოფენ დაახლოებით 21 ბრუნვას, ან იმ ენებში, რომელთაც ბრუნვათა სისტემა საერთოდ არ გააჩნიათ (მაგალითად ინგლისურში)? აღნიშნულ ხაკლოვანებათა გადალახვა მოინდომეს იმ ენათმეცნიერებმა, რომელთაც მიზნად დაისახეს გამოყენებინათ ვალენტობის ცნება წინადადების ძირითადი სტრუქტურული მოდელის გამოსავლინებლად. მათ რიცხვს მიეკუთვნება ი. ერბენი²³.

ი. ერბენი, ტენიერის მსგავსად, სინტაქსურ ვალენტობაში გულისხმობს ზმნის ვალენტობას. სწორედ ზმნაზეა დამოკიდებული ის, თუ რამდენი და როგორი დამატება გამოდის ზმნასთან პრეპოზიციასა და პოსტპოზიციისაში. მაგრამ ტეხიერისა და ბრინკმანისაგან განსხვავებით, ერბენი დამატებად თვლის რო-

²³ J. E r b e n, Abriss der deutschen Grammatik, Berlin, 1958, გვ. 162—172.

გორც ქვემდებარეს, ისე მოცემულ გარემოცვაში აზრობრივად აუცილებელ გარემოებებსაც და პრედიკატულ განსაზღვრებებსაც.

ერბენი დამატებებს წარმოადგენს სქემის სახით. თითოეულ მათგანს აქვს გარკვეული ნომერი ამ სქემაში ($E_1, E_2, E_3, E_4 \dots$). ეს ნომრები გვეხმარება მხოლოდ ვალენტობათა საერთო რიცხვის აღრიცხვაში და არაერთარ კავშირში არ არიან მათ იერარქიასთან ან თანმიმდევრობასთან.

იმისდა მიხედვით, თუ როგორია ზმნა-შემსახმენლის ვალენტობა, რომელიც გამოითვლება მასთან აუცილებელ აზრობრივ კავშირში მყოფი დამატებების რაოდენობით, ერბენი გამოყოფს ოთხ ძირითად სტრუქტურულ მოდელს, რომელსაც წარმოადგენს მარტივი წინადადების მოდელად თანამედროვე გერმანულ ენაში. თითოეულ ტიპს აქვს თავისი ქვესახეობები აქვს.

ერბენის თეორიაში ახალი ის არის, რომ ვალენტობის აღრიცხვისას იგი ხელმძღვანელობს მხოლოდ ზმნასთან აზრობრივად დაკავშირებულ წევრთა აღრიცხვის მოთხოვნით. ამ გზით იგი მნიშვნელოვნად ზრდის „მონაწილეთა“ რაოდენობას, ზუსტი კრიტერიუმი კი მათ დასადგენად მიიწი არა გვაქვს.

3. პელბიგი სტარიაში „ვალენტობის ცნება, როგორც ენის სტრუქტურული აღწერისა და უტხო ენათა სწავლების საშუალება“, ²⁴ მიზნად ისახავს დაზუსტების და მახინჯის ვალენტობის ცნების განსაზღვრის ფორმალისადა. მისი მიზანია, ეს ცნება გამოიყენოს, როგორც ენის თეორიული აღწერისას, ისე პედაგოგიურ პროცესში, ენის სწავლებისას. ამა თუ იმ წევრის აზრობრივი აუცილებლობის განსაზღვრისათვის ავტორი იყენებს გამოტოვების პროცედურას, რომელსაც იგი სესხულობს უშუალო შემადგენელთა მიხედვით ანალიზისა და ტრანსფორმაციული ანალიზის მეთოდიდან. თუ რომელიმე წევრის გამოტოვების შედეგად ვიღებთ დასაშვებ, გრამატიკულად სწორ წინადადებას, ეს იმას ნიშნავს, რომ გამოტოვებული წევრი არ იყო სტრუქტურულად აუცილებელი. მაგალითად, ადგილის გარეშობა აუცილებელი არ არის ზმნასთან besucht „ნახა“, მაგრამ აუცილებელია იგი ზმნასთან legen „დადება“.

პელბიგის აზრით, ლექსიკონებში ზმნასთან მითითებული უნდა იყოს როგორც მისი ვალენტობა, ასევე მონაწილეთა ხარისხობრივი დახასიათებაც შემდეგი სახით: legen₃— S, O, loc.²⁵

ვ. გუცუ-რომალო აღნიშნავს²⁶, რომ ზმნის სრულმა კლასიფიკაციამ მხედველობაში უნდა მიიღოს ყველა შესაძლო სინტაგმა. მთავარი წევრის როლში ამ სინტაგმაში გამოვა ზმნა. T არის ზმნა, T' არის არსებითი სახელი, ნაცვალ-სახელი, ზედსართავი სახელი... სინტაგმა, რომელშიაც T' არის ზმნიზედა, არ იქნება რელევანტური კლასიფიკაციისათვის, რამდენადაც ზმნიზედური დეტერმინაცია საერთოა ყველა ზმნისათვის, ამიტომ იგი არასპეციფიკურია და იმთავითვე უნდა გამოვრიცხოთ. ამგვარად, ზმნის ვალენტობათა რიცხვი წარმოადგენს ფაქტობრივად სახელთა რიცხვს, რომელნიც უკავშირდებიან ზმნას ერთი და იმავე გამონათქვამის ფარგლებში.

²⁴ G. Helbig, Der Begriff der Valenz, als Mittel der Strukturellen Sprachbeschreibung und des Fremdsprachenunterrichts, «Deutsch als Fremdsprache», I, 1965.

²⁵ იხ. G. Helbig, W. Schenkel, Wörterbuch zur Valenz und Distribution deutscher Verben. Leipzig, 1969.

²⁶ В. Гущу-Ромало, К проблеме классификации глаголов (попытка систематической классификации). «Revue de Linguistique». T. VIII, 1963, № 2.

ვ. გუცე-რომალო არ განიხილავს კონსტრუქციას: ზმნა+ (წინდებული+ სახელი), რადგან არსებითი სახელის ბრუნვას, მისი აზრით, წინდებული მართავს და არა ზმნა. საერთოდ კი ავტორი საჭიროდ მიიჩნევს შესწავლილ იქნეს მიმართება ზმნასა და წინდებულებს შორის.

რუმინული ენის ზმნის ვალენტობათა რიცხვი გუცე-რომალოსთან იწყება ერთიდან, ყველაზე მეტი ვალენტობაა—4. სულ გამოყოფილია 16 ქვეჯგუფი.

როგორც დავინახეთ, ზმნა განაპირობებს მასთან დაკავშირებულ სახელთა რიცხვს. ამ სახელებს გარკვეული ფორმალური (მორფოლოგიური) ან პოზიციური თავისებურებანი ახასიათებთ. თუ ამოვალთ ზმნის გარემომცველი სახელების ფორმალური სტრუქტურიდან, შეიძლება გარკვეული თვალსაზრისით აღვწეროთ ზმნათა მნიშვნელობა. მაგალითად, ამ გზით შესაძლებელი გახდება ერთნაირი, ან ნაწილობრივ ერთგვარი მნიშვნელობის მქონე ზმნათა გაერთიანება ერთ ქვეჯგუფში. ამგვარ ამოცანას ისახავს სწორედ ი. აპრესიანი²⁷. იგი ვარაუდობს, მაგალითად, რომ ბრალდებით ბრუნვა და მისი სინტაქსური ვარიანტები (პირდაპირი დამატების ბრუნვები) წინასწარმეტყველებენ ვარდამავლობის მნიშვნელობას მმართველ ზმნაში. ამ გზით ი. აპრესიანი მართლაც იღებს ზმნათა მეტად საინტერესო სემანტიკურ კლასიფიკაციას.

ზმნათა ქვეკლასებად დაყოფას ვალენტობათა გათვალისწინებით ეხება, აგრეთვე, ა. ხოლოდოვიჩის სტატია „სიტყვათა ქვეკლასების თეორიის ცდა“²⁸. მას შეეღიჯება, ჩვენი აზრით, მეტად სასარგებლო ახალი ცნებები „ბირთვი“, „გარემოცვა“, „კონფიგურაცია“, „გარემოცვის სიმძლავრე“, „ოპტიმალური გარემოცვა“. კონფიგურაცია შეიძლება იყოს ნულოვან ადგილიანი, ერთადგილიანი, ორადგილიანი და სამადგილიანი. კონფიგურაციის ბირთვი (ამ შემთხვევაში ზმნა) განსაზღვრავს წევრთა რაოდენობას კონფიგურაციაში. მსგავსი გარემოცვის ზმნები ერთ ქვეკლასად გამოიყოფა, ასეთ ქვეკლასებს ეწოდება სინტაქსურად ეკვივალენტური ქვეკლასები. ავტორი გვთავაზობს ასეთი ქვეკლასების გამოყოფის ოპერაციებს. სულ მოცემულია 6 ოპერაცია. როგორც მაგალითებიდან ჩანს, აქაც ზმნის გარემოცვაში გათვალისწინებულია ირიბიც და წინდებულაინი ბრუნვებიც, მაგალითად: Он всадил нож в дерево; „всадил“ — თან მითითებულია სამადგილიანი გარემოცვა.

✓ დესკრიფციულ ენათმეცნიერებაში ვალენტობის ცნება დაუპირისპირდა უშუალო შემადგენელთა მიხედვით ანალიზს. როგორც ცნობილია, უშუალო შემადგენელთა მიხედვით ანალიზის დროს შემცირდა ყურადღება შინაარსისადმი, განსაკუთრებული ყურადღება მიექცა. რა გამოხატვის პლანს. ამ თვალსაზრისით უშუალო შემადგენელთა მეთოდის კრიტიკას ვხვდებით რ. პიტმენისა და ს. ჩეტმენის ნაშრომებში.

ს. ჩეტმენი აღნიშნავს, რომ უშუალო შემადგენელთა მეთოდი უგულვებელყოფს სიტყვის მნიშვნელობას, ამას კი მიეყავართ ინტეგრალობის დარღ-

²⁷ Ю. Д. А пр е с я н, Опыт описания значений глаголов по их синтаксическим признакам (типам управления), ВЯ, 1965, № 5, გვ. 51—66.

²⁸ А. А. Х о л о д о в и ч, Опыт теории подклассов слов, ВЯ, 1960, № 1, გვ. 32—43.

ვევისაკენ ანალიზის პროცესში და იერარქიის პრინციპის დაუცველობისაკენ, რამდენადაც ანალიზი დადის მხოლოდ შემადგენელთა ჩამოთვლამდე. ჩეტმენი საკითხის გადაწყვეტას ხედავს ახალი ცნების „პოტენციალური გარემოს“ ანუ „ვალენტობის“ შემოღებაში²⁹.

რ. პიტმენის აზრით, უშუალო შემადგენელთა გამოყოფა ჯერ კიდევ არ ნიშნავს გამონათქვამის სტრუქტურის დადგენას, საპირთა მოხდეს მათ შორის დამოკიდებულებათა რეგისტრაცია, ასეთ დამოკიდებულებას ავტორი უწოდებს ვალენტობას³⁰.

შეიძლებოდა დაგვესახელებინა რიგი სხვა ნაშრომიც, რომელიც იყენებს ვალენტობის ცნებას. გაფართოვდა ამ ცნების გამოყენების სფერო. დღეს საერთაშემცნიერო ლიტერატურაში შევხვდებით გამოთქმებს „სინტაქსური ვალენტობა“, „სემანტიკური ვალენტობა“, „ლექსიკურ-გრამატიკული ვალენტობა“, „ლექსიკურ-სინტაქსური“ ვალენტობა“, „ღია და ჩაკეტილი ვალენტობა“, „სინტაგმატური ანუ კონფიგურაციული ვალენტობა“, „პარადიგმატული ვალენტობა“ და ა. შ. ვალენტობას ადგენენ ენის სრულიად სხვადასხვა იარუსის: ფონეტიკურის, ფონოლოგიურის, ლექსიკურის, მორფოლოგიურის და სხვა დონის ელემენტებისათვის³¹. ყველა აქ ცნებისათვის ამოსავალია ვალენტობის განსაზღვრის ძირითადი პრინციპი: ენობრივი ერთეულის უნარი დაიკავშიროს სხვა ენობრივ ერთეულთა გარკვეული რიცხვით³².

ამჟერად, ყველა ზემოთ. განხილული ცნებებიდან ჩვენ გვინტერესებს ზმნის სინტაქსური ვალენტობის რაობა. ამიტომ ზემოთ გაანალიზებულ ნაშრომებშიც ამ საკითხს ვაქცევდით ყურადღებას.

ფიქრობთ, განხილული ნაშრომებიდანაც ნათლად ჩანს, რომ შეინიშნება სხვადასხვაობა ზმნის სინტაქსური ვალენტობის განსაზღვრის საკითხში. არა ჩანს ნათლად რა იგულისხმება ზმნის სინტაქსურ ვალენტობაში, არ არის მკაცრად განსაზღვრული ვალენტობის დადგენის კრიტერიუმი. აუცილებლად გვეჩვენება, ნათლად გაირკვეს საკითხი, რაზეა დამოკიდებული ზმნის სინტაქსური ვალენტობა? რამდენად არის იგი სინტაქსის შესწავლის ობიექტი?

ვაისგერბერი აღნიშნავს, რომ ზმნის ვალენტობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული კონკრეტულ ზმნაზე, უფრო ზუსტად იმ სემანტიკურ პლასტზე (Verbschicht), რომელსაც ეკუთვნის ზმნა. სხვა ავტორები მიიჩნევენ, რომ აქ მკვლევარი იმყოფება სტრუქტურული სინტაქსისა და სემანტიკის მიჯნაზე.³³

²⁹ S. Chatman, Immediate Constituents and Expansion Analysis, Word, 11.3, 1955, 337—385.

³⁰ R. S. Pittman, The Priority of Valance over Phonological Attachment and Relative order in Descriptive Statements. Linguistic Society of America, 2, VIII, 1952.

³¹ Л. Н. Засорина, В. П. Берков, Понятие валентности в языке, «Вестник Ленинградского университета», № 8, Серия истории, языка и литературы, вып. 2, 1961.

³² ცნობილია, რომ ტერმინი „ვალენტობა“ ენათმეცნიერებაში კიმიიდან შემოვიდა. კიმიში ვალენტობა (—ლათ. Valentia „ძალა“) არის რიცხვი, რომელიც მიუთითებს წყალბადის (ან სხვა ერთვალენტური ელემენტის) რამდენი ატომის დაკავშირება შეუძლია მოცემულ ატომს ან რამდენ ასეთ ატომს დაიტევს იგი.

³³ J. Fourquet, L'ordre des éléments de la phrase en germanique ancien, Études de position, Paris, 1938.

ცნობილია, რომ ზმნის სემანტიკა, მისი ლექსიკური მნიშვნელობა, განსაზღვრავს არა მარტო მასთან დაკავშირებული სახელის ფორმას (მართვის გზით), არამედ შინაარსსაც.

პორციგის აზრით, სიტყვებს შორის დიდი რაოდენობითაა ისეთი მნიშვნელობითი მიმართებები, რომლებშიც ერთი სიტყვა მეორესთან არის მიაზრებული. როგორც „სვლა“ გულისხმობს ფეხს, ასევე „წავლება—ხელს“, „ხედვა—თვალს“, „სმენა—ყურს“, „კონცა—ტუჩებს“, „ლოკვა—ენას“. ასეთ მიმართებებს პორციგი უწოდებს არსითს მნიშვნელობითს მიმართებებს³⁴.

თუ ამგვარი არსითი მნიშვნელობითი მიმართებები ირღვევა (მაგალითად, თუ ვამბობთ იცინის ძალი, ან ყუფს ადამიანი), საქმე გვაქვს მეტაფორულ გამოთქმებთან³⁵.

ა. ჩიქობავა ამა თუ იმ ენის სტილისტური შესწავლის ერთ-ერთ ამოცანად თვლის შესიტყვების, კერძოდ, მარტივი თუ რთული წინადადებების მონაწილე სიტყვათა ურთიერთობის გარკვევას მნიშვნელობის თვალსაზრისით³⁶.

მსგავსი მნიშვნელობით მიმართებათაგან განსხვავებით ზმნის სინტაქსური ვალენტობის დადგენისას არსებითია, რამდენ პოზიციას განაგებს ზმნა, როგორია ზმნური შესიტყვების სტრუქტურა, და არა ის, თუ რა კონკრეტული მნიშვნელობები აქვთ აქტანტებს³⁷. ზმნის ვალენტობისათვის არსებითია მისი პოტენციალური შესაძლებლობები დაიკავშიროს სახელები ამა თუ იმ ფორმით და არა ის კონკრეტული ლექსემები, რომლებიც ავსებენ გარკვეულ ადგილებს ამ ზმნასთან. ამდენად ზმნის სინტაქსური ვალენტობის კვლევა არც სტილისტიკის ობიექტია და არც სემანტიკის.

მეორე მხრივ, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, აქტანტები ხშირ შემთხვევაში მორფოლოგიურად ფორმდება, დგას ამა თუ იმ ბრუნვაში, გვხვდება გარკვეულ წინდებულთან. ზოგ ენაში ზმნაშიც გვაქვს მაჩვენებლები, რომელნიც არაპირდაპირი გზით განსაზღვრავენ აქტანტთა საგარაუდო რიცხვს შესიტყვებაში (მაგალითად, პირის, გვარის, ქცევის, კუწატივის, მორფოლოგიური კატეგორიები), მაგრამ ცხადია, ეს არ გვაძლევს საფუძველს მივიჩნიოთ ზმნის ვალენტობა ზმნის მორფოლოგიურ კატეგორიად (ყოველ შემთხვევაში, იგი მორფოლოგიური კატეგორია არ არის ზემოთ განხილული ტიპის ენებში), რადგან იგი ემყარება შესიტყვების წევრებს შორის კავშირს, შესიტყვების სტრუქტურას და არა ოდენ ზმნას.

თვით ტენიერი ვალენტობას სინტაქსურ ცნებად მიიჩნევს. სინტაქსი,— აღნიშნავს ტენიერი,—დამოუკიდებელია სემანტიკისაგან, მაგრამ სინტაქსურ სტრუქტურათა საფუძველს წარმოადგენს სემანტიკური კავშირები³⁸. ასევე სინტაქსი ავტონომიურია, მორფოლოგიისაგან დამოუკიდებელი³⁹, იგი წინ უსწრებს მორფოლოგიას. მორფოლოგიური ნიშნები სინტაქსის აგებისას, რა

³⁴ W. Porzig, Wesenhafte Bedeutungsbeziehungen, Beitrage zur Geschichte der deutschen Sprache, 1934, გვ. 70.

³⁵ იქვე, გვ. 77—78.

³⁶ ა. ჩიქობავა, ენათმეცნიერების შესავალი, 1952, გვ. 216, მისივე, გრამატიკის აგებულების ძირითადი საკითხები, სსრკ მეცნ. აკად. საქართველოს ფილიალის მოამბე, 1940, ტ. I, გვ. 157—162, 241—246.

³⁷ თუმცა რაც შემთხვევაში ვერც მნიშვნელობას აუღწევთ გვერდს, აქ თავს იჩენს ლინგვისტურ ღონეთა ურთიერთობის საკითხი.

³⁸ L. Tesnière, Eléments de syntaxe structurale, გვ. 40—44.

³⁹ იქვე, გვ. 34.

თქმა უნდა, გამოიყენება, მაგრამ სინტაქსურ სტრუქტურათა აღწერის საფუძველს წარმოადგენს მათი სინტაქსური ფუნქციები⁴⁰.

ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ ზმნის სინტაქსური ვალენტობა, მართალია, მკიდროდ უკავშირდება კონკრეტული ზმნის სემანტიკას, ხოლო აქტანტები და ზოგ შემთხვევაში ნ.წილობრივ ზმნაც მორფოლოგიურად ფორმდება, მაგრამ ზმნისა და აქტანტთა ურთიერთმიმართება და განლაგება შესიტყვებაში, შესიტყვების სტრუქტურის შესწავლა საერთოდ სინტაქსის საგანია, ამდენად ზმნის ვალენტობაც სინტაქსის შესწავლის ობიექტი ჩანს.

ჩვენი საკვლევი ობიექტის, ზმნის სინტაქსური ვალენტობის სფეროს ამგვარი დაზუსტება არ ნიშნავს ზმნის სინტაქსური ვალენტობის რიცხვის დადგენის საკითხთან დაკავშირებულ სიძნელეთა მოხსნას.

ჩვენ არა ერთგზის აღვნიშნეთ, რომ ზმნის ვალენტობის დასადგენად მკაცრად ფორმულირებული წესი შემუშავებული არ არის. გვაძლევს თუ არა ეს საფუძველს უარი ვთქვათ ზმნის სინტაქსური ვალენტობის შესწავლაზე, ხოლო თუ მივიღებთ, რა სარგებლობის მოტანა შეუძლია მას კონკრეტულ ენათა კვლევისას? ხომ არ მოხერხდება კონკრეტულ ენათა მონაცემების გათვალისწინების საფუძველზე დაზუსტდეს თვით ცნების არსი? ა. ხოლოდოვიჩი სამართლიანად შენიშნავს, რომ ზმნის გარემოცვის აუცილებელ წევრთა დასადგენად საჭირო ოპერაციათა რიცხვი და მათი თანმიმდევრობა დამოკიდებულია კონკრეტულ ენათა თავისებურებებზე, კერძოდ, სიტყვის ფორმალურ პოტენციალზე მოცემულ ენაში⁴¹.

ჩვენს მიზანს შეადგენს გამოვიყენოთ სინტაქსური ვალენტობის ცნება ქართული ენის მასალის მიმართ. აქ პირველ ყოვლისა ისმის ზმნის პირიანობისა და ვალენტობის მიმართების საკითხი⁴².

ქართული ზმნის ერთსა და იმავე ფორმაში, აღნიშნავს ა. შანიძე, შეიძლება გამოხატული იქნეს ერთი, ორი, ან სამი პირი. იმის გასარკვევად, თუ რამდენი პირია გამოხატული ერთ ფორმაში შემთხვევათა დიდიხაგან დიდს უმრავლესობაში ეს ხერხი გვშეუღოს: ზმნას უნდა შეუწყუთ პირის ნაცვალსახელები: მე, შენ, იგი, მან, მას, ჩვენ, თქვენ, იგიინი, მათ და რამდენსაც მოიხდენს ესა თუ ის ფორმა, პირიცი იმდენი იქნება შიგ. ამასთანავე უნდა გვახსოვდეს, რომ ამ ნაცვალსახელთაგან ისინი, რომლებთანაც საზოგადოდ თანდებულის დართვა შეიძლება (ასეთებია: ჩვენ, შენ, თქვენ, მას, მათ), ამ შემთხვევაში სუფთად უნდა იყვნენ წაროდგენილი⁴³.

⁴⁰ L. Tesnière, *Éléments de syntaxe structurale*. გვ. 36.

⁴¹ А. Холодович, *Опыт теории подклассов слов*, ВЯ, 1960, № 1, გვ. 32—43.

⁴² ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ვალენტობის ცნება გამოყენებული აქვს ა. დავითიანს სალოქტროო დისტრეკციოში „მარტივი წინადადების სტრუქტურა ახალ ქართულში“ ნაშრომის ავტორეფერატში აღნიშნულა, რომ შესიტყვებისათვის არსებითი პირობა არის სიტყვითა ვალენტობა და სინტაქსური დისტრიბუცია. წინადადების სტრუქტურისათვის არსებითია დაქვემდებარება (დომინაცია). დაქვემდებარება (დომინაცია) არის ისეთი სინტაქსური მიმართება, როდესაც ბინარული შესიტყვების ერთი წევრი (D), მისი ლექსიკურ-გრამატიკული ვალენტობის თანახმად, განაპირობებს ფორმას (ან ერთდროულად ფორმასაც და ლექსიკასაც) დ წევრისას. ა. დავითიანი იყენებს ცნებებს „ლა“ და „ჩაქტილი“, „აქტიური“ და „პასიური“ ვალენტობა. მაგრამ ვარკვეულ პრინციპი ქართული ზმნის ვალენტობის დასადგენად არა ჩანს.

⁴³ ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, 1953, გვ. 173.

ნაშრომში „ქართული ზმნის სამპირიანობის გამო“ ა. შანიძე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ქართული ზმნის პირიანობა განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ რამდენი პირი გამოიხატება მასში⁴⁴.

პირის გამოხატვა ზმნაში შემდეგ პრინციპზეა დამყარებული: ამა თუ იმ პირისათვის რომელსავე რიცხვში დანაკლებილი ფორმა მთლიანად უნდა ყოს გამორჩეული დანარჩენ პირთა ფორმებისაგან. ის სხვანაირად უნდა ბგერდეს. ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არა აქვს იმას, მოეპოვება მას საკუთარი ნიშანი თუ არა⁴⁵.

ა. ჩიქობავა ქართული ენის ზმნაში პირის გამოხატვასთან დაკავშირებით აღნიშნავს: „...სამპირიანი ზმნა ქართულში სამივე პირის ცვლას არ ნიშნავს. თუ მაინც სამპირიანობაზე ვლაპარაკობთ, ამის საფუძველი ისაა, რომ ფუძე სამპირიანი ზმნისა განსხვავებულია ორპირიანი ზმნის ფუძისაგან, როგორც ეს ხელშესახები ხდება ვნებითის წარმოებისას⁴⁶“.

ზემოთ მოყვანილი მსჯელობიდან ნათლად ჩანს, რომ ერთდროულად ქართულ ზმნაში სამი პირის ნიშანი არა გვაქვს, მაგრამ ზმნის სტრუქტურით მაინც ვარკვევთ, რომ ზმნა სამპირიანია⁴⁷. მასთან დაკავშირებული ნაცვალსახელების მოხმობა უფრო დამხმარე ხერხი ჩანს ზმნის პირიანობის განსაზღვრისათვის.

რა ქმნის ქართულში ერთპირიან, ორპირიან და სამპირიან ზმნათა ფუძეების განსხვავების საფუძველს? ცნობილია, რომ ამ განსხვავების მიზეზია ისეთი მორფოლოგიური კატეგორიების არსებობა ქართულში, როგორიცაა გვარი, ქცევა, კაუზატივი. სამპირიანი ზმნა სათანადო ორპირიანს უპირისპირდება, ვრთავრეს შემთხვევაში, კაუზატივისა და სასხვისო ქცევის ფორმებით: აკეთებ ს—აკეთებინებ ს, ან აკეთებ ს—უკეთებ ს. ასევე სამპირიან ფუძეს, რომელიც არ გამოხატავს არც კაუზატივს და არც ქცევას, უპირისპირდება სათანადო ვნებითს: აძღვევ ს—ეძღვევ ა.

შეიძლება დავასკვნათ, რომ ქართულში ზმნის პირთა რაოდენობის დადგენისას მნიშვნელოვანია ის, თუ რამდენი სახელი აისახება ზმნის ფორმაში პირის ნიშანთა ან სხვა კატეგორიის ნიშანთა საშუალებით.

ჭერ კიდევ 1928 წელს ა. ჩიქობავამ ნაშრომში „მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში“ აღნიშნა, რომ ქართული წინადადების ბურჯს წარმოადგენს ზმნა. ქართულ ენაში გამოიყოფა სამი ტიპის მარტივი წინადადება, ამ ტიპებს განასხვავებს ზმნა-შემასმენელი, მისი მორფოლოგიური სტრუქტურა. ტენიერმა 1932 წელს გამოთქვა მოსაზრება, რომ ევროპულ ენათა უმრავლესობის ფრაზის ცენტრში დგას ზმნა, მაგრამ ამ შემთხვევაში იგულისხმებოდა არა თავით ზმნის სტრუქტურა, არამედ მისი პოტენციალური შესაძლებლობა შესიტყვებაში გარკვეულ სახელებთან დაკავშირებისა. ვალენტრობათა დადგენისას, როგორც ზემოთ ვნახეთ, არსებითია არა მხოლოდ ზმნის მორფოლოგიური სტრუქტურით განპირობებული შესიტყვება, არამედ ის, თუ რამდენ სახელს

⁴⁴ ა. შანიძე, ქართული ზმნის სამპირიანობის გამო. „კულტურული აღმშენებლობა“, 1930, № 9, გვ. 908—911.

⁴⁵ ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძველები, გვ. 175.

⁴⁶ ა. ჩიქობავა, ქართული ენის ზოგადი დახასიათება. „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“, ტ. I, გვ. 052—053.

⁴⁷ საინტერესოა ამ თვალსაზრისით აფხაზური ენის ჩვენება. აქ ზმნაში ერთდროულად გვაქვს სამივე პირის ნიშანი, მაგალითად: ი-უგ-ს-ფოატ ჯჷე შენ (კაცს) მას-გაძლეე. ი-უ-ს-პიოატ „შე შენ (კაცს) რაღაცას გეუბნები“.

მართავს ზმნა ერთდროულად, რამდენი სახელია მასთან დაკავშირებული შესიტყვებაში.

როგორც ზემოთ ვნახეთ, არსებობს ზმნის სინტაქსური ვალენტობის სხვადასხვაგვარი გაგება და განმარტება. ქართული სათვის შეიძლება ვალენტობის ცნება ისე შეგვეზღუდა, რომ აქტანტებად წარმოგვედგინა მხოლოდ ის სახელები, რომელნიც აისახებიან ზმნაში. ასეთი განსაზღვრა იქნებოდა იმის ანალოგიური, რასაც ა. შანიძე გვთავაზობს ზმნის პირთა რაოდენობის დასადგენად: ზმნას უნდა შეეუწყოთ პირის ნაცვალსახელები უთანდებულოდ და რამდენსაც მოიხდენს ესა თუ ის ფორმა, იმდენვალენტია იქნება ზმნა. ზმნის ვალენტობის ამგვარი განსაზღვრება, მართალია, მოგვცემს აქტანტთა რიცხვის ზუსტად დადგენის კრიტერიუმს, მაგრამ მთლიანად ვერ დაფარავს იმ შინაარსს, რასაც ვალენტობის ცნებაში გულისხმობს თვით ტენიერიც კი. ამასთანავე აზრი არ ექნება პირიანობის გვერდით ვალენტობის ცნების შემოტანას. მაგრამ ცხადია, რომ საჭიროა ზმნასთან იმ სახელთა დამოკიდებულების შესწავლა, რომლებიც პირს არ აჩენენ მასში. სახელდობრ, ზმნის მიერ მართული ზოგი ირიბი ბრუნვა ზმნის გარემოცვის აუცილებელ წევრს წარმოადგენს. მაგალითად, „იქცევა“ ზმნის ერთი მნიშვნელობისათვის აუცილებელი ჩანს ვითარებითი ბრუნვა (შდრ. ვითარებითი ბრუნვის სახელწოდება ძველ გრამატიკაში—„გარდაქცევითი“). ვითარებითი ბრუნვა შედის ამ ზმნის ობტიმალურ გარემოცვაში⁴⁸, ხოლო მეორე მნიშვნელობა მოითხოვს თანდებულებიან ფორმებს: „იქცევა ქურჭლი-დან გადმოედინება რამე—ზე (სითხე)—იღვრება, ინთხევა“.

ასევე „შედგება“ ზმნის ერთი მნიშვნელობისათვის აუცილებელია გან თანდებულებიანი ფორმა: „წიგნი შედგება ხუთი თავისაგან“, ხოლო მეორე მნიშვნელობისათვის—ზე თანდებულებიანი ფორმა. „შედგება სკამზე, ბეჭობზე...“ იგივე შეიძლება ითქვას ზოგ ირიბსა და თანდებულებიან ბრუნვაზე, რომელთა რაიმე ნიშნის საშუალებით ზმნაში არ აისახება, მაგრამ ხშირ შემთხვევაში წარმოადგენს ამა თუ იმ ზმნის გარემოცვის აუცილებელ წევრს. მაგრამ ყოველი კონკრეტული ზმნის შემთხვევაში მისი გარემოცვის აუცილებელი წევრის დადგენა ქირის, მაგალითად: „სვლა“ ზმნა უკავშირდება თითქმის ყველა თანდებულებიან ბრუნვას: „წავიდა სახლში“, „წავიდა სახლიდან“, „წავიდა სახლისკენ“, „წავიდა ფეხით“ და ა. შ. ამ ფორმათაგან რომელი წარმოადგენს „წავიდა“ ზმნის გარემოცვის აუცილებელ წევრს? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ძნელდება. საჭირო ხდება დამატებითი კრიტერიუმების დაძებნა.

ბუნებრივია დაისვას კითხვა, რა სურათს მოგვცემს გარკვეული მოცულობის ტექსტის შესწავლა. მოცემული ზმნის გარემოცვაში ხმარების სისშირის მიხედვით ხომ არ გამოიყოფა ირიბ ან თანდებულებიან ბრუნვათა ის ფორმა, რომელიც მეტად არის დაკავშირებული მოცემულ ზმნასთან? იქნება თუ არა მკვეთრი რიცხობრივი განსხვავება გარემოცვის აუცილებელ და ფაქულტატიურ წევრთა ხმარების სისშირეში? ამ მიზნით ჩვენ მართლაც მივმართეთ კონკრეტულ ენობრივ მასალას. სახელდობრ, გამოვიყენეთ თბილისის სახელმ-

⁴⁸ ა. ხოლოდოვიჩის განსაზღვრებით, ობტიმალური ეწოდება გარემოცვას, რომელიც მოიცავს მინიმალურ წევრებს, რომელთაც არა აქვთ კონტექსტუალური შეზღუდვა. იხ. А. А. Холодovich, Опыт теории подклассов слов, ВЯ, 1960, 1, გვ. 32—43.

წიფო უნივერსიტეტის ვაჟა-ფშაველას კაბინეტში არსებული ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებთა სიმფონიური ლექსიკონისათვის არსებული ფონდი.

იმის გამო, რომ ჩვენ გვინტერესებდა ზმნის ხმარება სხვადასხვა ფორმებთან. განვიხილეთ ზმნები, რომელთა ხდომილება აღემატებოდა ახ უღრიდა 10-ს. ასეთი ზმნებისათვის ამოვწერეთ ყველა სინტაგმა ამ ზმნათა მონაწილეობით, სახელდობრ სინტაგმები, რომლებშიც შედიოდნენ 1. პირდაპირი ბრუნვები, 2. ირიბი ბრუნვები, 3. თანდებულიანი ბრუნვები (წოდებითი ბრუნვა სინტაგმებში, ბუნებრივია, არ დადასტურდა). სულ გამოიყო 17 პარამეტრი. ცალკე გამოვყავით ზმნიზღებები, თუმცა, როგორც უფრო მოსიყვებლს, მათ ჩვენ არ მივიჩნევთ რელევანტურად ზმნათა ვალენტობის განსაზღვრისათვის. პარამეტრთა და ზმნათა საფუძველზე შევადგინეთ ცხრილები შემდეგი სახით: ვერტიკალურ სვეტად ჩამოვწერეთ ზმნები (ხდომილების რიცხვის ჩვენებით), პორიზონტალურ ხაზზე დავალაგეთ პარამეტრები. პორიზონტალური და ვერტიკალური სტრიქონის გადაკვეთაზე ჩავწერეთ რიცხვი, რომელიც მიუთითებს რამდენჯერ გვხვდება მოცემული ფორმა მოცემულ ზმნასთან (საილუსტრაციოდ იხ. ცხრილი 1)⁴⁹.

წინასწარი ვარაუდი, რომ ზმნასთან შეგვხვდებოდა ყველაზე ხშირად ის ფორმა, რომელიც შედის მის ოპტიმალურ გარემოცვაში, ბევრ შემთხვევაში დადასტურდა: „იქცევა“ ზმნის 116-ჯერ ხმარებიდან, ვითარებითი დასტურდება 83-ჯერ, „კვდება“ ზმნასთან უხშირესია სახელი მოქმედებითში, ასევე: „ოცნებობს...ზე“, „ჩაღის...ში“, „გადმოდგება...ზე“ „ჩავარდება...ში“, „ტკბება...ით“, „წევს...ზე...ში“, გამოჩნდება...დან“, ყრია...ზე...ში და ა. შ. ზმნები „ცივა“, „ცხელა“, „ღამდება“ მინიმალურ სინტაქსურ კავშირებს ავლენენ. ეს მოსალოდნელიც იყო, ასეთი ზმნები ნულოვანი ვალენტობით არიან ცნობილნი სხვა ენაში.

ზოგი ზმნა განსაკუთრებით მოქნილი აღმოჩნდა სინტაქსური ურთიერთობის თვალსაზრისით. მაგალითად, „სვლა“ ზმნა დადასტურდა ყველა პარამეტრთან (გარდა მოთხრობითისა, იხ. ცხრილი 1), მაგრამ აქაც გამოიყო ისეთი ფორმები, რომლებიც ყველაზე ხშირად იხმარებიან მოცემულ ზმნასთან, ასეთია, მაგალითად, „ზე“, „ში“, „თან“, თანდებულიანი ფორმები. პრევერბთა დამატება აზუსტებს კონკრეტული ფორმის ხმარებას ამ ძირთან: „შედის სახლში“, „გამოდის სახლიდან“ და ა. შ.⁵⁰

ჩვენი კვლევის საბოლოო მიზანს შეადგენს:

1. შევისწავლოთ ზმნის მაქსიმალური სინტაქსური გარემოცვა, ყველა პარამეტრის გათვალისწინებით.

⁴⁹ ზმნები სალექსიკონო ფორმით წარმოდგენილია სამსავე სერიაში. პირველი სერიის პრევერბიანი ფორმები ერთიანდება აორისტთან.

⁵⁰ მსგავსი ვითარება გვაქვს რიგ სხვა ენაში, რის საფუძველზეც ჩამოყალიბდა „ძლიერი და სუსტი მართვის“ ცნება. ძლიერი მართვა (Сильное управление, ინგლ. strong government) ხასიათდება წინდებულთა და შესაბამის ბრუნვათა ფორმების მკაცრად შეზღუდული არჩევნით: дорожить кем-л., надеяться на кого-л., зависеть от кого-л., надеяться на что-л., ინგლ. depend on smb; independent of smb.; სუსტი მართვა (Слабое управление, ინგლ. Weak (loose) government) ხასიათდება მმართველი სიტყვის თავისუფალი შეერთებით მართულ სიტყვათა სხვადასხვა ფორმებთან: идти к кому-л., с кем-л., от кого-л. ძლიერი და სუსტი მართვის ცნება უკავშირდება ვალენტობის განსაზღვრას. ძლიერად მართული სახელები შედიან ზმნის ვალენტობაში, სუსტად მართულნი — არა.

ზენები	საბჭო- რე	ბრუნები					თანდებულები											
		სახ.	მოთხ.	მოქ.	ნათ.	მოქ.	კით.	-თან	-ეთ	-ზე	-ში	-თვის	-ვან	-ებრ	-ურთ	-დან	-მდე	-კენ
1	მოდის	435	171	—	17	—	35	47	21	3	45	39	2	11	1	7	14	—
	მიწის	161	61	—	6	—	9	10	6	—	6	19	1	—	—	—	—	—
	მიწის	25	8	—	1	—	1	2	4	—	1	7	—	—	—	—	—	—
2	შუღის	38	14	—	—	—	—	—	—	—	—	27	—	—	—	—	—	—
	შეიღა	63	23	—	2	1	4	2	1	—	—	46	2	—	—	—	—	—
	შესულა	4	2	—	—	—	—	—	—	—	—	2	—	—	—	—	—	—
3	კვლბა	157	62	—	2	—	36	—	3	2	5	16	9	2	—	—	—	—
	მოკლეა	320	87	—	2	—	19	4	3	—	7	7	12	5	1	—	—	—
	მოაქვლბრა	46	17	—	1	—	2	—	—	—	1	2	—	—	—	—	—	—
4	ტბება	27	12	—	—	—	24	—	—	2	—	1	—	—	—	—	—	—
	ღატება	22	8	—	—	—	13	—	—	—	—	2	—	—	—	—	—	—
	ღამტბება	9	2	—	—	—	7	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
5	ქონლა	174	—	—	31	62	—	—	—	—	—	1	—	—	—	—	—	—
	მეუზღლა	17	—	—	4	6	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
	შეიზღება	3	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
6	კოფს	4	—	—	4	—	—	—	—	—	—	4	—	—	—	—	—	—
	მეუ	12	9	3	1	—	—	—	—	—	—	7	—	—	—	—	—	—
	შეუყვია	1	1	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
	აქეთს	23	5	—	7	—	—	—	—	—	—	1	—	—	—	—	—	—
	აქეთს	44	15	3	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
	უქმთა	5	1	—	1	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
	აქეთს (ღერის)	3	1	—	4	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
	აქეთს (ბაზრას)	4	1	—	4	—	3	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
	აქეთს (უკოვლბრას)	6	4	—	10	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
	აქეთს (ზურგს)	8	5	—	12	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
8	განსუკვდება	10	10	—	—	—	6	—	—	—	—	—	8	—	—	—	—	—
	განსუკვდება	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
	განსუკვდება	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
9	სევა	11	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
	აქეთს	4	—	—	—	—	—	—	—	—	—	1	—	—	—	—	—	—
	აქეთს	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
10	სევა	8	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
	ღატება	6	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
	ღამტბება	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
11	ოცნებობს	5	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
	ოცნებობს	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
	ოცნებობს	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—

5. თანამედროვე ზოგადი და მათემატ. ენათმეცნ. საკითხები, ტ. IV

2. შევიმუშავოთ გარკვეული კრიტერიუმები, რომელიც საშუალებას მოგვცემს დავადგინოთ ქართული ზმნის სინტაქსური ვალენტობა, რადგან, როგორც წინასწარი კვლევა გვიჩვენებს, ვერც ერთ ირიბსა და თანდებულთან ბრუნვაზე ვერ ვიტყვი, რომ ის ყოველთვის, როდესაც გვხვდება ზმნის გარემოცვაში, შედის მის ვალენტობაში (განსხვავებით სახელობითისა და მოთხრობითისაგან. მიცემით სხვაგვარ განხილვას მოითხოვს).

3. მოვახდინოთ ზმნათა კლასიფიკაცია, როგორც მსგავსი გარემოცვების მიხედვით, ისევე ვალენტობათა რიცხვის გათვალისწინებით.

როგორც აღნიშნული იყო, ქართულ ზმნას აქვს შესაძლებლობა პირის გარდა გამოხატოს კაუზატივის, გვარისა და ქცევის კატეგორია. გვაძლევს თუ არა ეს გარემოება საფუძველს ვთქვათ, რომ ქართული ზმნა უფრო მაღალვალენტია, ვიდრე ზმნა იმ ენებში, რომელთაც ანალოგიური მორფოლოგიური კატეგორიები არა აქვთ? დაიკავშირებენ თუ არა მორფოლოგიურად ამგვარად „გადატვირთული“ ფორმები ირიბსა და თანდებულთან ბრუნვებს შესიტყვებაში? როგორია ქართული ზმნის ვალენტობის ზედა საზღვარი? ვფიქრობთ, რომ ამ კითხვებზეც გადაწყვეტი პასუხი მასალის კვლევამ უნდა მოგვცეს.

წინამდებარე ნაშრომში კი ჩვენ შევეცადეთ გვეჩვენებინა, რომ რიგი ირიბი ბრუნვა და თანდებულიანი ფორმა აუცილებელია ამა თუ იმ ზმნასთან შესიტყვებაში. ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ ისინი უნდა შევიდნენ მის ვალენტობაში. ამრიგად, სახელთა რიცხვი, რომელიც უკავშირდება ზმნის მორფოლოგიურ სტრუქტურას და განსაზღვრავს პირთა რაოდენობას ზმნაში, ყოველთვის არ დამთხვევა სახელთა რიცხვს, რომელსაც მართავს ზმნა, რომელიც განსაზღვრავს ზმნის სინტაქსურ ვალენტობას. პირი ქართულში ზმნის მორფოლოგიური კატეგორიაა, ვალენტობა — სინტაქსური. აქედან გამომდინარე ზმნის სინტაქსური ვალენტობის ცნების გამოყენება ქართული ენის მასალაზე საპიროდ და სასარგებლოდ მიგვაჩნია.

Л. А. ЕНУКИДЗЕ

К ВОПРОСУ О СООТНОШЕНИИ СИНТАКСИЧЕСКОЙ ВАЛЕНТНОСТИ И КАТЕГОРИИ ЛИЦА ГРУЗИНСКОГО ГЛАГОЛА

Резюме

Понятие синтаксической валентности глагола в лингвистику было введено и обосновано французским языковедом Л. Теньером. После Теньера понятие валентности широко распространяется в лингвистике и применяется к другим языковым единицам и уровням. Несмотря на это, до сих пор не разработаны строгие формальные критерии установления валентности конкретного глагола в разных языках. Различная морфологическая структура глагола и имен в разных языках препятствует такому универсальному определению.

В предлагаемой статье мы пытаемся показать, как соотносятся понятия синтаксической валентности и категории лица в полиперсональном грузинском глаголе. Является ли плодотворным применение понятия синтаксической валентности глагола на материале грузинского языка?

В грузинском глаголе личные показатели или структура основы глагола отражают три актанта: субъект, прямой и косвенный объекты. Падеж этих имен управляется глаголом, управление сильное. Именительный, эргативный и дательный падежи всегда являются обязательными членами структуры предложения, если они связаны с глаголом — центром предложения.

Ограничение валентности грузинского глагола только этими падежами не внесет ничего нового в исследование структуры предложения и глагола в грузинском языке¹. Следовательно, теряет смысл введение самого понятия синтаксической валентности. Такое ограничение синтаксической валентности глагола не отражает потенциальные возможности глагола в грузинском языке. Глагол в грузинском входит в связи с другими именами, которые оформляются по-разному: стоят в косвенных или послеложных падежах. Нельзя сказать, что все послеложные и косвенные падежи, которые связаны с глаголом в конкретных высказываниях, одинаково необходимы. Одна и та же форма имени для одного глагола является обязательным членом его окружения, а для другого — нет. Поэтому, хотя точное и однозначное (по формальным признакам) определение критериев, на основе которых устанавливается валентность грузинского глагола связано с некоторыми трудностями, ясно одно: количество лиц, выраженных в глаголе, не совпадает с синтаксической валентностью глагола. Бывают случаи, когда:

1. В глаголе имеется личный показатель, но в глагольном словосочетании соответствующая актанта отсутствует, обычно не встречается в окружении этого глагола, напр. მ-ძიხვეს m-ḡiḡav-s «сплю» двухличный глагол: მ m показатель морф. объекта, ს s показатель морф. субъекта, но глагол одновалентный მე მძიხვეს me mḡiḡavs «я сплю».

2. Та или иная форма имени (косвенный или послеложный падеж) является обязательным членом окружения глагола, но в глаголе формально не отражается, напр. ქალიშვილი გელად გადაიქცა kališvili gedad gadaiḡca «девушка превратилась в лебедя», წიგნი შედგება ხუთი თავისაგან ḡigni šed-geba xuli tavisagan «книга состоит из пяти глав» и т. п.

Из вышесказанного следует, что изучение синтаксической валентности грузинского глагола является целесообразным. Для осуществления этой задачи необходимо: 1. Путем изучения всех возможных глагольных синтагм установить оптимальное окружение глагола, 2. Выработать критерии точного определения валентности глагола.

Такое изучение глагольного словосочетания даст возможность произвести классификации глаголов: а) на основе синтаксической валентности, б) по сходным синтаксическим окружениям. Нами уже проведена определенная предварительная работа в этом направлении.

¹ Подробное изучение структуры простого предложения, определяющим которой является глагол, дано в работе А. С. Чикобава «Проблема простого предложения в грузинском языке», I, изд. II, 1968.

ი. გელიცივილი

მარკირების მიმართების გაპირობებულ ხასიათის შესახებ

მარკირების მიმართების განსაზღვრა ფუნქციონალურ თვალსაზრისით. ტერმინი „მარკირების მიმართება“ შემოღებული იქნა ჩვენი საუკუნის 30-იან წლებში პრალის საენათმეცნიერო სკოლის მკვლევართა მიერ ოპოზიციურ ერთეულთა იერარქიული ურთიერთ-მიმართების აღსანიშნავად¹. ოპოზიციურ ერთეულთა იერარქიული ურთიერთ-მიმართება სხვადასხვა თვალსაზრისით შეიძლება განვიხილოთ. ფონოლოგიის დონეზე მარკირების მიმართების განხილვის ასპექტები შეიძლება იყოს: ფუნქციონალური, ფონეტიკური, ლოგიკურ-ფსიქოლოგიური. ეს ასპექტები ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია, ისე რომ, ერთი თვალსაზრისით ჩატარებული კვლევის შედეგები ყოველთვის შეიძლება გააზრებული იქნეს კვლევის დანარჩენი ასპექტების თვალსაზრისით.

პრალის სკოლის გარდა მარკირების მიმართებით სხვა ენათმეცნიერული მიმდინარეობებიც დაინტერესდნენ (გლოსემატიკა, ეპიზოდურად დესკრიფციული ენათმეცნიერება, დღეს — უნივერსალითა ლინგვისტიკა და წარმომქმნელი გრამატიკა). მარკირების მიმართების განხილვისას ყველა ამ მიმდინარეობის წარმომადგენელი უპირატეს მნიშვნელობას მის ფუნქციონალურ ასპექტს ანიჭებს, თუმცა უმეტესობას არც სხვა ასპექტები რჩება ყურადღების გარეშე.

ფონოლოგიის დონეზე ოპოზიციურ ერთეულთა არათანაბარ ფუნქციონალურ ღირებულებას განსაზღვრავს ამ ერთეულთა არათანაბარი უნარი წარმოქმნას რთული სტრუქტურები თავისივე დონის სხვა ერთეულებთან შეკავშირების გზით. ფონოლოგიური დონის უმარტივესი ერთეულები—დიფერენციალური ნიშნები ქმნიან ერთმანეთთან ერთეუმიერ და ხაზოვან შეერთებებს. ერთეუმიერი შეერთებების გზით წარმოიქმნება ფონემები, ხოლო ხაზოვანი შეერთებების შედეგად—ფონემათმომდევრობები². ოპოზიციური ნიშნები, როგორც აღვნიშნეთ, ამ რთული სტრუქტურების შემადგენლობაში მონაწილეობის თვალსაზრისით არათანაბარ უნარს ამჟღავნებენ. ასე, მაგალითად,

¹ პირველი ფონოლოგიური შრომებიდან, რომლებშიც ფიგურირებს მარკირების მიმართება აღსანიშნავია: N. S. Trubetzkoy, Die Phonologischen Systeme, TCLP, 4, 1931; Character und Methode der Systematischen phonologischen Darstellung einer gegebenen Sprache, Proceedings of First International Congress of Phonetic Sciences, 1932; Die Aufhebung der Phonologischen Gegensätze, TCLP, 6, 1936; Grundzüge der Phonologie, TCLP, 7, 1939.

² R. Jakobson, Observation sur le classement phonologique des consonnes, Selected Writings, I, 1962., გვ. 272—279; მისივე, Zur Struktur des Phonemes, იქვე, გვ. 280—310.

ორალურ თანხმოვანთა და ხმოვანთა რიცხვი ენაში ყოველთვის სჭარბობს ნახალ თანხმოვანთა და ხმოვანთა რიცხვს; არაპალატალურ, არალაბიალიზებულ თანხმოვანთა რიცხვი—პალატალურ და ლაბიალიზებულ თანხმოვანთა რიცხვს და ა. შ. დისტრიბუციული თვალსაზრისითაც ოპოზიციური ნიშნები ჩვეულებრივ არათანაბარი ღირებულებისაა. ერთ-ერთ მთავანს მეტი შეზღუდვები ედება ხაზოვანი შეერთებების თვალსაზრისით, ვიდრე მეორეს.

აღსანიშნავია, რომ ოპოზიციური ერთეულების არათანაბარი ფუნქციონალური უნარი აისახება არა მარტო მათი შეკავშირების აბსოლუტურ შეზღუდვებში—აკრძალვებში, არამედ შეერთების შეფარდებით, სტატისტიკურ შეზღუდვებშიც. ამ რიგის შეზღუდვები აისახება ოპოზიციურ ნიშანთა, მათ შემცველ ფონემათა და ფონემათომიდეგრობათა სიხშირულ მიმართებებში.

ამრიგად, ოპოზიციურ ნიშანთა ამომწურავი ფუნქციონალური დახასიათება გულისხმობს მათ შესწავლას ერთჟამიერი და ხაზოვანი შეერთებების თვალსაზრისით და ამ შეერთებათა როგორც აბსოლუტური, ისე შეფარდებითი შეზღუდვების გათვალისწინებას.

2. მარკირების მიმართება ნ. ტრუბეცკოის ნაშრომებში. დაშვება მარკირების მიმართების აბსოლუტური ხასიათის შესახებ. ფონოლოგიური თეორიის განვითარების პირველ ეტაპზე ნ. ტრუბეცკოი მარკირების მიმართების ფუნქციონალური ასპექტის კვლევისას ნეიტრალიზაციის მოვლენით—ე. ი. მხოლოდ ხაზოვან შეერთებათა აბსოლუტური შეზღუდვების შესწავლით შემოიფარგლებოდა. ამასთან, გათვალისწინებული იყო არა ყველა სახის ნეიტრალიზაცია, არამედ მხოლოდ სტრუქტურული ნეიტრალიზაცია³. მარკირების მიმართების ფუნქციონალური ასპექტის გაფართოება განხორციელებულია რ. იაკობსონის 40—50-იანი წლების ნაშრომებში⁴ და შემდეგ ჯ. გრინბერგის⁵, მ. ჰალესა და ნ. ხომსკის⁶ ნაშრომებში.

მარკირების მიმართების ფუნქციონალური ასპექტის გაფართოება გარკვეულ კავშირშია ამ მიმართების გააზრებაში მომხდარ უმნიშვნელოვანეს ცვლილებასთან: ნ. ტრუბეცკოისა და რ. იაკობსონის ადრეულ ნაშრომებში მარკირების მიმართება განისაზღვრებოდა როგორც აბსოლუტური, ოპოზიციურ ერთეულთა გამოვლენის პირობათაგან სრულიად დამოუკიდებელი მიმართება, ხოლო ჯ. გრინბერგის, ნ. ხომსკისა და მ. ჰალეს ნაშრომებში ეს მიმართება გააზრებულია, როგორც შეფარდებითი, გამოვლენის პირობათაგან დამოკიდებული მიმართება.

ნ. ტრუბეცკოისათვის ოპოზიციურ ერთეულთა ფუნქციონალური მიმართება წარმოადგენდა საფუძველს ფონეტიკურ ფაქტთა ლოგიკური ინტერპრეტაციისათვის. ფონემათა ისეთი დაპირისპირება, რომელიც ექვემდებარებოდა

³ Н. С. Трубейский, Основы фонологии, М., 1960, 33. 87.

⁴ R. Jakobson, Observation sur le classement phonologique des consonnes, Selected Writings, I, 33. 272—279; R. Jakobson, E. C. Cherry, M. Halle, Toward the Logical Description of Languages in their Phonemic Aspect, Language, V. 29, № 1, 1953.

⁵ J. H. Greenberg, Language Universals with Particular Reference to Feature Hierarchies, The Hague, 1966.

⁶ N. Chomsky, M. Halle, The Sound Pattern of English, New-York, 1968.

სტრუქტურულ ნეიტრალიზაციას, მიიჩნეოდა პრივატიულ დაპირისპირებად, ანუ მარკირებული — არამარკირებული წევრის დაპირისპირებად. რამდენადაც მარკირების მიმართება აბსოლუტურ მიმართებად იყო მიჩნეული, დაპირისპირებული ერთეულების კვალიფიკაცია მარკირებულ და არამარკირებულ წევრებად უნდა მიეღოთ მუდმივად და ცალსახად. მაგრამ არათუ ფუნქციონალურ ფაქტთა მთელი სიმრავლის, არამედ მხოლოდ ნეიტრალიზაციის მოვლენის სრული გათვალისწინებაც კი ყოველ ნაბიჯზე ავლენს დაპირისპირებულ ერთეულთა ფუნქციონირების გაპირობებულ ხასიათს. მარკირების მიმართების ფუნქციონალური კრიტერიუმის დავიწროვება ნ. ტრუბეცკოის ნაშრომებში გამოწვეული უნდა იყოს მისწრაფებით, შენარჩუნებულ იქნეს ოპოზიციურ ერთეულთა მუდმივი და ცალსახა კვალიფიკაცია. ნ. ტრუბეცკოი ცდილობს მარკირების მიმართების განმსაზღვრელი კრიტერიუმებიდან გამოირიცხოს ფუნქციონირების ის სახეები, სადაც ოპოზიციური ერთეულები არაერთგვაროვან ხასიათს ამქლავებენ. ასეთ მოვლენებს წარმოადგენენ ორმხრივი ან მრავალმხრივი ნეიტრალიზაციის⁷ შემთხვევები, როდესაც ნეიტრალიზაციის სხვადასხვა პირობებში, პირობების შესაბამისად, ხან ერთი ოპოზიციური ერთეული გვევლინება არქიფონების წარმომადგენლად და ხან მეორე. ასეთია, ჩვეულებრივ, კონტექსტუალურ ნეიტრალიზაციათა დიდი წილი. ნიმუშად შეიძლება მოვიტანოთ მრავალ ენაში გავრცელებული მოვლენა—მეღერი ფონემის წინ დასაშვებია მხოლოდ მეღერი, ყრუს წინ კი მხოლოდ ყრუ და მისთ. ამ რიგის მოვლენათა გამოსარიცხად ნ. ტრუბეცკოიმ მთლიანად უარი თქვა კონტექსტუალურ ნეიტრალიზაციათა ჩვენებაზე, თუმცა ყოველგვარი კონტექსტუალური ნეიტრალიზაცია ამ სახის არაა, ცალმხრივი კონტექსტუალური ნეიტრალიზაციები (ასეთია ჩვეულებრივ დისიმილაციური შეზღუდვები) იძლევა ოპოზიციურ ერთეულთა ფუნქციონალური ღირებულების ცალსახა შეფასების შესაძლებლობას.

ამრიგად, მარკირების მიმართების ფუნქციონალური ასპექტის უკიდურესი შევიწროება ნ. ტრუბეცკოის თეორიაში ამ მიმართებისათვის აბსოლუტური ხასიათის მიწერის შედეგი იყო. ხოლო რაც შეეხება თვით ამ დაშვებას, იგი გამომდინარეობდა სისტემის სიმეტრიული აგების პრინციპიდან, რომელიც სტრუქტურულ ენათმეცნიერებას ედო საფუძვლად. ერთი კორელაციური რიგის ფონემების განსხვავებული კვალიფიკაცია გამოვლენის პირობათა შესაბამისად ეწინააღმდეგებოდა სისტემათა სიმეტრიული აგების პრინციპს, რომელაც სტრუქტურული ენათმეცნიერების ერთ-ერთ ძირითად დაშვებას წარმოადგენს⁸.

ნ. ტრუბეცკოის მიერ მარკირების მიმართების განმსაზღვრელ მოვლენათა სფეროდან კონტექსტუალური ნეიტრალიზაციის მოვლენის გამორიცხვას რომ მართლაც ამ მიმართების აბსოლუტური ხასიათის შენარჩუნება ედო საფუძვლად, მოწმობს ისიც, რომ ადრე, ფონოლოგიური თეორიის შემუშავე-

⁷ ნეიტრალიზაციათა ასეთი კლასიფიკაცია მოცემული აქვს ლ. ილმსლევს. იგი ასხვავებს უნლატერალურ და ბილატერალურ ან მულტილატერალურ იმპლიკაციებს. იხ. Л. Е л ь м с - л е в, Прологомены к теории языка, Новое в лингвистике, I, М., 1960, გვ. 346.

⁸ დღეს დესკრიფციული ენათმეცნიერების წარმომადგენლები კი არასწორად მიიჩნევენ ენისათვის ისეთი შვადრი სიმეტრიულობის მიწერას, როგორც დამახასიათებელი იყო სტრუქტურული ენათმეცნიერებისათვის. იხ. მაგალითად, С. F. Ho c k e t t, The State of the Art; The Hague, 1968.

ბის „ფსიქოლოგისტურ“ ეტაპზე მარკირების მიმართების განსაზღვრისას ნეიტრალიზაციის მოვლენა მთლიანად იყო მხედველობაში მიღებული⁹.

საქმე ისაა, რომ ამ პერიოდში „მოლაპარაკის ცნობიერებისადმი“ მიმართვა ნ. ტრუბეტკოის საშუალებას აძლევდა გაეერთიანებინა ნეიტრალიზაციათა ჩვენებები და, ამდენად, მარკირების მიმართების აბსოლუტური ხასიათის დაშვებაზე უარის თქმის გარეშე გაეთვალისწინებინა დისტრიბუციული ფაქტების თელი სიმრავლე. „ფონოლოგიურ სისტემებში“ იგი წერს: „1. არქიფონემის (ე. ი. კორელაციის საფუძვლად მყოფი, შესაბამისი კორელაციური თვისებებისაგან აბსტრაქტირებული ზოგადი ბგერითი ცნების) სიმბოლოდ ყოველი ნორმალური სამეტყველო ცნობიერებისათვის ყოველთვის კორელაციის უნიშნო წევრი გამოდის, ნიშნიანი წევრი კი—არასდროს. ასე მაგალითად, ყოველი რუსულად მოლაპარაკე პირი სიტყვებზე—„ლაბიალური ხშული“, უნებურად ყრუ პ-ს გაიხსენებს და არა მკლერ ნ-ს ან პალატალიზებულ პ'-ს (ნ'-ზე რომ არაფერი ვთქვათ).

2. ისეთ პირობებში, როდესაც ერთი ფონემის კორელაციური თვისება ღირებულებას კარგავს, ეს ფონემა კორელაციის უნიშნო წევრთან იდენტიფიცირდება, თუნდაც იგი ობიექტურად კორელაციის ნიშნიანი წევრის იდენტური იყოს“¹⁰.

ტრუბეტკოის შემდეგი მაგალითი მოჰყავს: რუსულში, ნეიტრალიზაციის პოზიციაში გამოვლენილი წევრი რუსული სამეტყველო ცნობიერების მიერ აღიქმება როგორც არარბილი, მიუხედავად იმისა, ობიექტურად მართლაც არარბილია იგი (მაგ., მაგარი დენტალების წინ ყველა თანხმოვანი, გარდა —პ-სი ობიექტურად მაგარია), თუ რბილი (მაგ., რბილი დენტალებისა და ნაწილობრივ რბილი ვ-ს წინ ყველა თანხმოვანი, გარდა рлтд-სი ობიექტურად ყოველთვის რბილია). ვ მაგალითად, რუსულ სიტყვებში свечка (s'v'eč'ka), стена (s't'ina) —ც ობიექტურად რბილია, მაგრამ აღიქმება როგორც არარბილი. მხოლოდ ფონეტიკურად გაწვრთნილი სპეციალისტი თუ შეაძინებს, რომ ამ პოზიციაში ც დარბილებულია. ასეთი პირის აღქმა კი, ნ. ტრუბეტკოის აზრით, ვერ შეფასდება როგორც „ნორმალური“ რუსის აღქმა.

„ობიექტურისა“ და „ცნობიერების“ დაპირისპირებას, ნ. ტრუბეტკოის მიხედვით, შემდეგი საფუძველი აქვს: დაპირისპირებაში—„მაგარი: რბილი“ მაგარი წევრი წარმოადგენს უნიშნო წევრს. პალატალიზაციის წარმოდგენის გამართვის შემდეგ ფონემა შესაბამის არქიფონემად იქცევა, ეს უკანასკნელი კი სამეტყველო ცნობიერებაში უნიშნო წევრის სახით სიმბოლოზირდება.

ამრავალ, ფონოლოგიური თეორიის განვითარების იმ ეტაპზე, როდესაც სამეტყველო ცნობიერებისადმი მიმართვას გადამწყვეტი არგუმენტის ღირებულება ენიჭებოდა, ნეიტრალიზაციის პოზიციაში გამოვლენილი ყოველი ოპოზიციის წევრი, მიუხედავად იმისა, რეალურად რომელ წევრს ემთხვეოდა იგი, ოპოზიციის უნიშნო, არამარკირებულ წევრთან იყო გაიგივებული. ოპოზიციის არამარკირებული წევრი განისაზღვრებოდა არა უშუალოდ ფუხქციონალურ

⁹ N. S. Trubetzkoy, Die Phonologischen Systeme, გვ. 98.

¹⁰ იქვე.

მოვლენებზე დამყარებით, არამედ ფუნქციონალურ მოვლენათა ფსიქოლოგიური ინტერპრეტაციის საფუძველზე.

ფონოლოგიური დონის მოვლენათა განხილვიდან „ენობრივი ცნობიერებისადმი“ მიმართვის გამორიცხვის შემდეგ ნ. ტრუბეცკოის ეყარება ნეიტრალიზაციის ცალკეულ შემთხვევათა გაერთიანების საფუძველი, ზოგადი პრინციპი, რომელიც ყოველგვარი ნეიტრალიზაციის უნიფიცირებული ინტერპრეტაციის შესაძლებლობას იძლეოდა. იგი რჩება ისეთი რთული ფაქტობრივი ვითარების პირისპირ, როდესაც ნეიტრალიზაციის ერთ პოზიციაში არქიფონემის წარმომადგენლად ოპოზიციის ერთი წევრი გვევლინება, სხვაში კი—მეორე.

ამიტომ, როგორც ზემოთ უკვე ვნახეთ, ორაზროვნების თავიდან ასაცილებლად, მარკირების თვალსაზრისით ოპოზიციის წევრთა ცალსახა კვალიფიკაციის მოღების მიზნით, ნ. ტრუბეცკოი ძალზე ზღუდავს მარკირების მიმართების მიქმედების არეს, უგულებელყოფს ნეიტრალიზაციათა მთელ კლასს, სახელდობრ, კონტექსტუალურ ნეიტრალიზაციათა კლასს და მარკირების მიმართების განსაზღვრაში მხოლოდ სტრუქტურულ ნეიტრალიზაციას ტოვებს.

მაგრამ ამ გზით ნ. ტრუბეცკოი სასურველ შედეგს ვერ აღწევს, რადგან სტრუქტურული ნეიტრალიზაცია შეიძლება იყოს ჯარმხრივი ან მრავალმხრივი და ასეთ შემთხვევაში მისი ჩვენება ისეთივე ორაზროვანი იქნება, როგორც მრავალმხრივი კონტექსტუალური ნეიტრალიზაციისა. ამის მაგალითად გამოდგება გერმანულ ენაში ანლაუტსა და აუსლაუტში [s : z] დაპირისპირების ნეიტრალიზაცია. ანლაუტში არქიფონემის წარმომადგენელია მეღერი [z], ხოლო აუსლაუტში ყრუ [s] ფონემა¹¹. ასეთსავე მოვლენას აქვს ადგილი ყირგიზულშიც: [n : n] დაპირისპირების ნეიტრალიზაციისას ანლაუტში არქიფონემის წარმომადგენლად გვევლინება მეღერი [n], აუსლაუტში კი ყრუ [n]¹².

ამასთან, აშკარა ორაზროვან შემთხვევებთან ერთად მსჯელობიდან გამოირიცხა ნეიტრალიზაციათა ისეთი სახეებიც, რომელთა ჩვენება ჩვეულებრივ ცალსახაა. ასეთებია: ცალმხრივი ასიმილაციური და დისიმილაციური შეზღუდვები. როგორც ემპირიული მასალა უჩვენებს, ცალმხრივი შეზღუდვების არსებობის შემთხვევაში შეზღუდვა ედება ოპოზიციის იმ წევრს, რომელიც როგორც ფონეტიკური, ისე სტრუქტურული ნეიტრალიზაციის თვალსაზრისით მარკირებული წევრის კვალიფიკაციას იღებს¹³.

ამრიგად, ფუნქციონალურ თვალსაზრისზე გადასვლის შედეგად ცნება, რომელიც ნ. ტრუბეცკოის თავისი კვლევის პირველ ეტაპზე (მეტყველის ცნობიერების ვათვალისწინებისას) გაცილებით უფრო ფართოდ მიაჩნდა, უკიდურესად დავიწროვდა. ამას კი სხვა შედეგებიც მოჰყვა: შეუძლებელი გახდა მარკირების მიმართებასა და კორელაციურ ფონემათა კანონზომიერ სიხშირულ მიმართებებს შორის კავშირის დამყარება. გ. ციბვის მიერ გამოვლენილ კანონზომიერებებსა და მის მიერ განსაზღვრულ მარკირების მიმართებას შორის არსებულ კავშირს ნ. ტრუბეცკოიც გრძნობდა, მაგრამ ამგვარად შეზღუდული

¹¹ Н. С. Трубецкой, Основы фонологии, гл. 92.

¹² Б. М. Юнусалиев, Киргизский язык, Языки народов СССР, М., 1966, гл. 494.

¹³ ამ დისკენის სამართლიანობას მოწმობს ქ. ვ რ ი ნ ბ ე რ ვ ი ს მიერ თავმოყრილი მასალა, რომელიც წარმოდგენილია შის გამოკვლევაში: Некоторые обобщения, касающиеся возможных начальных и конечных последовательностей согласных, ВЯ, 1964, 4, гл. 57—58.

ცნება სიხშირულ მიმართებათა უნივერსალურ კანონზომიერებებთან ვერ დაკავშირდებოდა¹⁴.

ამას გარდა, შეუძლებელი იყო შესაბამისობის დამყარება მარკირების მიმართების ამგვარად შეზღუდულ ფუნქციონალურ ასპექტსა და სხვა (ფონეტიკურ, ლოგიკურ, ფსიქოლოგიურ) ასპექტებს შორის, ამიტომ ნ. ტრუბეტკოვი უშვებდა ამ ასპექტებს შორის შესაბამისობის არსებობის შესაძლებლობას: ლოგიკურად და ფსიქოლოგიურად პრიატიული ოპოზიციები არ იყო ყოველთვის ფაქტობრივ (ე. ი. ფუნქციონალურად) პრიატიული. ფუნქციონალურ მოვლენებზე (ე. ი. სტრუქტურულ ნეიტრალიზაციაზე) დაყრდნობით ნ. ტრუბეტკოვი ოპოზიციის წევრთა ისეთ კვალიფიკაციასაც კი მიიჩნევდა დასაშვებად, რომელიც დაპირისპირებულ ერთეულთა „ბუნებრივი“, ფონეტიკური კვალიფიკაციის საწინააღმდეგო იქნებოდა¹⁵.

ამრიგად, მარკირების მიმართების განუპირობებელი, აბსოლუტური ხასიათის დაშვების პირობებში შეუძლებელი იყო 1) ფუნქციონალური ფაქტების თანმიმდევრული აღწერა თეორიულ წინამძღვრებთან წინააღმდეგობის გარეშე, 2) მარკირების მიმართების ფუნქციონალური ასპექტის გაფართოება, ფუნქციონალურ მოვლენათა სრული გათვალისწინება, 3) მარკირების მიმართების განსხვავებულ ასპექტებს შორის (ფუნქციონალური, ფონეტიკური, ფსიქოლოგიური, ლოგიკური) შესაბამისობის დამყარება.

3. მარკირების მიმართება უნივერსალიათა ლინგვისტიკასა და წარმომშობ გრამატიკაში. დაშვება ამ მიმართების გაპირობებულ ხასიათის შესახებ. დღევანდელ ენათმეცნიერებაში მარკირების მიმართების გააზრების ეს ნაკლი დაძლეულია. მარკირების მიმართება უნივერსალიათა ლინგვისტიკისა და წარმომშობი გრამატიკის წარმომადგენელთა ნაშრომებში სწორედ გაპირობებული, შეფარდებითი ხასიათის ცნების სახით შევიდა.

პირველად მსჯელობას მარკირების მიმართების გაპირობებული ხასიათის შესახებ ჯ. გრინბერგის ნაშრომებში ვხვდებით. ჯ. გრინბერგი მარკირების მიმართებასთან უნივერსალურ ენობრივ მოვლენათა კვლევამ მიიყვანა. მარკირების მიმართებაში იგი ხელდავს ძლიერ განმარტავებელ პრინციპს, რომელიც საშუალებას იძლევა გაერთიანდეს ცალკეული, ემპირიული გზით მიღებული უნივერსალური მიმართებები. 1966 წელს გამოქვეყნებულ გამოკვლევაში¹⁶ იგი მიუთითებს მარკირების მიმართების გაპირობებულ ხასიათზე. ფონოლოგიის დონეზე მას ნიმუშად მოჰყავს მელერობის ნიშნის ქცევა ჩქამიერ და სონორ ბგერათა კლასებში. ჩქამიერობის ნიშანთან კავშირში მელერობა აშკარად მარკირებულ კატეგორიას წარმოადგენს, სონორ ბგერათა კლასში კი იგი არამარკირებული კატეგორიისათვის დამახასიათებელ ყველა თვისებას ამჟღავნებს¹⁷.

უნდა აღინიშნოს, რომ ჯ. გრინბერგის ნაშრომში მარკირების მიმართების გაპირობებული ხასიათის შესახებ მსჯელობას ეპიზოდური ხასიათი აქვს. იგი ამჩნევს მხოლოდ დიფერენციალურ ნიშანთა კონებად შეერთების გაპირობე-

¹⁴ Н. С. Трубецкой, Основы фонологии, в. 3. 292.

¹⁵ იქვე, გვ. 176. იხ. აგრეთვე N. S. Trubetzkoy, Die Aufhebung der Phonologischen Gegensätze, გვ. 192.

¹⁶ J. H. Greenberg, Language Universals..., გვ. 24.

¹⁷ იქვე.

ბულ ხასიათს, მაგრამ არაფერს ამბობს მიმდევრობის სტრუქტურის შესახებ. ამასთან იგი არ ითვალისწინებს შედეგებს, რომლებიც ამ დაშვებიდან გამომდინარეობს. მარკირების მიმართების განმსაზღვრელ ფუნქციონალურ ფაქტორთა შორის ყოველგვარი განმარტების გარეშე მას ერთმანეთის გვერდით მოპყავს სტრუქტურული ნეიტრალიზაცია და ოპოზიციურ ერთეულთა სიხშირული მიმართებანი. ამ ორმა კრიტერიუმმა კი ხშირად შეიძლება ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენება მოგვეცეს, რადგან სტრუქტურული ნეიტრალიზაცია ასახავს ოპოზიციურ ერთეულთა ქცევას ერთ გარკვეულ პირობასთან კავშირში, ხოლო სიხშირული მახასიათებლები გარკვეულ გასაშუალებულ, ცალკეულ პირობათაგან განყენებულ მონაცემებს წარმოადგენს.

წარმომშობი გრამატიკის ფონოლოგიურ კომპონენტში მარკირების მიმართება გაპირობებული ხასიათის მქონე მიმართების სახით შევიდა. ნ. ხომსკისა და მ. ჰალეს აზრით, ფონოლოგიური თეორიის ძირითად ნაწილს უნდა წარმოადგენდეს ოპოზიციურ ნიშანთა მარკირების პირობათა სისტემა. მარკირების პირობათა სისტემის დანიშნულებაა განსაზღვროს ნიშანთა რთულ სტრუქტურებად შეკავშირების წესები. ეს წესები კი ამავე ავტორების აზრით, უნივერსალური ხასიათისაა და განისაზღვრება ფონეტიკური მოვლენებით. მარკირების მიმართების ამსახველი წესები ასახავს ფონოლოგიურ ერთეულთა შინაგან სტრუქტურას და იერარქიულ დამოკიდებულებას¹⁸.

ნ. ხომსკისა და მ. ჰალეს, აგრეთვე პ. პოსტალს, მოცემული აქვთ ხმოვნების, თანხმოვნების, ლიკვიდების მარკირების პირობათა გარკვეული რიცხვი¹⁹. ავტორებს გათვალისწინებული აქვთ, რომ ამ ხასიათის წესთა რიცხვი ამოწურული არ არის.

ამგვარად, ჯ. გრინბერგის, ნ. ხომსკისა და მ. ჰალეს ნაშრომებში დაძლეულია მარკირების მიმართების ნ. ტრუბეცკოვისეული გააზრების ძირითადი ნაკლი და შექმნილია მარკირების ფუნქციონალური ასპექტის სრული გათვალისწინების პირობა.

მარკირების მიმართების გაპირობებული ხასიათის გამოვლენა გვაიძულებს ექვის თვალით შევხედოთ შემთხვევითი ხარვეზის ცნებას. შემთხვევითად მიიჩნევა პარადიგმატული სისტემებისა და დისტრიბუციული მოდელების ხარვეზები, რომელთა აღწერა ფონემათა კლასების ტერმინებით ვერ ხერხდება²⁰. ასეთ ხარვეზთა დიდი წილი სრულიად კანონზომიერი ხასიათისაა და განსაზღვრულია შეზღუდვებით, რომელთაც გამოვლენის პირობები ადებს დიფერენციალურ ნიშანთა ფუნქციონირებას.

¹⁸ N. Chomsky, M. Halle, *The Sound Pattern of English*, New-York, 1968, გვ. 67; 400—407; P. M. Postal, *Aspects of Phonological Theory*, New-York, 1968, გვ. 73, 89—90.

¹⁹ N. Chomsky, M. Halle, *The Sound Pattern...*, გვ. 404—407. P. M. Postal, *Aspects...*, გვ. 81. სინტერესოა ამ თვალსაზრისით ჩ. კერნის ნაშრომი, რომელშიც ჯ. გრინბერგის შერ დადგენილი ზოგადი დისტრიბუციული წესები განხილულია მარკირების მიმართების თვალსაზრისით C. E. Cairns, *Markedness, Neutralization and Universal Redundancy Rules*, *Language*, v. 45, № 4, 1969, გვ. 863—886.

²⁰ იხ. მაგ. H. Vogt, *Phoneme classes and Phonemic Classification*, *Word*, v. 10, № 1, 1964.

ჩვენ გვქონდა შემთხვევა გვეჩვენებინა, რომ ხარვეზიან პარადიგმატულ სისტემებს მკაცრად განსაზღვრული სახე აქვთ²¹. დასაშვებია, მაგალითად, შემდეგი ტიპის ხარვეზიანი სისტემების არსებობა:

b —	b p	b —	—	ც წ
d t	d t	d t	ჭ	ჩ ქ
g k	— k	— k		

და ვამორიციხულია ისეთები, როგორც იქნებოდა:

— p	b p	ძ ც წ
d t	d t	— ჩ ქ
g k	g —	

იგივე შეიძლება ითქვას სინტაგმატურ შეზღუდვათა შესახებაც. ქართულ ენაში /ბ/ ფონემის სისრულის ხარისხი, ანუ ვალენტობა ყველაზე მაღალია როგორც ლაბიალურ ფონემათა კლასში (ე. ი. ბ, ფ, პ-ს შორის), ისე მკვლერ ხშულთა კლასში (ე. ი. ბ, დ, გ-ს შორის)²². ხოლო /პ/ ფონემის სისრულის ხარისხი ყველაზე დაბალია ლაბიალურ ფონემათა კლასშიც და გლოტალიზებულ ფონემათა კლასშიც: ამდენად, /ბ/ ფონემას აქვს ინდივიდუალური გარემოცვები, რომლებიც არა აქვს მასთან ერთ კლასში გაერთიანებულ სხვა ფონემებს. ამდენად, ამ გარემოცვათა გარკვეული წილის აღწერა კლასთა ტერმინებით არ ხერხდება. უნდა ჩავთვალოთ თუ არა გარკვეულ პირობებში /ბ/-ს გამოვლენა და ამავე პირობებში /პ/-ს არარსებობა შემთხვევით მოვლენად? ვფიქრობთ, რომ ამ დისტრიბუციული ფაქტების შესაბამისობა ცარიელ უჭრათა განაწილების კანონზომიერებებთან და აგრეთვე სინშირულ მონაცემებთან (/ბ/ ჩვეულებრივ ყველაზე მაღალი ტექსტობრივი სინშირით ხასიათდება მკვლერ ხშულ ფონემათა შორის, ხოლო /პ/—ყველაზე დაბალი სინშირით გლოტალიზებულ ხშულ ფონემათა შორის) მიუთითებს მათ კანონზომიერ ხასიათზე.

ამრიგად, მარკირების მიმართების გაპირობებული ხასიათის დაშვება საშუალებას იძლევა უფრო ადეკვატურად აღვწეროთ ენობრივი ფაქტები, ჰრულად გავითვალისწინოთ ამ მიმართების განმსაზღვრელი ფუნქციონალური მოვლენები, იგი პერსპექტიულია იმ აზრით, რომ ამცილებს „გამონაკლისების“ რიცხვს ჩვენს აღწერაში და ზრდის კანონზომიერ მოვლენათა რიცხვს. სისტემაში ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში ამ ხარვეზის თავიდან აცილება კი არ ხდება როგორც „შემთხვევითი“ მოვლენისა, არამედ იგი გარკვეული

²¹ ი. მელიქიშვილი, მარკირების პირობები მკვლერობის, სიყრუის, ლაბიალობისა და ელარობის ნიშნებისათვის, მეცნე, 5, 1970; ი. მელიქიშვილი, სინშირულ მიმართებათა გაპირობებული ხასიათის შესახებ, მეტყველების ანალიზის საკითხები, IV, თბილისი, 1973.

²² იხ. რ. მდივანი, ფონემათა დისტრიბუციის აღრიცხვისათვის თანამედროვე ქართულში, მეცნე, 1, 1966; ც. ხარაშვილი, სალიტერატურო ქართული ენის ფონემათა დისტრიბუციული ანალიზი, მეტყველების ანალიზის საკითხები, 1969; ე. სიმონიშვილი, სიტყვება და ფუძის შორეულში ფონემათა განაწილების კანონზომიერებების შედარებითი შესწავლის ზოგიერთი შედეგები, იქვე.

ზოგადი კანონზომიერების გამოვლენად მიიჩნევა და ამ კანონზომიერების ძიებისაკენ უბიძგებს მკვლევარს.

4. მარკირების მიმართების გაპირობებული ხასიათი და დიფერენციალურ ნიშანთა სიმეტრიული განაწილების პრინციპი. მარკირების მიმართების გაპირობებული ხასიათის დაშვება აშკარად ზღუდავს დიფერენციალურ ნიშანთა სიმეტრიული განაწილების პრინციპს, რომელიც ერთი ნიშნის მქონე ფონემათა ერთგვაროვანი ფუნქციონირების დაშვებას წარმოადგენს. სისტემაში ერთეულთა სიმეტრიული განაწილების დაშვება კი სტრუქტურული ენათმეცნიერების ძირითად დაშვებას წარმოადგენს. როგორც ზემოთ ვნახეთ, მარკირების მიმართების გააზრება აბსოლუტური, განუპირობებელი მიმართების სახით ნ. ს. ტრუბეცკოს თეორიაში სწორედ ფონემური სისტემის სიმეტრიული ხასიათის შენარჩუნებას ემსახურებოდა.

განვიხილოთ უფრო დაწვრილებით მარკირების მიმართების გაპირობებული ხასიათის დაშვებისა და დიფერენციალურ ნიშანთა სიმეტრიული განაწილების პრინციპის ურთიერთმიმართების საკითხი: მოითხოვს თუ არა მარკირების მიმართების გაპირობებული ხასიათის აღიარება სიმეტრიულობის პრინციპის უარყოფას? და ამასთან დაკავშირებით: თუ მარკირების მიმართება აუცილებლობით გულისხმობს გამოვლენის პირობათა გათვალისწინებას, ხომ არ ნიშნავს ეს, რომ ფუნქციონალური კვალიფიკაცია უნდა მიეცეს ნიშანთა კომპლექსს და არა ცალკეულ ნიშნებს პირობებთან კავშირში. ამრიგად, დიფერენციალურ ნიშანთა სიმეტრიულობის პრინციპთან უშუალო კავშირშია ნიშანთა როგორც დამოუკიდებელ ფუნქციონალურ ერთეულთა სტატუსის საკითხი.

საკითხის ამ მეორე მხარეზე პირველად ჯ. მაკ-კოულიმ გაამახვილა ყურადღება. იგი ასე სვამს საკითხს: რა უფრო სამართლიანია, ვილაპარაკოთ ნიშანთა მარკირებაზე პირობებთან მიმართებით თუ ნიშანთა კომბინაციების მარკირებაზე?²³ გასარკვევია, მარკირების მიმართება მთლიანად რთული სტრუქტურების ფუნქციას წარმოადგენს, მარტივი ერთეულების რთულ სტრუქტურებად შეერთების შედეგად წარმოიქმნება, თუ უმარტივეს ოპოზიციურ ერთეულებს თავისთავად აქვთ გარკვეული ფუნქციონალური უნარი, რომელიც მოლოდინი კავშირის განიცდის სხვა ერთეულებთან ერთდამიერი და ხაზოვანი შეერთების პროცესში?

ვფიქრობთ, ემპირიული საფუძველი არსებობს იმისათვის, რომ აქ ჩამოყალიბებულთაგან მეორე ალტერნატივა ვარჩიოთ. ფონემათგანმასხვევებელ ნიშნებს, მათი აკუსტიკურ-არტიკულატორული თვისებების შესაბამისად, განსხვავებული ფუნქციონალური უნარი აქვთ, რომელზედაც გარკვეულ გავლენას ახდენს გამოვლენის პირობები—როგორც ერთდამიერი, ისე ხაზოვანი

²³ J. M. McCowley, Review: Current Trends in Linguistics, Language, 44, № 3, 1968, გვ. 566.

კონტექსტი²⁴. დიფერენციალურ ნიშანთა ფუნქციონალურ თავისებურებათა გამოვლენა ხერხდება ამ ნიშანთა მქონე მთელი ფონემური კლასების ფუნქციონირებაზე დაკვირვების შედეგად. ფუნქციონალური თავისებუბები, რომლებიც საერთოა გარკვეული ფონემური კლასისათვის, შესაძლებელია ამ კლასის გამართიანებელ ფონეტიკურ ნიშანს დაუკავშიროთ. მაგალითად, ექვს გარეშეა, რომ ქართული ენის როგორც მეღერ, ისე ყრუ ფშვინეიერ და ისე ყრუ გლოტალიზებულ ფონემებს გარკვეული ფუნქციონალური თავისებუბები ახასიათებთ, რომლებიც განასხვავებენ სხვადასხვა კლასის ფონემებს და აერთიანებენ ერთი კლასის ფონემებს. იგივე უნდა ითქვას ლაბიალური, დენტალური, ველარული კლასის ფონემათა შესახებ. ეს ფუნქციონალური თავისებუბები, ცხადია, უნდა მიეაწიროთ შესაბამის ფონეტიკურ თავისებუბას—მეღერობას, ასპირაციას, გლოტალიზაციას, ლაბიალობას, დენტალობას, ველარობას.

ამრიგად, შეიძლება გამოიყოს ფონემური კლასთა დამახასიათებელი ფუნქციონალური თავისებუბები და მიეწიროს ისინი ამ კლასთა წარმოქმნელ დიფერენციალურ ნიშნებს. მაგრამ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ფონემათა ყოველი ფუნქციონალური მახასიათებელი ვერ მიიჩნევა მის შემადგენელ დიფერენციალურ ნიშანთა ფუნქციონალურ თავისებურებათა გამოვლენად. რიგ შემთხვევაში ფონემები ავლენენ დამოუკიდებელ ფუნქციონალურ თავისებუბებს, რომლებიც აშკარად მათ შემადგენელ დიფერენციალურ ნიშანთა ურთიერთქმედების შედეგს წარმოადგენს. შესაბამისად, ფონემათა ფუნქციონირების ხასიათი შეიძლება იყოს ორგვარი: 1) ცალკეულ ფონემათა ფუნქციონირება მთლიანად გამოიყვანება იმ ფონემურ კლასთა ფუნქციონირებიდან, რომელთა შემადგენლობაშიც ისინი შედიან; 2) ცალკეულ ფონემათა ფუნქციონალური მახასიათებლები ვერ გამოიყვანება მთლიანად შესაბამისი დიფერენციალური ნიშნების ფუნქციონალური მახასიათებლებიდან. ასეთ შემთხვევებში საქმე გვაქვს დიფერენციალურ ნიშანთა გაპირობებულ ფუნქციონირებასთან.

განვიხილოთ დიფერენციალურ ნიშანთა ზოგიერთი გაპირობებული მიმართება კლასთა უპირობო მიმართებათა ფონზე. ჩვენ შესწავლილი გვაქვს დიფერენციალურ ნიშანთა მარკირების პირობები ჩქამიერ ფონემათა კლასებში, ჩვენი შედეგომი მსჯელობა ამ მასალას დაემყარება.

ჩვენ მიერ ემპირიულად მიღებულ ფონემათა მიმართებათაგან რიგი უგამონაკლისო სახეს ატარებდა, რიგი კი სტატისტიკური ხასიათისა იყო. თუ ფონემათა სიხშირულ მიმართებებს განვიხილავთ შესაბამისი დიფერენციალური ნიშნების სიხშირულ მიმართებათა ფონზე, შემდეგ სურათს მივიღებთ: ფონემათა მიმართებები, რომლებიც დიფერენციალურ ნიშანთა მიმართებებს ემთხვევა, უგამონაკლისოა, ხოლო ფონემათა მიმართებები, რომლებიც არ ემთხვევა დიფერენციალურ ნიშანთა მიმართებებს, სტატისტიკური ხასიათისაა²⁵. ცალკეულ ენებში მათ ცვლის ალტერნატიული მიმართებები, რომლებიც შესაბამის დიფერენციალურ ნიშანთა მიმართებებს ემთხვევა.

²⁴ საციოხის საპირისპირო გადაწყვეტისათვის იხ. Т. В. Гамкрелидзе, О соотношении смычных и фрикативных в фонологической системе, Материалы конференции по сравнительно-исторической грамматике индоевропейских языков, М., 1972, გვ. 11:

²⁵ ეს დებულება შეიძლება განვიხილოთ როგორც შევსება და დაუსტება უნივერსალურ იმპლიკაციათა ქვემარტივების იერარქიისა, რომელიც წარმოადგენილია ჟ. გრინბერგის ნაშრომში: Synchronic and Diachronic Universals in Phonology, გვ. 513.

სანიშნო მდგომარეობაშია ლაბიალური და ველარული რიგის ფონემების ურთიერთმიმართება ხშულთა კლასში, სისინა და შიშინა რიგის ფონემების ურთიერთმიმართება ნაპარალოვანთა და აფრიკატთა კლასებში და ასპირირებულ და გლოტალიზებულ ფონემათა ურთიერთმიმართება ხშულთა და აფრიკატთა კლასებში.

1. ხშულ ფონემათა კლასში ველარული რიგის საერთო სიხშირე სკარბობს ლაბიალური რიგის საერთო სიხშირეს. მოგვეყავს საშუალო სიხშირულ მონაცემები კავკასიური ტიპის ენებისა²⁶ და ინდოევროპული ტიპის ენებისათვის²⁷.

კავკასიური ენები		ინდოევროპული ენები	
ლაბიალური	3.45		3.87
დენტალური	5.61		9.50
ველარული	4.46		4.73

ლოკალური რიგების მიმართება მედერ და ყრუ ხშულ ფონემათა კლასებში ერთგვარი არ არის, იგი გაპირობებულ ხასიათს ამჟღავნებს. მედერ ფონემათა კლასში ლაბიალური ფონემის სიხშირე სკარბობს ველარული ფონემის სიხშირეს, ხოლო ყრუ ფონემად კლასში — პირიქით, ველარული ფონემის სიხშირე სკარბობს ლაბიალური ფონემის სიხშირეს. მოგვეყავს კვლავ საშუალო მონაცემები.

კავკასიური ენები		ინდოევროპული ენები	
ბ 2.73	ფ 0.54	ჰ 0.18	პ 2.75
დ 3.95	თ 1.85	ტ 0.81	ბ 1.22
გ 1.69	ქ 1.54	კ 1.23	ტ 6.36
			დ 3.14
			კ 3.66
			გ 1.07

ამრიგად, მიმართება ყრუ ფონემათა კლასებში იდენტურია ლოკალური რიგების საერთო მიმართებისა, ხოლო მედერ ფონემათა კლასებში — საერთო სიხშირულ მიმართებათა საპირისპიროა. შესაბამისად, ყრუ ფონემების მიმართება (ველარული ფონემის /k/ სიხშირე მეტია ლაბიალური ფონემის /p/ სიხშირეზე) ჩვენი მასალის ფარგლებში უგამონაკლისოა, ხოლო მიმართებას მედერთა კლასში (ლაბიალური /b/-ს სიხშირე მეტია ველარული /g/-ს სიხშირეზე), რომელიც გადახრას წარმოადგენს საერთო მიმართებისაგან, აქვს გამონაკლისები. შებრუნებული მიმართება, რომელიც ლოკალური რიგების საერთო სიხშირულ მიმართებას შეესაბამება, გვაქვს შემდეგ ენებში: მეგრულ-

²⁶ აქ მოყვანილი საშუალო მონაცემები ვანსხეალებმა ჩვენს ადრინდელ შრომაში მოყვანილი საშუალო მონაცემებისაგან, რადგან ამჟერად საშუალო სიდიდეების გაანგარიშებისას გამოვიყენებთ ოსური ენის მასალას, რომელიც ტიპოლოგიურად თუმცა ახლოს დგას იბერიულ-კავკასიურ ენებთან, მაგრამ ეს სიახლოვე ახლად მიღებულ მოკლენას წარმოადგენს.

²⁷ მოგვეყავს გ. ეიპის მონაცემები, რომლებიც ემყარება შემდეგი ენების მასალას: ჩეხური, კოლანდიური, ინგლისური, უნგრული, ლიტვური, ჩრდილო რუსული, სამხრეთ რუსული, უკრაინული, ბულგარული, ბერძნული, სანსკრიტი, ლათინური, იტალიური, ესპანური, პორტუგალიური, ფრანგული, უნგრული. იხ. G. K. Zipf, Selected Studies of the Principle of Relative Frequency in Language, Cambridge, Mass., 1932, ტერმინებს „კავკასიური“ და „ინდოევროპული“ აქ ვხვდებით ტიპოლოგიური და არა გენეტიკური აზრით.

ქანურში, სვანურში, ძველ ქართულში, აფხაზურში²⁸; ბულგარულში, პორტუგალიურში, უნგრულში²⁹, შვედურში, ფილიპინურში³⁰.

2. ნაპარალოვანთა კლასში სისინა ფონემების სიხშირე სპარბობს შიშინა ფონემების სიხშირეს, აფრიკატთა კლასში კი ჩვეულებრივ შებრუნებულ მიმართებას აქვს ადგილი. მოგვყავს კავკასიურ ენათა საშუალო მონაცემები:

	ნაპარალოვნები	აფრიკატები
სისინა	3,54	1,43
შიშინა	1,86	1,75

ცარიელ უჭრათა განაწილების თვალსაზრისითაც აფრიკატთა კლასში შიშინა რიგს ენიჭება უპირატესობა სისინასთან მიმართებით. შიშინა აფრიკატთა რიგში ხარვეზი გვაქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სისინა აფრიკატთა შესაბამისი უჭრა ცარიელია.

სისინა და შიშინა ფონემების საერთო მიმართება კი ისეთია, რომ სისინა უონემების საერთო სიხშირე სპარბობს შიშინა ფონემების საერთო სიხშირეს:

სისინა 4.57
შიშინა 3.61

შესაბამისად, ნაპარალოვანთა კლასში არსებული მიმართება, რომელიც იშინათა საერთო მიმართებას ემთხვევა, რეალიზაციის გაცილებით უფრო მაღალი ხარისხით ხასიათდება, ვიდრე აფრიკატთა კლასში არსებული მიმართება, რომელსაც გამონაკლისთა გაცილებით უფრო დიდი რიცხვი ახასიათებს.

3. გლოტალიზაციისა და ასპირაციის ნიშნების ერთი სისტემის ფარგლებში თანაარსებობის შემთხვევაში ასპირაციის ნიშნის საერთო სიხშირე სპარბობს გლოტალიზაციის ნიშნის საერთო სიხშირეს. მოვიყვანთ საშუალო მონაცემებს კავკასიური ენებისათვის:

	ხშულები	აფრიკატები
ასპირაცია	3.93	2.20
გლოტალიზაცია	2.22	1.60

პირობები, რომლებშიც შებრუნებულ ვითარებას შეიძლება ექნეს ადგილი, შემდეგია: ხშულთა კლასის ველარული რიგი და აფრიკატთა კლასი. აქ ხშირად გლოტალიზებულ ფონემათა სიხშირე სპარბობს ასპირირებულ ფონემათა სიხშირეს. რიგ ენობრივ სისტემაში გვაქვს $F_{(s)} > F_{(j)}$ (ძვ. ქართული, სვანური ენის ლენტეხური კილო, ანდიური, დიდოური, ლაკური, ბაცბური, აფხაზური); $F_{(f)} > F_{(b)}$ (მეგრული, ქანური, კუბაჩური); $F_{(z)} > F_{(r)}$ (ანდიური, ბოთლიხური, დიდოური, ლაკური); $F_{(s)} > F_{(z)}$ (ხევსურული, სვანურის ლენტეხური კილო,

²⁸ იხ. ჩენს ზემოდასახელებულ ნაშრომში წარმოდგენილი მასალა: შიენე, 5, 1970.

²⁹ G. K. Zipf, დასახ. ნაშრომი.

³⁰ B. Sigurd, Rank-Frequency Distributions of Phonemes, *Phonetica*, v. 18, № 1, 1968.

ანდიური, ახვანური, კუბაჩური). მაგრამ ამგვარი ფონემური მიმართება, რომელიც ეწინააღმდეგება ნიშანთა საერთო მიმართებას, ამ რიგებისათვის ერთადერთ მიმართებას არ წარმოადგენს. მთელ რიგ ენებში გვაქვს მიმართება $F_{(3)} > F_{(4)}$; $F_{(6)} > F_{(7)}$; $F_{(8)} > F_{(9)}$; $F_{(1)} > F_{(2)}$, რომელიც ასპირაციისა და გლოტალიზაციის ნიშანთა საერთო მიმართებას ემთხვევა.

სამაგიეროდ ასპირირებული და გლოტალიზებული ფონემების მიმართება ლაბიალურ რიგში $F_{(9)} > F_{(1)}$, რომელიც ნიშანთა საერთო მიმართებას ემთხვევა, უგამონაკლისია, ხოლო დენტალურ რიგში ამ მიმართებისათვის ჩვენთვის მხოლოდ ერთი გამონაკლისია ცნობილი (აფხაზური).

მოყვანილი მასალა, ვფიქრობთ, საფუძველს გვაძლევს დაეასკვნათ, რომ მარკირების მიმართების გაპირობებული ხასიათი არ ეწინააღმდეგება დიფერენციალური ნიშნის ფუნქციონალურ რეალობას და არ გამორიცხავს დიფერენციალურ ნიშანთა სიმეტრიული განაწილების პრინციპს. როგორც ჩანს, ეს ორი წარუღნა (დიფერენციალურ ნიშანთა ფუნქციონირების სიმეტრიულობა და გაპირობებულობა) მუდმივ ურთიერთმოქმედებაში იმყოფება, ისინი მუდმივად ზღუდავენ ერთმანეთს. ამასთან, ცალკეულ ენებში ხან ერთი იმარჯვებს და ხან მეორე. ამდენად, შესაძლებელია საფუძველს არ იყოს მოკლებული იმ მკვლევართა აზრი, რომელნიც წარმოქმნილი გრამატიკის ფონოლოგიურ კომპონენტში სიმეტრიის პრინციპის შეტანის საჭიროებაზე მიუთითებენ³¹.

ზოგად მიმართებათა თვალსაზრისით, ხან გაპირობებული მიმართებები წარმოგვიდგება ძირითად, დომინანტურ მიმართებებად, და სიმეტრიის პრინციპი გადახრათა წყაროს წარმოადგენს (ჩვენ მიერ ზემოთ განხილული პირველი და მეორე შემთხვევები), ხან პირიქით, ძირითადი მიმართება დიფერენციალურ ნიშანთა მიმართებას ემთხვევა და გადახრები ფუნქციონირების პირობებით იხსნება (ჩვენ მიერ განხილული მესამე შემთხვევა).

ამრიგად, ფონოლოგიური დონის უნივერსალური წესების სტატისტიკური ხასიათი, როგორც წესი, ამ ორი ძირითადი პრინციპის ურთიერთმოქმედების შედეგებს უნდა წარმოადგენდეს³². ამასთან, რამდენადაც კლასთა მიმართებების ზემოქმედება ფონემურ მიმართებებზე (ე. ი. გაპირობებულ მიმართებათა სიმეტრიის პრინციპისათვის დამორჩილება) დიაქრონიული პროცესების გზით ხორციელდება, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შესაძლებელი უნდა იყოს ზოგადი მიმართებიდან გადახრის დიაქრონიული გზების ჩვენება. ზოგად მიმართებათაგან გადახრის ასხნა ორი რიგის მოვლენათა საფუძველზე არის შესაძლებელი: 1. ზოგადი პრინციპების ურთიერთმოქმედების საფუძველზე და 2. დიაქრონიულ პროცესთა საფუძველზე. ამასთან მეორე პირველის რეალიზაციას, გამოვლენის ფორმას წარმოადგენს.

კიდევ ერთ საბუთს იმისას, რომ მარკირების მიმართება პირველ ყოვლისა დიფერენციალურ ნიშნებს უნდა მიეწეროს, იძლევა კონსონანტურ

³¹ G. Sampson, On the Need of a Phonological Base, v. 46, № 3, 1970.

³² ჩ. ოსგუდს სტატისტიკური უნივერსალები განსაკუთრებით სინტერესოდ მაჩინია, რადგან, მისი აზრით, უნივერსალურ მიმართებათა გამონაკლისები ფუნქციონალურ კანონთა მთელი სიბრავლის ურთიერთქმედებას ასახვენ. იგი ფიქრობს, რომ არაუნივერსალური, მაგრამ კანონზომიერი მოვლენის რთული მოდელირებიდან შესაძლებელია გამოიყვანოთ ენის განმსაზღვრელი პრინციპები. C. E. Osgood, Language Universals and Psycholinguistics and Psycholinguistics, Cambridge, 1961, გვ. 302.

და ვოკალურ, ორალურ და ნაზალურ ფონემათა შედარებითი ფუნქციონალური ანალიზი. ნაზალობის ნიშანი ორალობასთან შეპირისპირებით მარკირებულ ნიშნად უნდა დახასიათდეს. ამის საფუძველი შემდეგია: 1. ნაზალურ ფონემათა რიცხვი არ შეიძლება იყოს მეტი, ვიდრე ორალურ ფონემათა რიცხვი, ე. ი. ორალურ ფონემათა კლასის დიფერენციაციის ხარისხი ყოველთვის უფრო მაღალია, ვიდრე ნაზალურ ფონემათა დიფერენციაციის ხარისხი. 2) საერთო სიხშირე ორალური ფონემებისა ყოველთვის სპარბობს ნაზალურ ფონემათა საერთო სიხშირეს.

მაგრამ ცალკეულ ნაზალურ ფონემათა სიხშირე ხშირად ცალკე აღებული ორალური ფონემების სიხშირეზე მაღალი აღმოჩნდება. ამიტომ ცალკეულ ფონემათა მიხედვით რომ ვიმსჯელოთ, ვერ გამოვაყენებთ ორალურ და ნაზალურ ფონემათა ფუნქციონალურ მიმართებას. მაგრამ რამ შევადაროთ ორალობის ნიშნისა და ნაზალობის-ნიშნის სიხშირე, ორალთა საერთო სიხშირე უფრო მაღალი აღმოჩნდება, ვიდრე ნაზალთა საერთო სიხშირე. იგივე ითქმის ვოკალურ და კონსონანტურ ფონემათა მიმართებაზე—კონსონანტურ ფონემათა რიცხვი ენებში ჩვეულებრივ სპარბობს ვოკალურ ფონემათა რიცხვს, კონსონანტურ ფონემათა საერთო სიხშირე ჩვეულებრივ მეტია ვოკალურ ფონემათა სიხშირეზე, მაგრამ ცალკეულ ვოკალურ ფონემათა სიხშირე ხშირად მეტია ცალკე აღებულ კონსონანტურ ფონემათა სიხშირეზე.

ამ ფაქტების დამაკმაყოფილებელი აღწერა და რამდენადმე ახსნაც შეუძლებელია, თუ მარკირების მიმართებას მივიჩნევთ ფონემათა მიმართებად და არა დიფერენციალურ ნიშანთა მიმართებად, ხოლო დიფერენციალურ ნიშანთათვის ამ მიმართების მიწერის შემთხვევაში კი ფაქტები შემდეგნაირად შეიძლება აღვწეროთ:

ზემომოყვანილ შემთხვევაში ორი კრიტერიუმი (დიფერენციალური ნიშნებით წარმოქმნილი ფონემური კლასების დიფერენციაციის ხარისხი და დიფერენციალურ ნიშანთა სიხშირული მიმართება) შეთანხმებულ ჩვენებას იძლევა. მათ საფუძველზე კონსონანტობის ნიშანი შეიძლება არამარკირებულად მივიჩნიოთ ვოკალობასთან მიმართებით, ხოლო ორალობისა—ნაზალობასთან მიმართებით. დიფერენციალური ნიშნის საერთო სიხშირე ნაწილდება ამ ნიშნის მქონე ფონემებზე. რამდენადაც მარკირებული ნიშანი ნაკლებ ფონემებს წარმოქმნის, იქმნება პირობა, რომ ამ კლასის ცალკეულ ფონემათა სიხშირე მაღალი აღმოჩნდეს არამარკირებული ნიშნით შედგენილ ფონემათა სიხშირეზე, რამდენადაც ამ უკანასკნელთა რიცხვი გაცილებით უფრო დიდია³³.

5. დასკვნა. ამრიგად, ჩვენ ცალმხრივად მიგვაჩნია როგორც მარკირების მიმართების აბსოლუტური ხასიათის დაშვება, ისე მისი გაპირობებული ხასიათის აბსოლუტობაცია. ვფიქრობთ, მოვლენის ქეშმარიტი არსის სხვადასხვა მხარეებია შენიშნული, ერთი მხრივ, ნ. ტრუბეცკოისა და, მეორე მხრივ, თანამედროვე მკვლევართა ნაშრომებში და სრული სურათი ამ ორი თვალსაზრისის შეერთების შედეგად უნდა მივიღოთ.

დაპირისპირებულ ერთეულთა ფუნქციონირება ხშირად გაპირობებულ ხასიათს ამჟღავნებს.—ფონოლოგიურ თეორიას უნდა შეეძლოს ამ ფაქტის ფიქსირება და ახსნა. ნ. ს. ტრუბეცკოის თეორიის ნაკლად უნდა მივიჩნიოთ

³³ ამ რიგის ფაქტების სხვაგვარი ინტერპრეტაციისათვის იხ. А. А. Исенгельдикა. Некоторые вопросы фонологической статистики, ВЯ, 5, 1972, გვ. 128.

ამ რიგის მოვლენათა შეგნებული გამორიცხვის ტენდენცია მარკირების მიმართების განსაზღვრიდან, მაგრამ ეს არ უნდა ნიშნავდეს დიფერენციალურ ნიშანთა ფუნქციონალური დამოუკიდებლობის და მათი განაწილების სიმეტრიული ხასიათის სრულ უარყოფას. ეს არ ნიშნავს იმას, რომ მარკირება მთლიანად რთული სტრუქტურების, ფონემების ფუნქციად უნდა გამოვაცხადოთ.

ამის საწინააღმდეგოდ მეტყველებს ისიც, რომ გაპირობებულია არა მართო დიფერენციალურ ნიშანთა ფუნქციონირება ფონემის სტრუქტურაში, არამედ ფონემათა ფუნქციონირება ფონემთშეერთების სტრუქტურაშიც. და თუ ამგვარი ფაქტები ფუნქციონალურ თვისებათა რთული სტრუქტურებისათვის მიწერის საფუძვლად ჩავთვალოთ, მაშინ ვერც ფონემას ჩავთვლით ძირითად ფუნქციონალურ ერთეულად. უფრო თანმიმდევრული იქნებოდა ფონემთშეერთების შეფასება მარკირების მიმართების თვალსაზრისით.

ვფიქრობთ, რომ ფონოლოგიური დონის უმცირეს ერთეულად, რომელსაც ფუნქციონალური თვისებები შეიძლება მიუწეროს, დიფერენციალური ნიშანი უნდა მივიჩნიოთ, მაგრამ გარკვეული ფუნქციონალური თვისებები აქვთ ფონოლოგიური დონის უფრო რთულ ერთეულებსაც—ფონემებსა და ფონემთშეერთებებს. ამ რთულ სტრუქტურათა ფუნქციონალური თვისებები ნაწილობრივ მათი შემადგენელი დიფერენციალური ნიშნების თვისებებით არის განსაზღვრული, ნაწილობრივ კი ამ ნიშანთა ურთიერთშეერთების შედეგადაა წარმოქმნილი.

დაბოლოს, გვინდა დავუმატოთ, რომ თუმცა ფონოლოგიური დონის უმცირეს ფუნქციონალურ ერთეულებად დიფერენციალური ნიშნები უნდა მივიჩნიოთ იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ არ არსებობს დისტინქციური (სიტყვათგანმასხვავებელი) ფუნქციის მქონე უფრო მცირე ერთეულები, მაგრამ მათ ფუნქციონირებაზე დაკვირვება ავლენს დიფერენციალურ ნიშანთა რთულ სტრუქტურას, გამოგვავლენინებს დიფერენციალურ ნიშანთა კომპონენტებს, რომელთაც შეიძლება მიუწეროს დიფერენციალურ ნიშანთა ფუნქციონირების ესა თუ ის თვისებებებანი.

И. Г. МЕЛИКИШВИЛИ

ОБ ОТНОСИТЕЛЬНОМ ХАРАКТЕРЕ ОТНОШЕНИЯ МАРКИРОВАННОСТИ

Резюме

Основной отличительной чертой современной трактовки отношения маркированности является допущение об относительном характере этого отношения.

Однако, допущение относительного характера маркированности не должно приводить к полному отказу от принципа симметричного распределения признаков. Дифференциальные признаки имеют функциональные свойства, которые определенным образом модифицируются в процессе функционирования под влиянием условий проявления.

Удается выделить случаи, в которых наглядно прослеживается взаимодействие функциональных свойств признаков и функциональных свойств отдельных фонем.

Сравнивая частотные соотношения фонем (т. е. соотношения условных вероятностей признаков) с частотными соотношениями классов фонем (т. е. с соотношениями независимых вероятностей признаков) получаем следующий результат: правила, отражающие частотные отношения фонем, которые совпадают с частотными отношениями признаков, почти не имеют исключений, а правила, отражающие частотные отношения фонем, отличные от частотных отношений соответствующих признаков, обычно носят статистический характер.

Это наблюдение основывается на следующих данных:

1. Общее соотношение вероятностей признаков велярности и лабиальности в классе смычных таково: частотность велярных выше частотности лабиальных.

Отношение частотности лабиальных и велярных фонем в классе глухих, которое совпадает с частотным соотношением признаков, не имеет исключений в пределах нашего материала, а соотношение частотностей лабиальной и велярной фонемы в классе звонких, которое отличается от частотного соотношения признаков, — имеет исключения.

2. Общая частотность свистящих фонем выше общей частотности шипящих. Соотношение свистящих и шипящих щелшных, совпадающее с соотношением признаков, почти не имеет исключений, а частотные соотношения свистящих и шипящих аффрикат, не совпадающие с соотношением признаков, имеют большее число отклонений.

3. В случае наличия в одной системе признаков аспирации и глоттализации общая частотность признака аспирации выше общей частотности признака глоттализации.

В классах велярных смычных и аффрикат наблюдается обусловленное функционирование признака глоттализации. Во многих системах в этих классах частотность глоттализованных фонем превышает частотность аспирированных фонем. В классах латеральных и фарингальных аффрикат глоттализованные функционально настолько сильны, что среднее частотное соотношение изменено в пользу глоттализованных фонем. Но и здесь обусловленное соотношение не является единственным для всех языков, в некоторых системах те же фонемы связаны соотношением, идентичным соотношению признаков.

Приведенные данные отражают постоянное взаимодействие, взаимограничение тенденций симметричного распределения признаков и причин, определяющих обусловленный характер функционирования признаков — в отдельных языках побеждает то первая тенденция, то вторая. С точки зрения общих закономерностей в некоторых случаях доминируют обусловленные отношения, а принцип симметрии является источником отклонений, в других случаях же наоборот, обусловленные отношения носят характер отклонений.

ლ. აბულაძე

სტატისტიკური მეთოდები სემანტიკაში

(ლიტერატურის მიმოხილვა)

მიუხედავად იმისა, რომ მნიშვნელობა ენის ერთ-ერთი არსებითი ასპექტია, ის სავსებით გამოორციხული იყო საენათმეცნიერო კვლევებიდან რამდენიმე ათეული წლის მანძილზე. „სემანტიკა თანამედროვე ლინგვისტიკის განვითარების ზოგადი მიმართულების გარეთ დარჩა“,—წერდა 1953 წელს ს. ულმანი¹. ამგვარი მდგომარეობა გამოწვეული იყო იმით, რომ ენათმეცნიერებაში გაბატონებული სტრუქტურალიზმის ძირითადი სკოლები ყურადღების ცენტრში აქცევდნენ სტრუქტურის შესწავლას, რაც ამოიწურებოდა მიმართებათა კვლევით. ენობრივი სუბსტანციები კი—ბგერები და მნიშვნელობები—გამოდეენილი იყო შესწავლის სფეროდან. მაგრამ საენათმეცნიერო კვლევა-ძიების პრაქტიკამ ნათელყო ენის სრული ანალიზის შეუძლებლობა სემანტიკის გათვალისწინების გარეშე. ამიტომ გასაგებია ის ყურადღება, რომელიც უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში ეთმობა სემანტიკას. ამ გარემოებას ხელს უწყობს აგრეთვე ენათმეცნიერების კონტაქტების გაფართოება ისეთ მეცნიერებებთან, როგორცაა ექსპერიმენტული ფსიქოლოგია, სტრუქტურული პოეტიკა, მათემატიკური ლოგიკა და ლოგიკური სემანტიკა, სემიოტიკა და სხვ.²

აღსანიშნავია სამი ძირითადი ცენტრი, რომელიც ამ უკანასკნელი ათეული წლის მანძილზე ცდილობს მოახდინოს სემანტიკის ფორმალიზაცია. ესენია: მანქანური თარგმნის ლაბორატორია მოსკოვის უცხო ენათა პედაგოგიურ ინსტიტუტში, ჩეკატოს ჭვუფი მილანში (იტალია) და კემბრიჯის ჭვუფი ინგლისში. ამ სამეცნიერო ცენტრების გამოკვლევებში სტატისტიკურ მეთოდებს მცირე ადგილი უჭირავს, ამიტომ ჩვენ მათ დაწვრილებით დახასიათებაზე არ შევჩერდებით. მოკლედ შევნიშნავთ მხოლოდ, რომ ამ ჭვუფებს ერთმანეთთან აკავშირებთ შემდეგი: სიტყვის მნიშვნელობის აღწერას ისინი აწარმოებენ ამ მნიშვნელობის შემადგენელ რაღაც ელემენტარულ კომპონენტებ-

¹ Ст. У л ь м а н, *Дескриптивная семантика и лингвистическая типология*, Новое в лингвистике, II, Москва, 1962, 17.

² Вяч. В. И в а н о в, *Об исследовании семантики в современной науке*, Проблемы формализации семантики языка, — Тезисы докладов, М., 1964.

ზე, ანუ „აზრობრივ ატომებზე“ მითითებით, ე. ი. მინიმალური სემანტიკური ერთეულების გამოყოფის გზით³.

კომპონენტური ანალიზის პრინციპები ჯერ კიდევ იელმსლევის, სეპირისა და პარისის ნაშრომებში გვხვდება.

³ დაწერილობით ამ ჩვენების შესახებ იხ. Э. А. Альбани, С. Чекато, Э. Маррети, Семантическая классификация, шрифта и код операционной грамматики; М. Мастерман, Тегаурис в синтаксисе и семантике; ее же, «Исучение семантической структуры текста для машинного перевода с помощью языка-посредника», в кн. «Математическая лингвистика», М., 1964. ჩუატოს ჩვენების კვლევების საბოლოო მიზანს წარმოადგენს თარგმნის მექანიზაცია, რომლის პირველ საფეხურზე ხორციელდება სიტყვების სემანტიკური კლასიფიკაცია. მათ აინტერესებთ კორელაციების გამოხატვა ენაში. რა არის კორელაციები?

იღამიანი აზროვნებს, იმიტომ რომ სინამდვილის მონაცემებს რაღაც თანმიმდევრობებს ანიჭებს. ასეთი თანმიმდევრობების დადგენა არის კორელაციური ოპერაციის მიზანი. აზროვნება სხვა არა არის რა, თუ არა სხვადასხვა ტიპის კორელაციების დადგენა. კორელაციის დროს გვაქვს ორი მოვლენა — ორი კორელატი და მესამე მოვლენა — კორელატორი, რომელიც დროში ედება ზემოდან ორ კორელატს.

კორელატების სემანტიკური კლასიფიკაცია შემდეგ კრიტერიუმებს ექვემდებარება: დამოკიდებულების ტიპი, მოვლენის სივრცობრივ ლოკალიზაციაზე მითითება და ა. შ.

კორელატორები შეიძლება სამ კლასად დაჯგუფდეს: 1) ისეთები, რომლებიც მხოლოდ წინადადებებს აკავშირებენ; 2) ისეთები, რომლებიც მხოლოდ სიტყვებს ან შესიტყვევებს აკავშირებენ; 3) ისეთები, რომლებიც ორივე ტიპს აკავშირებენ.

ზოგიერთი სიტყვა და სინტაქსური კონსტრუქცია ენაში პოლისემიურია. ასეთ შემთხვევაში ოპერაციონული სკოლის წარმომადგენლები წაიღწენ ცნობილი გზით. მათ მიიღეს მხედველობაში სხვაობა, რითაც ტექსტში გვხვდება პოლისემიური. სიტყვის სხვადასხვა მნიშვნელობები. აქ დასჭირდათ მათ ტექსტის სტატისტიკური ანალიზი.

კორელატებისა და კორელატორთა კლასიფიკაციის შედეგად ყველა სიტყვას შეიძლება მიეწეროს გარკვეული ინდექსი, რომელიც მიუთითებს მის ადგილს ამ კლასიფიკაციაში.

კემბრიჯის ჯგუფი სხვა გზით ახდენს სიტყვათა სემანტიკურ კლასიფიკაციას. მათ შედგენილი აქვთ ცნებების ლექსიკონი ინგლისური ენისათვის. ძირითადი სიტყვები და შესიტყვევები დაჯგუფებულია 750 თემის (ანუ დესკრიპტორის) მიხედვით. სახელწოდებები აღებულია როჯეტის თეზაურუსიდან (Roget, Thesaurus of English Words and Phrases, London, 1953). ამიტომ კემბრიჯის ჯგუფის მეთოდს თეზაურუსების მეთოდსაც უწოდებენ. (Ю. А. Апресян, Современные методы изучения значений и некоторые проблемы структурной лингвистики, в кн.: Проблемы структурной лингвистики, М., 1963, 102—150). როჯეტის თეზაურუსი წარმოადგენს ინგლისური სიტყვების სიმრავლეს, დაყოფილს თემატურ კლასებად. კლასები თავის მხრივ იყოფიან ქვეკლასებად, თითოეული მათგანი წარმოადგენს უფრო წვრილი თემატური ჯგუფის გაერთიანებას (ან „თემას“). სულ ლექსიკონშია 6 დიდი კლასი, 24 ქვეკლასი და 1000 თემა. თემის მავალითება: „თემლი“, „ნაწილი“, „დრო“ ...

თემები ვაიგება, როგორც ტიპობრივი სემანტიკური კონტექსტები სიტყვებისათვის, ხოლო სიტყვის სემანტიკური კონტექსტების კლასი — როგორც თემების სიმრავლე, რომლებიც შეიძლება მას მიეწეროს. ელემენტარული ცალკე მნიშვნელობის მქონე კონტექსტი (თემა) მიიღება პირველად. ეფესაზერულ ცნებად. ყოველ სიტყვას შეიწერება იმ თემების ინდექსები, რომლებსაც ის ეკუთვნის. ამიტომ ყოველი სიტყვა შეიძლება დახასიათდეს ინდექსების გროვით, ეს ინდექსების ჯგუფები სხვადასხვა სიტყვისათვის, როგორც წესი, სხვადასხვაა. თეზაურუსის მეოთხედ შეიძლება ჩაიწეროს არა მარტო სიტყვის მნიშვნელობა, არამედ წინადადებისაც. არსებობს თეზაურუსის აგების ავტომატური ხერხი, რომელიც აღწერილია ჟურნალის სტატიაში: K. Spark Jones, Mechanized Semantic Classification, The International Conference on Machine Translation of Languages and Applied Language Analysis, Proceedings, 1961, 1962, v. 2, გვ. 418—435.

თეზაურუსის აგების პროცედურა ორ ეტაპად იყოფა: 1) რიგების აგება, ე. ი. ვეკივალენტური სიტყვა-ხმარებების კლასების აგება; 2) ცნებური ჯგუფების აგება, ე. ი. რიგების, კლასების. „თემების“ — აგება. მეორე ოპერაცია ავტომატურებულია.

რაც შეეხება მნიშვნელობის შესწავლის დროს სტატისტიკური მეთოდების გამოყენებას, აქ პირველ რიგში უნდა გამოიყოს ორი რიგის გამოკვლევები.

პირველი რიგის გამოკვლევები მიზნად ისახავენ სიტყვების მნიშვნელობათა ანალიზს, მათ დახასიათებას, სემანტიკურ სისტემაში მათი ადგილის დადგენას ალბათობრივი პარამეტრების საშუალებით.

მეორე რიგის გამოკვლევები ეხება მნიშვნელობის სტრუქტურის ფსიქოლინგვისტური შესწავლის ექსპერიმენტში სტატისტიკის გამოყენებას.

რიგი ეწოდება ელემენტა სისრულ კლასს, რომლის წევრებიც ურთიერთშემეკლენი არიან S_n წინადადების n პოზიციებში. რიგი აივება იმის მიხედვით, თუ როგორ არის განმარტებული სიტყვა ლექსიკონში. ლექსიკონიდან შეკლევარი იღებს სინონიმურ დაჭვუფებებს, რომლებიც განიხილება როგორც რიგები.

თემის აგებისათვის შემდეგი რამ არის დაშვებული: ერთი სიტყვის განსხვავებული ხმაარება სემანტიკურად ახლოს დგას ერთმანეთთან (შდრ. სქელი კაცი, სქელი ასოები, სქელი რეუელი). ამ დაშვების საფუძველზე დგება რიგები: 1) a, b, c; 2) e, b, c; 3) i, b, c; ისინი ერთმანედთან ერთ ჩვუფში იმის საფუძველზე, რომ სამივე რიგი შეიცავს ხ-სა და ც-ს. რაც უფრო მეტა რამდენიმე რიგისათვის ნიშანთა საერთო რაოდენობა, მით უფრო მეტა ამ რიგების სემანტიკური მსგავსება. ორი რიგის სემანტიკური სიახლოვე გამოითვლება ფორმულით:

$$S = \frac{\text{ორი რიგისათვის საერთო ნიშანთა რიცხვი}}{\text{ორ რიგში განსხვავებულ ნიშანთა რიცხვი}}$$

ჩვუფების დასადგენად გამოყენებულია რამდენიმე ფორმულა. მათი აგებისათვის შემუშავებული იყო ალგორითმის სახის პროცედურა. მიიღება კონცეფტუალური დაჭვუფებები (კონცეფტუალური ჩვუფებში ივლისსხება იმ რიგთა ჩვუფები, რომლებიც ასახავენ მსგავს ექსტრალინგვისტურ სიტუაციებს). ქონუნის ექსპერიმენტი შემოწმდა მანქანაზე და საკმაოდ კარგი შედეგები გამოიღო.

III ჩვუფს, რომელიც სემანტიკის კვლევით არის გატაცებული, მოსკოვის უცხო ენათა ბედაგოგური ინსტიტუტის მანქანური თარგმნის ლაბორატორიას, სინტერესო მიღვამა ახასიათებს სემანტიკისადმი. ამ ჩვუფის თვალსაზრისით მოკლედ და ამოწურავეად არის წარმოდგენილი ი. მელჩუკის წერილში: «К принципам описания означаемых» (О лингвистической семантике) «Язык и человек», М., 1970, 201—218. აი ეს თვალსაზრისიც:

1. პრაქტიკული მიზნებისათვის განმარტებით ლექსიკონებში სიტყვის მნიშვნელობები ხშირად აღწერილია სინონიმებზე მითითებით. მეცნიერული მიზნებისათვის ეს დაუშვებელია. რომელიმე ობიექტის თეორიული აღწერისათვის უნდა მიეთითოთ რაღაც ელემენტარულ კომპონენტებზე — ანუ „აზრობრივ ატომებზე“, რომლებისგანაც ის შედგება (სემანტიკური მამრავლები).

2. მნიშვნელობის აღწერის დროს აუცილებელია აზრობრივი ატომების მკაცრი ორგანიზაცია, სტრუქტურული მოყვანა. გამონათქვამის აზრი უნდა იყოს წარმოდგენილი „სტრუქტურული ფორმულებით“ — გრაფებით. ეს უნდა არ არის ისე საყველთაოდ აღიარებული, როგორც პირველი. კაცისა და ფლორის სემანტიკური თეორია, მაგალითად, ვარაუდობს აზრის აღწერას ნიშნების სიმრავლის საშუალებით; რომელიც შინაგან სტრუქტურას მოკლედ უნდა.

3. სიტყვების დიდი უმრავლესობა სემანტიკურად შეიძლება იიყვროს მხოლოდ იმ გამოსახულებათა შეზღვეულობაში, რომელნიც უსამართლო სიტუაციას ასახელებენ, რის ვარჯთაც, მკაცრად რომ ვთქვათ, ამ სიტყვებს არცა აქვთ აზრი.

4. აზრობრივ ატომებს შორის უნდა გაიაროთ პრედიკატი-ატომები, რომელთაც აქვთ „ადგილები“ სხვა ატომებისათვის, და არგუმენტი-ატომები, რომელთაც ადგილები არ გააჩნიათ. 5. ენობრივი ელსანიშნების აღწერა აუცილებლად უნდა შესრულდეს შიდაენობრივი პერიფრაზირების ფარგლებში და მისი კონტროლის ქვეშ. სემანტიკური აღწერისათვის უნდა მოვეუზმოთ აბსტრაქტულ ლოგიკას, რომელიც აქტიურად მონაწილეობს პერიფრაზირებაში.

ელსანიშნები უნდა აიყვროს, როგორც გამოკვეთილი შინაგანი სინტაქსის მქონე სტრუქტურები, რომლებიც შედგებიან წინასწარ ფიქსირებული აზრობრივი ატომებისაგან.

პირველი მკვლევარი, ვინც შეეცადა სტატისტიკური მეთოდებით სიტყვის მნიშვნელობის ანალიზს, იყო ციპფი. იგი ცდილობდა შეესწავლა პოლისემია და სიტყვის სიხშირე თავისი „უმცირესი ძალისხმევის პრინციპის“ თვალსაზრისით.

1945 წელს „ზოგადი ფსიქოლოგიის ჟურნალში“ (XXXII (32)) ციფმა გამოაქვეყნა წერილი, რომელშიაც უდარებდა სხვადასხვა სიტყვების ფარდობით სიხშირეს მათი მნიშვნელობების რაოდენობას და მივიდა ამ დასკვნამდე, რომ არსებობს პირდაპირი მიმართება სიტყვის განსხვავებულ მნიშვნელობებსა და მისი შეხვედრის ფარდობით სიხშირეს შორის. ციფი ეყრდნობოდა ძირითადად თორნდაიკის მონაცემებს. გამოკვლევა შემდეგნაირად ტარდებოდა: თორნდაიკის ლექსიკონიდან აღებული იყო 14 განსხვავებული რვაგვერდიანი არჩევანი. ისინი დაუზრიგდა სტუდენტებს, რომლებიც თითოეულ სიტყვას მიაწერდნენ მისი განსხვავებული მნიშვნელობების რაოდენობას. ყველგან შეიმჩნეოდა პოზიტიური კორელაცია სიტყვის მნიშვნელობებსა და მის სიხშირეს შორის. ციფმა ამ დამოკიდებულებას მოუძებნა მათემატიკური ფორმულა. მისი გამოთვლების თანახმად, „ერთი სიტყვის განსხვავებულ მნიშვნელობათა რაოდენობა მისი წარმოშობის გახდეს მისი ფარდობითი სიხშირიდან კვადრატული ფესვის ტოლი (გამონაკლისის შეიძლება წარმოადგენდეს რამდენიმე ათეული უხშირესი სიტყვა)“⁴.

სხვა სიტყვებით, $m = F^{\frac{1}{2}}$, სადაც m არის სიტყვის მნიშვნელობათა რაოდენობა, ხოლო F —მისი შეხვედრის ფარდობითი სიხშირე.

მოვიყვანოთ ულმანის აზრი ციფის ამ ნაშრომების შესახებ:

„ციფის ფორმულის დიდი ღირსება მდგომარეობს იმაში, რომ ადვილია მისი შემოწმება, თუ მივმართავთ ნებისმიერ ენას, რომლისთვისაც დათვლილია სიტყვათა სიხშირეები. მაგრამ ციფის დასკვნებს მაინც ფრთხილად უნდა მოვექცეთ. სიტყვების მნიშვნელობათა დათვლისას ციფი ლექსიკონის მასალას ეყრდნობოდა, მაშინ როცა ცნობილია, რომ ლექსიკოგრაფი ხშირად ერთი სიტყვის სხვადასხვა მნიშვნელობათა გამოყოფისას იღებს ნებისმიერ გადაწყვეტილებებს. ბევრ შემთხვევაში შეუძლებელია მნიშვნელობებს შორის საზღვრების დადგენა.

ამიტომ ასეთი ზუსტი ფორმულების გამოყვანა ალბათ მიზანშეწონილი არ არის. უფრო მართებული ჩანს ზოგადი კორელაციის არსებობა პოლისემიასა და სიტყვის სიხშირეს შორის“⁵.

ამ საკითხს—პოლისემიასა და სიტყვის ფარდობით სიხშირეს შორის კორელაციის საკითხს—დაწვრილებით შეეხო მოსკოვიჩი თავის მონოგრაფიაში⁶.

პოლისემია მოსკოვიჩს შეაქვს უფრო ზოგად ცნებაში—სიტყვის აქტივობაში, როგორც მისი ერთ-ერთი ასპექტთაგანი.

⁴ მათემატიკური ფორმულა ციფმა მოგვცა მეორე სტატიაში «The Meaning-Frequency Relationship of Words», The Journal of General Psychology, XXXIII (33), 1945, გვ. 251—255.

⁵ Ст. У л ь м а н, Семантические универсалии, Новое в лингвистике, V, М., 1970, 269.

⁶ В. М о с к о в и ч, Статистика и семантика, М., 1969, 23—51.

გამოყოფა სიტყვის აქტივობის 4 ასპექტი. ესენია:

1. პოლისემია;
2. სიტყვათწარმოება;
3. რთული სიტყვების წარმოება;
4. ფრაზეოლოგიზმებში მონაწილეობა.

მოსკოვიჩი შეეცადა მოეცა სიტყვის აქტივობის რაოდენობრივი განსაზღვრა.

მაგალითად, მესამე ასპექტი—რთული სიტყვების წარმოება—შემდეგნაირად განისაზღვრება რაოდენობრივად:

ერთი სემანტიკური ველის თითოეულ სიტყვას, მაგალითად, ფერთა აღმნიშვნელ ზედსართავ სახელებს, მიეწერება რაღაც რიცხვი, რომელიც მიუთითებს, ვთქვათ, იმ რთული სიტყვების რაოდენობაზე, რომლებშიაც შედის ეს სიტყვა. მიღებული რიცხვები იყოფა 10 კლასად შემდეგნაირად: ვიღებთ ამ რიცხვების ზედა ზღვარსა და ქვედა ზღვარს, მათ შორის სხვაობა იყოფა 10-ზე და მერე მიღებული განაყოფის მიხედვით ლაგდება სიტყვები კლასებად და ამ კლასებს მიეწერება შეფასებები 1-დან 0,1-მდე. ასეთი პროცედურა ტარდება ოთხივე ასპექტისათვის. თითოეული სიტყვისათვის ოთხი შეფასება მიიღება. სიტყვის აქტივობის კოეფიციენტი შემდეგი ფორმულის მიხედვით იზომება:

$$q = \frac{\sum_{i=1}^n x_i}{n},$$

სადაც x_i არის ცალკეული ასპექტების შეფასება, ხოლო n —ასპექტების რაოდენობა. რაც შეეხება სიტყვის აქტივობის ზომის შედარებას სიტყვის სიხშირესთან, ეს ხდება რანგული კორელაციის კოეფიციენტის მიხედვით:

$$\rho = 1 - \frac{\sigma \sum_{i=1}^n d_i^2}{n^2 - n},$$

(ეს ცნობილი ფორმულაა, აქ n არის შესადარებელ წყვილთა რაოდენობა, ხოლო d —რანგებს შორის სხვაობა). კორელაციის კოეფიციენტის შეცდომა

$$m\rho = \pm \frac{1 - \rho^2}{n}.$$

კორელაციის კოეფიციენტის სიზუსტის შესაფასებლად აუცილებელია განისაზღვროს ამ კოეფიციენტის შეფარდება მის საშუალო შეცდომასთან. თუ ეს ფარდობა 3-ის ან მეტის ტოლია, მაშინ კორელაციის კოეფიციენტი სანდოდ ითვლება, ე. ი. ორ თვისებას შორის მიმართება დამტკიცებულად ჩაითვლება თუ $\frac{P}{m\rho} \geq 3$.

მოსკოვიჩმა შენიშნა, რომ სიტყვის სიხშირესა და მის აქტივობას შორის არსებობს მიდრეკილება პირდაპირპროპორციული დამოკიდებულებისაკენ. მაგრამ ეს ტენდენცია წესის სახეს არ იღებს, ზოგჯერ გადახრებაც აქვს ადგაი.

უფრო სანდო აღმოჩნდა მიმართება სიტყვის სიხშირესა და მისი აქტი-
ვობის ერთ-ერთ ასპექტს შორის, როგორც ეს წარმოდგენილია ციპფთან.

ციპფზე ცოტა უფრო ადრე სიტყვების თვლის მეთოდი, ოღონდ სრული-
ად განსხვავებული მიზნისათვის, გამოიყენა ამერიკელმა მეცნიერმა ბოლდუ-
ანმა⁷.

მის ნაშრომში განხილულია ქალის წერილები, რომლებშიც სიტყვათა ერ-
თობლივი შეხვედრის რაოდენობის საფუძველზე დადგენილია შესაბამისი მი-
მართებები ქალის ცნობიერებაში არსებულ ცნებებს შორის⁸.

სემანტიკაში სტატისტიკის მეთოდების გამოყენების ამ ადრინდელ ცდებს
დიდხანს მიმდევრები არ ჰყოლია.

მხოლოდ 1954 წ. ცნობილმა ამერიკელმა მეცნიერმა ჯოშუა უოტმომ
დაწერა სტატია, რომელსაც „სტატისტიკა და სემანტიკა“ ეწოდება და რომელ-
შიაც ავტორი ცდილობს სტატისტიკური მონაცემების შინაარსობლივ ინტერ-
პრეტაციას⁹. კერძოდ, წერილი ეხება იულის ცნობილ გამოკვლევას „სალიტე-
რატურო ლექსიკის სტატისტიკური შესწავლა“.

მოყვანილია იულის მონაცემები: არჩევანი ლათინური თეოლოგიური ნაწარ-
მოებებიდან (კერძოდ, მე-14 საუკუნის ავტორის გერსონის ნაწარმოებებიდან)
გეიჩვენებს, რომ გერსონი ხმარობს 8196 არსებით სახელს, აქედან განსხვავებუ-
ლია 1754 არსებითი სახელი. ერთი არსებითი სახელი, კერძოდ, Deus „ღმერთი“,
გვხვდება 256-ჯერ, ხოლო არჩევანი მაკოლეს Essay on Bacon-იდან მოიცავს
8045 არსებით სახელს, აქედან 2047 განსხვავებულს. ერთი არს. სახ., ამჯერად
„ღმერთი“ კი არა man („კაცი“) გვხვდება 255-ჯერ არსებითი სახელების ხმა-
რებათა განხილვამ უოტმოს მისცა შესაძლებლობა გამოეტანა დასკვნა იმის შე-
სახებ, რომ მაღალი სიხშირის სიტყვები ნაკლები სემანტიკური შინაარსის მატა-
რებლები არიან.

ამავე აზრს იმეორებს მკვლევარი მეორე ნაშრომშიც¹⁰.

მაგრამ როგორც ციპფის, ისე უოტმოს წერილები ეხებოდა სემანტიკის
კერძო საკითხებს. ისინი სიტყვათა სიხშირეების შესახებ არსებული მონაცე-
მების საფუძველზე ცდილობდნენ გარკვეული დასკვნები გამოეტანათ სიტყ-
ვების სემანტიკური შინაარსის შესახებ, მაშინ როდესაც ამჟამად სტატისტი-
კური კვლევა სემანტიკაში მიზნად ისახავს ტექსტში სემანტემათა შეკავში-
რების წესების განსაზღვრას. ცნობილია, რომ ამ წესებს შემდეგი ზოგადი
კანონზომიერებანი განსაზღვრავენ:¹¹

1. ენაში ფორმალურ კლასებად სემანტემათა განაწილება;
2. მოცემულ ენაში სინამდვილის ასახვის ხერხები;
3. ენობრივი ტრადიცია, რომელიც კრძალავს ან უშვებს ზოგიერთ შე-
ჯავშირებას;

⁷ A. L. B a l d w y n, Personal structure analysis: a statistical method for investigating
the single personality, «Journal of abnormal and social psychology», 1942, v. 37, p. 163—183.

⁸ მოგვეყენოს მოსკოვიჩის სტატიის მიხედვით — Автоматизация построения тезаурусов, Во-
просы лингвостатистики и автоматизации лингвистических работ, вып. IV, 3 серия, 1970,
5—64.

⁹ Joshua Whatmough, Statistics and Semantics, წიგნი: Sprachgeschichte und Wortbede-
utung, Festschrift Albert Debrunner, Bern, 1954,

¹⁰ Language. A Modern Synthesis, by Joshua Whatmough, London, 1956, გვ. 203.

¹¹ В. А. Моско в и ч, Статистика и семантика, 9.

4. რიგი ენებისათვის საერთო კანონები, რომლებიც ექვემდებარებიან გარე სამყაროს საგნებისა და მოვლენების მიმართებითა ლოგიკას.

შეიძლება თუ არა სემანტიკმათა შეკავშირების წესების ფორმალური კვლევა, ისეთი ალგორითმული პროცედურის ჩატარება, რომელიც მხოლოდ ფორმალურ, პოზიტიურ სიტუაციებზე იქნება დაფუძნებული? ეს არის ის ძირითადი საკითხი, რომელზე პასუხის გაცემასაც ცდილობენ ამჟამად მკვლევარები. ჩვენში ამ საკითხით დაინტერესდა პირველად ა. შაიკვეიჩი¹².

ის შეეცადა მნიშვნელობის ანალიზის გარეშე გამოევიღინა სიტყვებს შორის მიმართებები და შესაბამისად სიტყვათა ჯგუფები („სემანტიკური ველები“).

კვლევის დროს შაიკვეიჩმა მიიღო შემდეგი ჰიპოთეზა: აზრობრივად ერთმანეთთან დაკავშირებული სიტყვები უნდა ხშირად გვხვდებოდნენ ტექსტში ერთმანეთის მახლობლად და, პირიქით, ტექსტში ერთმანეთთან ახლოს მდგომი სიტყვები უნდა აზრობრივ კავშირში იყვნენ. საკვლევ მასალად შაიკვეიჩმა შეარჩია ინგლისური ზედსართავი სახელები ჩოსერის, სპენსერის, მარლოს, შექსპირის, მილტონის, უოდსვორტის, შელის, არნოლდის. ნაწარმოებებიდან.

ზედსართავი სახელების საერთო რაოდენობიდან შერჩეული იყო სიტყვები, რომლებიც მოცემულ ავტორთან 15-ზე ხშირად შეგვხვდა. ასეთი ზედსართავების რაოდენობა 1078 აღმოჩნდა. ყოველ ზედსართავთან ფიქსირებული იყო სხვა ზედსართავ სახელთან ერთად ერთ სტრიქონში მისი გამოჩენის ყველა შემთხვევა. შემდეგ ზედსართავების ყოველი წყვილისათვის გამოთვლილი იყო მათი მოსალოდნელი ალბათობა, როცა ზედსართავი სახელები დამოუკიდებელნი არიან, ე. ო. მათი განაწილება შემთხვევითია, და არსებული ალბათობა. ეს უქანასკნელი იმდენად განსხვავებული აღმოჩნდა მოსალოდნელისაგან, რომ ეს შემთხვევითობით არ შეიძლებოდა ყოფილიყო ახსნილი.

1078 ზედსართავი სახელებიდან სულ 442-მა გამოავლინა რაღაც აზრობრივი კავშირი სხვა ზედსართავებთან.

ამ მეთოდის ნაკლი, როგორც თვითონ შაიკვეიჩი შენიშნავს, იმაში მდგომარეობს, რომ ვერ ვლინდება აზრობრივი კავშირის ხასიათი. მეთოდი ვერ ასხვავებს სიტყვათა სხვადასხვა მნიშვნელობებს და ომონიმებს. როგორც საერთოდ სტატისტიკის გამოყენება, ის მოითხოვს დიდ შრომას.

სამაგიეროდ, მეთოდი გამოირიცხავს სუბიექტურობას, ხოლო სამუშაოს ჩატარების ტექნიკა ძალიან უბრალოა და შეიძლება მისი ავტომატიზაცია.

შაიკვეიჩის მეთოდიკა გამოიყენა ნ. ივანოვამ¹³. მის სტატიაში აღწერილია ექსპერიმენტი, ჩატარებული სიტყვებს შორის აზრობრივი მიმართებების დასადგენად სტატისტიკური კრიტერიუმების დახმარებით. არ ივარაუდება სიტყვის მნიშვნელობათა აპრიორული ცოდნა.

გამოკვლევული იყო 100 საპატენტო ფორმულის ტექსტები თემაზე „შიდაწვის ძრავები“, ამოღებული ამერიკული საპატენტო ყოველკვირეული გაზეთიდან «Official Gazette».

¹² А. Ш а й к е в и ч, Распределение слов в тексте и выделенис семантических полей, «Иностранные языки в высшей школе», 1963, 2, 14—26.

¹³ Н. С. И в а н о в а, Установление смысловых связей между словами на основе статистической методяки, «Вопросы лингвостатистики я автоматизации лингвистических работ» (Труды ЦНИИПИ), вып. I, М., 1967.

ამ ტექსტების მიხედვით შედგა სიტყვარი სიხშირეთა მითითებით, არჩევანის საერთო სიგრძე იყო 18 000 სიტყვა; ე. წ. „სამუშაო“ არჩევანის სიგრძემ, რომელიც უშუალოდ საკვლევ მასალად იყო გამოყენებული, შეადგინა 9 168 სიტყვა. „აკრძალული“ სიტყვების სიაში (ე. ი. ისეთი სიტყვების სიაში, რომლებიც ექსპერიმენტში არ მონაწილეობდნენ) შევიდა არტიკლები, წინდებულები, ნაცვალსახელები, კავშირები, რიცხვითი სახელები და კიდევ ზოგიერთი სხვა სახელი, რომელთა კავშირიც სხვა სიტყვებთან მოცემული კვლევისათვის არ იყო საინტერესო.

კვლევის დაწყების პირველ ეტაპზე წყდებოდა საკითხი მოცემული არჩევანისათვის ოპტიმალური ინტერვალის შერჩევის შესახებ. ე. ი. ტექსტის ნაწყვეტის ზომის დადგენის შესახებ, რომ რაც შეიძლება უფრო ეფექტურად ყოფილიყო გამოვლენილი სიტყვათა შორის კავშირები. ანალიზი ტარდებოდა სამ განსხვავებულ ინტერვალში, თანაც ყოველი მომდევნო ინტერვალში შეიცავდა თავის თავში წინას.

აღებული იყო შემდეგი სამი ინტერვალი:

1. სამსიტყვიანი ინტერვალი, ე. ი. ერთი სიტყვა მარჯვნივ და ერთი მარცხნივ შერჩეული სიტყვიდან;

2. 11 სიტყვისაგან შემდგარი ინტერვალი, ე. ი. 5 სიტყვა მარჯვნივ და 5 მარცხნივ შერჩეული სიტყვიდან;

3. 5 სტრიქონისაგან შემდგარი ინტერვალი (დაახლ. 50 სიტყვა), ე. ი. ორი სტრიქონი ზევით და ორი სტრიქონი ქვევით იმ სტრიქონიდან, სადაც ამყოფება არჩეული სიტყვა.

კვლევის დროს მესამე ინტერვალი უქუვდებულ იქნა, რადგან ის, როგორც ჩანს, არჩევანის სიმძირის გამო გამოუსადეგარი აღმოჩნდა.

მიღებულ იქნა მეორე ინტერვალი, რადგან ის სრულად შეიცავს პირველ ინტერვალს და, გარდა ამისა, გამოავლენს კიდევ დამატებით კავშირებს სიტყვებს შორის. „სამუშაო“ არჩევანში ინტერვალების საერთო რაოდენობა აღმოჩნდა: 9168 : 11 = 850.

შერჩეული იყო 18 სიტყვა, რომლებიც ხასიათდებოდნენ ტექსტში შეხვედრის აბსოლუტური სიხშირით და ინტერვალში შეხვედრის ფარდობითი სიხშირით ანუ ალბათობით.

მაგ.: „central“—9; 0,01

„chamber“—209; 0,25 და ა. შ.

ექსპერიმენტის დროს თითოეული ამ 18 სიტყვისათვის ფიქსირებული იყო მოცემულ ინტერვალში მასთან სხვა სიტყვების შეხვედრის ყველა შემთხვევა.

შენდგომი ანალიზისათვის შეირჩა ისეთი სიტყვები, რომლებიც ორჯერ მაინც გამოჩნდნენ თითოეულ ამ სიტყვასთან. ამრიგად, გამოვლინდა ტექსტის სიტყვების ფაქტიური შეხვედრები მოცემულ ინტერვალში თითოეულ ამ 18 სიტყვასთან.

შემდეგ გამოთვლილ იქნა ტექსტის ამავე სიტყვების მოსალოდნელი შეხვედრები იმავე ინტერვალში, ანუ ამ სიტყვების ერთობლივი შეხვედრის რაოდენობა ტექსტში სიტყვების შემთხვევითი განაწილების დროს, ე. ი. ამ სიტ-

ყვების სრული დამოუკიდებლობის დროს. ასეთ დროს სიტყვების ერთობლი-
ვი შეხვედრის მოსალოდნელი რაოდენობა შეიძლება გამოთვლილ იქნეს ფორ-
მულია: $x = np$. აქ n არის ტექსტში ისეთი სიტყვების შეხვედრის რაოდენო-
ბა, რომლებიც თითოეულ წინასწარ შერჩეულ 18 სიტყვასთან გვხვდება 11-
სიტყვიან ინტერვალში, p არის ამ ინტერვალში ერთ-ერთი 18-თაგანის გამო-
ჩენის ალბათობა. მაგალითად, სიტყვისათვის „gas“ მიღებული იყო შემდეგი
მონაცემები:

ტ ა ბ უ ლ ა 1

№№	gas	მისი სიხშირე ტექსტში	სიტყვების ერთობლივი შეხვედრა ინტერვალში	
	—0,58 (ინტერვალში გამოჩენის ალბათობა)		ფაქტიური	მოსალოდნელი
1	exhaust	93	27	5,4
2	waste	4	3	0,23
3	fuel—air	12	2	0,7
4	burnt	3	2	0,1
5	charge	14	2	0,8

ამ ტაბულიდან ჩანს ფაქტიურ და მოსალოდნელ შეხვედრებს შორის
არსებითი სხვაობა.

თუ მხედველობაში მივიღებთ არჩევანის სიმციერეს, უნდა ვალიაოთ,—
ასკენის ავტორი,—რომ სიტყვების ერთობლივი შეხვედრის ფაქტიურ და მო-
სალოდნელ რიცხვებს შორის სხვაობა ძალზე დიდია იმისათვის, რომ შემთხ-
ვევითი იყოს. ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ მოცემულ სიტყვებს შორის რა-
ღაც მიმართება არსებობს. ამ მიმართებათა შინაარსობრივი ინტერპრეტაცია
კი გვიჩვენებს, რომ ისინი აზრობრივ კავშირებს წარმოადგენენ.

- მაგ.: exhaust gas — გამონაბოლქვი გაზი
waste gas — ნამუშევარი გაზი
fuel-air gas — საწვავი გაზი
burnt gas — გადამუშავებული გაზი
charge (of) gas — გაზის (საწვავი ნაერთის) მუხტი

მიღებულმა შედეგებმა დაამტკიცეს სიტყვებს შორის აზრობრივი კავში-
რის გამოვლენის შესაძლებლობა ფორმალური რაოდენობრივი გზით და ამი-
ტომ ასეთ სამუშაოთა ავტომატიზაციის შესაძლებლობა.

ასეთი მეთოდით სემანტიკური კავშირების კვლევის დროს ჩნდება მრავალი საკითხი. ერთ-ერთი ასეთი საკითხთაგანია იმ ინტერვალის შერჩევა, რომლის ფარგლებშიაც ხდება სიტყვებს შორის მიმართებათა დადგენა. როგორც კვლის ინტერვალის ზომის ზრდა ინფორმაციას სიტყვების ერთობლივი შეხვედრისა და მათი კავშირის შესახებ—ამ საკითხს ეხება ა. შაიკევიჩი¹⁴.

ის შენიშნავს, რომ საანალიზოდ აღებული ინტერვალის ზომები შეიძლე-
ბა იცვლებოდეს ელემენტთა წყვილიდან დამთავრებულ ნაწარმოებამდე. ამას-

¹⁴ А. Ш а й к е в и ч, Корреляционный анализ в лингвостатистике и понятие интервала текста, «Вопросы лингвостатистики и автоматизации лингвистических работ» (Труды ЦНИИПИ), вып. II, М., 1969, 254—275.

თანავე ტექსტის სხვადასხვა ზომის ინტერვალები იძლევიან განსხვავებულ სემანტიკურ ინფორმაციას.

ტექსტის ყველაზე მოკლე ინტერვალი—ორი მეზობელი სიტყვა—ერთი მარჯვნივ და ერთი მარცხნივ—შესაძლებლობას იძლევა მივიღოთ ინფორმაცია სიტყვების გრამატიკულ, ლექსიკურ და, განსაკუთრებით, ლექსიკურ-ფრაზეოლოგიურ კავშირებზე. მაგალითისათვის ავტორს მოჰყავს სიტყვა „ძმა“ პუშკინის პოეტური ტექსტებიდან. სულ ეს სიტყვა საცდელ მონაკვეთში 131-ჯერ გამოჩნდა. აქედან 17 შემთხვევაში მის გვერდით იყო სიტყვა „და“ (კავშირი), 7-ში წინდებული „თან“ (с), და ა. შ. მაგრამ სიტყვათა ერთობლივი შეხვედრის ასეთი სისწირეები არაფერს არ გვეუბნებიან ამ სიტყვებს შორის აზრობრივ კავშირებზე. იმისათვის, რომ აღმოჩნდეს ეს კავშირები, უნდა შეუპირისპირდეს შეხვედრათა სისწირე ამ შეხვედრების მათემატიკურ მოლოდინს¹⁵, რომელიც გამოთვლილი იქნება ორი მოცემული სიტყვის დამოუკიდებლობის ვარაუდის დაშვებით.

პუშკინის პოეტური ტექსტების განხილვის დროს, როცა ინტერვალი ორის ტოლი იყო, აღმოჩნდა სიტყვის „ძმა“ კავშირები შემდეგ სიტყვებთან:

	მათემ. მოლოდინი	რეალური შეხვედრა	დაცილების ალბათობა	
ჩემი	„мой“	1,8	12	5.10 ⁻⁷
შენი	„твой“	0,6	5	4.10 ⁻⁴
ლამაზი	„милый“	0,6	12	3.10 ⁻¹³
	„двоюродный“	0,009	3	1.10 ⁻⁷
პატარა	„меньшой“	0,013	4	1.10 ⁻⁹
უმცროსი	„младший“	0,004	2	8.10 ⁻⁶
უფროსი	„старший“	0,017	2	1.10 ⁻⁴
და	„сестра“	0,08	6	3.10 ⁻¹⁰
დროა	„пора“	0,36	5	4.10 ⁻⁸

როგორც ჩანს, აღებული ინტერვალი გამოავლენს ძირითადად სიტყვებს შორის სინტაგმატურ კავშირებს: ლექსიკურს (милый, меньшой брат) და გრამატიკულს („брат“ ითანხმებს მსახუვრელებს). უფრო ნაკლებად იჩენს თავს პარადიგმატული კავშირები: (брат, сестра). თუ კვლევს დროს ინტერვალის ზომა იცვლება (13—15 სიტყვამდე), შეიცვლება სურათიც:

მათემატიკური მოლოდინი რეალური შეხვედრა დაცილების ალბათობა

	მათემ. მოლოდინი	რეალური შეხვედრა	დაცილების ალბათობა	
ჩემი	„мой“	12,4	25	1.10 ⁻³
შენი	„твой“	4	11	3.10 ⁻²
ლამაზი	„милый“	4	16	5.10 ⁻⁸
	„двоюродный“	0,06	3	3.10 ⁻⁴
პატარა	„меньшой“	0,09	2	2.10 ⁻⁴
უმცროსი	„младший“	0,03	2	4.10 ⁻⁸
უფროსი	„старший“	0,12	5	2.10 ⁻⁷
დროა	„пора“	2,48	7	13.10 ⁻³
და	„сестра“	1,17	6	1.10 ⁻⁸
მამა	„отец“	0,52	13	2.10 ⁻¹⁴
სიკვდილი	„умереть“	0,73	7	8.10 ⁻⁸
ვედრება	„молиться“	0,38	5	5.10 ⁻⁵

არალექსიკური სინტაგმატური კავშირები სუსტდება (ჩემი ძმა, შენი ძმა, დროა, ძმაო, დროა). პარადიგმატული კავშირები უფრო რელიეფური ხდება

¹⁵ მათემატიკური მოლოდინი $M = P_1 P_2 N$, სადაც P_1 არის პირველი სიტყვის გამოჩენის ალბათობა, P_2 — მეორე სიტყვის გამოჩენის ალბათობა, N — ტექსტის სიგრძე ინტერვალში.

(ქმა—და, ქმა—მაჰა); ზოგიერთი პარადიგმატული კავშირი გაუმართლებელია (ქმა—სიკვდილი, ქმა—ვეღრება). ეს ტექსტების მოცულობის სიმცირის ბრალია. არჩევანის გაზრდასთან ერთად სავარაუდოა ამ კავშირების გაქრობა.

შეიძლება ვთქვათ, რომ 10—50 სიტყვიანი ინტერვალი ყველაზე უფრო მოსახერხებელია სიტყვათა ლექსიკურ-სემანტიკური კავშირების გამოსავლენად. შაიკევიჩი საიმედოდ მიიჩნევს აგრეთვე მის მიერ ჩატარებულ ანალიზს¹⁶, სადაც ინტერვალად აღებულია ერთი სტრიქონი, ე. ი. დაახლ. 5—6 სიტყვა, მაგრამ მაინც მიაჩნია, რომ უფრო დიდი ინტერვალის აღება უკეთესი იქნება. მაქსიმალური ინტერვალი თვითონ ტექსტის ტოლია. აქ გამოვლენილი კავშირები ცხადად ატარებენ სტილისტურ ხასიათს¹⁷.

ამგვარად, სიტყვებს შორის მიმართებათა ხასიათი დამოკიდებულია იმ ინტერვალზე, რომელშიაც წარმოებს გამოთვლა. თუ ინტერვალი პატარაა (3-ის ტოლია), მაშინ ძირითადად გამოიყოფა სიტყვებს შორის სინტაგმატური კავშირები, ხოლო იშვიათად—პარადიგმატული. თუ ინტერვალი უდრის 5 ან 10 სიტყვას, მაშინ კონტაქტური სინტაგმატური კავშირების გვერდით გამოიყოფა დონსტანციური სინტაგმატური კავშირები და პარადიგმატული კავშირები. თუ ინტერვალი უდრის 50-დან 100 სიტყვამდე, მაშინ ზემოდანახელებული კავშირების გარდა აღმოვაჩინოთ თემატური კავშირებსაც. 500-დან 1000-მდე სიტყვიანი ინტერვალში თემატური კავშირები დომინირებულ ადგილს იკავებენ.

სხვადასხვა ინტერვალთა მონაცემები, მიღებული ერთი ტექსტის ანალიზისას, ურთიერთს ავსებენ. ამ დებულებების საილუსტრაციოდ ა. შაიკევიჩმა და ნ. ივანოვამ გადაწყვიტეს შეესწავლათ პატენტური ტექსტები სამი განსხ-

¹⁶ იხ. ზემოთ A. Я. Шапкин, Распределение слов в тексте и выделение семантических полей, Иностранные языки в высшей школе, 1964. 3.

¹⁷ ამის შესახებ იხ. A. Я. Шапкин, Опыт статистического выделения функциональных стилей, ВЯ, 1968. 1.

შაიკევიჩმა საკვლევად აიღო 1000 სიტყვის სიგრძის ინტერვალი. მასალად აღებული იყო XVI—XVII საუკუნის ინგლისური ტექსტები. სულ 307. შექმნილია შერჩეული იყო 10 000 ნაწყვეტი, თითოეული 100 სიტყვიანი. 10 მეზობელი ნაწყვეტი შერე გავრთიანდა ტექსტის ერთ ინტერვალში. ეს ზერხი, რა თქმა უნდა, არ ვარა. უფრო ლოგიკური იქნებოდა 1000 სიტყვიანი ნაწყვეტი ინტერვალის აღება.

ანალიზის ობიექტს შეადგენენ ტექსტში შეხვედრილ ატრიბუტული სიტყვები. ყველა სიტყვისათვის განისაზღვრებოდა ტექსტის ინტერვალში მისი გამოჩენის ალბათობა. შემდეგ სიტყვების ყოველი წყვილისათვის განისაზღვრებოდა იმ ინტერვალთა რაოდენობა, რომლებშიც ორივე სიტყვა შეგვხვდა. ასეთი სიტყვების უზარმაზარმა რაოდენობამ (დაახ. 500 000) საჭირო გახდა გამოთვლითი მანქანის (СУРАЛ-4) გამოყენება.

სიტყვების ყოველი წყვილისათვის მათი ერთობლივი შეხვედრის შემთხვევათა რაოდენობა ტექსტის ერთსა და იმავე ინტერვალში შეპირისპირებული იყო მათი შეხვედრის მათემატიკურ მოლოდინთან. ორი სიტყვა ითვლებოდა ერთმანეთთან კავშირში, თუ მათემატიკური მოლოდინიდან გადახრა შეიძლება იხსნილი ყოფილიყო შემთხვევითობით 1%-ზე ნაკლები ალბათობით. შემდეგ გადარჩეულ იქნა ყველაზე ხშირი სიტყვები, სულ ასეთი სიტყვა აღმოჩნდა 15. მიღებულ იქნა სიტყვების 5 წყვილები. ამ წყვილებს ავტორმა შინაარსობრივი ინტერპრეტაციის შედეგად შემდეგ სახელები უწოდა: 1 — „საქმიანი“, 2 — „ლირიული“, 3 — „აღზევებული“, 4 — „სამოქალაქო“, 5 — „მინორული“. იმის მიხედვით, თუ ამ წყვილებიდან რომელი სპარბოზს საკვლევ ტექსტში, შეიძლება ტექსტების სტილისტური კლასიფიკაცია. მივალთადა, შექსპირის „სონეტებში“, ლილის „სიყვარულის პეტამორფოზებში“ სპარბოზს „ლირიული“ კომპონენტი, ხოლო ახალ ილტქმასა და ენსტრის „ქუშკისპირისპირის“ — „საქმიანი“ წყვილის სიტყვებია უხშირესი. შეიძლება გვეტონდეს ტექსტებში სხვადასხვა კომპონენტების შერწყმა. მაგალითად, შექსპირის „რომეო და ჯულიეტაში“ „ლირიული“ ხშირად ერწყმის „აღზევებულს“.

ვაეებული სიგრძის ინტერვალის მიხედვით¹⁸. ინტერვალების სიგრძეა: 1. 3 სიტყვა (მინიმალური ინტერვალი); 2. 3 სტრიქონი—(საშუალო ინტერვალი); 3. მთელი დოკუმენტი (მაქსიმალური ინტერვალი). გამოქვეყნებულია ჭერჭერობით: მხოლოდ მინიმალური ინტერვალის ანალიზის შედეგები.

აღებული იყო ამერიკული პატენტური ფორმულები. Official gazette-დან (იელისი-ნოემბერი, 1966), სულ 1482 დოკუმენტი 262925 სიტყვის სიგრძის ტოლი. აქედან განსხვავებული სიტყვების რაოდენობა 5892 აღმოჩნდა. ავტორებს მოჰყავთ ამ სიტყვების სია, აგრეთვე ხშირი სიტყვების საშუალო სიხშირეები, დისპერსიები და ვარიაციის კოეფიციენტები.

მიღებულ იქნა სიტყვათა შემდეგი ჯგუფები: 1. დიდი ჯგუფი, 240 სიტყვიანი; 2. ორსიტყვიანი ჯგუფები (სულ 18) და კიდევ რამდენიმე ჯგუფი. ყველაზე დიდ ჯგუფში შევიდა დეტალებისა და პროცესების სახელწოდებები (მიმღებები), გამოიყო აგრეთვე „ნივთიერებათა“ ჯგუფი, გეომეტრიული მაჩვენებლების ჯგუფი და ა. შ.

მთავარი ამოცანა—ისეთი ინტერვალის მოძებნა, რომელიც ოპტიმალურ ინფორმაციას მოგვცემდა სიტყვათა აზრობრივი კავშირების შესახებ—ავტორთა მიერ ჭერჭერობით არ არის გადაჭრილი. მათი მომავალი კვლევა ამ კითხვაზე პასუხის ძებნას ვარაუდობს.

ამრიგად, ჩვენ მიერ განხილულ ნაშრომებში დასმულია შემდეგი ამოცანა: გაირკვეს ტექსტში სიტყვების სემანტიკური მიმართება ამ ტექსტში მათი სიხშირისა და სხვა სიტყვებთან ერთობლივი შეხვედრის საშუალებით. სიტყვების ერთობლივი შეხვედრის ანალიზი შესაძლებლობას იძლევა გამოიყოს ერთმანეთთან დაკავშირებულ სიტყვათა ჯგუფები.

მათემატიკურ ფორმულას, რომელიც გამოხატავს ტექსტში სიტყვების ერთობლივ შეხვედრას, შემდეგი სახე აქვს:

$$A_{ab} = f_{ab},$$

სადაც A_{ab} არის a სიტყვის b სიტყვასთან კავშირის კოეფიციენტი,¹⁹ ხოლო f_{ab} — a და b სიტყვების ერთად შეხვედრის სიხშირე.

ამ ფორმულის შეცვლილი სახეა:

$$A_{ab} = \frac{f_{ab}}{f_a + f_b - f_{ab}},$$

სადაც f_a არის a სიტყვის სიხშირე f_b — b სიტყვის სიხშირე, ხოლო მნიშვნელი გამოხატავს იმ კონტექსტთა რიცხვს, რომლებიც შეიცავენ ამ სიტყვებიდან ერთ-ერთს მაინც.

სიტყვათა კავშირის კოეფიციენტის მიხედვით შეიძლება დადგინდეს ამ კავშირის ინტენსიურობა. კავშირის ინტენსიურობა განისაზღვრება იმ სხვა-

¹⁸ Н. С. Иванова, А. Я. Шайкевич, Дистрибутивно-статистическое описание американских патентных текстов, «Вопросы лингвостатистики и автоматизации лингвистических работ», вып. IV, 3 серия, 1970, 77—127.

¹⁹ მოგვეას ე. მოსკოვიჩის მიხედვით: Автоматизация построения тезаурусов, «Вопросы лингвостатистики и автоматизации лингвистических работ», вып. IV, 3 серия, 1970, 5—64.

ობით, რომელიც აღმოჩნდება სიტყვების ერთობლივი შეხვედრის რეალურ და თეორიულად მოსალოდნელ სიხშირეებს შორის. მაგალითად:

$$A_{ab} = f_{ab} - \frac{f_a \cdot f_b}{N},$$

სადაც N არის მოცემული ტექსტის სიგრძე.

რაც უფრო მეტია სხვაობა, მით უფრო სარწმუნოა ის, რომ სიტყვებს შორის კავშირი არ შეიძლება შემთხვევითობით აიხსნას.

სტატისტიკური კვლევა ავლენს სიტყვათა შორის კავშირებს, მაგრამ ამ კავშირების კვლევა, მათი შინაარსობრივი ინტერპრეტაცია უკვე ახალი საფეხურია და სტატისტიკის საზღვრებს სცილდება.

ჩვენ განვიხილეთ ისეთი გამოკვლევები, რომლებიც ძირითადად ერთ მეთოდიკას ემყარებიან. ეს არის ტექსტში ერთმანეთის მახლობლად შეხვედრილი სიტყვების სტატისტიკური ანალიზი და მის საფუძველზე სიტყვათა გარკვეული ჯგუფების გამოყოფა.

ძირითადი საკითხები, რომლებიც ამ რიგის კვლევის დროს იჭრება, კერძოდ, ინტერვალის შერჩევისა და მათემატიკური ფორმულის დაზუსტების საკითხები ჯერ საბოლოოდ გადაწყვეტილი არ არის.

მიუხედავად ამისა, აღნიშნული კვლევა საინტერესოა. რაც მთავარია, ადვილია მისი ავტომატიზაცია. ამიტომ ასეთი რიგის კვლევათა გამოყენება შეიძლება თეზაურუსების ავტომატური აგებისათვის²⁰.

თეზაურუსი, როგორც ცნობილია, არის ისეთი ლექსიკონი, რომელიც იძლევა ცნებათა კატეგორიების სიმრავლეს და განაკუთვნებს ყოველ სიტყვას ამა თუ იმ აზრობრივ ქვეკლასს.

კლასიკური თეზაურუსის მაგალითს წარმოადგენს როჯეტის თეზაურუსი²¹, რომელიც მოიცავს ინგლისური სიტყვების სიმრავლეს, დაყოფილს თემატურ კლასებად. კლასები იყოფიან ქვეკლასებად. თითოეული მათგანი წარმოადგენს უფრო წვრილი თემატური ჯგუფის გაერთიანებას (ან „თემას“). სულ ლექსიკონში 6 დიდი კლასი, 24 ქვეკლასი და 1000 თემაა. მაგალითად, აბსტრაქტული მიმართებების კლასში შედის ქვეკლასი „რიგი“, ხოლო ამ ქვეკლასში შედის თემა „მიმდევრობა“.

ლექსიკონის მეორე ნაწილში მოცემულია სიტყვების ინდექსი. აქ წარმოდგენილია პირველ ნაწილში შემავალი სიტყვების ანბანური სია იმ თემების მიითთებით, სადაც შედის ეს სიტყვა.

²⁰ Н. С. Иванова, В. А. Москвич, Автоматическое построение тезауруса на основе статистических данных, М., 1967. В. А. Москвич, Информационные языки, М., 1971.

²¹ როჯეტის თეზაურუსი პირველად 1852 წელს გამოვიდა. მისი სრული სათაური იყო: The-saurus of English Words and Phrases Classified and Orranged so as to Facilitate the Expression of Ideas and Assist in Literary Composition.

„თეზაურუსი“ ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს „საუნჯეს“. პირველი თეზაურუსის ავტორი Peter Mark Roget-ი პროფესიით ექიმი იყო.

თანამედროვე ინფორმატიკაში თეზაურუსი შემდეგნაირად განისაზღვრება: ის არის ლექსიკონი, რომელშიაც სიტყვები განლაგებულია მათი მნიშვნელობების სიახლოვის მიხედვით²².

ინფორმაციული ძიების მიზანია დოკუმენტის შინაარსის სრული ასახვა. დოკუმენტის შინაარსის გადმოცემა ხდება თეზაურუსის საფუძველზე. ამიტომ თეზაურუსების დამუშავება ინფორმატიკაში პირველხარისხოვანი მნიშვნელობისაა. რადგან თეზაურუსების შედგენა მეტად შრომატევადია, ამიტომ მისი აგების ავტომატური მეთოდებიც განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენენ.

სიტყვების კლასიფიკაცია მათ მნიშვნელობათა სიახლოვის მიხედვით შეიძლება არა მარტო იმ მეთოდის საშუალებით, რომელიც ზემოთ იყო განხილული.

შეიძლება ამ მიზნისათვის სიტყვების სტატისტიკური განაწილების მახასიათებლებიც გამოვლენ. შეიკვირმა სცადა სიტყვათა განაწილების ყველაზე ზოგადი მახასიათებლები (არითმეტიკული საშუალო და დისპერსია) გამოეყენებინა შინაარსობლივად დაკავშირებულ სიტყვათა დაჯგუფებისათვის²³.

საკვლევ მასალად მან აიღო პუშკინის პოეტური ტექსტები და ამერიკული პატენტური ფორმულები.

პუშკინის პოეზიიდან შეირჩა სამი ნაწყვეტი: „ვეგენი ონგენიდან“—23 ინტერვალი 1000 სიტყვის სიგრძისა, „რუსლან და ლულდმილადან“ 12 ინტერვალი და „ზლაპრებიდან“ 10 ინტერვალი. მათი ანალიზის შედეგად გამოიყო მაღალი დისპერსიის მქონე სიტყვათა დიდი ჯგუფი.

ამ ჯგუფს განეკუთვნება მესამე პირის ნაცვალსახელები, საკუთარი სახელები და მოკმედ პირთა სახელები. აქვე შემოდის იმ საგანთა სახელები, რომელნიც სიუჟეტის განვითარებაში მონაწილეობენ.

მის საპირისპიროდ გამოიყო დაბალი დისპერსიის მქონე სიტყვათა ჯგუფი, სადაც შედის წინდებულები, სხვა დამხმარე სიტყვები, ზოგი მნიშვნელოვანი ზმნა და სიტყვები—პოეტიზმები.

მეორე საკვლევ მასალას შეადგენდა ამერიკული პატენტური ფორმულები Official gazette-დან (1966). განხილული იყო 1500 დოკუმენტი (ეხებოდა ავტოტრანსპორტს).

64 სიტყვისათვის (უფრო ზუსტად ფუძისათვის) შედგენილი იყო შემდეგი ტიპის სტატისტიკური რიგი:

სიტყვა	დოკუმენტების რაოდენობა	\bar{x}	s_x^2
air	40	0,40	2,49 ...

[ასეთივე ტაბულა იყო შედგენილი პუშკინის ტექსტებისათვისაც].

მაღალი დისპერსიის მქონე სიტყვათა ჯგუფში შევიდნენ სიტყვები, რომ-

²² მოგვყავს ე. ჯუღელის მიხედვით: Э. П. Джугели, Метод тезаурусов и его применение, კრებულში: Некоторые вопросы педагогики, Тбилиси, 1969, 120.

²³ А. Я. Шайкевич, Средняя и дисперсия как критерий классификации слов, Вопросы лингвостатистики и автоматизации лингвистических работ, вып. 3, 1970, 22—30.

ლებიც აღნიშნავენ მანქანათა დეტალებს, კონსტრუქციების ელემენტებს. მოკლედ, ეს არის საგნის აღმნიშვნელ სიტყვათა ჯგუფი.

ღაბალი დისპრესიის მქონე სიტყვათა ჯგუფში შევიდნენ:

ა) მანქანათა სახელწოდებები;

ბ) სიტყვები, რომლებიც მითითებენ მანქანის ნაწილების სივრცობრივ მდებარეობას (angle, area, back, bottom...);

გ) სიტყვები, რომლებიც აღნიშნავენ მიზეზებსა და შედეგებს (cause, effect);

დ) სიტყვები, რომლებიც უთითებენ დეტალების დანიშნულების ან ადგილმდებარეობის ცვლაზე (adapt, arrange...).

ამგვარად, მიღებულ იქნა სიტყვათა გარკვეული კლასიფიკაცია. რა თქმა უნდა, ეს მეთოდოლოგია სრულყოფასა და უფრო დიდ მასალაზე შემოწმებას საჭიროებს. წინასწარ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სიტყვათა განაწილების ანალიზი (კერძოდ, საშუალოსი და დისპრესიისა) შეეა შემაღლენელ ნაწილად სემანტიკის სტატისტიკური აღწერის უფრო ფართო მეთოდებში.

სემანტიკური ჯგუფების გამოყოფის ავტომატურ ხერხებზე მუშაობა წარმოებს კიევიში²⁴. აქ ცდილობენ არსებითი სახელების სემანტიკური ჯგუფების გამოყოფას ზმნებთან მათი შეკავშირების საფუძველზე. ექსპერიმენტი უკრაინულისათვის ჩატარდა გამოძველელ მანქანაზე. მასალად აღებული იყო NV, NVN, NVPrpN ტიპის 298 წინადადება, შედგენილი 40 არსებითი სახელისა და 39 ზმნისაგან. მანქანას უნდა აღენიშნა: 1) არსებითი სახელისა და ზმნის ყოველნაირი კავშირი; 2) მოექმნა ის არსებითი სახელები, რომლებიც ყველაზე მეტი რაოდენობის ზმნებს უკავშირდება; 3) დაეერთიანებინა არსებითი სახელები ერთ ჯგუფად (თუ ისინი თანაბარი რაოდენობის ზმნებს უკავშირდებოდნენ); 4) ყველა არსებითი სახელისათვის უნდა მიეწერა იმ ჯგუფის ნომერი, რომელშიაც ის შედიოდა. ექსპერიმენტის შედეგად მიღებულ იქნა არსებითი სახელთა 28 ჯგუფი, აქედან 19 ჯგუფი შეიცავდა მხოლოდ 1 არსებით სახელს.

აღნიშნული მეთოდოლოგია შეიძლება გამოდგეს მართლაც სემანტიკური ჯგუფების დასადგენად, ოღონდ იმ შემთხვევაში, თუ საგრძნობლად გაიზრდება გასაანალიზებელ წინადადებათა რიცხვი.

შესაძლოა არსებით სახელთა სემანტიკური კლასიფიკაცია განხორციელდეს ზედსართავ სახელებთან მათი შეკავშირების მიხედვითაც.

ამრიგად, ჩვენ განვიხილეთ მხოლოდ ისეთი გამოკვლევები, რომლებიც ემსახურებიან სიტყვათა გარკვეული სემანტიკური ჯგუფების გამოყოფას სტატისტიკური მეთოდების საშუალებით. მაგრამ სემანტიკაში სტატისტიკის გამოყენება ამ გამოკვლევებით არ ამოიწურება. არანაკლებ მნიშვნელოვანია გარკვეული სემანტიკური ჯგუფების, ე. წ. სემანტიკური ველების სტატისტიკური მოდულების აგება, ე. ი. მათი შინაგანი სტრუქტურისა და გარეგანი კავშირების დადგენა სტატისტიკური მეთოდების საშუალებით. ვარაუდი იმის შესახებ, რომ სემანტიკური ველის შიგნით სიტყვათა სინშირების ურთიერთმიმართებების საფუძველზე, შეიძლება ვიმსჯელოთ ამ ველის აგებულებაზე — შეამოწმა ვ. მოსკოვიჩმა²⁵.

²⁴ В. И. Перебелин, Экспериментальное выделение семантических классов существительных с помощью электронной вычислительной машины, Проблемы формализации семантики языка, М., 1964, 126—130.

²⁵ В. А. Москович, Опыт количественной типологии семантического поля, ВЯ, 1965, 4, 80—92.

მან. ინგლისური ენის მასალაზე (1 452 000 სიტყვის სიგრძის ტექსტი) განიხილა ფერთა აღმნიშვნელი სახელები, სულ 35 სიტყვა.

ამ სახელთა სიხშირეების მიხედვით მან გამოყო სამი ჯგუფი. აქედან პირველი ჯგუფი მოიცავს უხშირეს სახელებს, ხოლო მეორე და მესამე ჯგუფები—ნაკლები სიხშირის მქონე სახელებს. ინგლისური ენის მასალაზე ჩატარებული კვლევის შედეგები დაემთხვა უკრაინულში ფერთა აღმნიშვნელი სახელების კლასიფიკაციას²⁶.

გ. კვარაცხელიამ შეამოწმა ეს ვარაუდი ვაჟა-ფშაველას ტექსტების მასალაზე²⁷. მან განიხილა ყველა ფერთა სახელი, რაც კი ვაჟასთან იხმარება, დაალაგა ისინი კლებადი სიხშირეების მიხედვით. ვაჟა-ფშაველას ფერთა აღმნიშვნელი სახელების სემანტიკური ველის სტატისტიკური სტრუქტურა ოთხფენოვანი აღმოჩნდა: უხშირესი, ხშირი, საშუალო სიხშირისა და იშვიათი სიტყვები.

ყველაზე დაწვრილებით სემანტიკურ ველში შემავალ სიტყვებს შორის მიმართებათა დადგენა სტატისტიკური მეთოდის გამოყენებით აღწერილია ა. პრიცკერის მიერ²⁸.

პრიცკერი ამოწმებდა შემდეგ ჰიპოთეზას: თუ ორი ზედსართავი სახელი ძალიან ხშირად გვხვდება ერთსა და იმავე არსებით სახელთან, მაშინ ამ ორ ზედსართავ სახელს შორის არსებობს გარკვეული სემანტიკური კავშირი. უფრო ზოგადად: თუ ერთი სემანტიკური ველის ორი ელემენტი ხშირად გვხვდება ტექსტში ერთსა და იმავე მესამე ელემენტთან ერთად, მაშინ ისინი (ეს ორი ელემენტი) უმკველად გარკვეულ სემანტიკურ კავშირში იმყოფებიან.

ამ ჰიპოთეზის შესამოწმებლად ჩატარდა გამოკვლევა ინგლისური ზედსართავი სახელების მასალაზე.

მეთოდი შემდეგში მდგომარეობს:

1. არჩეულია სემანტიკური ველი, მიღებული სტატისტიკური ანალიზის გზით, მაგ., „ფერთა ველი“.

2. არჩეულია ყველა არსებითი სახელი; რომელიც გვხვდება მოცემული ჯგუფის ორ ზედსართავთან მაინც არანაკლებ 5-ისა (რომ გამოირიცხოს შემთხვევითობის შესაძლებლობა). სტატისტიკური ანალიზისათვის ამოსავალი მონაცემებია:

ა) მოცემულ ჯგუფში შემავალი თითოეული ზედსართავი სახელის სიხშირე ტექსტში;

ბ) ზედსართავი სახელების საერთო რაოდენობა ტექსტში;

გ) არსებითი სახელების რაოდენობა, რომლებიც მოცემულ ჯგუფში შემავალ ზედსართავებთან გვხვდებიან;

დ) თითოეული არსებითი სახელის მოცემული ჯგუფის ზედსართავთან ერთად შეხვედრის რაოდენობა.

ამ მონაცემების საფუძველზე შედგება ტაბულა, რომელშიაც მოყვანილია ყველა არსებითი სახელისათვის ყველა ზედსართავ სახელთან ერთად შეხვედრის მოსალოდნელი სიდიდისაგან აბსოლუტური გადახრები. ასეთი გზით შე-

²⁶ В. А. Москович, Статистика и семантика, М., 1969.

²⁷ გ. კვარაცხელია, პროზულ და პოეტურ ტექსტთა სემანტიკური შესწავლა, პოეტური სემანტიკის საკითხები (ფერთა და სინათლის აღნიშვნის სემანტიკური ველი ვაჟას შემოქმედებაში), — ხელნაწ. შრ., 1970.

²⁸ А. И. Прицкер, Дистрибутивно-статистический анализ семантического поля, Проблемы формализации семантики языка, М., 1964, 130—132.

საძლებელი ხდება მოცემული ჯგუფის ზედსართავი სახელების ნებისმიერ წყვილებს შორის კორელაციის კოეფიციენტის მოძებნა. გამოიყენება ფორმულა:

$$r = \frac{E x_i y_i}{E x_i^2 E y_i^2} \cdot 100\%,$$

სადაც r არის ორ ზედსართავ სახელს შორის კორელაციის კოეფიციენტი, x_i —ყოველი წყვილის პირველი ზედსართავი სახელის აბსოლუტური გადახრა ყოველ არსებით სახელთან მიმართებაში; y_i —მეორე ზედსართავი სახელის აბსოლუტური გადახრა ყოველ არსებით სახელთან მიმართებაში.

ამრიგად, ჩვენ განვიხილეთ სემანტიკაში სტატისტიკის გამოყენება სემანტიკური ველების გამოყოფის მიზნით და შემდეგ ამ ველების სტრუქტურათა გამოვლენის მიზნით. მაგრამ ეს მეთოდი შეიძლება გამოყენებულ იქნეს სხვა უფრო კერძო საკითხების გადაჭრისთვისაც. საინტერესოა ტექსტის სტილის დასახასიათებლად სემანტიკური კრიტერიუმის გამოყენება, რაც ძირითადად სტატისტიკური მეთოდის გამოყენებას ვარაუდობს. ი. უბინმა, მაგალითად, განიხილა სემანტიკური პარამეტრების (მამრავლების) ხმარების სიხშირე სხვადასხვა ხასიათის ტექსტებში²⁹. აღებული იყო ორი ენის (რუსულისა და ინგლისურის) მასალა: ტექსტები ხელოვნების ისტორიიდან, პოლიტიკური ხასიათის ტექსტები და საენათმეცნიერო სტატიები. განიხილებოდა ამ ტექსტებში შემდეგი სემანტიკური პარამეტრების ხმარების სიხშირე: Magn, AntiMagn, Bon, AntiBon, Ver, AntiVer. აღმოჩნდა, რომ ყველაზე ხშირად ეს პარამეტრები გვხვდება ისტორიის ტექსტებში, შემდეგ პოლიტიკური ხასიათის ტექსტებში და, ბოლოს, სამეცნიერო ტექსტებში. ეს მიმდევრობა ერთნაირია, როგორც რუსული, ისე ინგლისური ტექსტებისათვის.

უბინი შენიშნავს, რომ პარამეტრების ხმარების სიხშირე დამოკიდებულია ავტორთა სტილის ინდივიდუალურ თავისებურებებზე. მაგ., ხელოვნების ისტორიაში ინგლისური ტექსტების დამუშავების შედეგად აღმოჩნდა, რომ ერთნაირი თემისა და მოცულობის ნაშრომებში (ორ სხვადასხვა ავტორთან) ამ პარამეტრების ხმარების სიხშირე განსხვავებული იყო დაახლ. 50%-ით. ამიტომ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სემანტიკური პარამეტრები გამოიყენება როგორც ამა თუ იმ ტექსტის ავტორობის განსაზღვრის ერთ-ერთი საშუალება (ბუნებრივია, რომ მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული სხვა ფაქტორებიც).

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ სტატისტიკა გამოიყენება მნიშვნელობის სტრუქტურის ფსიქოლინგვისტური შესწავლის ექსპერიმენტში. ასეთი სახის ექსპერიმენტებში დიდი ადგილი უჭირავს დამახინჯებული ტექსტების აღდგენას სემანტიკის ღონეზე. აქ იყენებენ ორი სახის ექსპერიმენტულ მეთოდიკას. პირველი მათგანია შაპანის მეთოდიკა³⁰, რომელიც მდგომარეობს ცდისპირისათვის მთელი დამახინჯებული ტექსტის ერთდროულ მიწოდებაში. ხოლო მეორე მეთოდიკა—შენონის³¹. და კოლმოგოროვისა—მდგომარეობს ტექსტის თანმიმდევრულ მიწოდებაში.

²⁹ И. И. Убин, Замечания о взаимоотношениях некоторых оценочных параметров, Машинный перевод и прикладная лингвистика, вып. 13, М., 1970, 27—35.

³⁰ A. Chapanis, The Reconstruction of Abbreviated printed messages, J. exper. psychol., 1954, v. 48, გვ. 496—510.

³¹ C. E. Shannon, Prediction and entropy of printed English. The Bell system technical Journal, 1951, v. 30, გვ. 50—64.

ფსიქოლინგვისტური ტექსტები შეიძლება იყოს როგორც სინტაგმატური (ე. ი. ისეთი, რომელშიაც ცდისპირს საქმე აქვს რალაც შეტყობინებასთან ან შეტყობინების ფრაგმენტთან), ისე პარადიგმატული (ე. ი. ისეთი, სადაც ცდისპირი ოპერირებს ცალკე აღებული სიტყვებით).

იმ მაჩვენებელთა მიხედვით, რომლებიც ცდის შედეგად მიიღება, ექსპერიმენტი შეიძლება დაიყოს რაოდენობრივად (როცა ცდისპირები იძლევიან სიტყვათა მნიშვნელობების კვანტიტატიურ შეფასებას, ე. ი. სიტყვათა სემანტიკური სიახლოვის რაოდენობრივ შეფასებას) და ხარისხობრივად (როცა ცდისპირები ჩასვამენ სიტყვებს ან ადგილს შეუცვლიან მათ ისე, რომ არ იძლევიან მათი სიახლოვისა თუ მნიშვნელობების რაოდენობრივ დახასიათებას).

მაგალითისათვის მოვიყვანოთ ერთ-ერთი ტიპობრივი ფსიქოლინგვისტური ექსპერიმენტი³².

ცდისპირებს ეძლევათ მოკლე და გრძელი წინადადებები ერთი სიტყვის (არსებითი სახელის) გამოტოვებით; დავალება შემდეგია: მიუთითონ პირველ რეა სიტყვაზე, რომლებიც, მათი აზრით, შეიძლება იდგნენ ფრაზაში გამოტოვებული სიტყვის ადგილზე. თანაც ეს რეა სიტყვა უნდა იყოს ჩაწერილი მათი ამ ადგილზე გამოჩენის კლებადი ალბათობის მიხედვით, ე. ი. პირველ ადგილზე იდგნენ ისეთი სიტყვები, რომლებიც ყველაზე უფრო ალბათობრივნი არიან მოცემულ პოზიციაში.

ექსპერიმენტის შედეგად აღმოჩნდა, რომ 1) სიტყვები, რომლებიც ყველაზე უფრო ალბათობრივად იქნა დასახელებული გარკვეულ პოზიციებში, მართლაც ყველაზე ალბათობრივნი არიან (ამის შემოწმების საშუალებას იძლევა სტატისტიკური კვლევა); 2) ცდისპირთა პასუხებს შორის დამთხვევის ყველაზე უფრო დიდი პროცენტი დამახასიათებელია იმ სიტყვებისათვის, რომლებიც აღიქმებიან, როგორც ყველაზე ალბათობრივნი მოცემული პოზიციისათვის; 3) გრძელ წინადადებაში გამოტოვებული ადგილები შევსებულია ყველა ცდისპირის მიერ უფრო ნაკლები რაოდენობის განსხვავებული სიტყვებით, ვიდრე გამოტოვებული ადგილები მოკლე წინადადებაში.

მიღებული შედეგები პრინციპულად ტრივიალურია. მათი ღირებულება მდგომარეობს იმაში, რომ ისინი ექსპერიმენტულად ადასტურებენ სიტყვის მნიშვნელობის განპირობებულობას იმ ადგილით, რომელიც მას უქირავს წინადადებაში, და ამ წინადადების სიგრძით. სამწუხაროდ, უფრო საინტერესო საკითხი ამ განპირობებულობის გაზომვის შესახებ, რაც ვარაუდობს პირობითი ალბათობების კვლევას (საკმაოდ შრომატევადს) აღნიშნულ ნაშრომში არ დამდგარა.

ყურადღებას იქცევს ფსიქოლინგვისტური ექსპერიმენტები, ჩატარებული ა. კლიმენკოს მიერ³³. მან ჩატარა ექსპერიმენტების სერია იმ მიზნით, რომ დაეხასიათებინა დროის აღმნიშვნელი არსებითი სახელების სემანტიკური მიკროსისტემა. სულ ჩატარდა ცდების ორი სერია: 1—A: 60 ცდისპირს მიეცა 10 წინადადება, რომლებშიაც მათ უნდა შეეცსოთ გამოტოვებული ადგილები³⁴.

³² M. A born and H. Rubenstein, Perception of Contextually Dependent Word-Probabilities, The American Journal of Psychology, v. LXXI, № 2, 1958.

³³ А. И. Клименко, К оценке результатов качественных синтагматических экспериментов, «Семантическая структура слова», М., 1971, 63—78.

³⁴ მაგალითად, ასეთი წინადადება: Весна и ... были в этом году хорошими.

ყოველი წინადადების პასუხებში შეიმჩნეოდა 7-დან 19-მდე ვარიანტი. შედგენილია ტაბულა, სადაც აღნიშნულია 1-დან 19-მდე გადანომრილი პასუხების შეხვედრის შემთხვევები. სულ მიღებული იყო 628 პასუხი, აქედან 500 შედიოდა წლის დროების აღმნიშვნელ სახელთა სემანტიკურ ჯგუფში. ეს იმით, რომ ამგვარი ტიპის ფსიქოლინგვისტურ ექსპერიმენტებში ინდივიდუალური არჩევანი ძალზე შეზღუდულია.

მეორე ექსპერიმენტი—B იმაში მდგომარეობდა, რომ შეცვლილიყო ხაზგასმული სიტყვა სხვა სიტყვებით. საინტერესოა, რომ ამ ექსპერიმენტში პასუხების ვარიანტები უფრო მეტია, ვიდრე A-ში. ეს აიხსნება იმით, რომ უზშირესი (და ყველაზე უფრო ალბათობრივი) ვარიანტი უკვე მოცემულია წინადადებაში. ამ მონაცემებისთვისაც მოყვანილია ტაბულა და პასუხების ვარიანტთა რაოდენობები, აგრეთვე პასუხების პროცენტული შეფარდებები. ცდის შედეგებში ვარიაციები გამოდინარეობს ენის ალბათობრივ-სტრუქტურული ბუნებიდან, —ასკენის ატორი. იმისათვის, რომ საიმედო იყოს მიღებული შედეგები, საჭიროა ცდისპირთა ჯგუფის რაოდენობის დადგენა. ეს რაოდენობა ზუსტდება შემდეგი ფორმულის საშუალებით:

$$n = t^2 \left[\frac{p(1-p)}{\Delta^2} \right],$$

სადაც t არის კოეფიციენტი განსაზღვრული წინასწარ მოცემული ალბათობით, p —უზშირესი პასუხის ალბათობა, ხოლო Δ —სასურველი სიზუსტე. n კი არის იმ ცდისპირთა რაოდენობა, რომელნიც საჭიროა იმის აღნიშნული პირობების დასაცავად. თუ ალბათობის დონედ ავიღებთ 90%-ს, დასაშვებ შეცდომად 10%-ს, ხოლო ყველაზე ხშირი პასუხების ალბათობა 0,5 იქნება, მაშინ ცდისპირთა რაოდენობა, რომლებიც სასურველ სიზუსტეს უზრუნველყოფენ, იქნება 60—70 კაცი.

საკმარის ტრივიალური შედეგებია მიღებული ვ. ლევიცის მიერ ჩატარებულ ექსპერიმენტში³⁵. ეს ექსპერიმენტი მიზნად ისახავს გამოყოს სიტყვის ძირითადი (მთავარი) მნიშვნელობა. ამისათვის 20 ცდისპირს ეძლევა 5 სიტყვა, რომლებსაც ისინი მიაწერენ ისეთ სიტყვებს, რომლებიც აზრობრივად დაკავშირებულნი არიან ამ სიტყვებთან. ექსპერიმენტის შედეგები განიხილება ორი თვალსაზრისით:

1) რა მნიშვნელობები რამდენჯერ არის დასახელებული (სიტყვები—რეაქციები მიეწერება სიტყვა—სტიმულს. სიტყვები—რეაქციები ერთიანდებიან ჯგუფებად, რომლებიც სიტყვა—სტიმულის ერთ მნიშვნელობას შეესაბამებიან და ეს ჯგუფებია დათვლილი).

2) რომელი მნიშვნელობაა დასახელებული პირველ ადგილზე.

აღმოჩნდა, რომ ყოველთვის პირველ ადგილზეა დასახელებული ის მნიშვნელობა, რომელიც განმარტებით ლექსიკონშიაც პირველ ადგილზეა. ამრიგად, ავტორს გამოყავს დასკვნა, რომ სიტყვის ძირითად მნიშვნელობად შეიძლება ჩაითვალოს კონტექსტუალურად გაუპირობებელი მნიშვნელობა, რომე-

³⁵ В. В. Левинский, Экспериментальные данные к проблеме смысловой структуры слова, цб.: Семантическая структура слова (психолингвистические исследования), М., 1971, 151—168.

ლიც გამოიყოფა ამ სიტყვის აზრობრივ სტრუქტურაში სხვა მნიშვნელობებზე უფრო ადრე.

ფსიქოლინგვისტურ ექსპერიმენტებში სტატისტიკური მეთოდი, როგორც ენახეთ, მხოლოდ დამხმარე როლს ასრულებს. სტატისტიკის გამოყენების საილუსტრაციოდ მოყვანილი მაგალითებიც კმარა.

რაც შეეხება ზოგადად სემანტიკაში სტატისტიკური მეთოდების გამოყენებას, ეს მეცნიერების ახალი და სწრაფად განვითარებადი სფეროა. ჩვენ შევეცადეთ რაც შეიძლება სრულად წარმოგვედგინა ამ საკითხებთან დაკავშირებული ლიტერატურა.

Л. Б. АБУЛАДЗЕ

СТАТИСТИЧЕСКИЕ МЕТОДЫ В СЕМАНТИКЕ
(Обзор литературы)

Резюме

В статье дается анализ литературы, посвященной изучению семантики статистическими методами, начиная с работ Ципфа и кончая новейшими исследованиями.

ი. კობალავა

მასალები გლოსემატიკურ ტერმინთა ლექსიკონისათვის

1 ლინგვისტიკის მეტაენის პრობლემა ენათმეცნიერების განვითარების თანამედროვე დონეზე მეტად აქტუალურ პრობლემათა რიგს განეკუთვნება. სხვადასხვა ლინგვისტიკური მიმდინარეობების, სკოლების არსებობით განპირობებულია სპეციფიკური ცნებებისა და შესაბამისი ტერმინების დიდი მრავალფეროვნება. ამიტომ თანდათანობით სულ უფრო და უფრო მწვავედ იგრძნობა ლინგვისტიკურ ტერმინთა ლექსიკონების საჭიროება. ამ მიმართულებით განსაკუთრებით პერსპექტიულად გვეჩვენება ცალკეულ ენათმეცნიერულ სკოლათა ტერმინოლოგიური ლექსიკონების შედგენა. ასეთი პრაქტიკა არსებობს. ენათმეცნიერთა წრეებში საყოველთაო აღიარება მოიპოვეს ლექსიკონებმა, როგორცაა, მაგალითად: J. Vachek (avec collaboration de J. Dubský), Dictionnaire de linguistique de l'école de Prague. Utrecht-Anvers, 1960 (Й. Вахек (при участии Й. Дубского), Лингвистический словарь Пражской школы, М., 1964); E. Hamp, A glossary of american technical linguistic usage, 1925—1950. Utrecht-Antwerp, 1957 (Э. Хэмп, Словарь американской лингвистической терминологии, М., 1964); R. Engler, Lexique de la terminologie saussurienne. Utrecht-Anvers, 1968 და სხვ. ამავე რიგისაა საბჭოთა კავშირში გამოშლილი მრავალი ლექსიკონი, მათ შორის ო. ახმანოვას «Словарь лингвистических терминов» (1966), რომელიც საკმაოდ ვრცლად წარმოგვიდგენს რუსული და საბჭოთა ენათმეცნიერების მეტაენას.

2 წინამდებარე კრებულში წარმოდგენილია მასალები გლოსემატიკის ლინგვისტიკურ ტერმინთა ლექსიკონისათვის. ეს ლექსიკონი არ არის ჩაფიქრებული როგორც პირდაპირი თარგმანი გლოსემატიკაში მიღებულ ფორმალურ განსაზღვრათა სისტემისა, რომელსაც შეძლებისამებრ სრული სახით თვით ავტორები იძლევიან (იხ. L. Hjelmslev, Prolegomena to a theory of language (დანართი გვ. 83—87); L. Hjelmslev and H. J. Uldall, Outline of glossematics (ნაწილი: Glossematic algebra, გვ. 36—86). საბოლოო სახით იგი მიზნად ისახავს უფრო დაწვრილებით გააცნოს ამ მიმდინარეობით დაინტერესებულ მკითხველებს გლოსემატიკის ძირითადი პრინციპები, რაც მეტ-ნაკლებად აისახება განსამარტავი მასალის შერჩევასა და მოწოდებაში. ჩვენ არ ვფიქრობთ, რომ სალექსიკონო ერთეულთა განსაზღვრის ან მათი მოწოდების ის ვარიანტი, რომელზედაც შევჩერდით წინამდებარე კრებულში საცდელი მასალის წარმოდგენისას, საბოლოოა, ან, მით უფრო, საუკეთესო. ჩვენ მას ვთვლით (ყოველ შემთხვევაში, პირველ ეტაპზე მაინც) მხოლოდ ერთ-ერთ შესაძლებელ ვარიანტად და სწორედ ასეთად წარმოვედგენთ სპეციალისტთა სამსჯავროს.

8 „გლოსემატიკას“ ხშირად მიიჩნევენ კომუნაზების ლინგვისტური წრის თეორიად, რაც არ არის სწორი. ეს წრე იმთავითვე (ჩამოყალიბდა 1931 წ.) მისწრაფოდა ენათმეცნიერების სხვადასხვა დარგში მომუშავე სპეციალისტთა თანამშრომლობისაკენ და აერთიანებდა განსხვავებული ორიენტაციის ლინგვისტებს.

საკუთრივ „გლოსემატიკის“ შექმნა ძირითადად დაკავშირებულია ამ წრის ერთ-ერთი ორგანიზატორის ლ. იელმსლევის (1899—1965) სახელთან. თეორია მუშავდებოდა სხვა წევრების, მათ შორის პ. ულდალის, აქტიური თანამშრომლობით. მეტ-ნაკლებად ჩამოყალიბებული სახით იგი ფიგურირებს უკვე 1935 წლიდან, მაგრამ ისე, როგორც ავტორებს ჰქონდათ ჩაფიქრებული, თეორია დაუმთავრებელი დარჩა. დღეისათვის არსებობს თეორიის შესავალი, ზოგადი აღრიცხვის (ალგებრის) პირველი ნაწილი და სხვადასხვა ავტორების, განსაკუთრებით ლ. იელმსლევის, მრავალრიცხოვანი ნაშრომები, რომლებშიც განხილულია გლოსემატიკის როგორც ზოგადი, ისე კერძო საკითხები. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ გლოსემატიკა იმის ფარგლებშიც კი, რაც დამთავრებულია, არ წარმოადგენს ერთიან და საბოლოოდ დადგენილ დოქტრინას. როგორც ამას ავტორებიც აღნიშნავენ, იგი უფრო სამუშაო ჰიპოთეზაა, მონახაზია, რომელიც მოითხოვს შემდგომ დაზუსტებასა და გაღრმავებას, ხოლო თუ საჭირო იქნება—შეცვლასაც. ამის ფორეგია, რომ არა თუ არ არსებობს სრული შეთანხმება ამა თუ იმ საკითხის ფორმულირებაში ავტორთა შორის, რომლებიც გლოსემატიკის ძირითად პრინციპებს იზიარებენ, არამედ ხშირად ამ თვალსაზრისით განსხვავება შეიმჩნევა ერთი ავტორის სხვადასხვა დროს გამოსულ ნაშრომებშიც. ყოველივე ეს განსაკუთრებულ ტერმინოლოგიურ სირთულეებთან ერთად მნიშვნელოვნად აძნელებს თეორიის შესწავლას. ამიტომ, ვფიქრობთ, რომ გლოსემატიკურ ტერმინთა ლექსიკონი თუ მთლიანად ვერ გადაჭრის (რისი პრეტენზიაც ლექსიკონს არ შეიძლება ჰქონდეს), რამდენადმე მაინც გააადვილებს ამ ამოცანას. გლოსემატიკურ ტერმინთა გაცნობას სხვა მნიშვნელობაც აქვს. მრავალი ამ ტერმინთაგანი დიდი ხანია გასცილდა საკუთრივ გლოსემატიკის ფარგლებს და ფართო ლინგვისტური გამოყენების მქონე ტერმინი გახდა.

4 გლოსემატიკის ტერმინოლოგია საკმაოდ რთულია. აქ ლინგვისტიკაში საყოველთაოდ გავრცელებული ტერმინების გვერდით, რომლებიც გამოყენებულია მათი ჩვეულებრივი მნიშვნელობით (მაგ., აბლაუტი, მართვა, ნექსუსი და მისთ.), გვაქვს სპეციფიკური ტერმინოლოგია. მასში შედის როგორც ენათმეცნიერებაში უკვე არსებული, მაგრამ საკუთრივ გლოსემატიკური მნიშვნელობით გამოყენებული ტერმინები (მაგ., ტექსტი, ენა, რელაცია, ფუნქცია და მისთ.), ისე სრულიად ახალი ტერმინებიც (მაგ., გლოსემა, კენემატი და მისთ.). ჩვენ შევეცადეთ შეძლებისამებრ სრულად წარმოგვედგინა სწორედ სპეციფიკური გლოსემატიკური ტერმინები.

6. 1 სალექსიკონო ერთეულებად (ვოკაბულებად) მოცემულ ლექსიკონში აღებულია არა მხოლოდ ისეთი ტერმინები (მაგ., ფუნქცივი, გლოსემა, კორელაცია და მისთ.), რომელთა დეფინიციები შედის გლოსემატიკურ დეფინიციითა სისტემაში, არამედ ისეთებიც, რომელთა ფორმალურ განსაზღვრას გლოსემატიკა არ იძლევა, მაგრამ რომლებიც ნიშანდობლივ არიან მოცემული თეორიისათვის და მეტ-ნაკლებად ასახავენ მის სპეციფიკას (მაგ., ანალიზის

პრინციპი, ანალიზის საფუძველი, ღინგვისტური თეორიის მიზანი და მისთ.).

5. 3 არჩეული სალექსიკონო ერთეულებისათვის შესაბამისი დეფინიციები წარმოდგენილია ციტატების სახით. სიტყვა-სტატიაში ზოგჯერ მოტანილია ისეთი კონტექსტიც, რომელიც, მართალია, არ არის დეფინიცია, მაგრამ უფრო გასაგებს ხდის მოცემული ტერმინის მნიშვნელობას (იხ., მაგ., ფუნქცია). ძალიან ხშირად დეფინიციებიცა და ვრცელი კონტექსტებიც საჭიროებისამებრ შემოკლებულია. ასეთი შემოკლება ერთი წინადადების ფარგლებში აღნიშნულია მრავალწერტილით. მთელი წინადადების ან მასზე დიდი მონაკვეთის გამოტოვებისას მრავალწერტილი ჩასმულია წინადადებებს შორის კვადრატულ ფრჩხილებში (მაგ., „ის დაკავშირებულია სხვა ფუნქციებთან. [...] შემდგომი კატალიზი...“).

5.3 ყოველ ციტატას თან ახლავს სათანადო წყაროზე მითითება. მითითება მოთავსებულია კვადრატულ ფრჩხილებში, სადაც შავი ლიტვით აღნიშნული რიცხვებით ნაჩვენებია ნაშრომი (რიცხვი შეესაბამება ლიტერატურის დართულ სიაში ამ ნაშრომის რიგით ნომერს), ხოლო სხვა რიცხვები მითითებს ნაშრომის გვერდებზე (მაგ., [16, 170, 186] ნიშნავს, რომ ივლისსმება 16 ნომრით აღნიშნული ნაშრომი: La stratification du langage, გვ. 170 და 186). გარდა ძირითადი წყაროსი, საიდანაც აღებულია მოცემული ციტატა, პარალელურად მრავალ ფრჩხილებში მითითებულია აგრეთვე ამავე ნაშრომის სხვა ენებზე არსებული გამოცემებიც — დედანი ან თარგმანები (მაგ., მითითება [12, 31(12a, 112)] ნიშნავს, რომ ციტატა აღებულია 12 ნომრით აღნიშნული ნაშრომის 31 გვერდიდან, რომელსაც შეესაბამება ამავე ნაშრომის რუს. თარგმანის 112 გვერდი).

5. 4 ლექსიკონში არის შემთხვევები, როდესაც სალექსიკონო ერთეულებს საერთოდ არ ახლავს სათანადო დეფინიცია. ეს ხდება იმ შემთხვევათა უმრავლესობაში, როდესაც საჭირო განმარტება მოცემულია სხვა განმარტებებთან ერთად იმ სახით, რომ მისი გამოცალკევება მხოლოდ ხელოვნურად (ზოგჯერ ციტატების მეტ-ნაკლები გადაკეთებით) თუ იქნება მოსახერხებელი. ასეთ შემთხვევებში, ციტატების გადაკეთების ან, საუკეთესო შემთხვევაში, მათი გამეორების თავიდან ასაცილებლად დეფინიცია ჩვეულებრივ დატოვებულია ერთ-ერთ ტერმინთან, ხოლო დეფინიციით დაკავშირებული სხვა ტერმინები გაგზავნილია მასთან (მაგ., თანხმავანი—იხ. გ ა ნ ა პ ი რ ა შე მ ა დ გ ე ე ლ ი). დეფინიციის გამოცალკევებას ან გამეორებას ჩვენ არ მოვერიდეთ მეტწილად მაშინ, როდესაც მოცემული დეფინიცია, თავის მხრივ, გამოყენებულია სხვა დეფინიციათა საფუძვლად (იხ., მაგ., ლეტერმინაცია, თავსებადობა). ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც წარმოდგენილი ციტატების გასამართავად საჭირო იყო რაიმეს ჩამატება (ე. ი. უფრო ფართო კონტექსტიდან რაიმეს გადმოტანა), ჩამატებული სიტყვებისათვის გამოყენებულია ნახევარ-ფრჩხილები: ო...1.

5. 5 ერთნაირი მნიშვნელობით გამოყენებული ტერმინებიდან განმარტებულია მხოლოდ ერთი, უფრო ხშირად ხმარებული ან უფრო გვიანდელი რედაქციებით წარმოდგენილი, მაგრამ იქვე კვადრატულ ფრჩხილებში მოცემულია მის სინონიმებად გამოყენებული სხვა ტერმინებიც (მაგ., დედუქციური ფონეტიკა—[ფონემატიკა]). ეს უკანასკნელები წარმოდგენილი არიან ცალკეც ძირითად ვოკაბულზე მითითებით (მაგ., სემიოტიკური ფუნქცია—იგივეა, რაც ნ ი შ ნ უ რ ი ფ უ ნ ქ ც ი ა). ტერმინები, რომლებიც საერთოდ ხმარებიდან არიან გამოსული ან უკვე აღარ გამოიყენებიან მოცემული მნიშვნელობით,

კვალიფიცირებულია როგორც ძველი—შემოკლებით: ძვ. (მაგ., პარფონემა—
ძვ. იგივეა, რაც ფი გ უ რ ა).

როდესაც ესა თუ ის ტერმინი გამოყენებულია ერთზე მეტი მნიშვნელო-
ბით, განსხვავებული მნიშვნელობები ცალ-ცალკეა მოცემული (იხ., მაგ.,
ელემენტი).

5. 6 ტერმინები დალაგებულია ქართულ ანბანურ რიგზე. მეტი წილი ტერმი-
ნებისათვის ქართულის პარალელურად მოცემულია შესატყვისები დანიურ, ფრან-
გულ, ინგლისურ, გერმანულ და რუსულ ენებზე. მაგრამ ამ მასალის მოწოდებისას
ჩვენ არ ვეცდითა წარმოგვედგინა სათანადო ტერმინთა სრული სია ყველა სხენე-
ბულ ენაზე. ჩვენ დავეყვითლეთ მხოლოდ იმ ტერმინების აღნიშვნით, რომ-
ლებიც შეგვხვდა ლექსიკონისათვის გამოყენებულ ნაშრომებში. ამიტომაც, თუ
ზოგ ტერმინთან ქართულის პარალელურად მოცემულია შესატყვისი ტერმინები
ყველა სხენებულ ენაზე, ზოგთან მხოლოდ ერთი ან რამდენიმე მათგანია წარმოდ-
გენილი (შდრ., მაგ., ენა (დან. sprog, ფრ. langue, ინგლ. language, გერმ.
Sprache, რუს. язык), მაგრამ კენმატი (ფრ. cénématique და მისთ.).

5. 7 გლოსმატიკური ტერმინებისათვის ქართული შესატყვისების შერ-
ჩევისას ვხელმძღვანელობდით შემდეგი პრინციპებით:

1) უცვლელად იქნა დატოვებული ძვ. ბერძნულის საფუძველზე შექმნი-
ლი საკუთრივ გლოსმატიკური ტერმინები (მაგ., გლოსემა, პლერემა და მისთ.).
ჩვენ შევეცადეთ მხოლოდ დაგვეცვა ბერძნული სიტყვების ქართულად გადმო-
ცემის ტრადიცია (ამიტომაც ბერძნ. κενός-ისგან ნაწარმოები ტერმინები გად-
მოტანილია როგორც კენემა, კენი და ა. შ. და არა როგორც სენემა, სენი და
ა. შ.), ან აღგვედგინა ბერძნული ფორმა (ფრ. lexie—ქართ. ლექსისი). ასევე
უცვლელად იქნა დატოვებული მრავალი უცხოური, მაგრამ ქართულ საენათ-
მეცნიერო ან საერთოდ ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოყენებუ-
ლი ტერმინები (კატალიზი, ხელექცია და მისთ.).

2) ისეთი შემთხვევებისათვის, როდესაც ქართულში სათანადო უცხოური ტერ-
მინი არ დამკვიდრებულა, ლექსიკონში წარმოდგენილია ან უბრალოდ მისი თარ-
გმანი (დან. plan, ფრ. plan, ინგლ. plane, გერმ. Plan, რუს. план — ქართ.
სიბრტყე) ან ქართულის ნიადაგზე შექმნილი შესაბამისი ტერმინები (ფრ. hétero-
plane, გერმ. heteroplane — ქართ. ნაირსიბრტყევი; დან. constellation, ფრ.
constellation, ინგლ. constellation, რუს. констелляция—ქართ. თავსებადობა).

5. 8 რათა ანბანურ რიგზე შედგენილი ლექსიკონისათვის ოდნავ მაინც
შეგვენარჩუნებინა დეფინიციათა ის იერარქიული სახე, რომელიც გვაქვს თვით
გლოსმატიკაში, მიზანშეწონილად ჩათვალეთ სიტყვა-სტატიებისათვის დაგ-
ვემატებინა გარკვეული ინფორმაცია. სახელდობრ:

1) ციტატების შიგნით იმ ტერმინებს, რომელთა მნიშვნელობის გათვა-
ლისწინება აუცილებელია მოცემული ტერმინის მნიშვნელობის გასაგებად,
ერთვის კვადრატულ ფრჩხილებში ჩასმული „იხილეთ“: [იხ.] (მაგ., „დეტერმი-
ნაციას. ჩვენ განვსაზღვრავთ როგორც ფუნქციას [იხ.] მუდმივსა [იხ.] და
ცვლადს [იხ.] შორის“). ზოგჯერ [იხ.] იწერება ისეთ ტერმინთანაც, რომელსაც
დეფინიცია არ ახლავს და, თავის მხრივ, გაჯაგნულია სხვა ტერმინთან, მაგ-
რამ დეფინიციათა იერარქიის შენარჩუნების თვალსაზრისით ასეთი შემთხვე-
ვებიც გამართლებულად გვეჩვენება (მაგ., დანაწევრება განსაზღვრულია დაყო-

ფის საფუძველზე, მაგრამ თვით დაყოფა გაგზავნილია ანალიზთან: იგივეა, რაც ანალიზი).

2) განმარტების შემდეგ საჭიროებისამებრ კვლადრატულ ფრჩხილებში წარმოდგენილია ის ტერმინები, რომლებიც, თავის მხრივ, განმარტებიან მოცემული განსაზღვრის საფუძველზე (მაგ., კლასის დეფინიციის შემდეგ აღნიშნული [პარადიგმა, ჯაჭვი] ნიშნავს, რომ „პარადიგმა“ და „ჯაჭვი“ წარმოადგენენ „კლასის“ სახესხვაობებს და განისაზღვრებიან „კლასის“ საფუძველზე).

И. Д. КОБАЛАВА

МАТЕРИАЛЫ К СЛОВАРИЮ ГЛОССЕМАТИЧЕСКИХ ТЕРМИНОВ

В настоящем сборнике представлен подготовительный материал для полного лингвистического словаря глоссематической терминологии. В предлагаемом словаре даются в основном специфические глоссематические термины (т. е. как термины, созданные в самой глоссематике, так и известные лингвистические термины, употребляемые в специфическом глоссематическом значении).

В качестве лексических единиц в словаре выступают не только термины, определения которых включены в сложную иерархическую систему глоссематических дефиниций (как, напр., **функтив**, **глоссема**, **корреляция** и др.), но и выражения, которые хотя не являются терминами в обычном смысле этого слова (и не могут быть формально определены), но более или менее отражают специфику данной теории (как, напр., **принцип анализа**, **цель лингвистической теории** и т. п.).

Дефиниции даются в виде цитат за которыми в квадратных скобках следуют указания на цитируемую работу (цифры отмеченные жирным шрифтом указывают на работу в соответствии с порядковым номером, данным ей в прилагаемом списке литературы, а следующие цифры указывают на страницы; напр., [16, 170] означает, что данная цитата взята из работы, стоящей в списке под номером 16, стр. 170). Там же в круглых скобках даются указания или на переводы той же работы на других языках (если, конечно, таковые имеются), или на оригинал, если цитируемая работа сама является переводом с другого языка. Кроме цитируемой работы (после точки) указываются и другие работы, где повторяется данная дефиниция.

Из ряда терминов, употребляемых в одном и том же значении, определяется только один (тот, который встречается более часто или в более поздних редакциях), но параллельно в квадратных скобках даются и синонимические термины (напр., **дедуктивная фонетика** — [фонематика]). Эти термины в алфавитном порядке даются и отдельно, с отсылкой на место толкования. Специально отмечаются термины, вышедшие из употребления или же употребляемые позднее в другом значении. При полисемических терминах различные значения даются отдельно (1,2...).

Термины располагаются по грузинскому алфавиту. После толкуемого термина в круглых скобках приводятся соответствующие датские, французские, английские, немецкие и русские термины, употребляемые в использованном для предлагаемого словаря материале.

Внутри каждой словарной статьи термины, дефиниции которых являются основой для дефиниции данного термина, отсылаются на место их толкования (напр., «детерминацию определяем как функцию [см.] между постоянной [см.] и переменной [см.]»). После толкования термина по мере надобности в квадратных скобках приводятся термины, которые в свою очередь определяются на основе данной дефиниции (напр., после дефиниции «класса» помещение в квадратных скобках терминов [парадигма, цепь] означает, что «парадигма» и «цепь» рассматриваются как разновидности «класса»).

ბამრატოვი ლიტერატურა

წინამდებარე ლექსიკონის შედგენისას ჩვენ ვეყარებოდით ლ. იელმსლევის ნაშრომებს, რომლებიც გამოსულია 1935 წლის შემდეგ, ე. ი. იმ პერიოდთან, როდესაც გლოსემატიკური თეორიის პრინციპები განსაკუთრებული სიღრმადით გამოიკვება. ლექსიკონში გამოყენებულია აგრეთვე იელმსლევისა და ულდალის ნაშრომიც (სიაში № 22), რომლის პირველი (გამოქვეყნებული) ნაწილი, მართალია, ულდალის გვართი არის გამოსული, მაგრამ ფაქტობრივად წარმოადგენს ორივე ავტორის ხანგრძლივი თანამშრომლობის შედეგს.

1. On the principles of phonematics. Proceedings of the Second International Congress of Phonetic Sciences, 1935. Cambridge, 1936.
2. Essai d'une théorie des morphèmes. იბ. L. Hjelmslev, Essais linguistiques. Travaux du Cercle linguistique de Copenhague, v. XII, 1959.
3. Accent, intonation, quantité. Studi baltici VI, Roma, 1936-1937.
4. Quelques réflexions sur le système phonique de l'indo-européen. Acta Jutlandica IX, 1937.
5. La syllabation en slave. იბ. Beličev sbornik, Beograd, 1937.
6. Neue Wege der Experimentalphonetik. Nordisk tidskrift for tale og stemme II, 1938.
7. Über die Beziehungen der Phonetik zur Sprachwissenschaft. Archiv für vergleichende Phonetik II, 1938, H. 3, 4.
8. The syllable as a structural unit. Proceedings of the Third International Congress of Phonetic Sciences, 1938. Chent, 1939.
9. La structure morphologique. იბ. L. Hjelmslev, Essais linguistiques.
10. La notion de rection. Acta linguistica 1, 1939, f. I.
- 10ა. Л. Ельмслев, Понятие управления (извлечения). იბ. В. А. Звегинцев, История языкознания XIX-XX веков в очерках и извлечениях, ч. II, М., 1965.
11. Note sur les oppositions supprimables. Travaux du Cercle linguistiques de Prague 8, 1939.
12. Langue et parole. Cahiers Ferdinand de Saussure II, 1942.
- 12ა. Л. Ельмслев, Язык и речь. იბ. В. А. Звегинцев, დასახ. ნაშრომი.
13. Omkring sprogteoriens grundlæggelse. Cøbenhavn, 1943.
- 13ა. Prolegomena to a theory of language. Translated by F. J. Whitfield. Supplement to International Journal of American Linguistics, v. 19, 1953, № 1.
- 13ბ. Prolégomènes à une théorie du langage. Traduction revue par A.-M. Léonard. Paris, 1966.
- 13ც. Л. Ельмслев, Прологомены к теории языка. იბ. Новое в лингвистике, вып. I, М., 1960.
14. Éditorial. Acta linguistica IV, 1944, f. 3.
15. Structural analysis of language. Studia linguistica I, 1948, № 2.
- 15ა. Л. Ельмслев, Метод структурного анализа в лингвистике. Acta linguistica VI, 1950—1951, f. 2—3.
16. La stratification du langage. Word 10, 1954, № 2—3.
17. Animé et inanimé, personnel et non-personnel. იბ. L. Hjelmslev, Essais linguistiques.
18. Dans quelle mesure les significations des mots peuvent-elles être considérées comme formant une structure? Proceedings of the Eighth International Congress of Linguists, 1957. Oslo, 1958.
- 18ა. Л. Ельмслев, Можно ли считать, что значения слов образуют структуру? იბ. Новое в лингвистике, вып. II, М., 1962.

19. Introduction à la discussion générale des problèmes relatifs à la phonologie des langues mortes, en l'espèce du grec et du latin. Acta Congressus Madvigiani. Copenhague, 1958.
20. Sproget: En introduktion. Copenhavn, 1963.
- 20a. Le langage. Traduit par M. Olsen, Paris, 1966.
- 20b. Language: An introduction. Translated from the Danish by F. J. Whitfield. Madison, Milwaukee and London, 1970.
21. La structure fondamentale du langage. *αβ. θεολογία*: Prolegomènes à une théorie du langage.
22. L. Hjelmslev and H. J. Uldall, Outline of glossematics. A study in the methodology of the humanities with reference to linguistics. Part I: General theory by H. J. Uldall. Travaux de Cercle linguistique du Copenhague X, 1957.
- 22a. X. И. Ульдалль, Основы глоссематики. Исследование методологии гуманитарных наук со специальным приложением к лингвистике, ч. I, Общая теория. *αβ. Новое в лингвистике*, вып. I, М., 1960.

1 ავტონომია (დან. autonomi, ფრ. autonomie, ინგლ. autonomy, რუს. автономия) [|| განუპირობებელი კორელაცია]:

„...თავსებადობებს [იხ.] სისტემაში [იხ.] ჩვენ ვუწოდებთ ავტონომიებს [13a, 15 (18, 24; 13b, 42; 13c, 285). იხ. აგრეთვე 22, 65].

2 ავტონომიური ფუნქცივი (დან. autonom funktiv, ფრ. fonction autonome, ინგლ. autonomous function, რუს. автономный функцив): იხ. თავსებადი ფუნქცივი.

3 ამომწურავი აღწერის პრინციპი (დან. princip om udtømmende beskrivelse, ფრ. principe de description exhaustive, ინგლ. principle of exhaustive description, რუს. принцип исчерпывающего описания):

„ყოველი დაყოფა [იხ.] (ან დაყოფათა კომპლექსი), რომელშიც ფუნქციები [იხ.] რეგისტრირებულია მოცემული ფუნქციით [იხ.], როგორც დაყოფის საფუძვლით [იხ.], ისე უნდა წარიმართოს, რომ მივალწიოთ რეალიზებულ ფუნქციურ კატეგორიათა [იხ.] შეძლებისამებრ უდიდესი რიცხვის რეგისტრაციას ფუნქციურ კატეგორიათა [იხ.] შეძლებისამებრ უდიდესი რიცხვის ფარგლებში“ [13a, 62 (13, 87; 13b, 134; 13c, 352—3)].

4 ამოუხსნადი სინკრეტიზმი (დან. uopløselig synkretisme, ფრ. syncrétisme indissoluble, ინგლ. irresoluble syncretism, რუს. неразрешимый синкретизм): იხ. სინკრეტიზმის ამოხსნა.

5 ამოხსნადი სინკრეტიზმი (დან. opløselig synkretisme, ფრ. syncrétisme dissoluble, ინგლ. resolvable syncretism, რუს. разрешимый синкретизм): იხ. სინკრეტიზმის ამოხსნა.

6 ანალიზთა კომპლექსი (დანაწილებათა კომპლექსი) (დან. (ind)delingskomplex, ფრ. complexe d'analyses (complexe de divisions), ინგლ. analysis complex (partition complex), რუს. комплекс анализов (комплекс разделений)):

„...მოცემული ობიექტის (ტექსტის) [იხ.] აღწერა არ ამოიწურება ერთი გაგრძელებული (და თვითამომწურავი) დანაწილებით, რომელიც ემყარება ანალიზის ერთ საფუძველს [იხ.]. აღწერა შეიძლება გაგრძელდეს (ე. ი. შეიძლება რეგისტრირებულ იქნეს ახალი დამოკიდებულებები [იხ.]) ანალიზის სხვა საფუძველებზე დამყარებული დანაწილებითაც. ამგვარ შემთხვევებში ჩვენ ვილაპარაკებთ ანალიზთა კომპლექსზე (დანაწილებათა კომპლექსზე), ე. ი. ერთი და იმავე კლასის [იხ.] (ჯაჭვის) ანალიზთა (დანაწილებათა) კლასზე. ამგვარად, ტექსტის ანალიზი მთლიანად ღებულობს პროცედურის ფორმას, რომელიც შედგება გაგრძელებული დანაწილებისაგან ან დანაწილებათა კომპლექ-

სისაგან, რომელშიც ყოველი ცალკეული ობერაცია წარმოადგენს ცალკეულ მინიმალურ დაყოფას“ [13a, 18 (13, 28; 13b, 49; 13c, 290)].

7 ანალიზი (დან. analyse, ფრ. analyse, ინგლ. analysis, გერმ. Analyse, რუს. анализ) [|| დაყოფა]:

„დაყოფა ანუ ანალიზი ფორმალურად შეიძლება განისაზღვროს როგორც ობიექტის აღწერა [იხ.] მისი სხვა ობიექტებთან ერთგვაროვანი დამოკიდებულებებისა [იხ.] და ამ უკანასკნელთა შორის ერთგვაროვანი დამოკიდებულებების საფუძველზე“ [13a, 17—8 (13, 27; 13b, 48; 13c, 288—9). იხ. აგრეთვე 22, 45]. „...ტექსტის [იხ.] დაყოფის დროს არ უნდა გამოგვრჩეს დაყოფის არც ერთი საფეხური, რადგანაც ამას შეიძლება მოჰყვეს ანალიზის წინა ეტაპებზე შემობრუნების საჭიროება. ანალიზი უნდა მიმდინარეობდეს შეძლებისამებრ უდიდესი განვრცობის ინვარიანტებიდან შეძლებისამებრ უმცირესი განვრცობის ინვარიანტებამდე“ [13a, 62 (18, 87; 13b, 134; 13c, 353)]. „...ნებისმიერი ენობრივი ტექსტი შეიძლება დაიყოს ორ ნაწილად, შინაარსის სიბრტყედ [იხ.] და გამოხატულების სიბრტყედ [იხ.], რომელთა შორის არსებობს ურთიერთგანპირობებული რელაცია [იხ.] ყოველი სიბრტყე შემდგომ იყოფა ნაწილებად და ნაწილთა ნაწილებად: თავებად, პარაგრაფებად, რთულ წინადადებებად, მარტივ წინადადებებად და ა. შ., სანამ არ მივაღწევთ უმცირეს ელემენტებს“ [20b, 99 (20, 96—7; 20a, 134). იხ. აგრეთვე 16, 180—81]. „...თუ ანალიზის ობიექტი არის სემიოტიკა [იხ.]..., უნდა განვასხვაოთ ორი სიბრტყე და დავიწყოთ მათი ანალიზი ცალ-ცალკე იმ მომენტიდან, როდესაც ანალიზის მსვლელობაში ამ ორ სიბრტყეს შორის თავს იჩენს სტრუქტურული განსხვავება. ასევე, მანიფესტირებული სემიოტიკის შემთხვევაშიც უნდა განვასხვაოთ და ცალ-ცალკე გვაანალიზოთ ფორმა [იხ.] და სუბსტანცია [იხ.] იმ მომენტიდან, როდესაც ისინი უკვე აღარ იქნებიან კონფორმალური. [...] შინაარსსა და გამოხატულებას შორის განსხვავება წინ უსწრებს ფორმისა და სუბსტანციის განსხვავებას. ასე რომ, ანალიზის მსვლელობაში შინაარსის სიბრტყითა და გამოხატულების სიბრტყით შექმნილი იერარქიების გამოცალკევება უფრო ადრეულ სტადიაზე ხდება, ვიდრე ფორმისა და სუბსტანციისა [16, 168—9].

8 ანალიზის პრინციპი (დან. analysens princip, ფრ. principe de l'analyse, ინგლ. principle of analysis, რუს. принцип анализа):

„გულუბრყვილო რეალიზმი ალბათ დაუშვებდა, რომ ანალიზი გულისხმობს უბრალოდ მოცემული ობიექტის დაყოფას ნაწილებად, ე. ი. სხვა ობიექტებად, მათ შემდგომ დაყოფას ნაწილებად, ე. ი. სხვა ობიექტებად და ა. შ. მაგრამ გულუბრყვილო რეალიზმიც კი აღმოჩნდებოდა დაყოფის რამდენიმე შესაძლებელი გზის არჩევანის წინაშე. სავსებით ცხადი ხდება, რომ არსებითია არა ობიექტის დაყოფა ნაწილებად, არამედ ანალიზის ისე მოშაღდება, რომ იგი შეესატყვისებოდეს ამ ნაწილებს შორის არსებულ ურთიერთდამოკიდებულებებს და საშუალებას გვაძლევდეს ადეკვატურად განვიხილოთ ისინი. [...] როდესაც ჩვენ გავითვალისწინებთ აქედან გამომდინარე შედეგებს, მივალთ დასკვნამდე, რომელიც ყველაზე მნიშვნელოვანია ანალიზის პრინციპის გასაგებად: განსახილველი ობიექტაცა და მისი ნაწილებიც არსებობენ მხოლოდ ამ დამოკიდებულებათა [იხ.] მეოხებით. [...] ეს ნიშნავს, რომ ობიექტები შეიძლება აღიწეროს მხოლოდ მათი საშუალებით, განისაზღვროს და მეცნიერულად განხილულ იქნეს მხოლოდ ამ გზით“ [13a, 13—4 (13, 21—2; 13b, 40; 13c, 282—

3)]. „ანალიზის პრინციპი უნდა მდგომარეობდეს ამ დამოკიდებულებათა გამოვლენაში“ [13a, 17 (13, 26; 13b, 45; 13c, 287)].

9 ანალიზის საფუძველი (დან. inddelingsgrund, ფრ. base d'analyse, ინგლ. basis of analysis, რუს. основа для анализа) [|| დაყოფის საფუძველი]:

„ანალიზის წარმოება შეუძლებელი იქნება მანამ, სანამ აღწერილი არ იქნება დამოკიდებულებათა [იხ.] ხაზები თავიანთი ძირითადი ტიპების მიხედვით. ეს საჭიროა, რადგან ანალიზის საფუძველი ყოველ ინდივიდუალურ შემთხვევაში უნდა შეირჩეს იმის შესაბამისად, თუ დამოკიდებულების რომელი ხაზებია რელევანტური, ე. ი. დამოკიდებულების რომელი ხაზები უნდა აღიწეროს, რათა მივიღოთ ამომწურავი აღწერა [13a, 17 (13, 26; 13b, 46; 13c, 288). იხ. აგრეთვე 21, 224]. „გამოსადეგობის [იხ. თ ე ო რ ი ის გ ა მ ო ს ა დ ე გ ო ბ ა] გათვალისწინებით (ე. ი. ემპირიულ პრინციპში [იხ.] შემავალი სამი მოთხოვნის გათვალისწინებით) დაყოფის საფუძვლის არჩევა სხვადასხვა ტექსტისათვის [იხ.] შეიძლება იყოს განსხვავებული. ამიტომ ეს საფუძველი, როგორც უნივერსალური, შეიძლება დადგინდეს მხოლოდ ზოგადი აღრიცხვით, რომელიც ითვალისწინებს ყველა მოსალოდნელ შესაძლებლობას“ [13a, 13 (13, 21; 13b, 39; 13c, 282)].

10 აპრიორული მეთოდი (ფრ. méthode apriorique):

„ის, რაც დამახასიათებელია აპრიორული მეთოდისათვის, ეს არის უგულებელყოფა ფუნქციისა [იხ.], რომელიც ქმნის ნიშნის [იხ.] და ფუნქციებისა, რომელთაც ადგილი აქვთ ნიშნებს შორის, სხვა სიტყვებით, უგულებელყოფა ენის სტრუქტურისა [იხ.] და, მაშასადამე, თვით ენისა“ [9, 120]. „აპრიორულ და ემპირიულ მეთოდებს [იხ.] შეიძლება აგრეთვე შესაბამისად ეუწოდოთ სუბიექტური და ობიექტური მეთოდები. [...] აპრიორული და ემპირიული მეთოდები შეიძლება კვალიფიცირებულ იქნან როგორც შესაბამისად ტრანსცენდენტური და იმანენტური“ [9, 122].

11 არამეცნიერული სემიოტიკა (დან. ikkevidenskabssprog, ფრ. langage non-scientifique, ინგლ. non-scientific semiotic, რუს. ненаучная семиотика):

„არამეცნიერული სემიოტიკა ჩვენ გვესმის როგორც ისეთი სემიოტიკა [იხ.], რომელიც არ არის ოპერაცია [იხ.]“ [13a, 77 (13, 106; 13b, 161; 13c, 374)].

12 არაფილოლოგიური ენა (ფრ. langage non-philologique): იგივეა, რაც შ ე ზ ლ უ ღ ლ ი ე ნ ა.

13 არსი (დან. størrelse, ფრ. grandeur, ინგლ. entity, რუს. сущность):

„...ფუნქცია [იხ.] შეიძლება იყოს ფუნქცივი [იხ.], რამდენადაც შესაძლებელია არსებობდეს ფუნქციები ფუნქციათა შორისაც. [...] ფუნქცივს, რომელიც არ არის ფუნქცია, ეწოდება არსი“ [13a, 20 (13, 31; 13b, 53; 13c, 293)].

14 აქცენტი (დან. accent, ფრ. accent, ინგლ. accent, გერმ. Akzent):

„კენემატიკაში [იხ. კ ე ნ ე მ ა ტ ი კ ა 1] ინტენსიური პროსოდიკა [იხ. ინტენსიური ექსპონენტო აქცენტები“ [5, 318]. „აქცენტები შეიძლება მანიფესტირებულ [იხ. მ ა ნ ი ფ ე ს ტ ა ც ი ა] იქნეს სხვადასხვა ხარისხის მახვილით, ტონის სხვადასხვა სიმაღლით, მახვილის განსხვავებული მოძრაობებით, ნებისმიერი ხაზის დიაკრიტიკული ნიშნებით, მოკლედ, ნებისმიერი ბგერითა და გრაფიკული ნიშნით ან სხვა სიმბოლოთი, რომელიც კი შეიძ-

ლება გამოყენებულ იქნეს ამ მიზნით“ [8, 267]. „დანიურში არის ორი აქცენტი, რომელთაგან ერთი წარმოთქმაში მანიფესტირებულია (შედარებით) ძლიერი მახვილით, მეორე კი—(შედარებით) სუსტი მახვილით“ [20b, 108 (20, 105; 20a, 143)]. „ინგლისურში აქცენტები დინამიკურია (გამოხატულია ინტენსიობით), ...ინიურში კი აქცენტები მუსიკალურია...“ [3, 17].

15 აქცენტური თემა (ინგლ. accent theme, გერმ. Akzentthema):

„ჩაქვებს [იხ.], რომლებიც თავისთავად არ შეიცავენ აქცენტებს, მაგრამ რომელთა ფუნქციაც არის აქცენტი, შეიძლება ეწოდოს აქცენტური თემები, ხოლო ელემენტებს, რომლებიც შედიან აქცენტურ თემაში—შემადგენლები [იხ.], მაშინ როდესაც აქცენტებს შეიძლება ეწოდოს ექსპონენტები [იხ.]“ [8, 268. იხ. აგრეთვე 7, 219].

16 აქცენტური სინტაგმა (ინგლ. accent syntagm): იგივეა, რაც მ ა რ ც ე ა ლ ი [შდრ. 8, 270].

17 აღმნიშვნელი (ფრ. signifiant, რუს. означатель): იგივეა, რაც გ ა მ ო ხ ა ტ უ ლ ე ბ ი ს ს ი ბ რ ტ ყ ე [შდრ. 18, 275 (18a, 126)].

18 აღსანიშნი (ფრ. signifié, რუს. означаемое): იგივეა, რაც შ ი ნ ა ა რ ს ი ს ს ი ბ რ ტ ყ ე [შდრ. 18, 257 (18a, 126)].

19 აღწერა (დან. beskrivelse, ფრ. description, ინგლ. description, რუს. описание):

„ობიექტის აღწერა შეიძლება ნიშნავდეს მხოლოდ ერთს: აღინუსხოს ის მიმართებები, რომლებშიც მოცემული ობიექტი შედის, ან რომლებიც მასში შედის“ [20b, 8 (20, 12; 20a, 29)]. „ცხადია, რომ ენის აღწერა უნდა იწყებოდეს რელევანტურ ერთეულებს შორის მიმართებათა დადგენით...“ [15, 75 (15a, 63)].

20 აღწერის პრინციპები:

„გლოსემატიკის განხილვას დაეიწყებთ პრინციპებით, რომელთაც ემყარება მოცემული თეორია“ [22, 19 (22a, 416)]. „რათა აღწერის ეს იდეალები გაგვეხადა პერააციონალური, ჩვენ ისინი ჩამოვაყალიბებთ პრინციპთა ერთობლიობის სახით“ [22, 20 (22a, 417)].

[გ ა ნ ზ ო გ ა დ ე ბ ი ს პ რ ი ნ ც ი პ ი, ე კ ო ნ ო მ ი ი ს პ რ ი ნ ც ი პ ი, ე მ პ ი რ ი ზ მ ი ს პ რ ი ნ ც ი პ ი, ს ი მ ა რ ტ ი ე ბ ი ს პ რ ი ნ ც ი პ ი, შ ე მ ც ი რ ე ბ ი ს პ რ ი ნ ც ი პ ი].

21 აცილება (დან. suspension, ფრ. suspension, ინგლ. suspension, რუს. устранение):

„...თუ მოცემულია ფუნქტივი [იხ.], რომელიც გვხვდება გარკვეულ პირობებში, მაგრამ არ გვხვდება სხვა პირობებში, მაშინ შეიძლება ითქვას, რომ იმ პირობებში, რომელშიც ფუნქტივი სახეზეა, გვაქვს მისი დართვა. ამ შემთხვევაში ითქმის, რომ გარკვეულ პირობებში ფუნქტივი დართულია; ხოლო იმ პირობებში, რომელშიც ფუნქტივი არ გვხვდება, გვაქვს ფუნქტივის აცილება ანუ მისი არქონა. ასეთ შემთხვევებში ითქმის, რომ გარკვეულ პირობებში ფუნქტივი აცილებულია ანუ არ გვხვდება“ [18a, 56 (18, 78—9; 18b, 121; 18c, 344)].

22 გამოხატულება (დან. udtryk, ფრ. expression, ინგლ. expression, გერმ. Ausdruck, რუს. выражение): იხ. ნ ი შ ნ უ რ ი ფ უ ნ ქ ი ა.

28 გამოხატულების მასალა (დან. udtryksmateria, ფრ. sens d'expression, ინგლ. expression-purport, გერმ. Ausdruckstoff, რუს. материал выражения):

„...ჩვენ შეგვიძლია ენათა შედარების გზით ფონეტიკურ სფეროში დავადგინოთ გარკვეული ზონები, რომლებიც სხვადასხვა ენაში სხვადასხვაგვარად იყოფა. ჩვენ შეგვიძლია, მაგ., წარმოვიდგინოთ მოძრაობის ფონეტიკურ-ფიზიოლოგიური სფერო, რომელიც შეიძლება გამოისახოს მრავალგანზომილებიან სივრცეში, როგორც დაუნაწევრებელი, მაგრამ ანალიზს დაქვემდებარებადი კონტინუუმი, ვთქვათ, იესპერსენის „ანალფაბეტურ“ ფორმულათა სისტემის საფუძველზე. ასეთი ამორფული ზონები სხვადასხვა ენაში შეიცავს ფიგურების [იხ.] (ფონემების) განსხვავებულ რაოდენობას, რადგანაც ამ კონტინუუმის ფარგლებში საზღვრები სხვადასხვა ადგილას არის გავლებული. [...] ამგვარად, აქ ჩვენ შეგვიძლია ვილაპარაკოთ გამოხატულების მასალაზე [იხ. მასალა] და თუნდაც რომ ეს უჩვეული იყოს, ყოველ შემთხვევაში, ამ ფაქტის მიღმა არაფერია ისეთი, რომ ჩვენ გვეწინააღმდეგებოდეს“ [13a, 34—5 (18, 51—2; 13b, 80—81; 13c, 313—4)].

24 გამოხატულების მხარე (დან. udtryksside, ფრ. face de l'expression, ინგლ. expression side, გერმ. Ausdruckseite, რუს. сторона выражения):

„...ენობრივი სისტემის [იხ.] პირველ დაყოფას მივყავართ მისი ორი ყოვლისმომცველი პარადიგმის [იხ.]—გამოხატულების მხარისა და შინაარსის მხარის დადგენამდე“ [13a, 37 (18, 54; 13b, 84; 18c, 317)].

25 გამოხატულების სიბრტყე (დან. udtryksplan, ფრ. plan de l'expression, ინგლ. expression plane, გერმ. Ausdrucksplan, რუს. план выражения) [|| კენემატიკური სიბრტყე]:

„საერთო სახელწოდებად გამოხატულების ხაზისა [იხ.] და გამოხატულების მხარისათვის [იხ.]...ჩვენ გამოვიყენებთ გამოხატულების სიბრტყეს...“ [13a, 37 (18, 54; 13b, 84; 18c, 317)].

26 გამოხატულების სუბსტანცია (დან. udtrykssubstans, ფრ. substance de l'expression, ინგლ. expression-substance, გერმ. Ausdruckssubstanz, რუს. субстанция выражения):

„...ჩვენ შეგვიძლია ენათა შედარების გზით ფონეტიკურ სფეროში დავადგინოთ გარკვეული ზონები, რომლებიც სხვადასხვა ენაში სხვადასხვაგვარად იყოფა. [...] ნიმუშად შეიძლება დავასახელოთ კონტინუუმი, რომელიც წარმოქმნილია სასის კონტურით ხორხიდან ტუჩებამდე. ცნობილ ენებში ეს ზონა ჩვეულებრივ იყოფა სამ სფეროდ: უკანა k-სფეროდ, შუა t-სფეროდ და წინა p-სფეროდ. მხოლოდ ხშული თანხმოვნების განხილვიდან ჩანს, რომ ესკიმოსური და ლატვიური განარჩევენ ორ k-სფეროს, რომელთა სასაზღვრო ხაზები ამ ენებში არ ემთხვევა ერთმანეთს. [...] მრავალი ინდური ენა განასხვავებს ორ t-სფეროს: რეტროფლექსურსა და დენტალურს და ა. შ. მეორე ასეთსავე აშკარა კონტინუუმს წარმოადგენს ხმოვანთა ზონა: ხმოვნების რიცხვი მათი საზღვრებითურთ იცვლება ენიდან ენამდე. [...] ჩვენ მიერ მოყვანილ მაგალითებში ხმოვანთა კონტინუუმი და სასის კონტური წარმოადგენენ მასალის ფონეტიკურ ზონას, რომელიც სხვადასხვაგვარად ფორმდება სხვადასხვა ენაში, თითოეული ენის სპეციფიკურ ფუნქციათა [იხ.] შესაბამისად და ამიტომ ექვემდებარება ამ ენათა გამოხატულების ფორმას [იხ.

ფორმა], როგორც გამოხატულების სუბსტანცია. ჩვენი დაკვირვებები ეხებოდა გამოხატულების სისტემას [იხ. სისტემა], მაგრამ ასეთივე მდგომარეობა გვაქვს გამოხატულების პროცესშიც [იხ. პროცესი]. [...] ნაწილობრივ სისტემაში გავლებული საზღვრების გამო, რომლებიც სხვადასხვა ენაში არ შეესაბამებოდა ერთმანეთს, ნაწილობრივ ქაქეში [იხ.] ფონემათა შორის განსხვავებული რელაციური შესაძლებლობების გამო... გამოხატულების ერთი და იგივე მასალა [იხ.] შეიძლება სხვადასხვაგვარად იქნეს გაფორმებული სხვადასხვა ენაში. ინგლ. [bɜːˈlɪn], გერმ. [berˈliːn], დან. [berˈliːn], იაპონ. [berulinu] წარმოადგენენ გამოხატულების ერთი და იმავე მასალის (ქალაქ ბერლინის სახელწოდების) განსხვავებულ ფორმებს“ [13a, 34 — 5 (18, 50—2; 18b, 79—81; 18c, 313—4)].

27 გამოხატულების ფორმა (დან. udtryksform, ფრ. forme de l'expression, ინგლ. expression form, გერმ. Ausdrucksform, რუს. форма выражения): იხ. ფორმა.

28 გამოხატულების ხაზი (დან. udtryklinie, ფრ. ligne de l'expression, ინგლ. expression line, რუს. линия выражения):

„...ნებისმიერი ტექსტი [იხ.] პირველ ეტაპზე იყოფა ყოველთვის ორ და მხოლოდ ორ ნაწილად, რომელთა მინიმალური რიცხვი უზრუნველყოფს მათ მაქსიმალურ განვრცობას, სახელდობრ, იყოფა გამოხატულების ხაზად და შინაარსის ხაზად“ [18a, 37 (18, 54; 18b, 84; 18c, 317)].

29 განაპირა შემადგენელი (ფრ. constituent marginal, ინგლ. marginal constituent) [|| პერიფერიული ელემენტი]:

„ისევე როგორც ექსპონენტები [იხ.], შემადგენლებიც [იხ.] იყოფიან ორ ტიპად: ერთი მხრივ, ცენტრალურ შემადგენლებად [იხ.], რომლებიც შეიცავენ 1. შემადგენლებს, რომელთაც აქვთ უნარი თვითონ შექმნან გამონათქვამი და 2. შემადგენლებს, რომლებიც ფუნქციონალური თვალსაზრისით ასევე იქცევიან. თუ, მეორე მხრივ, განაპირა შემადგენლებად, რომლებიც ფუნქციონალური თვალსაზრისით იქცევიან სხვაგვარად. ...განაპირა პლურემებია დერივატიული ელემენტები. ...განაპირა კენემებია თანხმონებები“ [6, 318—9. იხ. აგრეთვე 2, 155; 7, 218—9; 8. 271—2]. „...პერიფერიულია ელემენტები, რომლებიც არ არიან აუცილებელი მინიმალურ ერთეულებში“ (20b, 109—10 (20, 107; 20a, 145). იხ. აგრეთვე 21, 223].

30 განზოგადების პრინციპი (დან. generalisationsprincip, ფრ. principe de généralisation, ინგლ. principle of generalization, რუს. принцип обобщения):

„ჩვენ შესაძლებლად მიგვაჩნია იმის დამტკიცება, რომ ეს პრინციპი ფარული სახით ყოველთვის თამაშობდა გარკვეულ როლს მეცნიერულ კვლევაში, თუმცა, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ის წინათ ფორმულირებული არ ყოფილა. პრინციპი შემდეგი სახისაა: თუ ერთი ობიექტი უშვებს რაიმე ასხნას როგორც ერთადერთ ახსნას, ხოლო მეორე ობიექტი—როგორც არაერთადერთ ახსნას, მაშინ მოცემული ახსნა განზოგადდება და გამოიყენება იმ ობიექტისთვისაც, რომელიც უშვებს ორგვარ ახსნას. ეს წესი, შემცირების [იხ. შემცირების პრინციპი] მიმართ გამოყენებული, შეიძლება ფორმულირებულ იქნას შემდეგი სახით: არსები [იხ.], რომლებიც განზოგადების პრინციპის გამოყენებისას შეიძლება ცალსახად განისაზღვრონ როგორც რთული ერთეულები, შედგენილი მხოლოდ ერთსა და იმავე ოპერაციაში [იხ.]

რეგისტრირებული ელემენტებისაგან [იხ.], არ უნდა განისაზღვრონ როგორც ელემენტები“ [18a, 44 (18, 63; 18b, 97; 18c, 327). იხ. აგრეთვე 22, 34 (22a, 435)].

31 განმასხვავებელი ნიშანი (ინგლ. distinctive feature, რუს. различительный признак):

„ჩვენ არ ვიზიარებთ თანამედროვე ენათმეცნიერებაში მიღებულ პრაქტიკას, რომელიც ეხება „ფონემის“ დაშლას „განმასხვავებელ ნიშნებად“. [...] „განმასხვავებელი ნიშანი“, მაგ., მეღერობა, ვლინდება არა ფონემების ანალიზით, ვთქვათ, ინგ. m-სი სიტყვაში miizli (measly „უხეირო, უფასური“), არამედ მას ადგენს ანალიზი უფრო დიდი ერთეულისა, სიტყვისა, რომელზედაც მთლიანად ვრცელდება ეს ნიშანი. სხვაგვარად, „განმასხვავებელი ნიშანი“ ღვინდება სხვა დედუქციით [იხ.] ვიდრე ფონემა და ეს ორი დედუქცია იმიჯნება უფრო ადრეულ თეორიაში [იხ.], ვიდრე ფონემების დადგენა მოხდებოდა. ისეთი ერთეული, როგორცაა miizli, შეიძლება და უნდა დაიყოს „ფონემებადაც“ და „განმასხვავებელ ნიშნებადაც“, მაგრამ ეს ორი დაყოფა არ შეესაბამება ერთმანეთს. ისინი, ასე ვთქვათ, განეკუთვნებიან სხვადასხვა განზომილებებს“ [22, 28—9 (22a, 427). იხ. აგრეთვე 10, 187].

32 განსაზღვრა (დან. definition, ფრ. définition, ინგლ. definition, რუს. определение):

„გამოხატულების სიბრტყეზე [იხ.] ფიგურებად [იხ.] ანალიზი .პრაქტიკულად გულისხმობს შეუზღუდველ ინვენტარში (მაგ., სიტყვა-გამოხატულებებში) შემავალ არსთა დაშლას შეზღუდულ ინვენტარში შემავალ არსებად. ეს დაშლა გრძელდება მანამ, სანამ მიღწეული არ იქნება ყველაზე შეზღუდული ინვენტარი. ასევე ხდება შინაარსის სიბრტყის [იხ.] ანალიზიც ფიგურებად. მაშინ როდესაც სიტყვა-შინაარსების ინვენტარი შეუზღუდველია, ჩვენთვის ცნობილი სტრუქტურის ენებში მინიმალური ნიშნებიც კი ქმნიან... ისეთ (სელექტირებულ) [იხ.] ინვენტარს, რომელიც შეუზღუდველია (მაგ., ძირეული შინაარსები) და ისეთ (მასელექტირებულ) [იხ.] ინვენტარს, რომელიც შეზღუდულია (მაგ., დერივაციული ელემენტები და მორფემები). [...] ასე, თუ ინგლ. sheep, human being, child და horse დღეისათვის რჩებიან შეუზღუდველ ინვენტარში, he და she, როგორც ნაცვალსახელები, განეკუთვნებიან შედარებით განსაზღვრულ სპეციალურ კატეგორიას [იხ.], წყერების შეზღუდული რაოდენობით. [...] განსაზღვრებადი, რომელიც საშუალებითაც სიტყვები განიმარტებიან ერთნოვე ლექსიკონში, სწორედ ამ რიგის მოვლენებია... [...] ამგვარად, ჩვენ მივადექით განსაზღვრის განსაზღვრას: განსაზღვრა გვესმის როგორც ნიშნური შინაარსის ან ნიშნური გამოხატულების დანაწილება“ [13a, 45(13, 65; 18b, 100; 18c, 329). იხ. აგრეთვე 20b, 108—9 (20, 99—101; 20a, 136—8)].

33 განუპირობებელი კორელაცია (დან. forudsætningsfri forbod, ფრ. corrélation sans présupposition, ინგლ. nonimplicational correlation): იგივეა, რაც ა ვ ტ ო ნ ო მ ი ა [შდრ. 20b, 107 (20, 104; 20a, 142)].

34 განუპირობებელი რელაცია (დან. forudsætningsfri forbindelse, ფრ. relation sans présupposition, ინგლ. nonimplicational relation): იგივეა, რაც კ ო მ ბ ი ნ ა ც ი ა [შდრ. 20b, 97—8 (20, 94; 20a, 131)].

35 გარეგანი ერთეული (ფრ. unité extrinsèque, ინგლ. projected unit, რუს. внешняя единица):

„შრეთა [იხ.] ყოველი წყვილის შიგნით შრეთაშორისი მიმართებები [იხ.] მდგომარეობს ერთი შრის გარკვეული ერთეულების პროექციაში მეორე შრის ერთეულებზე და პირიქით. ამ პროექციის გამო თითოეულ შრეში, გარდა შინაგანი ერთეულებისა [იხ.], ჩნდება სხვა ერთეულებიც, განსაზღვრული არა თვით ამ შრისთვის დამახასიათებელი მიმართებებით, არამედ გარედან პროექციით და ამიტომ მოცემული შრის თვალსაზრისით უცხო ერთეულებით; ჩვენ მათ ვუწოდებთ გარეგან ერთეულებს“ [10, 183—4. იხ. აგრეთვე 22, 31 (22a, 431)].

[გ ლ ო ს ე მ ა ტ ი, მ ა ნ ი ფ ე ს ტ ა ც ი ი ს წ ე ვ რ ი].

30 გლოსემა (დან. glossem, ფრ. glossème, ინვლ. glosseme, გერმ. Glossem, რუს. глоссема):

1. ძვ. იგივეა, რაც ტ ა ქ ს ე მ ა [შდრ. 2, 152—3; 3, 5—6; 5, 318; 7, 217, 219].

2. „...ტაქსემები [იხ.] თავის მხრივ შედგებიან გლოსემებისაგან...“ [19, 102]. „...ჩვენ ვიყენებთ ტერმინ გლოსემას მინიმალური ფორმების აღსანიშნავად, რომელთაც თეორია ადგენს როგორც ახსნის საფუძველს, შემდგომ განუყოფელ ინვარიანტებს [იხ.]“ [12a, 51 (18, 72; 12b, 109; 13c, 337)]. „...როდღეს ტაქსემების ინვენტარი „ლაგდება სისტემალ“, ამას ლოგიკურად მოჰყვება ცალკეულ ტაქსემათა შემდგომი დანაწილება. მაგ., წარმოვიდგინოთ, რომ რეგისტრირებულია 9 ტაქსემისაგან შემდგარი კატეგორია [იხ.]. დაყოფის სპეციალური წესების შესაბამისად, ეს ტაქსემები შეიძლება განლაგდეს ორგანოზომილებიან სისტემაში, სამ-სამი წევრით თითოეულ განზომილებაში. ასე რომ, 9 შეიძლება გამოისახოს როგორც 3×3 . მაშინ განზომილების წევრები თავისთავად იქნებიან ტაქსემის ნაწილები, რამდენადაც თითოეული ამ 9 ტაქსემიდან იქნება ერთეული, შედგენილი ყოველი განზომილების თითო წევრისაგან. მაშასადამე, 9 ტაქსემა შეიძლება აღიწეროს როგორც შედგენილი $3+3=6$ ინვარიანტისაგან. ამ გზით ჩვენ მივაღწიეთ უფრო მარტივ აღწერას და უფრო მეტად ვუპასუხებთ შემცირების პრინციპის [იხ.] მოთხოვნას. ეს ორი განზომილება, როგორც კატეგორიები, იქნება სოლიდარული [იხ.], ხოლო ყოველი განზომილების თითოეული წევრი აღმოჩნდება კომბინაციის [იხ.] დამოკიდებულებაში მეორე განზომილების თითოეულ წევრთან. ამგვარად, განზომილებათა წევრები მოგვევლინებიან როგორც ტაქსემის ნაწილები და როგორც განუყოფელი ინვარიანტები. შეიძლება თუ არა ტაქსემათა ინვენტარის ასე მოწესრიგება, ეს დამოკიდებულია თვით ინვენტარის მოცულობაზე. თუ მოწესრიგება შესაძლებელია, მაშინ სწორედ განზომილების წევრები იქნებიან ანალიზის საბოლოო წერტილები და არა ტაქსემები. ამ საბოლოო წერტილებს ჩვენ ვუწოდებთ გლოსემებს და თუ ჩავთვლით, რომ გამოხატულების ერთი ტაქსემა ჩვეულებრივ მანიფესტირებულია [იხ. მ ა ნ ი ფ ე ს ტ ა ც ი ა] ერთი ფონემით, გამოხატულების გლოსემა მანიფესტირებულია ფონემის ნაწილით [12a, 64 (18, 89; 12b, 137—8; 13c, 355—6). იხ. აგრეთვე 16, 166, 181].

[ქ ე ნ ე მ ა ტ ე მ ა, პ ლ ე რ ე მ ა ტ ე მ ა].

37 გლოსემატი (ფრ. glossématique):

„[გამოხატულების ფორმასა და შინაარსის ფორმაში გარეგანი ერთეულებია [იხ.] ნიშნის [იხ.] ორი მხარე, ერთმანეთთან დაკავშირებული სემი-

ოტიკური მიმართებით (ანუ, ენის შემთხვევაში, დენოტაციით); ჩვენ მათ ვუწოდებთ გლოსემატიკებს...“ [16, 184].

[კ ე ნ ე მ ა ტ ი კ ა , პ ლ ე რ ე მ ა ტ ი კ ა].

88 გლოსემატიკა (დან. glossematik, ფრ. glossématique, ინგლ. glossematics, გერმ. Glossematik, რუს. глоссемика) [ლინგვისტური თეორია]:

„ტრადიციული ფილოლოგიის საპირისპიროდ, ლინგვისტური კვლევის წმინდა სტრუქტურული სახეობის აღსანიშნავად მე შემომავსეს სახელწოდება გლოსემატიკა (სიტყვისაგან *γλωσσα* „ენა“) [15, 73 (15a, 62). იხ. აგრეთვე 5, 317; 7, 217]. „...გლოსემატიკა ფაქტობრივად და პრაქტიკულად შეიძლება დახასიათდეს ოთხი სპეციფიკური ნიშნით: 1. ერთადერთ ადეკვატურ პროცედურად იგი გეთავაზობს ანალიტიკურ (დედუქციურ...) პროცედურას და თვლის, რომ სინთეზი ...გულისხმობს ანალიზს; 2. ემყარება ფორმას, რომელიც აქამდე უგულებელყოფილი იყო...; 3. მოითხოვს, რომ ენობრივ ფორმად გაგებულ იქნეს შინაარსის ფორმაც და არა მხოლოდ გამოხატულებისა; ამ პრინციპებიდან გამომდინარე 4. ენას (ენათმეცნიერებაში ჩვეულებრივ მიღებული აზრით) განიხილავს როგორც სემიოტიკური სისტემის სპეციალურ შემთხვევას, ე. ი. როგორც სისტემას, რომელიც შეიცავს ორ სიბრტყეს [იხ.], ხოლო ყოველი სიბრტყის შიგნით განსხვავებულია ფორმა და სუბსტანცია... და ლინგვისტიკას ათავსებს ზოგადი სემიოტიკის (ანუ სემიოლოგიის) ფარგლებში“ [16, 164]. „ლინგვისტიკამ თავის ძირითად ამოცანად უნდა გაიხადოს გამოხატულებისა [იხ.] და შინაარსის [იხ.] შესახებ მეცნიერების შექმნა შინაგან და ფუნქციონალურ საფუძველზე; მან უნდა შექმნას მეცნიერება გამოხატულების შესახებ ფონეტიკური და ფენომენოლოგიური წანამძღვრების გარეშე და მეცნიერება შინაარსის შესახებ ონტოლოგიური და ფენომენოლოგიური წანამძღვრების გარეშე ასეთ ლინგვისტიკაში, ტრადიციული ლინგვისტიკისაგან განსხვავებით, მეცნიერება გამოხატულების შესახებ არ იქნება ფონეტიკა, ხოლო მეცნიერება შინაარსის შესახებ არ იქნება სემანტიკა. ასეთი მეცნიერება იქნება ენის ალგებრა, რომელიც ოპერირებს უსახელო ერთეულებით; ე. ი. ბუნებრივ აღნიშვნას მოკლებული ერთეულებით, რომლებიც მოტივირებულ აღნიშვნას მიიღებენ მხოლოდ სუბსტანციასთან მიმართებით. [...] თავისი წარმომავლის დროიდანვე მოცემული ლინგვისტური თეორია შთაგონებული იყო ამ იდეით და მიზნად ისახავდა შექმნა ასეთი იმანენტური ალგებრა ენისა. რათა გაიხაზოს მოცემული თეორიის განსხვავება ადრინდელი ლინგვისტიკისაგან და მისი დამოუკიდებლობა არალინგვისტურად განსაზღვრული სუბსტანციისაგან, ჩვენ მას ვუწოდებთ გლოსემატიკა... ეს სპეციალური აღნიშვნა არც იქნებოდა საჭირო, რომ „ლინგვისტიკა“ ხშირად არ გამოეყენებინათ უმართებულოდ, ტრანსცენდენტური და არარელევანტური თვალსაზრისებით ენის სრულიად უნაყოფო კვლევის აღსანიშნავად“ [18a, 50—51 (18, 71—2; 18b, 108—10; 13c, 335—6)]. „გლოსემატიკაში, ისევე როგორც ფიზიკაში, მოწესრიგებული დამოკიდებულება გვხვდება სხვადასხვა ფორმით. ფუნქციათა [იხ.] გლოსემატიკური თეორია წარმოადგენს სწორედ მოწესრიგებულ დამოკიდებულებათა სახეების აღრიცხვას, რომელშიც ამოსავალი მარტივი იდეა განვითარებულია ალგებრად. ეს ალგებრა გათვალისწინებული იყო როგორც საშუალება (ჰუმანიტარული) მასალის აღსაწერად არარადენობრივ ფუნქციათა დასრულებული სტრუქტურის სა-

ხით, რომელსაც არ სჭირდება სხვა მეცნიერებებში მიღებულ განსაზღვრათა შემოტანა“ [22, 18 (22a, 414)].

[კ ე ნ ე მ ა ტ ი კ ა 2, პ ლ ე რ ე მ ა ტ ი კ ა 2].

80 გლოსი (ფრ. glossie):

„...გლოსემატები [იხ.] ძირითადად ყოველთვის ვარიანტებია [იხ.]. [...] ასეთ შემთხვევაში ამბობენ, რომ მოცემული გლოსემატები არიან ერთი და იმავე გლოსის ვარიანტები...“ [16, 184].

[კ ე ნ ი, პ ლ ე რ ე ი].

40 გრამატიკა (დან. grammatik, ფრ. grammaire, ინგლ. grammar, რუს. грамматика):

„გრამატიკა ანუ ენის გარკვეული მდგომარეობის აღწერა არის პირველი ხარისხის მეტაენა [იხ.]“ [20b, 133];

41 გრაფემა (ფრ. graphème, რუს. графема): იხ. ფ ო ნ ე მ ა ტ ე მ ა.

42 გრაფემატემა (ფრ. graphématique, რუს. графематема): იხ. ფ ო ნ ე მ ა ტ ე მ ა.

43 გრაფიკულად მანიფესტირებული პროსოდია (ფრ. prosodie manifestée graphiquement): იხ. ფ ო ნ ე მ ა ტ ე მ ა.

ღ

44 დამთხვევა (დან. overlapping, ფრ. superposition, ინგლ. overlapping, რუს. совпадение): იხ. ს ი ნ კ რ ე ტ ი ზ მ ი.

45 დამოკიდებულება (დან. afhængighed, ფრ. dépendance, ინგლ. dependence, რუს. зависимость):

„...ობიექტიცა და მისი ნაწილებიც არსებობენ მხოლოდ ...დამოკიდებულებათა მეოხებით; ობიექტის მთლიანობა შეიძლება განისაზღვროს მხოლოდ მათი საერთო ჯამით, ხოლო მისი ნაწილები—დამოკიდებულებებით, რომლითაც ისინი უკავშირდებიან სხვა ნაწილებს, მთელს, მისი სხვა დონის ნაწილებს და იმ დაკიდებულებათა ჯამით, რომლითაც სხვა დონის ნაწილები უკავშირდებიან ერთმანეთს. ასეთი განხილვის დროს გულუბრყვილო რეალიზმის „ობიექტები“, ჩვენი თვალსაზრისით, სხვა არაფერია, თუ არა ამგვარ დამოკიდებულებათა კონების გადაკვეთა. [...] დამოკიდებულებები, რომელთაც გულუბრყვილო რეალიზმი განიხილავს როგორც მეორეულს, ობიექტების არსებობით ნაგულისხმევს, ამ თვალსაზრისით იქნება პირველადი, ურთიერთადაკვეთით ნაგულისხმევი“ [19a, 13—4 (19, 22; 19b, 40; 19c, 283)]. „სტრუქტურა [იხ.] შუქს ჰფენს იმ გარემოებას, რომ სისტემის [იხ.] ნაწილები დამოკიდებულები არიან ერთმანეთზე და არსებობენ მხოლოდ ამ დამოკიდებულებათა მეოხებით და რომ, თავის მხრივ, ეს დამოკიდებულებებიც აგრეთვე დამოკიდებული არიან ერთმანეთზე. ვინც ლაპარაკობს სტრუქტურაზე, ლაპარაკობს დამოკიდებულებაზე, რომელიც არსებობს სისტემის ფაქტებს შორის (ე. ი. სისტემის ნაწილებს შორის და იმ დამოკიდებულებებს შორის, რომლებიც მათ აკავშირებს)“ [9, 113].

[მ ი მ ა რ თ ე ბ ა, ფ უ ნ კ ი ც ი ა].

40 დამოკიდებულებათა ერთგვაროვნობა (დან. afhængighedens ensartethed, ფრ. homogénéité de la dépendances, ინგლ. uniformity of dependences, რუს. единообразие зависимости):

„ის ფაქტი, რომ ანალიზის [იხ.] შედეგად მიღებულ ნაწილებს ვთვლით ტექსტის [იხ.] ნაწილებად, ხოლო მთელ პროცედურას—დაყოფად ანუ ანალიზად, ემყარება გარკვეული ტიპის დამოკიდებულებათა [იხ.] არსებობას ამ ნაწილებსა და მთელს (ტექსტს) შორის, რომელსაც ისინი განეკუთვნებიან. ანალიზის ამოცანაა დაადგინოს ეს დამოკიდებულებებიც. განსაკუთრებული ფაქტორი, რომელიც ასხვავებს მთელსა და მის ნაწილებს შორის დამოკიდებულებას მთელს შორის დამოკიდებულებისაგან და საშუალებას გვაძლევს მიღებული ობიექტები (ნაწილები) მოვათავსოთ მოცემული მთელის (ტექსტის) შიგნით და არა მის ფარგლებს გარეთ, მდგომარეობს დამოკიდებულებათა ერთგვაროვნობაში: ნაწილები, რომლებიც მიიღებიან მთელის ინდივიდუალური ანალიზით, ერთგვაროვნად არიან დამოკიდებული მთელისაგან. ამ ერთგვაროვნობას ვხედავთ ე. წ. ნაწილებს შორის დამოკიდებულებაში“ [18a, 17 (18, 27; 18b, 47; 18c, 288)].

47 დანაწევრება (დან. leddeling, ფრ. articulation, ინგლ. articulation, რუს. членение):

„...როდესაც გაჩნდება აუცილებლობა, ჩვენ შეგვეძლება ... დაყოფას [იხ.] სისტემაში [იხ.] [ვეუწოდოთ! დანაწევრება“ [18a, 18 (18, 28; 18b, 48; 18c, 289)].

48 დანაწილება (დან. deling, ფრ. division, ინგლ. partition, რუს. разделение):

„...როდესაც გაჩნდება აუცილებლობა, ჩვენ შეგვეძლება, რომ დაყოფას პროცესში [იხ.] [ვეუწოდოთ! დანაწილება...“ [18a, 18 (18, 28; 18b, 48; 18c, 289)].

49 დართვა (დან. ikrafttr æden, ფრ. application, ინგლ. application, რუს. приложение): იხ. ა ც ი ლ ე ბ ა.

50 დაყოფა (დან. inddeling, ფრ. division, ინგლ. division, რუს. деление): იგივეა, რაც ა ნ ა ლ ი ზ ი.

[დ ა ნ ა წ ი ლ ე ბ ა, დ ა ნ ა წ ე ვ რ ე ბ ა].

51 დაყოფის საფუძველი (დან. inddelingsgrund, ფრ. base d'analyse, ინგლ. basis of division, რუს. основание для деления): იგივეა, რაც ა ნ ა ლ ი ზ ი ს ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ი.

52 დედუქცია (დან. deduktion, ფრ. déduction, ინგლ. deduction, გერმ. Deduktion, რუს. дедукция):

„პროცედურის [იხ.] სეგმენტებს [იხ.] შორის არსებობს დეტერმინაცია [იხ.], ასე რომ, მომდევნო სეგმენტები ყოველთვის გულისხმობენ წინამამავალს, მაგრამ არა პირიქით. ...დეტერმინაცია ოპერაციებს [იხ.] შორის შეიძლება განხილულ იქნეს ან როგორც სელექცია [იხ.], ან როგორც სპეციფიკაცია [იხ.]. ასეთ პროცედურას მთლიანად ჩვენ ვუწოდებთ დედუქციას და ფორმალურად განვსაზღვრავთ მას როგორც გაგრძელებულ ანალიზს ან ანალიზთა კომპლექსს [იხ.]. მასში შემავალ ანალიზებს შორის დეტერმინაციით“ [18a, 19 (18, 28—9; 18b, 49; 18c, 290). ობ. აგრეთვე 22, 25, 45—7 (22a, 422)].

58 დედუქციური სემანტიკა (გერმ. deduktive Semantik) [|| სემანტიკა]:

„უნდა შეიქმნას მოძღვრება გრამატიკულ და ლექსიკურ ფუნქციათა [იხ.] ფორმის შესახებ სემანტიკის. მონაწილეობის გარეშე. ეს იქნება ასემანტიკური მოძღვრება შინაარსის ფორმის [იხ.] შესახებ. მხოლოდ შინაარსის ამ შორ-

ფოლოგიის საფუძველზე შეიძლება აიგოს დედუქციური სემანტიკა“ [7, 217]. „ეს მონაწილეები საქმარისი უნდა იყოს იმის დასამტკიცებლად, რომ ენობრივი გამოხატულებისათვის, ისევე როგორც ენობრივი შინაარსისათვის, წმინდა ფორმის თეორია შესაძლებელია. ამ წმინდა ენათმეცნიერულ დისციპლინას უნდა დაექვემდებარონ სუბსტანციის შემსწავლელი დისციპლინები, როგორც დედუქციური დისციპლინები: ერთი მხრივ, დედუქციური სემანტიკა, მეორე მხრივ, დედუქციური ფონეტიკა“ [7, 220. იხ. აგრეთვე 15, 75 (15a, 63—4)].

54 დედუქციური ფონეტიკა (გერმ. deduktive Phonetik) [|| ფონემატიკა]:

„ენობრივი გამოხატულების ფორმა არ არის ბგერითი ფორმა, იგი ფუნქციონალური ფორმაა და ასევე უნდა იქნეს განხილული. შესაბამისად, შესაძლებელი უნდა იყოს გამოხატულების სუბსტანციისაგან [იხ.] დამოუკიდებლად ენობრივი გამოხატულების თეორიის აგება, ე. ი. ენობრივი გამოხატულების შესახებ ისეთი მოძღვრების აგება, რომელიც არ იქნება არც ფონეტიკა და არც ფონოლოგია. ეს იქნება აფონეტიკური მოძღვრება გამოხატულების შესახებ და ასეთი დისციპლინა უნდა შეიქმნას. ...მხოლოდ მას შემდეგ, რაც ეს აუცილებელი ამოცანა გადაიჭრება, შესაძლებელი იქნება ახალი ფონეტიკის ჩამოყალიბება. გამოხატულების მორფოლოგიის მონაცემთა საფუძველზე იგი დედუქციურად აღწერს გაფორმებულ სუბსტანციასა და მის ვარიანტებს“ [7, 217]. „დედუქციური ფონეტიკისათვის [იხ. დედუქციური ფონეტიკის სემანტიკა] შეიძლება გამოყენებულ იქნეს სახელწოდება ფონემატიკა. თავისი დედუქციური ბუნებისა და კენემატიკაზე დამოკიდებულების გამო, იგი უპირისპირდება ადრინდელ ფონეტიკას, თუმცა ტექნიკა და მრავალმხრივი გამოცდილება შეიძლება აიღოს მისგან“ [7, 221. იხ. აგრეთვე 15, 75 (15a, 63—4)].

55 დენოტაციური სემიოტიკა (დან. denotationssemiotik (denotationssprog), ფრ. langage de dénotation, ინგლ. denotative semiotic, რუს. денотативная семиотика):

„...[დენოტაციური სემიოტიკა] ჩვენ გვესმის როგორც ისეთი სემიოტიკა [იხ.], რომლის არც ერთი სიბრტყე [იხ.] არ წარმოადგენს სემიოტიკას“ [18a, 73 (18, 101; 18b, 155; 18c, 368)].

56 დერივაციული ელემენტი (დან. afledningselement, ფრ. élément de dérivation, ინგლ. derivational element, გერმ. Ableitungselement): იხ. განაკვირვაება

57 დეტერმინანტი ფუნქტივი (დან. determinerende funktiv, ფრ. fonctif déterminant, ინგლ. determining functive, რუს. детерминирующий функтив):

„...ცვლადს [იხ.] დეტერმინანტიაში [იხ.] ჩვენ ვუწოდებთ დეტერმინანტ (მასელექტირებელ, მასპეციფიცირებელ) ფუნქტივს“ [18a, 22 (18, 33; 18b, 56; 18c, 294)].

58 დეტერმინანტია (დან. determination, ფრ. détermination, ინგლ. determination, რუს. детерминация) [|| მართვა, ცალმხრივი მართვა, ცალმხრივი ფუნქცია]:

„ცალმხრივი დამოკიდებულებებს, რომლებშიც ერთი წევრი გულისხმობს მეორეს, მაგრამ არა პირიქით, ჩვენ ვუწოდებთ დეტერმინანტიებს“ [18a, 15 (18, 23; 18b, 42; 18c, 284)]. იხ. აგრეთვე 12, 31 (12a, 112)]. „დეტერმინანტიას [ჩვენ განვსაზღვრავთ] როგორც ფუნქციას [იხ.] მუდმივსა [იხ.] და ცვლადს [იხ.] შორის...“ [18a, 21 (18, 32; 18b, 55; 18c, 294)]. „...სავალდებულო

ფუნქციას 'შიეძლება ეწოდოს' დეტერმინაცია. [...] ენაში, რომელიც უმკვებს დახურულ მარცვლებს, გვექნება კენემატიკური დეტერმინაცია ხმოვნურ და ბოლოკიდურ თანხმოვნურ წერტილებს შორის. ჩვეულებრივი პლერემატიკული დეტერმინაცია გვაქვს სიტყვის ფუძესა და ფლექსიურ მორფემებს შორის" [2, 154].

[ს ე ლ ე ქ ც ი ა, ს პ ე ც ი ფ ი კ ა ც ი ა].

50 დეტერმინირებული ფუნქციები (დან. *determineret funktiv*, ფრ. *fonctif déterminé*, ინგლ. *determined funcrive*, რუს. *детерминированный функтив*):

„მუდმივს [იხ.] დეტერმინაციაში [იხ.] (სელექციაში ან სპეციფიკაციაში) ჩვენ ვუწოდებთ დეტერმინირებულ (სელექტირებულ, სპეციფიცირებულ) ფუნქციებს...“ [18a, 22 (18, 33; 13b, 55—6; 18c, 294). იხ. აგრეთვე 12, 31 (12a, 112)].

60 დიაქრონია (ფრ. *diachronic*):

„ევილუციურ მოძღვრებაში მიზანშეწონილია განვასხვავოთ ნორმის [იხ.] ევილუცია ანუ მეტაქრონია [იხ.] და უზუსის [იხ.] ევილუცია (ნაგულისხმეია სუბსტანცია) ანუ დიაქრონია. დიაქრონია სწავლობს გარეგანი ფაქტორების ჩარევას“ [0, 136].

61 დიზიუნქცია (დან. *disjunktion*, ფრ. *disjonction*, ინგლ. *disjunction*, რუს. *дизъюнкция*): იგივეა, რაც კოორელაცია [შდრ. 13a, 23 (18, 36; 13b, 59; 18c, 297)].

62 დირექცია (დან. *binding*, ფრ. *direction*, ინგ. *direction*):

1. ძვ. იგივეა, რაც მართვა [შდრ. 2, 155].

2. აქ განიხილება არა ყველა სახის მართვა, არამედ მხოლოდ დირექცია — მართვის სახეობა, რომელიც ადგენს წინადადებას ან წინადადებებსაგან შედგენილ ერთეულს. წინადადებაში *sa première femme aimait les fleurs* [„მის პირველ ცოლს უყვარდა ყვავილები“] მართვა იმაში მდგომარეობს, რომ *sa* და *première* მდღერ. სქესისაა (საპირისპიროდ-მამრ. სქ. ფორმებისა *son* და *premier*), რადგან *femme* არის მდღერ. სქესისა და მოითხოვს სქესში შეთანხმებას მისი განსაზღვრებებისაგან. მაგრამ ამ შემთხვევაში მართვა არ არის დირექცია, რამდენადაც იგი ადგენს არა წინადადებას, არამედ მხოლოდ მის ნაწილს (ასეთ ნაწილს — ჩვენს მაგალითში *sa première femme* — ეწოდება შესიტყვება). მეორე მხრივ, წინადადებაში *sa première femme était jolie* [„მისი პირველი ცოლი იყო ლამაზი“] მართვა, რომელიც აკავშირებს მდღერ. სქესის სახელს *femme* და მდღერ. სქესის ფორმას *jolie*, არის დირექცია, რადგანაც მისი (და მართვის სხვა მსგავსი შემთხვევების) საშუალებით ხდება წინადადების, როგორც ფორმალური ენობრივი ერთეულის, დადგენა“ [20b, 107 (20, 104; 20a, 142)].

63 დისტანციური ფუნქცია (გერმ. *Distanzfunktion*):

„ფუნქციები [იხ.] შიეძლება დაიყოს კონტაქტურ ფუნქციებად, ე. ი. ერთი და იმავე სიტყვის ნაწილებს შორის ფუნქციებად და დისტანციურ ფუნქციებად, ე. ი. სხვადასხვა სიტყვის ნაწილებს შორის ფუნქციებად. [...] ჩვეულებრივი მართვა [იხ.] არის დისტანციური ფუნქცია“ [7, 218].

0

64 ეკონომიის პრინციპი (დან. *Økonomiprincip*, ფრ. *principe d'économie*, ინგლ. *principle of economy*, რუს. *принцип экономии*):

„აღწერა [იხ.] მიმდინარეობს პროცედურის [იხ.] საშუალებით. პროცედურა ისე უნდა იყოს ორგანიზებული, რომ მისი შედეგი იყოს შეძლებისამებრ უმარტივესი და შეწყვეტილ იქნეს იმ შემთხვევაში, თუ მას არ მივყავართ შემდგომ გამარტივებამდე [18a, 38 (18, 55; 18b, 87; 18c, 319). იხ. აგრეთვე 22, 32 (22a, 433)].

85 ელემენტი (დან. element, ფრ. élément, ინგლ. element, გერმ. Element, რუს. элемент): 1. იხ. ფუნქციური კატეგორია. 2. იგივეა, რაც ტაქსემა [შლრ. 20b, 106—7 (20, 104; 20a, 142)].

86 ელემენტის სახეები (დან. arter, ფრ. espèces, ინგლ. species of elements): „ენის თითოეული სიბრტყე არის კატეგორია [იხ.], როგორც წესი, ორი წევრისა, რომელთაც ეწოდებათ სახეები: შემადგენლები და ექსპონენტები [8, 271. იხ. აგრეთვე 11, 51]. „ელემენტა [იხ. ელემენტი 2] ეს ორი მათგანია კატეგორია ანუ სახე, მახასიათებელი ელემენტები და ძირითადი ელემენტები, შემდგომ იყოფა ტიპებად“ [20b, 109 (20, 106; 20a, 145). იხ. აგრეთვე 19, 107].

[ექსპონენტი, კონვერსიული ექსპონენტი, შემადგენელი].

87 ელემენტის ტიპები (დან. typer, ფრ. types, ინგლ. types): იხ. ექსპონენტის ტიპები, შემადგენლის ტიპები.

88 ელემენტის ქვეტიპები (დან. subtyper, ფრ. sous-types, ინგლ. subtypes): „ტიპები [იხ. ელემენტის ტიპები], თავის მხრივ, შეიძლება დაიყოს ქვეტიპებად მათი განპირობებული რელაციების [იხ. ურთიერთგანპირობებული რელაცია, ცალმხრივად განპირობებული რელაცია] შესაბამისად. [...] გამოხატულების სიბრტყეზე [იხ.], მაგ., თანხმონები შეიძლება დაიყოს ორ კატეგორიად [იხ.]. ერთი წარმოდგენილია იმ ბგერებით ან ასოებით, რომლებიც გვხვდება მარცვლის დასაწყისში, მეორე კი—იმ ბგერებით ან ასოებით, რომლებიც გვხვდება მარცვლის ბოლოს...“ [20b, 110—11 (20, 107; 20a, 145)].

89 ემპირიზმის პრინციპი (დან. empiriprincip, ფრ. empirisme, principe d'empirisme, ინგლ. principle of empiricism, რუს. эмпирический принцип):

„აღწერა [იხ.] უნდა იყოს არაწინააღმდეგობრივი (თვითკმარი), ამომწურავი და შეძლებისამებრ მარტივი. არაწინააღმდეგობრიობის მოთხოვნა წინ უსწრებს ამომწურავი აღწერის მოთხოვნას, ხოლო ეს უკანასკნელი სიმარტივის მოთხოვნას“ [18a, 6 (18, 12; 18b, 21; 18c, 272). იხ. აგრეთვე 22, 20—21 (22a, 47)]. „ემპირიული პრინციპი გამოიყენება კვლევის სხვადასხვა დონეზე, რამდენადმე წინააღმდეგობრივი შედეგებით. რადგანაც ტერმინი „აღწერა“ შეიძლება ინტერპრეტირებულ იქნეს როგორც კონკრეტული ობიექტის კონკრეტულ აღწერასთან მიმართებით, ისე ზოგადი აღწერის აპარატთან მიმართებით. კონკრეტული ობიექტის აღწერა იქნება ამომწურავი, თუ იგი გაგრძელდება მანამ, სანამ მოცემული მეთოდის ფარგლებში ობიექტი მთლიანად არ დაიყვანება განხილული ტიპის სტრუქტურამდე [იხ.] ყოველგვარი ნაშთის გარეშე; აღწერა იქნება მარტივი, თუ იგი ობიექტს აღწერს როგორც შეძლებისამებრ მცირე რაოდენობის საბოლოო ერთეულებისაგან შედგენილს; თვითონ რჩება რა ამ დროს არაწინააღმდეგობრივი და ამომწურავი. ზოგადი აღწერა არის აღ-

გებრა, რომლისგანაც უნდა იქნეს გამოყვანილი ყველა კონკრეტული აღწერა— რეალურიცა და პოტენციურიც. მისი ამომწურავობის საბოლოო შემოწმებაც უნდა მოხდეს მისგან დედუქციის [იხ.] გზით მიღებულ კონკრეტულ აღწერათა ინდუქციის [იხ.] საშუალებით. მაგრამ რამდენადაც ალგებრა არის ზოგადი, ინდუქციაც აუცილებლად იქნება უსრული და... ალგებრის სისრულე შეიძლება განისაზღვროს მხოლოდ ალბათობრივად. ეგვევ შეიძლება ითქვას ალგებრის სიმარტივეზედაც, რომელიც საბოლოოდ უნდა შემოწმდეს მაინც ინდუქციურად, მისგან გამომდინარე კონკრეტულ აღწერათა სიმარტივის შემოწმებით. ყოველთვის შეიძლება ნებისმიერი ალგებრის გამარტივება მისი გამოყენების სფეროს შეზღუდვით. ამგვარად გამარტივებული ყოველი ალგებრიდან შეიძლება გამოვიყვანოთ კონკრეტულ აღწერათა გარკვეული რაოდენობა, რომელთაგან თითოეული უფრო მარტივია, ვიდრე უფრო რთული ალგებრიდან გამოყვანილი შესაბამისი კონკრეტული აღწერა. სხვა სიტყვებით, ნებისმიერი მასალა, მაგ., ნებისმიერი ენა, შეიძლება აღიწეროს ძალიან მარტივად, თუ აღწერის აპარატი, ალგებრა, მხოლოდ იმ მიზნისათვისაა განკუთვნილი. მაგრამ, მეორე მხრივ, თუკი სასურველია მივიღოთ ერთზე მეტი ობიექტის, მაგ., ერთზე მეტი ენის, ერთგვაროვანი აღწერა, მაშინ აღწერის აპარატი და, შესაბამისად, ყოველი კონკრეტული აღწერაც, იქნება რთული. ამის მიზეზი ნათელია: კონკრეტული აღწერა თავისი სისრულით განსხვავებულია, აღწერის აპარატი კი მზად უნდა იყოს მის ფარგლებში მოსალოდნელი უმაღლესი ხარისხის სირთულის დასაძლევად. რამდენადაც გლოსემატიკური ალგებრა ჩაფიქრებულია როგორც ზოგადი, ნაწილობრივ უნივერსალურიც, არ შეიძლება ვამტკიცოთ, რომ ყოველი კონკრეტული გლოსემატიკური აღწერა საკვლევი ობიექტის შესაძლო აღწერათა შორის აუცილებლად უმარტივესი, არაწინააღმდეგობრივი და ამომწურავია. მაგრამ ეს დანაკარგი კონკრეტული აღწერის სიმარტივეში ანაზღაურებული იქნება საერთო სიმარტივით, რომელიც მიიღება დიდი რაოდენობის ერთგვაროვან აღწერათა შედეგად [22, 22—3 (22a, 419—20)].

70 ემპირიული მეთოდი (ფრ. méthode empirique):

„ფუნქციები [იხ.] განსაზღვრავენ... სტრუქტურის ქემპარიტ პრინციპს [იხ. სტრუქტურული პრინციპი], მის შინაგან და ძირითად პრინციპს. ეს უფლებას გვაძლევს დავაზუსტოთ მეთოდი, რომელსაც ჩვენ ვეწოდებთ ემპირიული მეთოდი. ეს არის მეთოდი, რომელიც იმთავითვე დგება ფუნქციების ნიადაგზე და იღებს მათ ნორმად ყოველგვარი კლასიფიკაციისათვის. ყველა სხვა მეთოდი უგულვლყოფს რა თვით სტრუქტურის ძირითად პრინციპს, იქნება აპრიორული [იხ. აპრიორული მეთოდი]. სტრუქტურასთან მიმართებით ემპირიული მეთოდი არის ფუნქციონალური მეთოდი“ [9, 116]. „ემპირიული ანუ იმანენტურ-სემიოლოგიური მეთოდი, რომელიც ნიშნურ ფუნქციაში ხედავს კვლევის ძირითად ობიექტს, წარმოადგენს უფრო მარტივ მეთოდს, ვიდრე ნებისმიერი აპრიორული მეთოდი, რომელიც სემიოლოგიურ ფაქტებს თან ურთავს ექსტრა-სემიოლოგიურს. ეს იწვევს ზედმეტ გართულებებს, ერთი მხრივ, თვით მათი არსებობის გამო და, მეორე მხრივ, წმინდა სემიოლოგიურ მასალაზე მათი შემოწმების შეუძლებლობის გამო. ამგვარად, ემპირიული მეთოდი არის მეთოდი, აგებული სიმარტივის პრინციპზე [10, 11 (10a, 102)].“

1. (დან. sprog, ფრ. langue, ინგლ. language, გერმ. Sprache, რუს. язык): „...ენა არის ფორმა [იხ.] და არა სუბსტანცია [იხ.]...“ [3, 4. იხ. აგრეთვე 5, 317]. „ენის (სოსიურისეული გაგებით) ერთ-ერთი შესაძლებელი (და ამავე დროს, ჩვენის აზრით, ყველაზე ძირთადი) განსაზღვრა არის ის, რომელიც ენას განიხილავს როგორც სპეციფიკურ ფორმას, ორგანიზებულს ორ სუბსტანციას შორის: შინაარსის სუბსტანციასა [იხ.] და გამოხატულების სუბსტანციას [იხ.] შორის და ამიტომ როგორც შინაარსისა და გამოხატულების სპეციფიკურ ფორმას...“ [10, 163]. „... ჩემი ცდები მიმართულია იქითკენ, რომ შევისწავლო ენა როგორც წმინდა ფორმა, როგორც სქემა დამოუკიდებლად უზუსისავან [იხ.]“ [15, 74 (15a, 62)]. „ენა არის სისტემა [იხ.] ელემენტებისა, რომლებიც განსაზღვრული არიან ფუნქციონალური ურთიერ-მიმართებებით, იმ მასალის გაუთვალისწინებლად, რომელშიც ეს ელემენტები გვევლინებიან“ [5, 315].

2. (ფრ. langage): „ენა არის ენობრივი სქემისა [იხ.] და მეტყველების [იხ.] მიერ შედგენილი მთლიანობა. ამიტომაც, როცა ვლაპარაკობთ ენის შესახებ, ვლაპარაკობთ როგორც საერთოდ ადამიანის ენის შესახებ, ისე ცალკეულ ენათა შესახებ, რომლებიც განხილულია მათი მანიფესტაციისათვის [იხ.] გამოყენებულ მეტყველებასთან. კავშირში [14, VII].

72 ენა-ობიექტი (ინგლ. object language):

„...ენას, რომელიც აღიწერება, ეწოდება ენა-ობიექტი“ [20b, 132].

73 ენობრივი სტრუქტურა (დან. sprogbygning, ფრ. structure linguistique, ინგლ. linguistic structure, რუს. языковая структура): იხ. ს ტ რ უ ქ ტ უ რ ა .

74 ენობრივი სტრუქტურის ტიპოლოგია (დან. sprogbygningstypologi, ფრ. typologie de la structure linguistique, ინგლ. typology of linguistic structure):

„რასაც ჩვენ საბოლოოდ [ენობრივი სტრუქტურის ტიპოლოგიისგან] ვიღებთ, ... ეს არის ზოგადი კანონები, რომლებიც ადგენენ თუ რომელი კატეგორიები [იხ.] შეიძლება ჰქონდეს და რომელი კატეგორიები უნდა ჰქონდეს ენას, რომელი კატეგორიებია დაკავშირებული ერთმანეთთან ზოგადი განპირობებული დამოკიდებულებებით [იხ. უ რ თ ი ე რ თ გ ა ნ პ ი რ ო ბ ე ბ უ ლ ი კ ო რ ე ლ ა ც ი ა , ც ა ლ მ ხ რ ი ვ ა დ გ ა ნ პ ი რ ო ბ ე ბ უ ლ ი კ ო რ ე ლ ა ც ი ა]“ [20b, 112 (20, 109; 20a, 149)].

75 ენობრივი სქემა (დან. sprogbygning, ფრ. schéma linguistique, schéma de la langue, ინგლ. linguistic schema, გერმ. Sprachbau, რუს. языковая схема [|| სქემა]: იხ. ფ ო რ მ ა .

76 ენობრივი უზუსი (დან. sprogbrug, ფრ. usage linguistique, usage de la langue, ინგლ. linguistic usage, გერმ. Sprachgebrauch, რუს. языковой usage): იგივეა, რაც უზუსი.

77 ენობრივი შეგრძნება (დან. sprogfølelse, ფრ. familiarité avec une langue, ინგლ. feeling for a language, გერმ. Sprachgefühl):

„ენის გამოყენების დროს მოლაპარაკებები საკმაოდ ადვილად (და მეტ-ნაკლებად ცნობიერად) აკავშირებენ ენასთან სრულიად განსხვავებულ წარმოდგენებს [notions]. ეს წარმოდგენები შეიძლება ჩაითვალოს ენობრივი უზუსის [იხ.] ნაწილად. ყოველ შემთხვევაში, ისინი არ განეუთვნებიან ენობრივ სტრუქტურას [იხ.]. როგორც წესი, ისინი ამა თუ იმ გზით უკავშირდებიან რეპრეზენტაციის

ელემენტთა, მაგ., ბგერათა ან ასოთა, გარეგან მხარეს. შესაბამისად, ეს ელემენტები შეივარდნობიან როგორც სასიამოვნო ან უსიამოვნო, როგორც მსგავსი ან განსხვავებული, ზოგი მათგანი მოგვეგონებს ენის ფარგლებს გარეთ არსებულ რაღაც საგანს. ამ უკანასკნელი სიტუაციის ნიმუშად გამოდგება ე. წ. ბგერითი სიმბოლიზმი. რამდენადაც little, bit, kid, pin და მსგავსი სიტყვები შეიცავენ ელემენტს, რომელიც ენობრივ უზუსტო ფონეტიკურად წარმოდგენილია გარკვეული (i ასოთი გამოხატული) ბგერით და რამდენადაც ასე თუ ისე ამ სიტყვების მნიშვნელობა უკავშირდება სიმცირის გაგებას, შეიძლება შეიქმნას გარკვეული შთაბეჭდილება, რომ არსებობს რაღაც ბუნდოვანი კავშირი ბგერასა და სიმცირის წარმოდგენას შორის. [...] ყველა ეს წარმოდგენა ეხება რეპრეზენტაციის ელემენტთა გარეგან მხარეს, მაგრამ ისინი ასევე შეიძლება ეხებოდნენ მათ კომბინაციებსაც, მაგ., ნიშნებს [იხ.], ნიშანთა კომბინაციებს, მეტყველების მონაკვეთებს და ა. შ. მრავალი ამ წარმოდგენათაგანი, ან ენობრივ მასალასთან მათი განსაკუთრებული სიახლოვის გამო, ან იმის გამო, რომ ენის მატარებლები დროის მოცემულ მონაკვეთსა და მოცემულ გარემოში რაღაც მიზეზით სწორედ ასე არიან განწყობილნი, გადაიქცევა კოლექტიურ წარმოდგენად, რომელიც მეტ-ნაკლებად ცხადია ენობრივი კოლექტივის წევრებისათვის. ასეთ წარმოდგენათა ერთიანობას ჩვენ ვუწოდებთ ენობრივ შეგრძნებას. ცხადია, რომ ეს ფსიქოლოგიური ფენომენია, რომლის შესწავლა საჭიროებს ფსიქოლოგებისა და ლინგვისტების თანამშრომლობას“ [20b, 43—4 (20, 46—7; 20a, 69)].

78 ერთგვაროვანი ფუნქტივები (დან. konforme funktiver, ფრ. fonclifs conformes, ინგლ. conformed functives, რუს. конформальные функции): იხ. წ ა რ მ თ ე ბ უ ლ ი ს შ ე მ ო წ მ ე ბ ა .

79 ერთეული (დან. enhed, ფრ. unité, ინგლ. unit, გერმ. Einheit, რუს. единица):

„სინტაგმატიკაში [იხ.] ჯამს [იხ.] ჩვენ ვუწოდებთ ერთეულს“ [13a, 54 (13, 76; 13b, 117; 13c, 341). იხ. აგრეთვე 22, 47].

80 ერთსიბრტყივი ფუნქცია (ფრ. fonction homoplane, გერმ. homoplane Function):

„ფუნქციას [იხ.] შეიძლება აღვიღოთ სიბრტყე და იმავე სიბრტყეზე, კენემატიკურ სიბრტყეზე [იხ.] ან პლერემატიკულ სიბრტყეზე [იხ.]. ამ სახის პლერემატიკული ფუნქცია არის გრამატიკული მართვა. მაგრამ გარდა ამ ერთსიბრტყივი ფუნქციისა, არსებობს აგრეთვე ნაირსიბრტყივი ფუნქციაც [იხ.], რომელიც ვრცელდება ერთი სიბრტყიდან მეორეზე“ [7, 217. იხ. აგრეთვე 11, 52].

81 ექსპონენტი (ფრ. exposant, ინგლ. exponent, გერმ. Exponent) [II მახასიათებელი ელემენტი]:

„ენის ორსავე სიბრტყეზე, კენემატიკურ სიბრტყეზეც [იხ.] და პლერემატიკულ სიბრტყეზეც [იხ.], შეიძლება განსხვავებულ იქნეს შემადგენლები [იხ.] (შესაბამისად—კენემები და პლერემები) და ექსპონენტები (შესაბამისად—პროსოდემები და მორფემები, ფლექსიური ელემენტები). ეს უკანასკნელები განისაზღვრებიან როგორც გლოსემები [იხ. გ ლ ო ს ე მ ა 1], რომლებიც ახასიათებენ ჯაჭვს [იხ.], მაგრამ არ ქმნიან მას“ [6, 318]. „...ისეთი პარადიგმები [იხ.], რომლებშიც ყველა ან რამდენიმე ელემენტი შეიძლება იყოს მართული სხვა ელემენტების მიერ დისტანციური ფუნქციის [იხ.] საშუალებით, წარმო-

ადგენენ ფლექსიურ ელემენტთა პარადიგმებს“ [7, 219]. „ისეთი პარადიგმები, რომლებშიც ყველა ან რამდენიმე ელემენტი შეიძლება იყოს მართული სხვა ელემენტების მიერ დისტანციური ფუნქციის საშუალებით, წარმოადგენს პროსოდემათა პარადიგმებს“ [7, 219—20]. „ექსპონენტი არის ის, რომელსაც აქვს უნარი იყოს მართული აქცენტურ სინტაგმებსა [იხ.] ან აქცენტურ სინტაგმებზე უფრო დიდ ერთეულებს შორის არსებული მართვის მიერ“ [8, 269]. „მახასიათებელი ელემენტი ჩვენ გვესმის ან როგორც ელემენტი, რომელსაც შეუძლია იყოს მართული ღირექციაში [იხ.], ან როგორც ელემენტი, რომელსაც შეუძლია შევიდეს პარადიგმაში ასეთ ელემენტთან ერთად...“ [20b, 107 (20, 104; 20a, 143). იხ. აგრეთვე 2, 155; 11, 51].

82 ექსპონენტის ტიპები: (დან. typer, ფრ. types, ინგლ. types):

„ყოველი სახე [იხ. ე ლ ე მ ე ნ ტ ი ს ს ა ხ ე ე ბ ი] არის კატეგორია [იხ.] ორი წევრისა, რომელთაც ეწოდებათ ტიპები. ექსპონენტები იყოფა ტიპებად მათი თემის [იხ.] განვრცობის მიხედვით“ [8. 271. იხ. აგრეთვე 5, 318; 11. 51; 20b, 109 (20, 106; 20a, 145)].

[ე ქ ს ტ ე ნ ს უ რ ი ე ქ ს პ ო ნ ე ნ ტ ი, ი ნ ტ ე ნ ს უ რ ი ე ქ ს პ ო ნ ე ნ ტ ი].

83 ექსტენსური ელემენტი (დან. ekstens element, ფრ. élément extense, ინგლ. extense element): იგივეა, რაც ე ქ ს ტ ე ნ ს უ რ ი ე ქ ს პ ო ნ ე ნ ტ ი.

84 ექსტენსური ექსპონენტი (ფრ. exposant extense, ინგლ. extense exponent) [|| ექსტენსური ელემენტი]:

„ხშირ შემთხვევაში ჩვენ ვიღებთ ექსპონენტთა ორ ტიპს, ექსტენსურ ექსპონენტებს, რომელთაც შეუძლიათ დაახასიათონ მთელი გამონათქვამი და ინტენსურ ექსპონენტებს [იხ.]...“ [8, 271. იხ. აგრეთვე 5, 318; 11, 51]. „კენემატიკაში [იხ. კ ე ნ ე მ ა ტ ი კ ა 1] ექსტენსური პროსოდემებია მოდულაციები... პლერემატიკაში [იხ. პ ლ ე რ ე მ ა ტ ი კ ა 1] ექსტენსური მორფემებია ისეთები, რომელთაც შეუძლიათ დაახასიათონ მთლიანად ფრაზა: პირი, გვარი, ასპექტი, დრო, ემფაზი, კილო“ [5, 318. იხ. აგრეთვე 7, 219—20]. „გამოხატულების სიბრტყეზე მოდულაციები ექსტენსური ელემენტებია.... შინაარსის სიბრტყეზე ექსტენსურია ის ელემენტები, რომლებიც ჩვეულებრივ ცნობილი არიან ზმნური ფლექსიის ელემენტთა სახელწოდებით (მაგ., დრო და კილო)...“ [20b, 109 (20, 106; 20a, 145)].

3

85 ვარიანტი (დან. variant, ფრ. variante, ინგლ. variant, გერმ. Variant, რუს. вариант):

„...ვარიანტები წარმოადგენენ ურთიერთსუბსტიტუციაში [იხ. ს უ ბ ს ტ ი ტ უ ც ი ა] მყოფ კორელატებს [იხ.]“ [13a, 47 (13, 67; 13b, 102; 18c, 331)]. „ვარიანტებს ჩვენ ვუწოდებთ ისეთ არსებს, რომლებიც არ იმყოფებიან კომპლაციაში [იხ.] ერთი და იმავე პარადიგმის [იხ.] შიგნით“ [21, 217. იხ. აგრეთვე 4, 39].

[ვ ა რ ი ა ნ ტ ი, ვ ა რ ი ა ნ ტ ი ა].

86 ვარიეტი (დან. varietet, ფრ. variété, ინგლ. variety, რუს. вариант):

„...განპირობებულ ვარიანტებს ჩვენ ვუწოდებთ ვარიეტებს. [...] ვარიეტები განისაზღვრება როგორც სოლიდარული ვარიანტები, რამდენადაც მოცე-
9. თანამედროვე ზოგად და მათემატ. ენათმეცნ. საკითხები, ტ. IV

მული ვარიანტი ყოველთვის გულისხმობს ჯაქვეში სხვა ინვარიანტის [იხ.] ვარიანტს და ნაგულისხმევია ამ უკანასკნელის მიერ: ta მარცვალში გვაქვს ორი ინვარიანტის ორი ვარიანტი, სახელდობრ, t ინვარიანტის ის ვარიანტი, რომელიც გვხვდება მხოლოდ a-სთან და a ინვარიანტის ის ვარიანტი, რომელიც გვხვდება მხოლოდ i-სთან. ამ ვარიანტებს შორის არის სოლიდარობა [იხ.]“ [18a, 52 (18, 74; 18b, 114; 18c, 338)].

[ლოკალიზებული ვარიანტი].

87 ვარიაცია (დან. variation, ფრ. variation, ინგლ. variation, რუს. вариация):

„თავისუფალ ვარიანტებს ჩვენ ვუწოდებთ ვარიაციებს... ვარიაციები განისაზღვრება როგორც კომბინირებული ვარიანტები, რამდენადაც მათი არსებობა ჯაქვეში არ არის მოთხოვნილი სხვა არსთა [იხ.] მიერ და თვითონაც არ ითხოვს სხვების არსებობას. ვარიაციები ქმნიან კომბინაციას [იხ.]“ [18a, 52 (18, 74 18b, 114; 18c, 338)].

[ინდივიდი]

88 ვირტუალური კლასი (დან. virtuel klasse, ფრ. classe virtuelle, ინგლ. virtual class, რუს. виртуальный класс): იხ. რეალიზებული კლასი.

89 ვოკოიდი (დან. selvlyd, ფრ. voyelle, ინგლ. vocoid):

„კლასიკურმა ფონეტიკამ სამეტყველო ბგერები დაყო განსხვავებულ კატეგორიებად [იხ.]. მან დაყო ისინი უფრო ღია ბგერებად, რომელთაც ჩვენ ვუწოდებთ ვოკოიდებს და უფრო დახურულ ბგერებად—კონტოიდებად. [...] განსხვავებულ იქნა ვოკოიდები: ღია და დახურული, წინა და უკანა წარმოებისა, ლაბიალური და არალაბიალური, ნაზალური და არანაზალური. ასევე გამოყოფილ იქნა კონტოიდთა კატეგორიები, როგორცაა: ლაბიალურები, დენტალურები; ხშულები, ნაპარაღოვნები და აფრიკატები; ნაზალურები და არანაზალურები, მქდერები და ყრუები და ა. შ.“ [20b, 115 (20, 111; 20a, 151—2)]. „არ არსებობს უბრალო დამთხვევა, ერთი მხრივ, ხმოვნურ და თანხმოვნურ კატეგორიებსა, და, მეორე მხრივ, ვოკოიდებისა და კონტოიდების ფიზიოლოგიურად განსაზღვრულ კატეგორიებს შორის. ჩეხურ vlk და krk სიტყვებში l და r ხმოვნებია, მაგრამ ამავე დროს კონტოიდები (შდრ. აგრეთვე ინგლ. little). [...] პირიქითაც, ვოკოიდი შეიძლება იყოს თანხმოვანი (როგორც ძალიან ხშირად i და u, რომლებიც ამიტომ ორთოგრაფიაში ზოგჯერ წარმოდგენილი არიან y და w ნიშნებით)“ [20b, 109 (20, 111—2; 20a, 152—3)].

ზ

90 ზმნა (დან. verb, ფრ. verbe, ინგლ. verb): იხ. ნექსუსი.

91 ზმნური ფლექსიის ელემენტი (დან. verbal bøjningselement, ფრ. élément de flexion verbale, ინგლ. element of verbal inflexion, ვერბ. Verbal-morphem): იხ. ექსტენსური ექსპონენტი.

თ

92 თავსებადი ფუნქტივი (დან. konstellativ funktiv, ფრ. fonctif constellative, ინგლ. constellative functive, რუს. констеллятивный функтив):

„ფუნქტივებს [იხ.], რომლებიც შედიან თავსებადობაში [იხ.]. (კომბინა-

ციაში, ავტონომიაში) «ეწოდებათ თავსებადი (კომბინირებული, ავტონომიური) ფუნქციები» [18a, 22 (18, 33; 18b, 56; 18c, 295)].

98 თავსებადობა (დან. konstellation, ფრ. constellation, ინგლ. constellation, რუს. констелляция):

„უფრო თავისუფალ დამოკიდებულებებს, რომლებშიც ორი წევრი თავსებადია, მაგრამ არც ერთი მათგანი არ გულისხმობს მეორის არსებობას, ეუწოდებთ თავსებადობებს“ [13a, 15 (18, 23; 18b, 42; 18c, 284)]. „ჩვენ შეგვიძლია განვსაზღვროთ თავსებადობა როგორც ფუნქცია [იხ.] ორ ცვლადს [იხ.] შორის“ [18a, 21 (18, 32; 18b, 55; 18c, 294)]. „შეიძლება წარმოვიდგინოთ... წმინდა თავსებადობა ანუ ფაქულტატიური დამოკიდებულება...“ [10, 20].

[ავტონომია, კომბინაცია].

94 თანხმოვანი (დან. konsonant, ფრ. consonne, ინგლ. consonant, ვერმ. Konsonant, რუს. согласный): იხ. განაპირა შემადგენელი.

95 თემა (ფრ. thème, ვერმ. Thema):

„თემა არის ფუძისეულ ელემენტთა ჯაჭვი [იხ.], რომელიც ხასიათდება გარკვეული მორფმატული ერთიანობით. ფუძისეული ელემენტები იყოფა ძირეულ ელემენტებად [იხ.], რომელთაც შეუძლიათ თემაში დამოუკიდებლად არსებობა და ფლექსიურ ელემენტებად [იხ.], რომელთაც არა აქვთ ეს უნარი“ [7, 219].

[აქცენტური თემა, მოდულაციური თემა].

96 თეორემა (დან. teorem, ფრ. thècrème, ინგლ. theorem, რუს. теорема):

„თეორია [იხ.] საშუალებას გვაძლევს გამოვიყვანოთ თეორემები, რომელთაც უნდა ჰქონდეთ იმპლიკაციის ფორმა (ლოგიკური აზრით) ან შეიძლება გადაყვანილ იქნენ ასეთ პირობით ფორმაში. თეორემა მხოლოდ იმას ამტკიცებს, რომ ზოგი პირობის დაკმაყოფილების დროს მოცემული მსჯელობა სამართლიანია. თეორიის გამოყენება გეიჩვენებს სრულდება თუ არა ეს პირობა ყველა შემთხვევაში“ [18a, 8 (18, 14; 18b, 28; 18c, 275)].

97 თეორია (დან. teori, ფრ. théorie, ინგლ. theory, რუს. теория):

„ცხადია, რომ სიტყვა თეორია, ხშირად არასწორად და ავლებულად ხმარებული, შეიძლება გამოყენებულ იქნეს სხვადასხვა მნიშვნელობით. სხვა რამეებთან ერთად იგი შეიძლება ნიშნავდეს ჰიპოთეზების სისტემასაც. [...] ...ჩვენ ვიყენებთ სიტყვა თეორიას სხვა მნიშვნელობით. ამ თვალსაზრისით თანაბრად მნიშვნელოვანია ორი ფაქტორი: 1. თეორია, ჩვენი გაგებით, დამოუკიდებელია ცდისაგან. თავისთავად იგი არაფერს ამბობს არც თავისი გამოყენების შესაძლებლობაზე და არც ცდისეულ მონაცემებთან მიმართებაზე. იგი არ შეიცავს არსებობის შესახებ პოსტულატს. იგი წმინდა დედუქციური სისტემაა იმ აზრით, რომ მხოლოდ იგი შეიძლება იქნეს გამოყენებული იმ შესაძლებლობათა აღსარიცხად, რომლებიც გამომდინარეობენ მისი წინამძღვრებიდან. 2. თეორიას შემოაქვს გარკვეული წინამძღვრები, რომელთა შესახებ წინა ცდებიდან ცნობილია, რომ ისინი გამოიყენებიან ზოგი ცდისეული მონაცემების მიმართ. პირველს ამ ფაქტორთაგან ჩვენ ეუწოდებთ თეორიის ნებისმიერობას, მეორეს კი—მის გამოსადეგობას. თეორიის შექმნისას გასათვალისწინებელია ორივე ფაქტორი, მაგრამ... ექსპერიმენტულ მონაცემებს არასოდეს არ შეუძლიათ გააძლიერონ ან შეასუსტონ თვით თეორია. მათ შეუძლიათ

მხოლოდ გააძლიერონ ან შეასუსტონ მისი გამოსადეგობა“ [18a, 8 (18, 13—4; 18b, 27—8; 18c, 274—5)].

98 თეორიის გამოსადეგობა (დან. teoriens hensigtsmæssighed, ფრ. adéquation, ინგლ. appropriateness of a theory, რუს. пригодность теории): იხ. თ ე ო რ ი ა.

99 თეორიის ნებისმიერობა (დან. teoriens vilkaarlighed, ინგლ. arbitrariness of a theory, რუს. произвольность теории): იხ. თ ე ო რ ი ა.

0

100 იერარქია (დან. hierarki, ფრ. hiérarchie, ინგლ. hierarchy, რუს. иерархия):

„კლასების [იხ.] კლასს ჩვენ ვუწოდებთ იერარქიას...“ [13a, 18 (18, 28; 13b, 48; 13c, 289). იხ. აგრეთვე 22, 80].

[პ რ ო ც ე ს ი, ს ი ს ტ ე მ ა].

101 იმანენტური ლინგვისტიკა (ფრ. linguistique immanente):

„ჩვენი ჰიპოთეზა უპირისპირდება ყველა იმ ჰიპოთეზას, რომელიც კი ენას განიხილავს ძირითადად როგორც სხვა რამის ფუნქციას. იგი უარყოფს შესაძლებლობას, რომ ენა განხილულ იქნეს მხოლოდ როგორც ბიოლოგიური, ფსიქოლოგიური, ფიზიოლოგიური, სოციოლოგიური ფუნქცია. იგი არ უარყოფს, რომ ენა ასრულებს ამ როლებს. ეს იქნებოდა აბსურდი. იგი უარყოფს მხოლოდ იმას, რომ თითქოს ეს ფაქტი ამოწურავდეს ენის ყოფიერების არსს. სტრუქტურული ლინგვისტიკა [იხ.] ენას უდგება არა გარედან, არამედ შიგნიდან და იქვე რჩება, ივეალისწინებს რა, ამავე დროს, ენის გარეგან მიმართულებასაც. ბიოლოგიურ, ფსიქოლოგიურ, ფიზიოლოგიურ, სოციოლოგიურ ლინგვისტიკას იგი უმატებს, ცდის სახით, ლინგვისტურ ლინგვისტიკას ანუ იმანენტურ ლინგვისტიკას“ [14. VIII].

102 იმპლიკაცია (დან. implikation, ფრ. implication, ინგლ. implication, რუს. импликация):

„სინკრეტიზმი [იხ.] შეიძლება მანიფესტირებულ იქნეს ორგვარად: როგორც შერწყმა [იხ.] და როგორც იმპლიკაცია. [...] იმპლიკაცია ჩვენ გვესმის როგორც სინკრეტიზმის ისეთი მანიფესტაცია [იხ.], რომელიც სუბსტანციური იერარქიის თვალსაზრისით იდენტურია სინკრეტიზმში შემავალი ერთი ან რამდენიმე (მაგრამ არა ყველა) ფუნქციის [იხ.] მანიფესტაციისა. თუ ენაში ყრუ და მკლერი თანხმოვნები კომუტაციაში არიან ერთმანეთთან, მაგრამ მათი კომუტაცია [იხ.] აცილებულია თანხმოვნების წინ ისე, რომ ყრუ თანხმოვანი მკლერი თანხმოვნის წინ წარმოითქმის როგორც მკლერი, მაშინ ადგილი აქვს იმპლიკაციას“ [13a, 57—8 (18, 81; 18b, 124; 18c, 346)].

[მ რ ა ე ა ლ მ ხ რ ი ვ ი (ო რ მ ხ რ ი ვ ი) ი მ პ ლ ი კ ა ც ი ა, ც ა ლ მ ხ რ ი ვ ი ი მ პ ლ ი კ ა ც ი ა].

108 ინდივიდი (დან. individ, ინგლ. individual, რუს. индивид):

„თუ ლოკალიზებული ვარიატის [იხ.] დანაწევრება მიყვანილია ბოლომდე, მაშინ დაყოფა ვარიაციებად [იხ.] ამოწურულია. ვარიაციას, რომელიც შემდგომ არ იყოფა, ვუწოდებთ ინდივიდს“ [18a, 53 (18, 74; 18b, 115; 18c, 339)].

104 ინდიკატორი (დან. indikator, ფრ. indicateur, ინგლ. indicator, რუს. индикатор):

„...ტექსტის ყოველი წარმოებელი [იხ.] (მაგ., თავი) შეიძლება ითარგმნოს ერთი სტილისტური ფორმიდან, სტილიდან, შეფასებითი სტილიდან, საშუალებიდან, ტონიდან, თქვიდან, ნაციონალური ან რეგიონალური ენიდან, ინდივიდუალური წარმოთქმიდან მეორეზე. როგორც ენახეთ, ეს თარგმნა, როცა საქმე შეეხება ენისაგან განსხვავებულ სემიოტიკას [იხ.], არ არის მულდამ რეციპროკული [იხ. რ ე ც ი პ რ ო ც ი ა], მაგრამ თუ შემოვიტანთ ენას, ცალმხრივი თარგმნა ყოველთვის შესაძლებელია. მაშასადამე, ტექსტის ანალიზის დროს კონოტატორები [იხ.] მოგვევლინებინა როგორც ფუნქტივებში [იხ.] იმგვარად შემავალი ნაწილები, რომ მათი გამორიცხვის შემთხვევაში მოცემული ფუნქტივები იქნებიან ურთიერთსუსტიტუციის [იხ. ს უ ბ ს ტ ი ტ უ ც ი ა] დამოკიდებულებაში. გარკვეულ პირობებში კონოტატორი გვაქვს მოცემული ხარისხის ყველა ფუნქტივში [იხ.]. [...] არსს, რომელსაც აქვს ზემოხსენებული თვისება, ვუწოდოთ ინდიკატორი...“ [13a, 75 (18, 104; 18b, 159; 13c, 372)].

[კ ო ნ ო ტ ა ტ ო რ ი, ს ი გ ნ ა ლ ი].

105 ინდუქცია (დან. induktion, ფრ. induction, ინგლ. induction, რუს. индукция):

„...ინდუქცია ჩვენ გვესმის როგორც გაგრძელებული სინთეზი მასში შემავალ სინთეზებს [იხ.] შორის დეტერმინაციით [იხ.]“ [13a, 19 (18, 29; 18b, 50; 18c, 291)]. იხ. აგრეთვე 22, 57]. „...პროცედურაში დედუქცია [იხ.] წინ უძღვის ინდუქციას და მოქმედებს როგორც შემოწმების ფაქტორი, რამდენადაც მხოლოდ ცალკეული დედუქციების გზით მოპოვებულ შედეგები ექვემდებარება სინთეზს ცალკეულ ინდუქციაში. ფაქტობრივად, ეს ორი პროცედურა მოქმედებს ერთდროულად, მაგრამ ზოგადად მაინც სწორი იქნება თუ ვიტყვი, რომ მოცემულ თეორიაში ინდუქცია გულისხმობს დედუქციას და რომ თეორია თვით არის დედუქციური, აგებული ფუნქციის ზოგადი გაგების საფუძველზე“ [22, 34 (22a, 435)].

106 ინვარიანტი (დან. invariant, ფრ. invariant, ინგლ. invariant, რუს. инвариант):

„...ტექსტის მრავალ ადგილას გვხვდება „ერთი და იგივე“ რთული წინადადება. „ერთი და იგივე“ მარტივი წინადადება, „ერთი და იგივე“ სიტყვა და ა. შ., ე. ი. შეიძლება ითქვას, რომ გვხვდება ყოველი რთული წინადადების, ყოველი მარტივი წინადადების, ყოველი სიტყვის და ა. შ. მრავალი ნიმუში. ამ ნიმუშებს ჩვენ ვუწოდებთ ვარიანტებს [იხ.], ხოლო არსებს, რომელთა ნიმუშებიც ისინი არიან, — ინვარიანტებს“ [13a, 39 (18, 56; 18b, 89; 18c, 320)]. „ინვარიანტები არიან ურთიერთკომპუტაციის [იხ. კ ო მ უ ტ ა ც ი ა] დამოკიდებულებაში მყოფი კორელატები [იხ.]...“ [13a, 47 (18, 67; 18b, 102; 18c, 331)].

107 ინტენსური ელემენტი (დან. intens element, ფრ. élément intense, ინგლ. intense element): იგივეა, რაც ინტენსურ ექსპონენტი.

108 ინტენსური ექსპონენტი (ფრ. exposant intense, ინგლ. intense exponent) [|| ინტენსური ელემენტი]:

„ხშირ შემთხვევაში ჩვენ ვიღებთ ექსპონენტთა ორ ტიპს, ექსტენსურ ექსპონენტებს [იხ.], რომელთაც შეუძლიათ დაახასიათონ მთელი გამონათქვამი და ინტენსურ ექსპონენტებს, რომელთაც შეუძლიათ დაახასიათონ მხოლოდ

მთელ გამონათქვამზე უფრო მცირე ჯაჭვი" [8, 271. იხ. აგრეთვე 5, 318; 11, 51]. „კენემატეკაში [იხ. კ ე ნ ე მ ა ტ ე კ ა 1]... ინტენსური პროსოდემებია აქცენტები. ...პლერემატეკაში [იხ. პ ლ ე რ ე მ ა ტ ე კ ა 1] ექსტენსური მორფემებია ისეთები, რომელთაც შეუძლიათ დაახასიათონ მთლიანად ფრაზა: პირი, გვარი, ასპექტი, დრო, ემფაზი, კილო; ინტენსურია ისეთი მორფემები, რომელთაც არ გააჩნიათ ეს უნარი: ბრუნვა, რიცხვი, სქესი, ხარისხი, არტიკლი" [5, 318. იხ. აგრეთვე 7, 219—20]. „გამოხატულების სიბრტყეზე... ინტენსური ელემენტებია აქცენტები. შინაარსის სიბრტყეზე... ინტენსურია ის ელემენტები, რომლებიც ჩვეულებრივ ცნობილი არიან სახელური ფლექსიის ელემენტთა სახელწოდებით" [20b, 109 (20, 106; 20a, 145)].

109 ინტონაცია (ფრ. intonation): იგივეა, რაც მ ო ღ უ ლ ა ც ი ა [შლრ. 8, 7, 12, 17].

3

110 კატალიზი (დან. katalyse, ფრ. catalyse, ინგლ. catalysis, გერმ. Katalyse, რუს. катализ):

„...ანალიზი მდგომარეობს ფუნქციათა [იხ.] დადგენაში. ამ თვალსაზრისის მიღებისას აუცილებელია წინასწარ განვკვირიტოთ იმის შესაძლებლობა, რომ ზოგიერთი ფუნქციის დადგენისას, ფუნქციასა და ფუნქტივებს [იხ.] შორის სოლიდარობის [იხ.] გამო, შეიძლება იძულებული გავხდეთ ჩავსვათ ზოგი ისეთი ფუნქტივი, რომელიც მიუწვდომელია უშუალო აღქმისათვის. ასეთ ჩასმას ეუწოდებთ კატალიზს. პრაქტიკულად კატალიზი აუცილებელი პირობაა ანალიზისათვის. მაგ., ლათინური ენის ანალიზს მივყავართ იმ დასკვნამდე, რომ წინდებული sine მართავს დაწყ. ბრუნვას, ე. ი. თანხმად დეფინიციისა, დაწყ. ბრუნვის არსებობა აუცილებელი პირობაა ტექსტში sine-ს არსებობისათვის (და არა პირიქით). [...] თუ შევხვდებით ლათინურ ტექსტს, რომელიც წყდება sine-ზე, ჩვენ მაინც შეგვიძლია დავადგინოთ კოჰეზია [იხ.] (სელექცია [იხ.]) დაწყ. ბრუნვასთან, ე. ი. შეიძლება sine-ს არსებობისათვის აუცილებელი პირობის ჩასმა“ [18a, 60 (18, 83—4; 18b, 129—30; 18c, 349—50). იხ. აგრეთვე 2, 153; 10, 108, 110; 21, 223; 18a, 61 (18, 85; 18b, 131; 18c, 351)].

111 კატეგორია (დან. kategori, ფრ. catégorie, ინგლ. category, გერმ. Kategorie, რუს. категория):

„...პარადიგმატულ ჯამს [იხ.] ეუწოდებთ კატეგორიას“ [18a, 54 (18, 76; 18b, 117; 18c, 341). იხ. აგრეთვე 10, 14—5; 22, 59—60]. „ჩვენ შეგვიძლია შევადგინოთ პარადიგმა [იხ.] იმ ელემენტებისაგან, რომელთაც შეუძლიათ დაეკავონ ჯაჭვში [იხ.] ერთი და იგივე ადგილი. ასეთ პარადიგმას ვეძახით კატეგორიას“ [20b, 33 (20, 36—7; 20a, 57)]. „ერთსიბრტყივი ფუნქციით [იხ.] ენობრივი ერთეულები ლაგდებიან კატეგორიებად. [...] მაგ., თანხმოვნები, რომლებიც გვხვდებიან მარცხელის შიგნით ერთსა და იმავე პოზიციაში, ქმნიან კატეგორიას, განსაზღვრულს სწორედ ამ პოზიციური შესაძლებლობით“ [8, 157].

112 კენემა (ფრ. cénème, ინგლ. ceneme, გერმ. Kenem): იხ. შ ე მ ა დ გ ე ნ ე ლ ი.

118 კენემატემა (ფრ. cénématème, გერმ. Kenematem):

1. ძვ. იგივეა, რაც გამოხატულების ტ ა ქ ს ე მ ა [შლრ. 8, 6, 31; 7, 219].

2. „... გამოხატულების გლოსემა [იხ. გლოსემა 2] (ანუ კენემატემა)“ [10, 167].

114 კენემატი (ფრ. *cénématique*):

„გამოხატულების ფორმაში გარეგანი ერთეულებია [იხ.] „ნიშნური გამოხატულებები“ ანუ კენემატები, დადგენილი გამოხატულების სიბრტყეზე შინაარსის სიბრტყის მიერ“ [10, 184].

115 კენემატიკა (ფრ. *cénématique*, გერმ. *Kenematik*):

1. იგივეა, რაც გამოხატულების სიბრტყე [შდრ. 11, 51].

2. „გლოსემატიკა [იხ.] იყოფა ორ ძირითად ნაწილად—პლერემატიკად [იხ.]... და კენემატიკად (სიტყვისაგან *κίνησις* „ცარიელი“), რომელიც სწავლობს კენემატემებს [იხ.] და კენემებს [იხ.], ე. ი. დეფინიციით ცარიელ ერთეულებს, ანუ ისეთ ერთეულებს, რომელთაც არ შეუძლიათ ჰქონდეთ მნიშვნელობა“ [10, 102. იხ. აგრეთვე 7, 217; 9, 134].

116 კენემატიკური სიბრტყე (ფრ. *plan cénématique*): იგივეა, რაც გამოხატულების სიბრტყე [შდრ. 2, 152; 5, 318].

117 კენი (ფრ. *cénie*):

„...კენემატები [იხ.] იქნებიან ერთი და იმავე კენის ვარიანტები...“ [10, 184].

118 კლასი (დან. *klasse*, ფრ. *classe*, ინგლ. *class*, რუს. *класс*):

„ობიექტს, რომელიც ექვემდებარება დაყოფას [იხ.], ვუწოდებთ კლასს...“ [18a, 18 (19, 27; 18b, 48; 18c, 289)].

[პარადიგმა, ჭაკვი; ვირტუალური კლასი, რეალიზებული კლასი].

119 კოლექტიური შეფასების დონე (ფრ. *niveau d'appréciation collective*, რუს. *уровень коллективной оценки*) [|| უშუალოდ სემიოტიკური სუბსტანცია]: იხ. სუბსტანციის დონეები.

120 კომბინაცია (დან. *kombination*, ფრ. *combinaison*, ინგლ. *combination*, რუს. *комбинация*) [|| განუპირობებელი რელაცია]:

„თავსებადობებს [იხ.] პროცესში [იხ.] ჩვენ ვუწოდებთ კომბინაციებს...“ [13a, 15 (18, 24; 18b, 42; 18c, 285). იხ. აგრეთვე 10, 21; 21, 224; 22, 78].

„...ფაკულტატიურ ფუნქციას შეიძლება ეწოდოს კომბინაცია...“ [2, 154].

„სხვა შემთხვევებში ადგილი ექნება კომბინაციას, როგორც, მაგ., ლათინურში *ab* წინდებულსა და დაწყ. ბრუნვას შორის, რომელთაც შეუძლიათ თანაარსებობა, მაგრამ ეს არ არის აუცილებელი. თანაარსებობის უნარით ისინი განსხვავდებიან, მაგ., *ad* წინდებულისა და დაწყ. ბრუნვისაგან, რომელთაც არ შეუძლიათ იყენენ თავსებადი“ [18a, 15—16 (18, 24—5; 18b, 43; 18c, 286)].

121 კომბინირებული ფუნქტივი (დან. *kombineret funktiv*, ფრ. *fonctif combiné*, ინგლ. *combined functive*, რუს. *комбинированный функтив*): იხ. თავსებადი ფუნქტივი.

122 კომუტაცია (დან. *kommuation*, ფრ. *commutation*, ინგლ. *commutation*, გერმ. *Kommuation*, რუს. *коммутация*):

„...კორელაციას [იხ.] ენის ერთ სიბრტყეზე, რომელსაც აქვს რელაცია [იხ.] კორელაციასთან მეორე სიბრტყეზე, ეწოდება კომუტაცია“ [13a, 46 (18, 67; 18b, 102; 18c, 331), იხ. აგრეთვე 6, 115; 16, 171; 18, 275 (18a, 126); 21,

213]. „კომუტაცია არის მუტაცია [იხ.] პარადიგმის [იხ.] წევრებს შორის...“ [13a, 47 (18, 67; 18b, 102; 13c, 331)].

123 კომუტაციური შემოწმება (დან. udveklingsprøve, ფრ. épreuve de commutation, ინგლ. commutation test, რუს. коммутационное испытание):

„გამოხატულების ელემენტები, რომლებიც შედიან, მაგ., თანხმობანთა და ხმობანთა კატეგორიებში, განისაზღვრებიან როგორც განსხვავებულები იმავე კატეგორიის სხვა წევრებისაგან იმდენად, რამდენადაც ერთის შეცვლა მეორით იწვევს განსხვავებას ენობრივ შინაარსში (ნიშნის მნიშვნელობაში). ის ფაქტი, რომ p, s, r, l და a, e, i, o ინგლისურში გამოხატულების განსხვავებული ელემენტებია, თვალის ერთი გადავლებითაც აშკარაა იმიტომ, რომ თითოეული მათგანის შეცვლა სხვებით ჩაქვის [იხ.] შიგნით ერთსა და იმავე პოზიციაში იწვევს განსხვავებას შინაარსში: pat, sat, rat, tal, pal, pet, pit, pot. ასეთი კომუტაციური შემოწმების მეოხებით ჩვენ საშუალება გვქვია განვსაზღვროთ წევრების რაოდენობა ნებისმიერი ენობრივი კატეგორიის შიგნით. ყოველივე ეს სამართლიანია შინაარსის ელემენტების მიმართაც: „სახელობითი“ და „ნათესაობითი“, „აწმყო“ და „ნამყო“, ისევე, როგორც ლექსიკური კომპონენტებიც, ენობრივად განსხვავებული არიან იმის გამო, რომ მათი ურთიერთშენაცვლება გამოიწვევს განსხვავებას გამოხატულებაში“ [20b, 100 (20, 97; 20a, 134—5)]. „კომუტაციური შემოწმება არის აუცილებელი კვლევის საშუალება, რომელიც შესაძლებლობას გვაძლევს არა მხოლოდ გავივლით ნიშნით ენის სტრუქტურა მისი განვითარების მოცემულ ეტაპზე, არამედ ავრთვეთ დავადგინოთ ენათა ტიპოლოგია“ [21, 219].

124 კონექცია (ფრ. connexion, ინგლ. connexion): 1. იგივეა, რაც კოპიეზია [შდრ. 16, 188]. 2. იგივეა, რაც სინტაქსური ფუნქცია [შდრ. 22, 42—5].

125 კონვერსიული ექსპონენტი (ფრ. exposant converti, ინგლ. converted exponenti):

„უფრო დაწვრილებითი ოპერაციონალური ანალიზი... გვიჩვენებს, რომ შეიძლება გვქონდეს ისეთი ელემენტები [იხ. ელემენტი 2], რომლებიც ერთსა და იმავე დროს, ასე ვთქვათ, შემადგენლებიც [იხ.] არიან და ექსპონენტებიც [იხ.] ანუ, უფრო ზუსტად, არსებობენ ექსპონენტები, რომლებიც იმავე დროს ასრულებენ შემადგენლების როლსაც. ამ ელემენტებს ვუწოდებთ კონვერსიულ ექსპონენტებს. ასე, ნაცვალსახელი ჩვეულებრივ კონვერსიული მორფემაა. კენემატიაში [იხ. კენემატია 1] კონვერსიულ პროსოდემად უნდა მივიჩნიოთ ყოველი „თანხმობანი“, რომელსაც არ შეუძლია დაიკავოს მარცვლის არც თავიკიდური და არც ბოლოკიდური პოზიცია და რომელიც არ არსებობს მარცვალში თანხმობნური ჩგუფის გარეშე“ [5, 319. იხ. აგრეთვე 2, 155; 0, 134].

126 კონიუნქცია (დან. konjunktion, ფრ. conjonction, ინგლ. conjunction, რუს. конъюнкция): იგივეა, რაც რელაცია [შდრ. 18a, 22—3 (18, 33; 18b, 56; 18c, 295)].

127 კონოტატორი (დან. konnotator, ფრ. connotateur, ინგლ. connotator, რუს. коннотатор):

„კონოტატორი არის ისეთი ინდიკატორი [იხ.], რომელიც გარკვეულ პირობებში გვხვდება სემიოტიკის [იხ.] ორსავე სიბრტყეზე [იხ.]“ [18a, 75 (18, 104; 18b, 159; 18c, 372)].

128 კონოტაციური სემიოტიკა (დან. konnotationssemiotik, ფრ. sémiotique connotative, langage de connotation, ინგლ. connotative semiotic, რუს. коннотативная семиотика):

„...არსებობენ სემიოტიკები [იხ.], რომელთა გამოხატულების სიბრტყე [იხ.] წარმოადგენს სემიოტიკას და არსებობენ სემიოტიკები, რომელთა შინა-არსის სიბრტყე [იხ.] წარმოადგენს სემიოტიკას. პირველს ვუწოდებთ კონოტაციურ სემიოტიკებს...“ [18a, 73 (18, 101; 18b, 155; 18c, 369)]. „მიზანშეწონილად მიგვაჩნია განვიხილოთ კონოტატორები [იხ.] როგორც შინაარსი, რომლის გამოხატულება არის დენოტაციური სემიოტიკა [იხ.] და ეს შინაარსი და გამოხატულება აღენიშნოთ როგორც სემიოტიკა, სახელდობრ, როგორც კონოტაციური სემიოტიკა“ [18a, 76 (18, 105; 18b, 160; 18c, 373)]. „კონოტაციურ სემიოტიკას განვსაზღვრავთ როგორც არამეცნიერულ სემიოტიკას [იხ.], რომლის ერთი ან მეტი (ორი) სიბრტყე წარმოადგენს სემიოტიკას...“ [18a, 77 (18, 106; 18b, 162; 18c, 374)].

129 კონტაქტური ფუნქცია (გერმ. Kontaktfunktion); იხ. დ ი ს ტ ა ნ ც ი უ რ ი ფ უ ნ ქ ც ი ა .

130 კონტოიდი (დან. medlyd, ფრ. consonne, ინგლ. conloid): იხ. ვ ო კ ო ი დ ი .

131 კორელატი (დან. korrelat, ფრ. corrélat, ინგლ. correlate, რუს. коррелят):

„კორელაციად ჩვენ გვესმის „ან-ან“, ხოლო რელაციად „და-და“ ფუნქცია. ამ ფუნქციებში შემავალ ფუნქტივებს შესაბამისად ვუწოდებთ კორელატებსა და რელატებს“ [18a, 24 (18, 36; 18b, 59; 18c, 297)].

132 კორელაცია (დან. forhold, korrelation, ფრ. corrélation, ინგლ. correlation, რუს. корреляция) [II დიზიუნქცია, პარადიგმატიკული ფუნქცია]:

„პარადიგმის [იხ.] წევრებს შორის ფუნქციას [იხ.] ვუწოდებთ კორელაციას“ [20b, 33 (20, 36; 20a, 56)]. „კორელაცია ჩვენ გვესმის როგორც „ან-ან“ ფუნქცია...“ [13a, 24 (18, 36; 18b, 59; 18c, 297)].

133 კოპეზია (დან. kohæsion, konnexion, ფრ. connexion, ინგლ. cohesion, რუს. когезия):

„გარკვეულ შემთხვევებში სასარგებლოა გეჰონდეს საერთო სახელწოდება ურთიერთდამოკიდებულებისა [იხ.] და დეტერმინაციისათვის [იხ.] (ორი ფუნქციისათვის [იხ.], რომელთა ფუნქტივებს [იხ.]. შორის ერთი ან მეტი მუდმივია [იხ.]). ჩვენ მათ ორივეს ვუწოდებთ კოპეზიებს“ [18a, 21 (18, 33; 18b, 55; 18c, 294)].

134 კოპეზიური ფუნქტივი (დან. konnex funktiv, ფრ. fonctif cohe-
xe, ინგლ. cohesive functive, რუს. когезивный функтив):

„ფუნქტივებს [იხ.], რომლებიც შედიან კოპეზიაში [იხ.], ეწოდებათ კოპეზიური ფუნქტივები“ [18a, 22 (18, 33; 18b, 56; 18c, 295)].

ლ

135 ლატენტურობა (დან. latens, ფრ. latence, ინგლ. latency, რუს. латентность):

„სინკრეტიზმში [იხ.] გარდა ექსპლიციტური არსისა შეიძლება შევიდეს აგრეთვე ნულოვანი არსიც, რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება

ლინგვისტური ანალიზისათვის. ხშირად იგარძნობა საკიროება დაეუშვით ლატენტური და ფაულტატიური ენობრივი არსები, განსაკუთრებით „ფონემები“. ასე, გარკვეული ანალიზის შედეგების მიხედვით, შეიძლება ვამტყიკოთ ლატენტური d/1-ს არსებობა ფრ. სიტყვებში: grand, sourd, რადგან პირობების შეცვლისას ამ სიტყვებში ჩნდება d ან t: grande, sourde; grande homme“ [13a, 59—60 (18, 83; 18b, 127; 18c, 349)].

186 ლექსისი (ფრ. lexie):

„ხშირად, მაგრამ არა აუცილებლად, ტაქსემები ფონიკურ სუბსტანციაში წარმოდგენილი არიან ფონემატემებით (რომლებიც შეიცავენ ფონემებს). ასევე, შეიძლება მივკეთ ნებისმიერი სახელწოდება ერთეულს, რომელიც გამოიყოფა სელექციით [იხ.] ანალიზის პირველ საფეხურზე: ეს არის „ლექსისი“. ხშირად, მაგრამ არა აუცილებლად, იგი შეესატყვისება ფრაზას, კერძოდ, იმ შემთხვევებში, როდესაც შეიძლება ანალიზი ძირითად (ე. ი. სელექტირებულ) და დაქვემდებარებულ (ე. ი. მასელექტირებულ) წევრებად“ [16, 181].

187 ლინგვისტიკის ობიექტი:

„თუ ტრადიციულ თვალსაზრისს ლინგვისტიკის საზღვრების შესახებ შევერთხებით ფუნქციონალურ ანალიზთან, რომელსაც გლოსემატკია გვთავაზობს, ყველასთვის ცხადი იქნება, რომ ლინგვისტიკისათვის განკუთვნილი სფერო, ე. ი. სფერო, რომელიც ქმნის ლინგვისტიკის საკუთარ და სპეციფიკურ ობიექტს, შედგენილია ერთეულებისგან, რომელთა შორის ყველაზე დიდი არის ფრაზა (უფრო ზუსტად—ლექსისი [იხ.]), ხოლო ყველაზე მცირე—გლოსემა [იხ. გ ლ ო ს ე მ ა]“ [16, 180].

188 ლინგვისტური თეორია (დან. sprogteori, ფრ. théorie du langage, ინგლ. linguistic theory, რუს. лингвистическая теория): იგივეა, რაც გ ლ ო ს ე მ ა ტ ი კ ა.

189 ლინგვისტური თეორიის მიზანი (დან. sprogteoriens formaal, ფრ. but de la théorie du langage, ინგლ. aim of linguistic theory, რუს. цель лингвистической теории):

„ლინგვისტური თეორიის მიზანია შექმნას პროცედურული მეთოდი, რომლის საშუალებითაც შეიძლება თანმიმდევრულად და ამომწურავად შევისწავლოთ ტექსტი [იხ.]. მაგრამ ლინგვისტურმა თეორიამ უნდა უჩვენოს აგრეთვე ისიც, თუ როგორ შეიძლება ამავე ბუნების სხვა ტექსტების გაგება. ლინგვისტური თეორია ამას აკეთებს, ხელთ გადაქცევს რა ინსტრუმენტს, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს ყოველი ასეთი ტექსტისათვის. მაგრამ ლინგვისტური თეორია გამოყენებული უნდა იქნეს არა მხოლოდ ერთ რომელიმე ენაზე შექმნილი ნებისმიერი ტექსტის აღსაწერად და წინასწარ განსაჯერტად, არამედ იმ ინფორმაციის საფუძველზე, რომელსაც ის გვაწვდის საერთოდ ენების შესახებ, გამოყენებული უნდა იქნეს ნებისმიერი ენის ნებისმიერი ტექსტის აღსაწერად და წინასწარ განსაჯერტად. [...] თავისი გამოსადეგობის [იხ. თ ე ო რ ი ა ს გ ა მ ო ს ა დ ე გ ო ბ ა] ძალით ლინგვისტური თეორია ასრულებს ემპირიულ სამუშაოს, ხოლო ნებისმიერობის [იხ. თ ე ო რ ი ა ს ნ ე ბ ი ს მ ი ე რ ო ბ ა] ძალით აღრიცხვით სამუშაოს. ცდისეული მონაცემებიდან ამოსვლით, რომლებიც აუცილებლად შეზღუდულია, ლინგვისტიკური თეორეტიკოსი აწარმოებს გარკვეულ ფარგლებში ყველა მოსალოდნელი შესაძლებლობის აღრიცხვას. ამ ფარგლებს ის ადგენს ნებისმიერად: იღებს გარკვეულ თვისებებს, დამახასიათებელს ყველა იმ ობიექტისათვის, რომელსაც

ჩვეულებრივ უწოდებენ ენებს, რათა შემდგომ განაზოგადოს ეს თვისებები და დააფუძნოს ისინი დეფინიციით. ამ მომენტიდან ლინგვისტი-თეორეტიკოსი თვითონ წყვეტს, ნებისმიერად, მაგრამ გამოსადეგობის გათვალისწინებით, თუ რომელი ობიექტისათვის შეიძლება ან არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს მისი თეორია. შემდეგ დეფინიციით გათვალისწინებული ყველა ობიექტისათვის ის აგებს ზოგად აღრიცხვას, რომელშიც წინასწარ განკვეთილია ყველა მოსალოდნელი შესაძლებლობა. ეს აღრიცხვა ...გვაძლევს ინსტრუმენტს აღვწეროთ და შევისწავლოთ მოცემული ტექსტისა და ის ენაც, რომელზედაც ტექსტია შექმნილი. ლინგვისტური თეორია არ შეიძლება შემოწმდეს (დადასტურებული ან უარყოფილი იქნეს) არსებულ ტექსტებსა და ენებზე მითითებით. მას შეიძლება კონტროლი გაეწიოს მხოლოდ იმის შემოწმებით, არის თუ არა მოცემული აღრიცხვა თანმიმდევრული და ამომწურავი“ [18a, 9—10 (18, 15—8; 18b, 3!—3; 18c, 276—8)].

140 ლინგვისტური თეორიის პერსპექტივები (დან. sprogtteoriens perspektiver, ფრ. perspectives de la théorie du langage, ინგლ. perspectives of linguistic theory, რუს. перспективы лингвистической теории):

„იმისათვის, რათა შეიქმნას ჰეშმარიტი ლინგვისტიკა, რომელიც არ შეიძლება იყოს დამხმარე ან მეორეხარისხოვანი მეცნიერება, საჭიროა კიდევ რაღაც გაკეთდეს. ლინგვისტიკამ უნდა მოიცვას ენა არა როგორც არაენობრივი (ე. ი. ფიზიკური, ფიზიოლოგიური, ფსიქოლოგიური, ლოგიკური, სოციოლოგიური) მოვლენების კონგლომერატი, არამედ როგორც თვითკმარი მთლიანობა, სტრუქტურა sui generis“ [18a, 2 (18, 4; 18b, 12; 18c, 266—7)]. „ლინგვისტური თეორია, იცილებს რა თავიდან აქამდე გაბატონებულ ტრანსცენდენტურ თვალსაზრისს და მიისწრაფვის ენის, როგორც თვითკმარი, სპეციფიკური სტრუქტურის გაგებისაკენ და ეძებს მუდმივს [იხ.] თვით ენის შიგნით, იწყებს თავისი ობიექტის შემოსაზღვრით. ეს აუცილებელია, მაგრამ მხოლოდ როგორც დროებითი საშუალება. [...] ასეთი შემოსაზღვრა გამართლებულად ჩათვლება, თუ საბოლოოდ იგი საშუალებას მოგვცემს ამომწურავად და თანმიმდევრულად გავაფართოვოთ პერსპექტივები დადგენილი სტრუქტურის პროექციით მის გარშემო მყოფ მოვლენებზე ისე, რომ ეს უქანასკნელები აიხსნებოდნენ ამ სტრუქტურის შუქზე. სხვაგვარად, თუ ანალიზის შედეგად შესაძლებელი იქნება გლობალური მთლიანობა—ენა ცხოვრებასა და სინამდვილეში—ხელახლა განვიხილოთ სინთეზურად, როგორც მთელი, მაგრამ ამჟერად არა როგორც შემთხვევითი ერთიანობა ან კონგლომერატი de facto, არამედ როგორც მოვლენა, ორგანიზებული ძირითადი პრინციპის გარშემო“ [18a, 11 (18, 19; 18b, 35; 18c, 279—80)]. „[სემიოტიკის] მოცემული დეფინიცია [იხ. სემიოტიკა], რომელიც სხვა არაფერია, თუ არა ჩვენი განხილვის ფორმალური დანასაკვი, აიძულებს ლინგვისტს, რომ თავისი კვლევის საგნად ჩათვალს არა მხოლოდ „ბუნებრივი“, ყოველდღიური ენა, არამედ ნებისმიერი სემიოტიკა—ენის ანალოგიური ნებისმიერი სტრუქტურა, რომელიც აკმაყოფილებს მიღებულ დეფინიციას. ენა (ჩვეულებრივი გაგებით) შეიძლება განხილულ იქნეს როგორც ამ უფრო ზოგადი ობიექტის სპეციალური შემთხვევა და მისი ინდივიდუალური თავისებურებები, რომლებიც მხოლოდ უზუსტ [იხ.] ეხება, გავლენას ვერ ახდენს დეფინიციაზე. ...ლინგვისტს შეუძლია და უნდა წარმართოს თავისი კვლევა „ბუნებრივი“ ენებისაკენ, ხოლო დანარჩენი სემიოტიკური სისტემების შესწავლა დაუთმოს სხვა სპეციალისტებს, უმთავ-

რესალ ლოგიკოსებს, რომელთაც უკეთესი მომზადება აქვთ ამ სფეროში. მაგრამ ლინგვისტს არ შეუძლია თავისუფლად იცვლიოს ენა, თუ არ ექნა ფართო თვალსაზრისი, ორიენტირებული სხვა ანალოგიური სტრუქტურებისაკენ“ [13a, 68 (18, 94—5; 13b, 145; 13c, 361—2)]. „ლინგვისტის კვლევის ობიექტი არის არა ინდივიდუალური ენა, არამედ ენათა მთელი კლასი, რომლის წევრები დაკავშირებული არიან ერთმანეთთან და შუქს ჰყენენ ერთმანეთს. შეუძლებელია საზღვრის გავლება ინდივიდუალური ენობრივი ტიპისა და ენათა ზოგადი ტიპოლოგიის შესწავლას შორის; ინდივიდუალური ენობრივი ტიპი არის სპეციალური შემთხვევა ამ ტიპოლოგიისა და, სხვა ფუნქტივების [იხ.] მსგავსად, არსებობს მხოლოდ ფუნქციათა [იხ.] მეოხებით, რომლებითაც ის დაკავშირებულია სხვა ფუნქტივებთან. [...] შემდგომი კატალიზით [იხ.] განხილვის სფეროში შემოდის კონოტაციური სემიოტიკა [იხ.], მეტასემიოტიკა [იხ.] და მეტასემიოლოგია [იხ.]. ...სემიოტიკური სტრუქტურა წარმოადგენს ისეთ პოზიციას, საიდანაც განიხილება ყველა მეცნიერული ობიექტი. პირველ ეტაპზე ლინგვისტური თეორია ჩამოყალიბდა როგორც იმანენტური თეორია, რომლის ერთადერთ მიზანს შეადგენდა სისტემის შინაგანი ფუნქციების შესწავლა. ეს მიღწეულ იქნა გადახრებისა და ნიუანსების კონკრეტული ფიზიკური და ფენომენოლოგიური რეალობის შეზღუდვის ხარჯზე. მაგრამ ეს დროებითი შეზღუდვა იყო ენის საიდუმლოებაში ჩაწვდომის საფასური. მხოლოდ იმანენტური თვალსაზრისის მეოხებით აანაზღაურა ენამ ეს საფასური. უფრო მაღალ დონეზე, ვიდრე ეს აქამდე იყო ლინგვისტიკაში, ენა კვლავ ხდება შემეცნების საშუალება. ...ლინგვისტური თეორია უკვე შინაგანი აუცილებლობით მიდის არა მხოლოდ ენობრივი სისტემის (მის სქემასა [იხ.] და უზუსში [იხ.], მის მთლიანობასა და ინდივიდუალობაში), არამედ ადამიანისა და ადამიანთა საზოგადოების, ადამიანური ცოდნის მთელი სფეროს შემეცნებამდე ენის მეშვეობით. მხოლოდ ამ ეტაპზეა მიღწეული ლინგვისტური თეორიის საბოლოო მიზანი: *humanitas et universitas*“ [18a, 81—2(18, 112; 13b, 171; 13c, 381)].

141 ლინგვისტური სემიოტიკა. (ფრ. *sémiotique linguistique*):

„...ლინგვისტური სემიოტიკა (ე. ი. „ენა“ [იხ. ენა 2]) ლინგვისტების ტრადიციული გაგებით...“ [16, 167].

142 ლოკალიზებული ვარიანტი (დან. *lokaliseret varietet*, ფრ. *variété localisée*, ინგლ. *localized variety*, რუს. *локализованный вариант*):

„თუ ინვარიანტებს [იხ.] დავყოფთ ვარიანტებად [იხ.], ყოველი ინდივიდუალური „ადგილისათვის“ მიიღწევა ვარიანტი, რომელიც შემდგომ არ იყოფა და ვარიანტებად დანაწევრდება ამოწურულია. ვარიანტს, რომელიც არ იყოფა ვარიანტებად, ვუწოდებთ ლოკალიზებულ ვარიანტს“ [18a, 53 (18, 74; 18b, 115; 18c, 339)].

ა

148 მანიფესტანტი (დან. *manifesterende*, ფრ. *manifestante*, ინგლ. *manifesting*, რუს. *манифестирующее*):

„მანიფესტაციის წევრს [იხ.] სუბსტანციაში [იხ.] ეწოდება მანიფესტანტი“ [16, 186].

144 მანიფესტაცია (დან. *manifestation*, ფრ. *manifestation*, ინგლ. *manifestation*, რუს. *манифестация*):

„...მანიფესტაცია (ფორმასა და სუბსტანციას შორის სპეციფიკური რე-
ლაცია)...“ [10, 166]. „...მანიფესტაცია არის სელექცია [იხ.], რომელშიც
ლინგვისტური ფორმა არის მუდმივი [იხ.], სუბსტანცია კი ცვლადი [იხ.]...“
[13a, 68 (18, 94; 13b, 144; 13c, 361)]. იხ. აგრეთვე 10, 170—71, 186]. „...ერ-
თი და იგივე ფორმა შეიძლება მანიფესტირებულ იქნეს სხვადასხვა სუბსტან-
ციით. კვლევის თანამედროვე დონეზე ეს ფაქტი განსაკუთრებით კარგად
ვლინდება გამოხატულების სიბრტყეზე, სადაც ის მისაწვდომია უშუალო დაკ-
ვირვებისთვისაც: ერთი და იგივე ფორმა შეიძლება მანიფესტირებულ იქნეს,
მაგ., როგორც ბგერითი, ისე გრაფიკული სუბსტანციით“ [18, 280 (18a, 131)].

145 მანიფესტაციის წვერი (ფრ. term de manifestation):

„...გარეგანი ერთეულის [იხ.] ვარიანტს ვუწოდებთ მანიფესტაციის
წვერს“ [10, 186].

146 მანიფესტირებული (ფრ. manifestée, ინგლ. manifested, რუს. мани-
фестированное):

„მანიფესტაციის წვერს [იხ.] ფორმაში ეწოდება მანიფესტირებული“
[10, 186].

147 მართვა (დან. styrelse, ფრ. rection, ინგლ. government, გერმ. Rektion,
რუს. управление): 1. ძვ. იგივეა, რაც დისტანციური ფუნქცია
[შდრ. 2, 155; 7, 218]. 2. იგივეა, რაც დეტერმინაცია [შდრ. 10,
14—5, 18—20; 13a, 60 (18, 83; 13b, 129; 13c, 349); 21, 222—3]].

148 მარცვალი (დან. stavelse, ფრ. syllabe, ინგლ. syllable, გერმ. Silbe,
რუს. слог): იხ. სინტაგმატემა.

149 მასალა (დან. mening, ფრ. sens, matière, ინგლ. purport, გერმ. Stoff,
რუს. материал):

„...გამართლებული იქნებოდა განსხვავებული ენების შედარება და მათგან
იმ ფაქტორის გამოყოფა, რომელიც საერთოა საზოგადოდ ყველა ენისათვის,
რამდენიც კი შესაძარებლად იქნება აღებული. ეს ფაქტორი (თუ ჩვენ გამოვ-
რიცხავთ სტრუქტურულ პრინციპს [იხ.], რომელიც მოიცავს ნიშნურ ფუნქ-
ციასა და მისგან გამომდინარე ყველა სხვა ფუნქციას და საერთოა ყველა ენი-
სათვის), იქნება არის განსაზღვრული მხოლოდ თავისი ფუნქციით [იხ.] ენის
სტრუქტურულ პრინციპთან და ყველა იმ ფაქტორთან, რომელიც ერთ ენას გა-
ნასხვავებს. მეორისაგან. ამ საერთო ფაქტორს ჩვენ ვუწოდებთ მასალას“ [13a,
31 (18, 46; 13b, 74; 13c, 308—9)]. „რათა აღვნიშნოთ მანიფესტანტი [იხ.]
განურჩევლად იმისა, იქნება ის სემიოტიკურად გაფორმებული თუ სემიოტი-
კურად გაუფორმებელი...“ შემოგვაქვს ტერმინი მასალა“ [16, 174].

[გამოხატულების მასალა, შინაარსის მასალა].

150 მასელექტირებელი ფუნქცივი (დან. selekterende funktiv, ფრ. fonctif
sélecterant, ინგლ. selecting functive, რუს. селектырующий фуктив): იხ.
დეტერმინანტი ფუნქცივი.

151 მასპეციფიკირებელი ფუნქცივი (დან. specificerende funktiv, ფრ. fonctif
spécifiant, ინგლ. specifying functive, რუს. специфицирующий функ-
тив): იხ. დეტერმინანტი ფუნქცივი.

152 მატერიალური ფორმა (ფრ. forme matérielle, რუს. материальная
форма):

„...მატერიალური ფორმა [არის] საშუალება, რომლითაც სუბსტანცია ექვემდებარება წმინდა ფორმას“ [18, 279 (18a, 130)]. „მატერიალური ფორმა—ეს მხოლოდ ასახება წმინდა ფორმისა, რომელიც პროექტირებულია სუბსტანციაზე. ეს არის ასახვა, რომელიც დამოკიდებულია სუბსტანციის ფაქტებზე და შიილება სპეციალური ინდუქციით...“ [18, 281 (18a, 132)]. „ფონემატემა [იხ.] (ფონემა), გრაფემატემა (გრაფემა) და სემატემა [იხ.] არაერთად შემთხვევაში არ უნდა აიჩიონ ღირებულებასთან [იხ.]. ისინი არსებითად განსხვავდებიან ღირებულებისაგან და ქმნიან მატერიალურ ფორმას...“ [18, 281 (18a, 132)].

158 მახასიათებელი ელემენტი (დან. karakteriserende element, ფრ. élément caractérisant, ინგლ. characterizing element): იგივეა, რაც ექსპონენტი.

154 მეტაენა (დან. metasprog. ფრ. métalangage, ინგლ. metalanguage, რუს. метаязык): იგივეა, რაც მეტასემიოტიკა [შდრ. 13a, 76 (1a, 105; 13b, 161; 18c, 374)]. იხ. აგრეთვე 20b, 132].

155 მეტა-(მეცნიერული) სემიოტიკა (დან. metavidenskabssprog, metavidenskabssemiotik, ფრ. métalangage scientifique, ინგლ. meta-(scientific) semiotic, რუს. мета-(научная) семиотика):

„...ჩვენ შეგვიძლია განვსაზღვროთ მეტა-(მეცნიერული) სემიოტიკა როგორც მეტასემიოტიკა [იხ.], რომლის სემიოტიკურ ობიექტს [იხ.] წარმოადგენს მეცნიერული სემიოტიკა [იხ.]...“ [18a, 77 (1a, 106; 18b, 162; 18c, 375)].

150 მეტასემიოლოგია (დან. metasemiotik, ფრ. métasémiologie, ინგლ. metasemiology, რუს. метасемиология):

„ჩვენ შეგვიძლია გამოვიყენოთ ტერმინი მეტასემიოლოგია მეტა-(მეცნიერული) სემიოტიკისათვის [იხ.], რომლის სემიოტიკურ ობიექტს წარმოადგენს სემიოლოგია [იხ.]“ [18a, 77 (1a, 106; 18b, 162; 18c, 375)].

157 მეტასემიოტიკა (დან. metasemiotik, ფრ. métasémiotique, ინგლ. meta-semiotic, რუს. метасемиотика) [|| მეტაენა]:

„არსებობს აგრეთვე სემიოტიკები, რომელთა გამოხატულების სიბრტყე წარმოადგენს სემიოტიკას [იხ.] და არსებობს სემიოტიკები, რომელთა შინაარსის სიბრტყე წარმოადგენს სემიოტიკას. ...უკანასკნელს ვუწოდებთ მეტასემიოტიკას“ [18a, 73 (1a, 101; 18b, 155; 18c, 369)]. „ჩვენ განვსაზღვრავთ მეტასემიოტიკას როგორც მეცნიერულ სემიოტიკას, რომლის ერთი ან მეტი (ორი) სიბრტყე არის სემიოტიკა“ [18a, 77 (1a, 106; 18b, 161; 18c, 374)].

[მეტა-(მეცნიერული) სემიოტიკა, სემიოლოგია].

158 მეტაქრონია (ფრ. métachronie):

„ევილუციურ მოძღვრებაში მიზანშეწონილია განვსაზღვროთ ნორმის [იხ.] ევილუცია ანუ მეტაქრონია და უზუსის [იხ.] ევილუცია ანუ დიაქრონია [იხ.]. მეტაქრონია სწავლობს შინაგანი ცვლილებების პირობებს, მოთავსებულს თვით ენის ფუნქციონალურ სისტემაში“ [9, 136].

159 მეტყველება (ფრ. parole, რუს. речь):

„მეტყველება ფაქტობრივად არის ყველაფერი ის, რაც ნებისმიერია ენაში. მეტყველება განისაზღვრება როგორც რეალურად შესრულებული შრეთა-შორისი რელაციების [იხ.] ერთიანობა“ [10, 188].

[ნორმა, მეტყველების აქტი, უზუსის].

100 მეტყველების აქტი (ფრ. acte, რუს. акт речи): იხ. ნორმა, უზუსტობა.

101 მეცნიერული სემიოტიკა (დან. videnskabsprog, videnskabssemiotik, ფრ. langage scientifique, ინგლ. scientific semiotic, რუს. научная семиотика): „მეცნიერული სემიოტიკა ჩვენ გვესმის როგორც ისეთი სემიოტიკა [იხ.], რომელიც წარმოადგენს ოპერაციას [იხ.]“ [19a, 77 (18, 106; 18b, 161; 18c, 374)].

102 მიმართება (დან. sammenhæng, ფრ. rapport):

„თანახმად ზოგადი პრინციპისა..., რომლის მიხედვით სხვა თანაბარ პირობებში რთულ ახსნასთან შედარებით უპირატესობა უნდა მიენიჭოს უფრო მარტივ ახსნას, ზედმეტი ჩანს იმ დამოკიდებულებათა [იხ.] ცალკე აღწერა, რომლებიც ლოგიკურად ან მექანიკურად გამომდინარეობენ სხვა დამოკიდებულებებისგან და რომლებიც არსებობენ მხოლოდ ამ უკანასკნელთა მეოხებით. [.] დამოკიდებულებებს, რომლებიც მთლიანად დამოკიდებული არიან სხვებზე, შეიძლება ეწოდოს მიმართებები...“ [0, 113—4].

103 მოდულაცია (დან. modulation, ფრ. modulation, ინგლ. modulation, გერმ. Modulation) [|| ინტონაცია].

„ეკენმატიკაში [იხ. ეკენმატიკა 1] ექსტენსური პროსოდემებია მოდულაციები“ [5, 318]. „სპეციფიკურ მანიფესტაციას მოდულაციის დეფინიციისათვის მნიშვნელობა არა აქვს. დეფინიცია გამოსადეგია ნებისმიერი მოდულაციისათვის, მიუხედავად წარმოთქმაში მისი სპეციფიკური მანიფესტაციებისა ტონის სიმაღლის ხარისხით, ტონის სიმაღლის მოძრაობებით, მახვილის ხარისხით, მახვილის მოძრაობებით და ა. შ.“ [8, 269]. „დანართში არსებობს აგრეთვე ორი მოდულაცია. წარმოთქმაში ერთი, მანიფესტირებული დამავალი ინტონაციით, გვხვდება აპოლოზისში და დასკვნით წინადადებებში. მეორე, მანიფესტირებული არადამავალი ინტონაციით, გვხვდება პირობით და დასაწყის წინადადებებში და ზოგადად მიგვანიშნებს, რომ წარმოთქმა არ არის დამთავრებული და რომ მოსალოდნელია კიდევ რაღაც...“ [20b, 108 (20, 105; 20a, 143)].

104 მოდულაციური თემა (ინგლ. modulation theme):

„მოდულაციებიც ისევე ექსპონენტებია [იხ.], როგორც აქცენტები [იხ.]. განსხვავება მოდულაციებსა და აქცენტებს შორის მდგომარეობს თემის განვრცობაში: მოდულაციური თემა უფრო განვრცობილია, ვიდრე აქცენტური თემა [იხ.]. აქცენტები შედიან მოდულაციურ თემაში და არა პირიქით. უფრო ზუსტად, მოდულაციებსა და აქცენტებს შორის განსხვავება ის არის, რომ ერთი მოდულაცია შეიძლება იყოს მთელი გამონათქვამის ექსპონენტი, მაშინ როდესაც აქცენტი არ შეიძლება იყოს ასეთი“ [8, 269].

105 მოდულაციური სინტაგმა (ინგლ. modulation syntagm): იხ. ნექსუსი.

106 მორფემა (დან. morphem, ფრ. morphème, ინგლ. morpheme, გერმ. Morphem, რუს. морфема) [|| ფლექსიური ელემენტი]: იხ. ექსპონენტი.

107 მრავალმხრივი (ორმხრივი) იმპლიკაცია (დან. flersidig (tosidig) implikation, ფრ. implication multilatérale (bilatérale), ინგლ. multilateral (bilateral) implication, რუს. многосторонняя (двусторонняя) импликация): იხ. ცალმხრივი იმპლიკაცია.

166 მრავალწევრიანი ფუნქცია (დან. flersidig funktion, ფრ. fonction multilatérale, ინგლ. multilateral function, რუს. многосторонняя функция):

„ჩვენ ჩამოვყავალიბეთ სამი სახის ფუნქციათა [იხ.] დეფინიციები ისეთი შემთხვევებისათვის, როდესაც გვაქვს ამ ფუნქციებში შემავალი ორი და მხოლოდ ორი ფუნქციეი [იხ.]. შეიძლება ფუნქციათა ამ სამი სახისათვის დაეუშვათ შემთხვევები, როდესაც ფუნქციები შედგენილია ორზე მეტი ფუნქციეისაგან; მაგრამ ეს მრავალწევრიანი ფუნქციები შეიძლება განხილულ იქნენ როგორც ფუნქციები ორწევრიან ფუნქციათა შორის“ [18a, 22 (18, 33; 10b, 56; 18c, 295)].

169 მუდმივი (დან. konstant, ფრ. constante, ინგლ. constant, რუს. постоянная):

„მუდმივი არის ფუნქციეი [იხ.], რომლის არსებობა წარმოადგენს აუცილებელ პირობას იმ ფუნქციეის არსებობისათვის, რომელთანაც მას აქვს ფუნქცია [იხ.]“ [13a, 21 (18, 32; 18b, 55; 18c, 294)].

170 მუტაცია (დან. mutation, ფრ. mutation, ინგლ. mutation, რუს. мутация):

„კომუტაციისა [იხ.] და პერმუტაციისათვის [იხ.] საერთო სახელწოდებად ჩვენ ვირჩევთ ტერმინ მუტაციას“ [18a, 46—7 (18, 66; 18b, 102; 18c, 331)].

[კ ო მ უ ტ ა ც ი ა , პ ე რ მ უ ტ ა ც ი ა] .

6

171 ნაირსიბრტყივი ფუნქცია (ფრ. fonction hétéroplane, გერმ. heteroplane Funktion): იგივეა, რაც ნ ი შ ნ უ რ ი ფ უ ნ ქ ც ი ა [შდრ. 6, 154; 7, 217; 11, 52].

172 ნაწილი (დან. del, ფრ. chaînon, ინგლ. part, რუს. часть):

„...ჯაქვის [იხ.] სეგმენტებს [იხ.] ჩვენ ვუწოდებთ მის ნაწილებს“ [18a, 18 (18, 28; 18b, 48; 18c, 289)].

173 ნექსუსი (ფრ. nexus, ინგლ. nexus, რუს. нексус):

„სინტაგმას [იხ.], რომლის მახასიათებელი არის ექსტენსური ექსპონენტის [იხ.] მინიმალური ერთეული, ეწოდება ნექსუსი. პლერემატიკაში [იხ. პლერემატიკა 1] ნექსუსი ქმნის ბირთვის, რომლისკენაც არის მიმართული ექსტენსური მახასიათებელი: ეს არის ზმნა“ [2, 156]. „მოდულაციურ სინტაგმას შეიძლება ეწოდოს გამოხატულების ნექსუსი“ [8, 270].

174 ნიშანი (დან. tegn, ფრ. signe, ინგლ. sign, გერმ. Zeichen, რუს. знак):

„რომ ენა ნიშანთა სისტემაა, წარმოადგენს a priori ცხად და ძირითად დებულებას, რომელიც ლინგვისტურმა თეორიამ [იხ.] უნდა მიიღოს ძალიან აღრეულ ეტაზე. მაგრამ ლინგვისტურმა თეორიამ უნდა შეძლოს იმ მნიშვნელობის განსაზღვრა, რომელიც უნდა მიეწეროს ამ დებულებას და განსაკუთრებით სიტყვა „ნიშანს“. ამჟამად ჩვენ მოგვიხდება დაგკმაყოფილდეთ ტრადიციის მიერ დადგენილი ბუნდოვანი ცნებით. ამ გაგების თანახმად „ნიშანი“ (ანუ როგორც ქვემოთ შემოტანილი ტერმინოლოგიის თანახმად ჩვენ ვიტყვი—ნიშნური გამოხატულება) უწინარეს ყოვლისა და უპირატესად ხასიათდება როგორც რალაციის ნიშანი. ეს დახასიათება ჩვენთვის საინტერე-

სო უნდა იყოს, რადგან იგი, როგორც ჩანს, მიუთითებს იმაზე, რომ „ნიშანი“ განისაზღვრება ფუნქციით. „ნიშანი“ ფუნქციონირებს, აღნიშნავს, მიუთითებს, განსხვავებით არანიშნისაგან იგი ატარებს მნიშვნელობას. [...] პირველ ეტაპზე ტექსტის საცდელი ანალიზი თითქოს მხარს უჭერს ამ დებულებას. არსები, რომელთაც ჩვეულებრივ ეწოდებათ რთული წინადადებები, მარტივი წინადადებები და სიტყვები, აკმაყოფილებენ წამოყენებულ პირობას: ისინი მნიშვნელობის მატარებლები არიან და, ამდენად, წარმოადგენენ ნიშნებს. [...] სიტყვებიც არ წარმოადგენენ საბოლოო, დაუშლელ ნიშნებს, როგორც ეს შეიძლებოდა გვეფიქრა სიტყვის მიმართ ტრადიციული ლინგვისტიკის ინტერესების მიხედვით. სიტყვები შეიძლება დაიყოს ნაწილებად, რომლებიც, სიტყვების მსგავსად, თვითონ არიან მნიშვნელობის მატარებლები: ძირები, დერევაკიული და ფლექსიური აფიქსები. [...] მაგრამ როდესაც შევედებით ამგვარადვე გავაანალიზოთ ნიშნური გამოხატულება, ინდუქციური პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ყველა აქამდე განხილულ ენაში გამოხატულების ანალიზის დროს არსებობს ეტაპი, როდესაც მიღებული არსები უკვე აღარ არიან მნიშვნელობის მატარებლები და, ამდენად, არ წარმოადგენენ ნიშნურ გამოხატულებებს. მარცხელები და ფონემები არიან უკვე არა ნიშნური გამოხატულებები, არამედ მხოლოდ ნიშნურ გამოხატულებათა ნაწილები ანუ წარმოებულები [იხ.]“ [18a, 27—8 (18, 39—41; 18b, 65—8; 18c, 302, 304). იხ. აგრეთვე 20b, 32 (20, 35; 20a, 55)]. „ამდენადმე ალბათ სწორია თვალსაზრისი, რომ ნიშანი არის რაღაცის ნიშანი და რომ ეს რაღაც გარკვეული აზრით თვითონ ნიშნის გარეთაა. [...] ნიშანი, როგორი პარადოქსულიც არ უნდა გვეჩვენოს ეს, გამოდის ნიშანი შინაარსის სუბსტანციისა [იხ.] და გამოხატულების სუბსტანციისათვის [იხ.]. მხოლოდ ამ აზრით შეიძლება ითქვას, რომ ნიშანი არის რაღაცის ნიშანი. მეორე მხრივ, ჩვენ ვერ ვხედავთ საფუძველს ნიშანი ვუწოდოთ უბრალოდ შინაარსის სუბსტანციის ან უბრალოდ გამოხატულების სუბსტანციის ნიშანს. ნიშანი არის ორმხრივი არსი, რომელიც ღვთაება იანუსის მსგავსად იხედება ორი მიმართულებით: „გარეთ“, გამოხატულების სუბსტანციისაკენ და „შიგნით“, შინაარსის სუბსტანციისაკენ. [...] სიტყვა „ნიშანი“ უნდა გამოვიყენოთ იმ ერთეულის სახელწოდებად, რომელიც შედგება შინაარსის ფორმისა და გამოხატულების ფორმისაგან და დადგენილია მათ შორის სოლიდარობით [იხ.], რომელსაც ჩვენ ვუწოდებთ ნიშნური ფუნქცია“ [18a, 36 (18, 53; 18b, 83; 18c, 315—6)].

175 ნიშნური ფუნქცია (დან. *tegnfunktion*, ფრ. *fonction sémiotique*, ინგლ. *sign function*, რუს. *знаковая функция*) [|| სემიოლოგიური ფუნქცია, სემიოტიკური ფუნქცია, ნაირსიბრტყივი ფუნქცია]:

„...ჩვენ ვილაპარაკებთ ისეთ რამეზე, რომლის არსებობა მიგვაჩნია უკვე დამტკიცებულად, სახელდობრ, ნიშნურ ფუნქციაზე, რომელსაც ადგილი აქვს ორ არსს—გამოხატულებასა და შინაარსს—შორის. [...] არსებობს სოლიდარობა [იხ.] ნიშნურ ფუნქციასა და მის ორ ფუნქტივს [იხ.] შორის—გამოხატულებასა და შინაარსს შორის. ნიშნური ფუნქცია არ იარსებებს ამ ფუნქტივების გარეშე; ასევე, გამოხატულებაცა და მისი შინაარსიც ან შინაარსიცა და მისი გამოხატულებაცა არასოდეს არ იარსებებენ ერთად მათ შორის ნიშნური ფუნქციის გარეშე. ნიშნური ფუნქცია თვითონ არის სოლიდარობა. გამოხატულება და შინაარსი სოლიდარულებია: ისინი აუცილებლად გულისხმობენ ერთმანეთს. გამოხატულება არის გამოხატულება იმდენად, რამდენადაც

იგი არის შინაარსის გამოხატულება, ხოლო შინაარსი იმდენად არის შინაარსი, რამდენადაც იგი გამოხატულების შინაარსია. ამიტომ, თუ არ ზელოვნური გათიშვის შემთხვევები, არ შეიძლება არსებობდეს შინაარსი გამოხატულების გარეშე, ან გამოხატულება შინაარსის გარეშე. თუ ვფიქრობთ ლაპარაკის გარეშე, ასეთი აზრები არ იქნება ენობრივი შინაარსი, ფუნქციური ნიშნური ფუნქციისათვის. თუ ვილაპარაკებთ უაზროდ, ე. ი. წარმოთქვამთ ბგერათა თანმიმდევრობებს, რომელთაზე მნიშვნელობის დაკავშირება მსმენელს არ შეეძლება, ასეთი მეტყველება იქნება აბრაკადაბრა და არა ენობრივი გამოხატულება, ფუნქციური ნიშნური ფუნქციისათვის“ [18a, 30 (18, 44—5; 18b, 71—2; 18c, 306—7)]. „რელაცია [იხ.], რომელიც აკავშირებს ენის ორ სიბრტყეს (სემიოტიკური რელაცია, ანუ ჩვეულებრივი სემიოტიკის შემთხვევაში—დენოტაცია) არის სოლიდარობა“ [16, 170]. „პარადიგმატიკა 1) თვალსაზრისით სიბრტყეები ურთიერთაქტონომიურებია [იხ. აქტონომიური ფუნქციები]“ [16, 170].

176 ნორმა (ფრ. norme, გეომ. Sprachnorm, რუს. норма):

„...ნორმა, ე. ი. ენა როგორც მატერიალური ფორმა [იხ.]“ [12, 33 (12a, 113)]. „აკუსტიკური ხატი, რომელზედაც ლაპარაკია სოსიურის „კურსის“ რამდენსამე ადვილას, როგორც ჩანს, შეიძლება იყოს მხოლოდ მატერიალური ფაქტების ფსიქიკური ასახვა; ამგვარად, იგი ენას აკავშირებს ბგერით მატერიალურ და თანაბრებს მას ნორმასთან“ [12, 37 (12a, 116)]. „ნორმა გულისხმობს უზუსტს [იხ.] და მეტყველების აქტს, მაგრამ არა პირიქით. ეს სწორედ ის არის, რაც, ჩვენი აზრით, ახლახან უჩვენა ა. სეშემ: მეტყველების აქტი და უზუსტი ლოგიკურად და პრაქტიკულად წინ უსწრებენ ნორმას. ნორმა წარმოიქმნება უზუსტისა და მეტყველების აქტისაგან და არა პირიქით. უნებლიე წამოძახილი არის მეტყველების აქტი ნორმის გარეშე, თუმცა ეს აქტი ემყარება გარკვეულ უზუსტს...“ [12, 38 (12a, 116—7)]. „ნებისმიერ სემიოლოგიურ სისტემაში სქემა [იხ.] წარმოადგენს მუდმივს [იხ.], ე. ი. დეტერმინირებულ წევრს, ხოლო სქემასთან მიმართებით ნორმა, უზუსტი და მეტყველების აქტი ცვლადებია [იხ.], ე. ი. მადეტერმინირებელი წევრებია“ [12, 40 (12a, 118)]. „უზუსტისაგან განსხვავებით ნორმად უნდა მივიჩნიოთ ენაში დაშვებული შრეთაშორისი რელაციების [იხ.] ერთიანობა“ [16, 188].

მ

177 ოპერაცია (დან. operation, ფრ. opération, ინგლ. operation, რუს. операция):

„განვსაზღვროთ ოპერაცია როგორც აღწერა [იხ.], რაც შეესაბამება ემპირიულ პრინციპს [იხ.]...“ [18a, 19 (18, 29; 18b, 50; 18c, 290). იხ. აგრეთვე 22, 25 (22a, 422—3)].

178 ორმხრივი დეტერმინაცია (ფრ. détermination bilatérale): იგივეა, რაც ურთიერთდამოკიდებულება [შლრ. 2, 142; 10, 21].

179 ორმხრივი მართვა (ფრ. rection bilatérale): იგივეა, რაც ურთიერთდამოკიდებულება [შლრ. 21, 224].

180 ორწევრიანი ფუნქცია (დან. tosidig funktion, ფრ. fonction unilatérale, ინგლ. bilateral function, რუს. двусторонняя функция): იხ. მრავალწევრიანი ფუნქცია.

181 პარადიგმა (დან. *paradigme*, ფრ. *paradigme*, ინგლ. *paradigm*, გერმ. *Paradigm*, რუს. *парадигма*):

„კლასებს [იხ.] ლინგვისტურ სისტემაში [იხ.] ეუწოდებთ პარადიგმებს...“ [18a, 18 (18, 28; 18b, 48; 18c, 289)]. იხ. აგრეთვე 22, 56]. „კომპუტაციის [იხ.] საფუძველზე ელემენტები ლაგდებიან პარადიგმებში, ე. ი. იმ ელემენტთა კლასებში, რომელთაც შეუძლიათ დაიკავონ ერთი და იგივე ადგილი ჯაჭვში [იხ.]“ [7. 218. იხ. აგრეთვე 20b, 33 (20, 36; 20a, 56), 21, 207].

182 პარადიგმატიკა (დან. *paradigmatik*, ფრ. *paradigmatique*, ინგლ. *paradigmatic*, რუს. *парадигматика*):

„...პროცესი [იხ.] და სისტემა [იხ.] ფართო ცნებებია, რომელთა დაყვანა მხოლოდ სემიოტიკურ ობიექტებამდე შეუძლებელია. ამიტომ მიზანშეწონილად მიგვაჩნია სემიოტიკური პროცესი და სემიოტიკური სისტემა ტრადიციების შესაბამისად აღენიშნოთ როგორც სინტაგმატიკა და პარადიგმატიკა“ [18a, 24 (18, 36; 18b, 59; 18c, 297—8)]. იხ. აგრეთვე 16, 170—71].

183 პარადიგმატიკული დედუქცია (ფრ. *déduction paradigmatique*, ინგლ. *paradigmatic deduction*, რუს. *парадигматическая дедукция*):

„მას შემდეგ, რაც ამოიწურება ტექსტის სინტაგმატიკური დედუქცია [იხ. ან ა ლ ი ზ ი], უნდა დაეიწყოთ პარადიგმატიკული დედუქცია. აქ ენა დანაწევრდება კატეგორიებად [იხ.], რომლებშიც განაწილებულია ტექსტუალური ანალიზის უმაღლესი ხარისხის ტაქსემური [იხ. ტ ა ქ ს ე მ ა] კატეგორიები. ამ კატეგორიებიდან შეიძლება ენის ყველა ერთეულის დედუქცია. აშკარა ხდება, რომ ენის ორივე მხარე (სიბრტყე) ავლენს ერთნაირ კატეგორიალურ სტრუქტურას... ამასთანავე ცხადია, რომ ენის ასეთი თანმიმდევრული აღწერა ემპირიული პრინციპის [იხ.] საფუძველზე, არ დაუშვებს ისეთი დისციპლინების არსებობას, როგორცაა სინტაქსი ან მოძღვრება მეტყველების ნაწილთა შესახებ. როგორც დავინახეთ, სინტაქსური არსები მეტწილად წარმოადგენენ ვარიანტებს [იხ.], ხოლო ძველი გრამატიკის „მეტყველების ნაწილები“ ისეთი არსებია, რომლებიც უნდა ვეძებოთ ერთეულთა იერარქიის შიგნით სრულიად განსხვავებულ ადგილებში“ [18a, 64 (18, 89—90; 18b, 138; 18c, 356)].

184 პარადიგმატიკული ფუნქცია (ფრ. *fonction paradigmatique*): იგივეა, რაც კო რ ე ლ ა ც ი ა [შდრ. 10, 21].

185 პერიფერიული ელემენტი (ფრ. *élément périphérique*, ინგლ. *peripheral element*): იგივეა, რაც გ ა ნ ა პ ი რ ა შ ე მ ა დ გ ე ნ ე ლ ი.

186 პერმუტაცია (დან. *permutation*, ფრ. *permutation*, ინგლ. *permutation*, რუს. *пермутация*):

„...ჩვენ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ აგრეთვე რელაცია [იხ.] და გადაწევა ჯაჭვის [იხ.] შიგნით, რომელიც შეესაბამება რელაციასა და გადაწევას ენის მეორე სიბრტყის ჯაჭვში. ამ შემთხვევაში ჩვენ ვილაპარაკებთ პერმუტაციაზე“ [18a, 46 (18, 66; 18b, 102; 18c, 331)]. „...პერმუტაცია 'არის' მუტაცია ჯაჭვის ნაწილებს შორის“ [18a, 47 (18, 66; 18b, 102; 18c, 331)].

187 პლერემა (ფრ. plérème, ინგლ. plereme, გერმ. Plerem): იხ. შ ე მ ა დ გ ე ნ ე ლ ი.

188 პლერემატემა (ფრ. plérématème, გერმ. Plerematem):

1. ძე. იგივეა, რაც შინაარსის ტ ა ქ ს ე მ ა [შდრ. 8, 6; 7, 217];

2. „...შინაარსის გლოსემა [იხ. გ ლ ო ს ე მ ა 2] ანუ პლერემატემა... [10, 166].

189 პლერემატი (ფრ. plérématie):

„შინაარსის ფორმაში გარეგანი ერთეულებია [იხ.] „ნიშნური შინაარსები“ ანუ პლერემატები, დადგენილი შინაარსის სიბრტყეზე გამოხატულების სიბრტყის მიერ“ [10, 184].

190 პლერემატიკა (ფრ. plérématique, გერმ. Plerematik):

1. იგივეა, რაც შინაარსის სიბრტყე [შდრ. 11, 51].

2. „გლოსემატიკა [იხ.] იყოფა ორ ძირითად ნაწილად—პლერემატიკად (სიტყვისაგან πλῆρης „სავსე“), რომელიც სწავლობს პლერემატემებს [იხ.], და პლერემებს [იხ.], ე. ი. ერთეულებს, რომელთაც შეუძლიათ ჰქონდეთ მნიშვნელობა და კენემატიკად [იხ.]...“ [10, 102. იხ. აგრეთვე 7, 217; 9, 134].

191 პლერემატიკული სიბრტყე (ფრ. plan plérématique): იგივეა, რაც შ ი ნ ა ა რ ს ი ს ს ი ბ რ ტ ყ ე [შდრ. 2, 152; 5, 318].

192 პლერი (ფრ. plérie):

„...პლერემატები [იხ.] იქნებიან ერთი და იმავე პლერის ვარიანტები...“ [10, 184].

193 პრეფონემა (ინგლ. prephoneme): ძე. იგივეა, რაც ფ ი გ უ რ ა [შდრ. 1, 51].

194 პროსოდემა (ფრ. prosodème, ინგლ. prosodeme, გერმ. Prosodem) [|| პროსოლია]: იხ. ე ქ ს პ ო ნ ე ნ ტ ი.

195 პროსოლია (ფრ. prosodie, ინგლ. prosody): იგივეა, რაც პ რ ო ს ო დ ე მ ა [შდრ. 1, 51; 19, 107].

196 პროცედურა (დან. procedure, ფრ. procédure, ინგლ. procedure, რუს. процедура):

„[განვსაზღვროთ] პროცედურა როგორც ურთიერთდეტერმინაციაში [იხ. დ ე ტ ე რ მ ი ნ ა ც ი ა] მყოფ ოპერაციათა [იხ.] კლასი [იხ.]“ [18a, 19 (13, 29; 13b, 50; 18c, 290). იხ. აგრეთვე 22, 25 (22a, 422)].

[დ ე დ უ ქ ც ი ა, ინ დ უ ქ ც ი ა].

197 პროცესი (დან. forløb, ფრ. procès, ინგლ. process, რუს. процесс):

„სხვა განსხვავება ფუნქციათა [იხ.] შორის, რომელიც მნიშვნელოვანია, ლინგვისტური თეორიისათვის, არის განსხვავება „და-და“ ფუნქციასა ანუ „კონიუნქციას“ [იხ.] და „ან-ან“ ფუნქციას ანუ „ლოზიუნქციას“ [იხ.] შორის. სწორედ ეს უღევს საფუძვლად პროცესსა და სისტემას [იხ.] შორის განსხვავებას: პროცესში, ტექსტში გვაქვს კონიუნქცია ანუ მასში შემაჯავლი ფუნქციების თანაარსებობა. [...] გრაფემულ მაგალითში pet, man თუ ერთმანეთს შეუწესავლებთ p და m, l და a, t და n ელემენტებს, მივიღებთ განსხვავებულ სიტყვებს: pet, pen, pat, pan, met, man; ესენი წარმოადგენენ ჯაჭვებს, რომლებიც შედიან ენობრივ პროცესში (ტექსტში)“ [13a, 22 (13, 33—4; 10b, 56; 13c, 295)]. „პროცესისა, და, მაშასადამე, ტექსტისათვის დამახასიათებელია ის, რომ იგი ექვემდებარება პოზიციური განაწილების ზოგად კანონებს: შედგება

ერთეულებსაგან, რომელთა ელემენტები გარკვეული სახით არიან დაკავშირებული ერთმანეთთან და იკავებენ გარკვეულ პოზიციებს. [...] საერთოდ საჭიროა იყოს რთულ წინადადებათა, მარტივ წინადადებათა, სიტყვათა ჯგუფების რიგი სამეტყველო მონაკვეთში. თუ ეს რიგი შეიცვლება, მივიღებთ სხვა შინაარსს ან ზოგჯერ შეუძლებელ ფორმასაც კი. სიტყვათა ჯგუფებიც იცავენ ამ პრინციპებს და სწორედ ამ იჩენს თავს „სიტყვათა რიგის“ სახელით ცნობილი მოვლენა. ისეთ ენებშიც კი, როგორცაა ლათინური, სადაც სიტყვათა რიგი თავისუფალია, ის მაინც არანაკლებ საჭიროა: ცვლილება სიტყვათა რიგში ცვლის ემფაზას ან იწვევს გარკვეულ სტილისტურ ეფექტს“ [21. 189—90].

6

198 რეალიზებული კლასი (დან. realiseret klasse, ფრ. classe réalisée, ინგლ. realized class, რუს. реализованный класс):

„...კლასს ეწოდება რეალიზებული თუ მას შეუძლია გახდეს ინდივიდუალური ანალიზის ობიექტი და ვირტუალური, თუ ეს შემთხვევა არ არის“ [18a, 25 (1a, 37; 18b, 60; 18c, 299)].

199 რელატი (დან. relat, ფრ. relat, ინგლ. relate, რუს. релят): იხ. კო რ ე ლ ა ტ ი.

200 რელაცია (დან. forbindelse, relation, ფრ. relation, ინგლ. relation, რუს. реляция) [|| კონიუნქცია, სინტაგმატიკური ფუნქცია]:

„ტერმინ „რელაციას“ ჩვენ გამოვიყენებთ იმ ფუნქციის (დამოკიდებულების, მიმართების) აღსანიშნავად, რომელიც არსებობს ნიშნებს [იხ.] ან ელემენტებს „შორის ერთი და იმავე ჯაჭვის [იხ.] ფარგლებში...“ [20b, 32 (20, 35; 20a, 56)]. „...რელაცია ანუ სინტაგმატიკური მიმართება“... [18, 269 (18a, 118)]. „შესაფერის აღნიშვნად „და-და“ ფუნქციისათვის გამოვიყენებთ სიტყვა რელაციას. ამგვარად, ამ ტერმინს ჩვენ ვიღებთ უფრო ვიწრო მნიშვნელობით, ვიდრე ეს არის ლოგიკაში, სადაც რელაცია ძირითადად გამოიყენება იმავე მნიშვნელობით, რომლითაც ჩვენ ვიყენებთ ტერმინ ფუნქციას“ [18a, 23—4 (18, 35; 18b, 58; 18c, 297)].

201 რეციპროკული ფუნქტივი (ფრ. fonctif réciproque, ინგლ. reciprocal functive, რუს. реципроционный фунттив):

„ფუნქტივებს, რომლებიც შედიან რეციპროციაში [იხ.] ეწოდებათ რეციპროკული ფუნქტივები...“ [18a, 22 (18, 33; 18b, 56; 18c, 295)].

202 რეციპროცია (დან. reciprocitet, ფრ. réciprocité, ინგლ. reciprocity, რუს. реципроция):

„გარკვეულ შემთხვევებში შეგვიძლია გამოვიყენოთ საერთო აღნიშვნა ურთიერთდამოკიდებულებისა [იხ.] და თავსებადობისათვის [იხ.] ორი ფუნქციისათვის [იხ.], რომელთა დამახასიათებელი ნიშანი ის არის, რომ მათ გააჩნიათ მხოლოდ და მხოლოდ ერთი სახის ფუნქციები: ურთიერთდამოკიდებულებას—მხოლოდ მუდმივები [იხ.], თავსებადობას—მხოლოდ ცვლადები [იხ.]. ჩვენ მათ ორივეს ვუწოდებთ რეციპროციებს—სახელს, რომლის აუცილებლობა ბუნებრივად ჩნდება, რადგანაც ამ ორ ფუნქციას, დეტერმინაციისაგან [იხ.] განსხვავებით, არა აქვს ფიქსირებული ორიენტაცია“ [18a, 21—2 (18, 33; 18b, 55; 18c, 294)].

203 სახელი (ფრ. *noun*, ინგლ. *noun*): იხ. ს ი ნ ტ ა გ მ ა ტ ე მ ა .

204 სახელური ფლექსიის ელემენტი (დან. *nominal bøjningselement*, ფრ. *élément de flexion nominale*, ინგლ. *element of nominal inflexion*, გერმ. *Nominalmorphem*): იხ. ი ნ ტ ე ნ ს უ რ ი ე ქ ს პ ო ნ ე ნ ტ ი .

205 სეგმენტი (დან. *afsnit*, ინგლ. *segment*, რუს. *сегмент*):

„...ობიექტებს, რომლებიც დადგენილია ინდივიდუალური დაყოფით როგორც ერთგვარონად დამოკიდებულები [იხ. 'დ ა მ ო კ ი დ ე ბ უ ლ ე ბ ა თ ა ე რ თ გ ვ ა რ ო ვ ნ ო ბ ა' კლასისა [იხ.] და ერთმანეთის მიმართ, ეუწოდებთ კლასის სეგმენტებს“ [18a, 18 (18, 27; 18b, 48; 18c, 289)].

[ნ ა წ ი ლ ი, წ ე ვ რ ი].

206 სელექტირებული ფუნქტივი (ფრ. *fonctif sélectionné*, ინგლ. *selected funktive*, რუს. *селектируемый функтив*): იხ. დ ე ტ ე რ მ ი ნ ი რ ე ბ უ ლ ი ფ უ ნ ქ ტ ი ვ ი .

207 სელექცია (დან. *selektion*, ფრ. *sélection*, ინგლ. *selection*, რუს. *селекция*): „განპირობებული რელაცია, ცალმხრივად განპირობებული რელაცია“:

„დეტერმინაციას [იხ.] წვერებს შორის პროცესში [იხ.] ეუწოდებთ სელექციას...“ [18a, 15 (18, 24; 18b, 42; 18c, 284—5)]. „წინდებულსა და მის ბრუნვას შორის შეიძლება იყოს სელექცია, როგორც, მაგ., ლათინურში *sine*-სა და დაწყ. ბრუნვას შორის, რამდენადაც *sine* გულისხმობს ტექსტში დაწყ. ბრუნვის არსებობას და არა პირიქით“ [18a, 15 (18, 24; 18b, 43; 18c, 285—6)].

208 სემანტემა (ფრ. *sémantème*): იგივეა, რაც შინაარსის შემაღწენელი [შღრ. 9, 127].

209 სემანტიკური ტიპოლოგია (დან. *betydningstypologi*, ფრ. *typologie de la signification*, ინგლ. *typology of meaning*):

„მნიშვნელობის შესახებ მოძღვრებაში (სემანტიკაში) მოსალოდნელი იქნებოდა, რომ ჩვენ შევექმნიდით ენის შინაარსის სიბრტყეებ ენობრივი უზუსტის [იხ.] ტიპოლოგიას. [...] ენობრივი შინაარსი სხვა არაფერია, თუ არა ჩვენ გარშემო არსებული სამყარო და სიტყვის მინიმალური საპეციფიკური მნიშვნელობა არის ამ სამყაროს საგნები. [...] ყოველი ენა საკუთარ საზღვრებს ავლენს საგნებისა და იდეების ამ სამყაროში. როგორც ეს ცნობილია ყოველი მთარგმნელისათვის, ერთი ენის ნიშანი [იხ.] არ შეესაბამება მეორე ენის ნიშანს. საგნების (ისევე, როგორც ბგერების) სამყაროს თვალსაზრისით, არ არსებობს ენებს შორის შესაბამისობა. [...] აქაც, ისევე როგორც ფონეტიკური ტიპოლოგიის [იხ.] მიმართ, საუკეთესო გამოსავალი იქნება იმპლიკაციური მიმართებების დადგენა, მაგრამ არა მნიშვნელობებს შორის, არამედ მნიშვნელობის ლინგვისტურად დადგენილ საზღვრებს შორის“ [20b, 120—21 (20, 116—7; 20a, 157—8)].

210 სემანტემა (ფრ. *sémantème*, რუს. *семантема*): იხ. ც ნ ე ბ ა .

211 სემატიკა (ფრ. *sématique*): იგივეა, რაც დედუქციური სემანტიკა [შღრ. 18, 180].

212 სემიოლოგია (დან. *semiologi*, ფრ. *sémiologie*, ინგლ. *semiology*, რუს. *семиология*):

„სოსიურის ტერმინოლოგიის შესაბამისად სემიოლოგია შეგვიძლია განვსაზღვროთ როგორც მეტასემიოტიკა [იხ.], რომლის სემიოტიკურ ობიექტს [იხ.] წარმოადგენს არამეცნიერული სემიოტიკა [იხ.]“ [18a, 77 (18, 106; 18b, 162; 18c, 375)].

213 სემიოლოგიური ფუნქცია (ფრ. fonction sémiologique): იგივეა, რაც ნ ი შ ნ უ რ ი ფ უ ნ ქ ც ი ა [შლრ. 9, 116; 10, 22].

214 სემიოტიკა (დან. semiotik, ფრ. sémiologique, ინგლ. semiotic, რუს. семиотика):

1. „ამ წინამძღვრებიდან ამოსვლით სემიოტიკა ფორმალურად განისაზღვრება როგორც იერარქია [იხ.], რომლის ყოველი სემენტი შემდგომ შეიძლება დაიყოს კლასებად [იხ.], რომლებიც განისაზღვრებიან ურთიერთგლაცის [იხ. რ ე ლ ა ც ი ა] საფუძველზე ისე, რომ ნებისმიერი ამ კლასებიდან ურთიერთშუტაციით [იხ. მ უ ტ ა ც ი ა] შეიძლება დაიყოს გარკვეულ წარმოებულებად [იხ.]“ [18a, 68 (18, 94; 18b, 145; 18c, 361)]. „...სემიოტიკა (ე. ი. პარადიგმატიკისა [იხ.] და სინტაგმატიკის [იხ.] ერთიანობა“ [18, 167].

[დ ე ნ ო ტ ა ც ი უ რ ი ს ე მ ი ო ტ ი კ ა , კ ო ნ ო ტ ა ც ი უ რ ი ს ე მ ი ო ტ ი კ ა , მ ე ტ ა ს ე მ ი ო ტ ი კ ა].

2. „...სემიოტიკა აცხადებს უფლებას იყოს დისციპლინა. რომელიც შეიძლება გამოადგეს ნორმად ყველა ჰუმანიტარული მეცნიერებისათვის“ [18, 180].

215 სემიოტიკური ობიექტი (დან. objektsprog, objektsemiotik, ფრ. langage-objet, ინგლ. object semiotic, რუს. семиотический объект):


„...სემიოტიკას [იხ.], რომელიც შედის სხვა სემიოტიკაში როგორც სიბრტყე [იხ.], ეწოდება სემიოტიკური ობიექტი“ [18a, 77 (18, 106; 18b, 162; 18c, 375)].

216 სემიოტიკური ფუნქცია (ფრ. fonction sémiotique, რუს. семиотическая функция): იგივეა, რაც ნ ი შ ნ უ რ ი ფ უ ნ ქ ც ი ა [შლრ. 19, 108; 18, 278 (18a, 128)].

217 სიბრტყე (დან. plan, ფრ. plan, ინგლ. plane, გერმ. Plan, რუს. план)

„ენა არის კატეგორია [იხ.], შედგენილი ორი წევრისაგან, რომელთაც სიბრტყეები ეწოდებათ. სიბრტყეები განისაზღვრებიან იმით, რომ დამოკიდებულებაში არიან ერთმანეთთან ისე, რომ ერთი სიბრტყის წევრებისაგან შედგენილი ერთეული განაპირობებს მეორე სიბრტყის წევრებისაგან შედგენილი ერთეულის არსებობას“ [8, 271. იხ. აგრეთვე 6, 153; 11, 54]. „ენა არის ფორმა, ორგანიზებული ორ სუბსტანციას შორის, რომელთაგან ერთი მას ემსახურება შინაარსად, მეორე კი—გამოხატულებად. მაშასადამე, ამ ფორმის ელემენტები ანუ გლოსემები, ერთი მხრივ, ქმნიან შინაარსს და წარმოადგენენ პლერემატემებს (სიტყვისაგან πλερῆμα: ის, რაც შეიძლება იყოს სავსე შინაარსით) და, მეორე მხრივ, ქმნიან გამოხატულებას და წარმოადგენენ კენემატემებს (სიტყვისაგან κενεμα: ის, რაც არ შეიძლება იყოს სავსე შინაარსით). ამგვარად წარმოქმნილი ენის ეს ორი სიბრტყე, პლერემატიკული სიბრტყე და კენემატეკური სიბრტყე, თავიანთ სტრუქტურაში ავლენენ სრულ ანალოგიას“ [2, 152. იხ. აგრეთვე 21, 186]. „წინამძღვარი ორი სიბრტყით ოპერირების აუცილებლობისათვის უნდა იყოს ის ფაქტი, რომ ამ ორ სიბრტყეს არ შეიძლება ჰქონდეს აბსოლუტურად იდენტური სტრუქტურა, ე. ი. ერთი სიბრტყის ფუნქტივებსა [იხ.] და მეორე სიბრტყის ფუნქტივებს შორის არ შეიძლება იყოს ურთიერთცალსახა მიმართებები. ეს ნიშნავს, რომ მოცემული ორი სიბ-

რტყე არ უნდა იყოს ერთგვაროვანი [conformal]“ [18a, 72 (18, 99; 13b, 151; 18c, 366)]. „ამგვარად, ენა არ არის ისე ორგანიზებული, რომ შინაარსის ყოველ ელემენტს შეესატყვისებოდეს გამოხატულების ელემენტი და პირიქით. იგი ორგანიზებულია ისე, რომ შინაარსის ელემენტთაგან შედგენილ ერთეულს შეესატყვისება გამოხატულების ელემენტთაგან შედგენილი ერთეული და პირიქით. ე. ი. გვაქვს არა შემდეგი სახის სიტუაცია:



[20b, 103 (20, 100—101; 20a, 138)].

[გამოხატულების სიბრტყე, შინაარსის სიბრტყე].

218 სიგნალი (დან. signal, ფრ. signal, ინგლ. signal, რუს. сигнал):

„...ჩვენ უნდა გავარჩიოთ ინდიკატორების [იხ.] ორი სახე: სიგნალები და კონოტატორები [იხ.]. პრაქტიკული თვალსაზრისით მათ შორის განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ სიგნალი ყოველგვარი გაუგებრობის გარეშე მუდამ შეიძლება მივაკუთვნოთ სემიოტიკის [იხ.] ერთ გარკვეულ სიბრტყეს, რასაც არა აქვს ადგილი კონოტატორის შემთხვევაში“ [18a, 75 (18, 104; 18b, 159; 18c, 372)].

210 სიმარტივის პრინციპი (დან. simpelhedens princip, ფრ. principe de la simplicité, ინგლ. principle of simplicity, simplicity principle, რუს. принцип простоты):

„ზოგჯერ ერთი და იგივე კონკრეტული საგანი შეიძლება აღიწეროს ორი ან მეტი პროცედურის საშუალებით, რომელთაც მივყავართ თანაბრად მარტივ შედეგებამდე. ამ შემთხვევაში ემპირიზმის პრინციპი [იხ.] გვაიძულებს უპირატესობა მივცეთ უმარტივეს პროცედურას, რომელიც შედეგა ოპერაციათა უმცირესი რიცხვისაგან. ეს მსჯელობა შეიძლება ჩამოვაყალიბოთ სიმარტივის პრინციპის სახით: ორი თანმიმდევრული და ამომწურავი აღწერიდან უპირატესობა ეძლევა იმას, რომელიც იძლევა უფრო მარტივ შედეგს; ორი თანმიმდევრული და ამომწურავი აღწერიდან, რომელიც გვაძლევს თანაბრად მარტივ შედეგებს, უპირატესობა ენიჭება იმას, რომელიც მოითხოვს უფრო მარტივ პროცედურას“ [22, 25 (22a, 422—3). იხ. აგრეთვე 18a, 10—11 (18, 18; 13b, 33; 18c, 278)].

220 სიმბოლო (დან. symbol, ფრ. symbole, ინგლ. symbol, რუს. символ):

„ამ თვალსაზრისით ტერმინი „სიმბოლო“ უნდა გამოვიყენოთ მხოლოდ იმ არსთა აღსანიშნავად, რომლებიც თავიანთი ინტერპრეტაციის იზომორფულად გვევლინებიან. ასეთი არსებია გამოსახულებები ან ემბლემები, მაგ., ... სასწოარი, როგორც მართლმსაჯულების სიმბოლო ან ონომატოპეია ენის სფეროში“ [18a, 72 (18, 100; 18b, 152; 18c, 368)].

221 სიმბოლური სისტემები (დან. symbolsystemer, ფრ. systèmes de symboles, ინგლ. symbolic systems, რუს. символические системы):

„ტერმინი „სიმბოლური სისტემები“ გამოიყენება ისეთი სტრუქტურებისათვის, რომლებიც შეიძლება იქნენ ინტერპრეტირებული (ე. ი. მათ შეიძლება დაექვემდებაროს შინაარსის მასალა [იხ.]), მაგრამ არა აქვთ ორი სიბრტყე

[იხ.] (ე. ი. სიმარტივის პრინციპი [იხ.] არ იძლევა მათში ფორმის ჩასმის უფლებას)“ (18a, 72 (18, 100; 18b, 152; 18c, 368)).

222 სინთეზი (დან. syntese, ფრ. synthèse, ინგლ. synthesis, რუს. синтез): „სინთეზი არის ობიექტის აღწერა, როგორც სეგმენტთა [იხ.] კლასისა [იხ.]...“ [13a, 19 (18, 29; 18b, 50; 18c, 290). იხ. აგრეთვე 22, 25, 57 (22a, 422)].

223 სინკრეტიზმი (დან. synkretisme, ფრ. syncrétisme, ინგლ. syncretism, რუს. синкретизм):

„სინკრეტიზმი მდგომარეობს იმაში, რომ ინვარიანტებს [იხ.] შორის კომპლაცია [იხ.] გარკვეულ პირობებში შეიძლება აცილებულ იქნეს. ცნობილი მაგალითები, რომლებზედაც შეგვიძლია მივუთითოთ, არის სინკრეტიზმი ლათინურში საშ. სქ. სახელთა სახ. და ბრალდ. ბრუნვებს შორის... და ნეიტრალიზაცია, რომელსაც ადგილი აქვს დანიურში p-სა და b-ს შორის მარცვლის ბოლოკიდურ პოზიციაში (ასე რომ, სიტყვა top შეიძლება წარმოთქმულ იქნეს როგორც p-თი, ისე b-თი განურჩევლად). [...] ორ ფუნქციეს [იხ.] შორის აუცილებელ მუტაციას [იხ.] ვუწოდებთ დამთხვევას, ხოლო დამთხვევით მიღებულ კატეგორიას (ენის ორსავე სიბრტყეზე)—სინკრეტიზმს. ასე, ჩვენ ვამბობთ, რომ სახ. და ბრალდ. ბრუნვები ლათინურში ან p და b დანიურში ემთხვევა ერთმანეთს და რომ ეს არსები დამთხვევასთან ერთად ქმნიან სინკრეტიზმს ანუ თითოეული ამ არსთაგან შედის სინკრეტიზმში“ [18a, 56 (18, 79; 18b, 121; 18c, 344). იხ. აგრეთვე 11, 54—5; 18, 276 (18a, 126)].

[ამ ოხსნადი სინკრეტიზმი, ამ ოუხსნადი სინკრეტიზმი, იმპლიკაცია, შერწყმა].

224 სინკრეტიზმის ამოხსნა (დან. opløsning, ფრ. résolution, ინგლ. resolution, რუს. разрешение):

„სინკრეტიზმი [იხ.] შეიძლება იყოს ამოხსნადი და ამოუხსნადი. სინკრეტიზმის ამოხსნა ნიშნავს სინკრეტიზმის ისეთი ვარიანტის [იხ.] შემოტანას, რომელიც არ შედის სინკრეტიზმის გამომწვევ დამთხვევაში. თუ, სინკრეტიზმის მიუხედავად, ლათინური templum ჩვენ შეგვიძლია განვიხილოთ ერთ კონტექსტში როგორც სახ. ბრ., ფორმა, ხოლო მეორეში — როგორც ბრალდ. ბრ. ფორმა, ეს იმიტომ, რომ ლათინური სახ. და ბრალდ. ბრუნვების სინკრეტიზმი ამ შემთხვევებში ამოხსნადია. ამოხსნა ხდება სახ. და ბრალდ. ბრუნვათა კატეგორიის ფარგლებში, ე. ი. სინკრეტიზმის ფარგლებში, ვირჩევთ რა ისეთ ვარიანტს, რომელიც არ შედის მოცემულ დამთხვევაში (მაგ., სახ. ბრ. ვარიანტს domus-ისგან და ბრალდ. ბრ. ვარიანტს domum-ისგან) და ხელოვნურად შემოგვაქვს შინაარსის ეს არსები templum ფორმაში, ნაცვლად მისში შემავალი ბრუნვის არსისა; ეს კეთდება ანალოგიური დასკვნების საშუალებით, რომელიც ემყარება განზოგადების პრინციპს [იხ.]. სინკრეტიზმი ამოხსნადია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელი იქნება გაკეთდეს ანალოგიური დასკვნები, დამყარებული ენობრივი სქემის [იხ.] ანალოზის შედეგებზე. ასეთი განმაზოგადებელი ანალოგიური დასკვნები შეუძლებელია დან. top-ის შემთხვევაში [იხ. სინკრეტიზმი] და, მაშასადამე, p/b სინკრეტიზმი უნდა მივიჩნიოთ ამოუხსნად სინკრეტიზმად“ [18a, 58 (18, 80—81; 18b, 125; 18c, 347)].

225 სინტაგმა (ფრ. syntagme, ინგლ. syntagm):

„ერთეული, რომელიც ერთდროულად შეიცავს როგორც შემადგენლებს [იხ.], ისე ექსპონენტებსაც [იხ.], არის სინტაგმა“ [5, 318. იხ. აგრეთვე 2, 155; 8, 271].

[ნ ე ქ ს უ ს ი, ს ი ნ ტ ა გ მ ა ტ ე მ ა].

228 სინტაგმატემა (ფრ. syntagmatème, ინგლ. syntagmateme):

„სინტაგმას [იხ.], რომლის მახასიათებელი არის ინტენსური ექსპონენტის [იხ.] მინიმალური ერთეული, ეწოდება სინტაგმატემა. პლერემატიკული სინტაგმატემა არის სახელი. კენემატიკური სინტაგმატემა არის მარცვალი“ [8, 271. იხ. აგრეთვე 2, 165; 5, 318].

227 სინტაგმატიკა (დან. syntagmatik, ფრ. syntagmatique, ინგლ. syntagmatic, რუს. синтагматика): იხ. პ ა რ ა დ ი გ მ ა ტ ი კ ა.

228 სინტაგმატიკური ფუნქცია (ფრ. fonction syntagmatique): იგივეა, რაც რ ე ლ ა ც ი ა [შლრ. 10, 21—2].

229 სინქრონიული მდგომარეობა (ფრ. état synchronique):

„სინქრონიული მდგომარეობა სტატიკური მდგომარეობა კი არ არის, არამედ დინამიკური მდგომარეობაა. [...] ენის ყოველ მდგომარეობაში გვაქვს როგორც გამოძახილი წინა მდგომარეობისა, ისე ჩანასახები შემდგომი მდგომარეობისა, რომელიც ჭერ კიდევ ბუნდოვნად იკაფავს გზას. ენის ეკრანზე რეალიზებული სისტემის გვერდით გამოისახება მრავალი ვირტუალური სისტემა“ [8, 41—2].

230 სისტემა (დან. system, ფრ. système, ინგლ. system, გერმ. System, რუს. система):

„...ჩვენ შეგვიძლია განვსაზღვროთ სისტემა როგორც კორელაციური [იხ. კორელაცია] იერარქია...“ [18a, 24 (18, 36; 18b, 59; 18c, 297)]. „როდესაც პროცესი [იხ.] დაქვემდებარება... ანალიზს, შესაძლებელი ხდება მის შემადგენელთა ინვენტარის დადგენა. უფრო მეტიც, თითოეული ეს შემადგენელი შეიძლება განისაზღვროს იმ პოზიციებით, რომელიც მას შეუძლია დაეკავოს ჯაჭვში [იხ.]... ამის შედეგად ინვენტარი მოწესრიგდება პოზიციური შესაძლებლობების მიხედვით განსაზღვრული კატეგორიების [იხ.] საშუალებით და ეს სწორედ ის არის, რასაც შეიძლება ეწოდოს სისტემა“ [21, 198. იხ. აგრეთვე 18a, 5 (18, 10; 18b, 18; 18c, 270)]. „პროცესის ანალიზის შედეგად ვაღვანთ მის უკან მდგომ სისტემას; იმ შემთხვევაში, როდესაც პროცესი წარმოადგენს ტექსტს [იხ.], შესაბამის სისტემას შეიძლება ეწოდოს ენა“ [21, 188]. „...სისტემაში სახეზეა „ან-ან“ ფუნქცია, დიზიუნქცია ანუ მასში შემავალ ფუნქციებს შორის მონაცვლეობა. გრაფულ მატერიაში pet, man... p და m ერთად, e და a ერთად t და n ერთად ქმნიან პარადიგმებს [იხ.], რომლებიც შედიან ენობრივ სისტემაში. სიტყვაში pet გვაქვს კონიუნქცია ანუ თანაარსებობა p, e და t ელემენტებს შორის; ფაქტობრივად ჩვენ თვალწინ გვაქვს p, e, t. ასევე, კონიუნქცია ანუ თანაარსებობა გვაქვს m, a და n ელემენტებს შორის სიტყვაში man. მაგრამ p და m ელემენტებს შორის ადგილი აქვს დიზიუნქციას ანუ მონაცვლეობას: ის, რაც თვალწინ გვაქვს, არის ან p, ან m. ასევე, დიზიუნქცია ანუ მონაცვლეობაა t და n ელემენტებს შორისაც“ [18a, 22 (18, 34; 18b, 56—7; 18c, 295—6)]. „პროცესი და მის უკან მდგომი სისტემა შედიან ფუნქციაში [იხ.] დაწვრილებითი განხილვა ცხადყოფს, რომ ეს ფუნქცია არის დეტერმინაცია [იხ.], რომელშიც

სისტემა არის მუდმივი [იხ.]: პროცესი გულისხმობს სისტემას. ამ შემთხვევაში გადამწყვეტია არა ზერელე მიმართება, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ უშუალო დაკვირვებისათვის უფრო მისაწვდომია პროცესი, მაშინ როდესაც სისტემა უნდა მოწესრიგდეს პროცესის მიხედვით, ე. ი. აღმოჩენილ იქნეს პროცედურის მეშვეობით... ეს ზერელე მიმართება თითქოს იმის დამადასტურებელია, რომ პროცესი შეიძლება არსებობდეს სისტემის გარეშე, მაგრამ არა პირიქით. ფაქტობრივად, სისტემის არსებობა აუცილებელი წანამდგვარია პროცესის არსებობისათვის: პროცესი არსებობს მხოლოდ სისტემის მეოხებით, რომელიც დგას მის უკან, მართავს მას და განსაზღვრავს თავის განვითარებაში. პროცესი უსისტემოდ წარმოუდგენელია (რადგან მის გარეშე სრულიად აუხსნელი იქნებოდა), მაგრამ სისტემის წარმოდგენა უპროცესოდ შესაძლებელია. სისტემის არსებობა არ გულისხმობს წინასწარ პროცესის არსებობას; სისტემას პროცესის დადგენით არ ეძლევა დასაბამი. მაშასადამე, არ შეიძლება გვექონდეს ტექსტი, თუ არ გვექნება მის საფუძველში ჩატანებული ენა, მაგრამ შეიძლება გვექონდეს ენა და არ გვექონდეს ამ ენაზე შექმნილი ტექსტი. ეს ნიშნავს, რომ ლინგვისტური თეორიის მიერ ასეთი ენა დაშვებულია როგორც შესაძლებელი სისტემა, მაგრამ მასთან დაკავშირებული არც ერთი პროცესი არ არის რეალიზებული [იხ. რ ე ა ლ ი ზ ა ც ი ა], ე. ი. ეს პროცესი ვირტუალურია“ [18a, 24 (18, 36—7; 18b, 59—60; 18c, 298)].

231 სოლიდარობა (დან. solidaritet, ფრ. solidarité, ინგლ. solidarity, რუს. солидарность) [|| ურთიერთგანპირობებული რელაცია]:

„ურთიერთდამოკიდებულებას [იხ.] წვერებს შორის პროცესში [იხ.] ვუწოდებთ სოლიდარობას...“ [18a, 15 (18, 23; 18b, 42; 18c, 284)]. იხ. აგრეთვე 22, 78]. „ასე, ლათინურში ბრუნვის მორფემა და რიცხვის მორფემა ყოველთვის ერთად არიან სახელში და არც ერთი მათგანი არ გვხვდება ცალკე“ [18a, 15 (18, 24; 18b, 44; 18c, 285)].

232 სოლიდარული ფუნქცივი (დან. solidarisk funktiv, ფრ. fonctif solidaire, ინგლ. solidary functive, რუს. солидарный функтив): იხ. უ რ თ ი ე რ თ დ ა მ ო კ ი დ ე ბ უ ლ ი ფ უ ნ ქ ტ ი ვ ე ბ ი.

233 სოციო-ბიოლოგიური დონე (ფრ. niveau socio-biologique): იხ. ს უ ბ ს ტ ა ნ ც ი ი ს დ ო ნ ე ე ბ ი.

234 სპეციფიკაცია (დან. specifikaion, ფრ. spécification, ინგლ. specification, რუს. спецификация) [|| ცალმხრივად განპირობებული კორელაცია]:

„...დეტერმინაცია [იხ.] წვერებს შორის სისტემაში [იხ.] ჩვენ ვუწოდებთ სპეციფიკაციას“ [18a, 15 (18, 24; 18b, 42; 18c, 285)]. იხ. აგრეთვე 22, 66].

235 სპეციფიცირებული ფუნქცივი (დან. specificeret funktiv, ფრ. fonctif spécifié, ინგლ. specified functive, რუს. специфицируемый функтив): იხ. დ ე ტ ე რ მ ი ნ ი რ ე ბ უ ლ ი ფ უ ნ ქ ტ ი ვ ი.

236 სტრუქტურა (დან. struktur, ფრ. structure, ინგლ. structure, გერმ. Struktur, რუს. структура):

„...სტრუქტურა არის დამოკიდებულებათა ანუ ფუნქციათა ქსელი...“ [12, 31 (12a, 112)]. იხ. აგრეთვე 8, 158]. „სტრუქტურა არის ენის, ან უფრო ზოგადად, სისტემის [იხ.] ძირითადი ნიშანი. სტრუქტურა შექს ჰფენს იმ გარემოებას, რომ სისტემის ნაწილები დამოკიდებული არიან ერთმანეთზე და არ-

სებობენ მხოლოდ ამ დამოკიდებულებათა მეოხებით...“ [9, 113]. „ენის ყოველ ელემენტს აქვს თავისი ადგილი გარკვეულ კატეგორიაში [იხ.], რომელიც განსაზღვრულია მხოლოდ გარკვეული რელაციური შესაძლებლობებით და გამოირჩევა სხვა შესაძლებლობებს. ყველა ასეთი კატეგორია ქმნის ენის ელემენტთა სისტემას ანუ რასაც ჩვენ ვუწოდებთ—ენობრივ სტრუქტურას“ [20b, 35—6 (20, 39; 20a, 59)]. „ელემენტთა რიცხვი და ყოველი ელემენტის რელაციური შესაძლებლობები მოცემულია ენობრივ სტრუქტურაში, ხოლო ამ შესაძლებლობათაგან თუ რომელი იქნება გამოყენებული ენაში, განსაზღვრულია ენობრივი უზუსის [იხ.] მიერ“ [20b, 37 (20, 40; 20a, 61)]. „ენა იქნება ერთი და იგივე, სანამ ენობრივი სტრუქტურა იქნება ერთი და იგივე. ერთი და იგივე ენა შეიძლება იყოს წარმოდგენილი სხვადასხვა ენობრივი უზუსებით და სხვადასხვაგვარად გამოყენებული. ინგლისური დარჩება ინგლისურ ენად, მიუხედავად მასში შემოტანილი ახალი სიტყვებისა, ოღონდ იმ პირობით, რომ ეს სიტყვები ნაწარმოები იქნება იმავე წესებითა და იმავე ელემენტებით, რომლებიც დამახასიათებელია ამ ენისათვის. ამგვარად, მხოლოდ ენობრივი სტრუქტურა განსაზღვრავს ნებისმიერი ენის იგივეობასა და მდგრადობას. სანამ გვექნება ერთი და იგივე ენობრივი სტრუქტურა, შეგვიძლია ვთქვათ, რომ გვაქვს ერთი და იგივე ენა. ამ კრიტერიუმის გარეშე უნდა დავკმაყოფილებულიყავით მხოლოდ იმის აღნიშვნით, რომ ენა განუწყვეტილად იცვლება და რომ ყოველ დღით საქმე გვაქვს ახალ ენასთან, იმასთან განსხვავებულთან, რაც გვექნა წინა დღეს. ყოველ დღით ჩვენ გაზეთში ეპოულობთ ამა თუ იმ ნიშანს, რომელიც ახალია ინგლისურისათვის, ან, ყოველ შემთხვევაში, ჩვენთვის მიანც. უფრო მეტიც, ამ კრიტერიუმის გარეშე საერთოდ არა გვაქვს უფლება ვთქვათ, რომ ვიცით ენა: არავინ არ იცის და არავის არ ესმის ყველა ის ნიშანი, რომელიც კი გამოყენებული ყოფილა ინგლისურში და გამოიყენება სპეციალისტთა მიერ ამა თუ იმ სფეროში ან მოლაპარაკეთა მიერ გარკვეულ გარემოსა თუ გარკვეულ ვითარებაში. ენობრივი სტრუქტურა არა მხოლოდ განსაზღვრავს ენის იდენტობას, იგი განსაზღვრავს აგრეთვე ენებს შორის განსხვავებებსაც“ [20b, 37—8 (20, 40—41; 20a, 61—2)]. „ფუნქციაში [იხ.], რომელიც არსებობს ენობრივ სტრუქტურასა და ენობრივ უზუსს შორის, სტრუქტურა არის მუდმივი [იხ.], უზუსი კი — ცვლადი [იხ.]“ [20b, 40 (20, 43; 20a, 64)]. „ენისმაგვარი სისტემების ჩვეულებრივ ენასთან (ამ სიტყვის ტრადიციული გაგებით) შედარებისას მე გამოვიყენე ისინი ზუთი არსებითი ნიშნის გამოსავლენად, რომლებიც, ჩემი განსაზღვრის მიხედვით, შედიან ყოველი ენის ძირითად სტრუქტურაში. სახელდობრ: 1. ენა შედგება შინაარსისა [იხ.] და გამოხატულებისაგან [იხ.]; 2. ენა შედგება თანმიმდევრობის ანუ ტექსტისა [იხ.] და სისტემისაგან [იხ.]; 3. შინაარსი და გამოხატულება დაკავშირებული არიან ერთმანეთთან კომუტაციის [იხ.] საშუალებით; 4. არსებობს გარკვეული მიმართებები თანმიმდევრობისა და სისტემის შიგნით; 5. შინაარსსა და გამოხატულებას შორის არ არსებობს ურთიერთცალსახა შესატყვისობა, მაგრამ ენობრივი ნიშნები იყოფა უმცირეს ელემენტებად. ნიშნის ასეთი კომპონენტება, მაგ., ე. წ. ფონემები, რომელთაც მე ვამკობინებ ვუწოდებ გამოხატულების ტაქსემები [იხ. ტ ა ქ ს ე მ ა]“. [15, 77—8 (15a, 66—7)]. იხ. აგრეთვე 21, 186 და შემდ.

287 სტრუქტურული ლინგვისტიკა (ფრ. linguistique structurale, რუს. структуральная лингвистика):

„სტრუქტურული ლინგვისტიკა გაიგება როგორც კვლევის ერთიანობა, დამყარებული გარკვეულ პირობებზე, რომლის მიხედვით მეცნიერულად კანონიერი ანის, როგორც ძირითადად შინაგან დამოკიდებულებათა ავტონომიური არის ანუ სტრუქტურის, აღწერა“ [14, V. იხ. აგრეთვე 10, 10 (10a, 101)]. „რამდენადაც განსაზღვრის ძალით სტრუქტურა არის დამოკიდებულებათა ანუ ფუნქციათა ქსელი, სტრუქტურული ლინგვისტიკის ძირითადი ამოცანა მდგომარეობს ფუნქციებისა და მათი ტიპების შესწავლაში“ [12, 31 (12a, 112)]. „სტრუქტურული ლინგვისტიკა ოპერირებს იმავე ფაქტებით, რომლითაც ოპერირებდა ტრადიციული ლინგვისტიკა. [...] თუ მისი სპეციფიკური ობიექტი სხვა არის, შესასწაველი ობიექტი მაინც იგივე რჩება. სტრუქტურული ლინგვისტიკა ამუშავებს წარსულისაგან მიღებულ ძვირფას და აუცილებელ შემკვიდრებას, რომელიც მას აკისრებს გარკვეულ ვალდებულებებს თავისი წინაპრების მიმართ“ [14, X—XI. იხ. აგრეთვე 10, 12—3 (10a, 102)].

288 სტრუქტურული პრინციპი (ფრ. principe structural, რუს. структурный принцип):

„არ შეიძლება ობიექტის აღქმა ან აღწერა სტრუქტურული პრინციპის გამოყენების გარეშე... ყოველი მეცნიერული აღწერა გულისხმობს, რომ ობიექტი გააზრებულია ან როგორც სტრუქტურა (და ანალოზდება სტრუქტურული მეთოდებით, რომლებიც საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ მიმართებები ამ ობიექტის შემადგენელ ნაწილებს შორის) ან როგორც სტრუქტურის ნაწილი...“ [18, 273—4 (18a, 124—5)].

289 სუბსტანცია (დან. substans, ფრ. substance, ინგლ. substance, გერმ. Substanz, რუს. субстанция):

„...გუფორმებელი მასალა [იხ.]... სხვადასხვა ენაში სხვადასხვაგვარად ფორმდება. ყოველი ენა თავის საკუთარ საზღვრებს აელებს ამ ამორფულ „აზრობრივ მასაში“, გამოყოფს სხვადასხვა ფაქტორებს, სიმძიმის ცენტრს ათავსებს სხვადასხვა ადგილას და წარმოგვიდგენს მათ სხვადასხვაგვარი ემფაზით. ყველაფერი ეს გვაგონებს სილას, რომელიც განსხვავებულ ფორმებს ღებულობს ან ღრუბელს ცაზე, რომელიც ყოველ წუთში იცვლის თავის მონახულობას ჰაიმლეტის თვალწინ. ისევე როგორც შეიძლება სილა მოვათავსოთ განსხვავებულ ჭურჭლებში ან ღრუბლის ნაფლენი მოვევლინოს სულ ახალი და ახალი ფორმით, ასევე ერთი და იგივე მასალა სტრუქტურული თვალსაზრისით სხვადასხვა ენაში სხვადასხვაგვარად ფორმდება. [...] მასალა ყველა შემთხვევაში რჩება სუბსტანციად ახალი ფორმისათვის [იხ.] და არ შეუძლია სხვაგვარად არსებობა, თუ არა სუბსტანციის სახით ამა თუ იმ ფორმისათვის“ [13a, 32 (18, 48; 18b, 76; 18c, 310). იხ. აგრეთვე 6, 159]. „მხოლოდ შინაარსის ფორმისა და გამოხატულების ფორმის, მხოლოდ და მხოლოდ მათი საშუალებით არსებობენ შინაარსის სუბსტანცია [იხ.] და გამოხატულების სუბსტანცია [იხ.], რომლებიც ჩნდებიან ფორმის პროექციით მასალაზე“ [18a, 35—6 (18, 52; 18b, 81; 18c, 315)]. „...გლანსმატიკურ ტერმინოლოგიაში, რომელსაც აქ ვიყენებთ, სუბსტანცია ნიშნავს სემიოტიკურ სუბსტანციას... სუბსტანცია ექვემდებარება სემიოტიკურ ფორმას. ეს არის სემიოტიკურად გაფორმებული სუბსტანცია“ [16, 173]. „ცვლადს [იხ.] მანიფესტაციაში [იხ.] (მანიფესტანტს), თანახმად სოსიურის ტერმინოლოგიისა, შეიძლება ეწოდოს სუბსტანცია. სუბსტანციას, რომელიც ახდენს ენობრივი

სქემის [იხ.] მანიფესტაციას, ვუწოდებთ ენობრივ უზუსს [იხ.]“ [13a, 68 (18, 94; 18b, 145; 13c, 361)].

[გამოხატულების სუბსტანცია, შინაარსის სუბსტანცია, უზუსი].

240 სუბსტანციის ღონეები (ფრ. niveaux de la substance, რუს. уровни субстанции):

„...ერთი და იგივე სუბსტანცია, თავის მხრივ, შეიცავს რამდენსავე ასპექტს ანუ, როგორც ჩვენ ვამჯობინებთ ვუწოდოთ, რამდენსავე ღონეს. ეს ძალზე მნიშვნელოვანი, მაგრამ ნაკლებად შესწავლილი მოვლენაა. ცნობილია, რომ ფონიკური სუბსტანცია... საჭიროებს უკიდურეს შემთხვევაში ფიზიოლოგიურ (არტიკულაციურ, მიოკინეტიკურ და ა. შ.) და წმინდა ფიზიკურ (ანუ აკუსტიკურ, ამ სიტყვის ვიწრო მნიშვნელობით) აღწერას, რასაც, მოლაპარაკების მიერ სამეტყველო ბგერათა აპერცეფციის შესაბამისად, აუცილებლად უნდა დაემატოს აუდიციური აღწერაც. ამასვე გულისხმობენ გამოხატულების სხვა შესაძლებელი სუბსტანციებიც: ყოველ შემთხვევაში, მათთვის ერთნაირად საჭიროა ფიზიკური და აპერცეფციული აღწერა მაინც. ანთოლოგიური დიფერენციაციისაგან არც შინაარსის სუბსტანციაა [იხ.] თავისუფალი. [...] ანალიზის დროს შინაარსის სუბსტანცია თავის მთლიანობაში წარმოგვიდგება სწორედ როგორც შედგენილი განსხვავებული ასპექტებისა ანუ ღონეებისაგან, რომლებიც შეესაბამებიან ერთმანეთს და ავსებენ ერთმანეთს. ანალიზმა უნდა გამოაჯალკოს ისინი. ეს კი ვერ მოხერხდება მანამ, სანამ გათვალისწინებული არ იქნება ამ ღონეების გარკვეული იერარქიული რიგი... როგორც ჩანს, შინაარსის სუბსტანციის შესასწავლად პირველ ყოვლისა აუცილებელია სწორედ კოლექტიური შეფასების მიხედვით აღწერა. თუ ჩვენ გვინდა სათანადოდ დავახასიათოთ სემანტიკური უზუსი [იხ. უზუსი], რომელიც მიღებულია ამა თუ იმ ენობრივ საზოგადოებაში და განეკუთვნება აღსაწერად შერჩეულ ენას, ეს უნდა გავეთდეს არა საგნების ფიზიკური აღწერით, არამედ ამ საზოგადოებაში მიღებული შეფასების, კოლექტიური შეფასების, სოციალური თვალსაზრისის მიხედვით. [. . .] ასე, ერთი და იგივე ფიზიკური „საგანი“ სემანტიკურად შეიძლება სხვადასხვაგვარად აღიწეროს იმის მიხედვით, თუ რომელ ცივილიზაციას განეკუთვნება იგი. [. . .] „ძალს“ ექნება ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებულ სემანტიკური განსაზღვრა ესკიმოსებთან, სადაც ის უმთავრესად ტვირთმზიდავი ცხოველია, ფარსებთან, სადაც ის მიჩნეულია წმინდა ცხოველად, ინდოელთა იმ საზოგადოებაში, სადაც იგი მოქმედებულია როგორც პარია და დასავლურ საზოგადოებებში, სადაც ძალდი შინაური ცხოველია, უმთავრესად სანადიროდ ან სადარაჯოდ გაწვრთნილი. [. . .] ერთი სიტყვით, შინაარსის სუბსტანციის წინასწარ განხილვას მიეყავართ იმ დასკვნამდე, რომ აღნიშნული სუბსტანციის ფარგლებში პირველადი, უშუალო, ენათმეცნიერული და ანთროპოლოგიური თვალსაზრისით ერთადერთი შესაფერიანი ღონე არის სოციალური შეფასების ღონე. [. . .] ამიტომაც ლინგვისტის, ან უფრო ზოგადად, სემიოტიკისტი, ...უპირველესი ამოცანა არის იმის აღწერა, რასაც ჩვენ ვუწოდებთ კოლექტიური აპერცეფციის ღონეს... ...იმისათვის, რომ მთლიანობას აღწერა იქონს ამომწურავი და ადეკვატური, საჭიროა აღიწეროს სხვა ღონეებიც, რომლებიც გარკვეულ მიმართებაში არიან უშუალო ღონესთან. არ უნდა ვიფიქროთ, რომ ეს იქნება მხოლოდ ფიზიკური ღონე. ასევე საჭიროა შესაბამისი სოციო-ბიოლოგიური და ფსიქო-ფიზიოლოგიური

პირობების შესწავლაც... [..] [გამოხატულების სუბსტანციაშიც] გვაქვს ფიზიკური და სოციო-ბიოლოგიური დონეები, რომლებიც შეიძლება შეველა-როთ შინაარსის სუბსტანციის სათანადო დონეებს. [..] ...ამ ორი დონის აღწერას უნდა დავამატო მესამე, ...აუდიციური ან უფრო ზოგადად აპერცეფციული აღწერა, რომელიც ძალიან ჰგავს კოლექტიური შეფასების აღწერას, როგორც ეს განხილული იყო შინაარსის სუბსტანციისათვის. ამგვარად, დავასკვნით, რომ ყოველგვარი სემიოტიკური სუბსტანცია შეიცავს რამდენსამე დონეს, რომელთა შორის არსებობს გარკვეული ფუნქციები [იხ.] და იერარქიული რიგი. ის დონე, რომელიც მოთავსებულია ამ იერარქიის თავში, არის კოლექტიური შეფასების დონე და, მაშასადამე, იგი შეიძლება განხალულ იქნეს როგორც სუბსტანცია par excellence, სემიოტიკის თვალსაზრისით ერთადერთი შესაფერისი სუბსტანცია. ყოველივე ამის გამოხატვა შეიძლება ფუნქციონალური ტერმინოლოგიით, თუ ვიტყვით, რომ აღნიშნული დონე ანუ უშუალო სემიოტიკური სუბსტანცია, რომელიც ახდენს ფორმის [იხ.] სელექციას [იხ.], ერთსა და იმავე დროს წარმოადგენს რა ფორმის მანიფესტაციას [იხ.] და ამასთანავე შეესებადობის დამოკიდებულებაშია ფორმასთან, თავის მხრივ, სელექტირებულია სხვა დონეებზე მიერ... . მეორე მხრივ, უშუალო სემიოტიკური სუბსტანცია ახდენს ამ დონეების სპეციფიკაციას [იხ.]. სისრულისათვის დავამატებთ, რომ რელაცია [იხ.] და კორელაცია [იხ.] ფიზიკურ და სოციო-ბიოლოგიურ დონეებს შორის ურთიერთსაწინააღმდეგო მიმართულებით მოქმედებენ: ფიზიკური დონე ახდენს სოციო-ბიოლოგიური დონის სელექციას, ხოლო სოციო-ბიოლოგიური დონე ფიზიკური დონის სპეციფიკაციას“ [16, 175—8. იხ. აგრეთვე 18, 281—2 (16a, 133—4)].

241 სუბსტიტუცია (დან. substitution, ფრ. substitution, ინგლ. substitution, გერმ. Substitution, რუს. сублиституция):

„სუბსტიტუცია გვესმის როგორც პარადიგმის [იხ.] წევრებს შორის მუტაციის [იხ.] არარსებობა; ამგვარად, სუბსტიტუცია, ჩვენი გაგებით, უპირისპირდება კომუტაციას [იხ.]“ [18a, 47 (18, 67; 18b, 102; 18c, 331)]. „სუბსტიტუცია გვაქვს ყოველთვის ვარიანტებს [იხ.] შორის...“ [12, 32 (19a, 113)].

242 სქემა (ფრ. schéma, რუს. схема): იგივეა, რაც ენობრივი სქემა.

6

248 ტაქსემა (დან. taxem, ფრ. taxème, ინგლ. taxeme, რუს. таксема) [II ელემენტი]:

„ანალიზი უნდა იყოს ამომწურავი, რათა დააკმაყოფილოს ეს პირობა, მან უნდა გაიაროს შეძლებისამებრ მეტი საფეხური, რადგან მხოლოდ ეს იძლევა საშუალებას გათვალისწინებულ იქნეს ერთეულთა უდიდესი რაოდენობა. ყოველ ეტაპზე დადგენილი ერთეულები უნდა იყოს შეძლებისამებრ უდიდესი განვრცობის. ...ყოველ ეტაპზე უნდა დავადგინოთ ერთეულები, რომელთა რიცხვი შეძლებისამებრ უმცირესია. [..] ანალიზის პირველ სტადიაზე საქმე გვაქვს ურთიერთმართვასთან [იხ.]. ეს საშუალებას გვაძლევს გამოიყოს ტექსტის [იხ.] ორი ნაწილი: შინაარსი ← გამოხატულება (ე. ი. ნაწილთა უმცირესი რიცხვი, რომელზედაც შეგვიძლია დავყოთ ჩვენი ობიექტი). მეორე სტადია გულისხმობს თითოეული ამ სიბრტყის [იხ.] ანალიზს ცალ-ცალკე.

ეს ანალიზი მიმდინარეობს ცალმხრივი მართვის [იხ.] საფუძველზე. ანალიზი ამოწურულია, როდესაც უკვე აღარ აღმოჩნდება არც ერთი ერთეული, რომელიც შედის ცალმხრივ რელაციაში. ამ, შინაგანი სტრუქტურის თვალსაზრისით მინიმალურ, ერთეულებს შეიძლება ეწოდოს ტაქსემები (ბერძნ. სიტყვისაგან taxis „სერია“, „თანმიმდევრობა“, „პროცესი“) [21, 224—5. იხ. აგრეთვე 10, 181]. „ენის ორსავე სიბრტყეზე დაყოფა, დამყარებული რელაციებზე [იხ.], მთავრდება ტაქსემების, ე. ი. ვირტუალური ელემენტების, ინვენტარიზაციით“ [13a, 63 (18, 88; 18b, 136: 13c, 354)]. „ჩვენ შეგვიძლია გავაგრძელოთ თითოეული სიბრტყის შემდგომი დაყოფა, სანამ არ მივალწვეთ მინიმალურ არსებს, რომელთაც ამ წიგნში ვუწოდებთ ელემენტები: შინაარსის ელემენტები და გამოხატულების ელემენტები“ [20b, 106 (20, 104; 20a, 142)]. იხ. აგრეთვე 6, 155]. „ფონემატემები [იხ.] და გრაფემატემები [იხ.] ტაქსემის მანიფესტაციებია“ [10, 102. იხ. აგრეთვე 10, 167].

[პ რ ო ს ო დ ი ა, შ ე მ ა დ გ ე ნ ე ლ ი].

244 ტექსტი (დან. tekst, text, ფრ. texte, ინგლ. text, გერმ. Text, რუს. текст): იხ. პ რ ო ც ე ს ი.

უ

245 უზუსი (დან. usus, ფრ. usage, ინგლ. usage, გერმ. Usus, რუს. usage): „...ენობრივი სტრუქტურა ადგენს ელემენტთა რიცხვს და იმ წესებს, რომლითაც ეს ელემენტები შეიძლება დაუკავშირდნენ ერთმანეთს. ამასთან მიმართებით ენის ყველა სხვა მოვლენა შეიძლება იცვლებოდეს. ისინი ქმნიან უზუსს“ [20b, 40 (20, 43; 20a, 64)]. „ელემენტთა რიცხვი და თითოეული ელემენტის რელაციური შესაძლებლობები დადგენილია სტრუქტურაში. ამ შესაძლებლობათაგან თუ რომელია გამოყენებული, ამას განსაზღვრავს ენობრივი უზუსი. აქედან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ვისაც უნდა შეისწავლოს ენა, მისთვის არ არის საკმარისი მხოლოდ ლინგვისტური სტრუქტურის შესწავლა, აუცილებელია უზუსის შესწავლა“ [20b, 37 (20, 40; 20a, 61)]. „ნორმა [იხ.], უზუსი და მეტყველების აქტი [იხ.] მჭიდროდ არიან დაკავშირებული ერთმანეთთან და არსებითად წარმოადგენენ ერთ ობიექტს: უზუსს, რომლის მიმართ ნორმა გვევლინება აბსტრაქციად, მეტყველების აქტი კი—კონკრეტიზაციად. სწორედ უზუსი ქმნის რეალიზაციის თეორიის კეშმარტ ობიექტს: ნორმა ხელოვნური წარმონაქმნია, მეტყველების აქტი კი — წარმავალი“ [12, 42 (12a, 119)]. „უზუსი არის ის, რაც სტაბილიზებულია მეტყველებაში, უზუსი განისაზღვრება როგორც რეალიზებულ შრეთაშორის კონექციათა ერთიანობა“ [10, 188].

246 ურთიერთგანპირობებული კორელაცია (დან. gensidig forudsætningsforhold, ფრ. corrélation de présupposition réciproque, ინგლ. reciprocal implicational correlation): იგივეა, რაც შე ე ც ს ე ბ ა ღ ო ბ ა [შდრ. 20b, 107 (20, 104; 20a, 142)].

247 ურთიერთგანპირობებული რელაცია (დან. gensidig forudsætningsforbindelse, ფრ. relation de présupposition réciproque, ინგლ. reciprocal implicational relation): იგივეა, რაც ს ო ლ ი დ ა რ ო ბ ა [შდრ. 20b, 98 (20, 95, 20a, 132)].

248 ურთიერთდამოკიდებულება (დან. interdependens, ფრ. interdépendance, ინგლ. interdependence, რუს. интерденденция, взаимозависимость) [|| ორმხრივი დეტერმინაცია, ორმხრივი მართვა, ურთიერთმართვა]:

„საურთიერთო დამოკიდებულებებს, რომლებშიც ერთი წევრი გულისხმობს მეორეს და პირიქით, პირობითად ვუწოდებთ ურთიერთდამოკიდებულებებს“ [18a, 14—5 (18, 23; 18b, 42; 18c, 284)]. „...ურთიერთდამოკიდებულება შეგვიძლია განვსაზღვროთ როგორც ფუნქცია [იხ.] ორ მუდმივს [იხ.] შორის...“ [18a, 21 (18, 32; 18b, 55; 18c, 294)]. „შეგვიძლია წარმოვიდგინოთ... ურთიერთდამოკიდებულება ანუ ორმხრივი და აუცილებელი დამოკიდებულება...“ [10, 20. იხ. აგრეთვე 12, 31 (12a, 112)].

[ს ო ლ ი დ ა რ ო ბ ა , შ ე ვ ს ე ბ ა დ ო ბ ა].

249 ურთიერთდამოკიდებული ფუნქტივები (დან. interdependente funktiver, ფრ. fonctions interdépendants, ინგლ. interdependent functions, რუს. взаимозависимые функции):

„...ფუნქტივებს [იხ.], რომლებიც შედიან ურთიერთდამოკიდებულებაში [იხ.] (სოლიდარობაში, შევსებადობაში), ჩვეულებრივ ეწოდებათ ურთიერთდამოკიდებული (სოლიდარული, შევსებადი) ფუნქტივები...“ [18a, 22 (18, 336 18b, 56; 18c, 295)].

250 ურთიერთმართვა (ფრ. rectio mutuelle): იგივეა, რაც უ რ თ ი ე რ თ დ ა მ ო კ ი დ ე ბ უ ლ ე ბ ა [შდრ. 21, 225].

251 უშუალო სემიოტიკული სუბსტანცია (ფრ. substance sémiologique immédiate): იგივეა, რაც კ ო ლ ე ქ ტ ი უ რ ი შ ე ფ ა ს ე ბ ი ს ღ ო ნ ე .

ფ

252 ფიგურა (დან. figur, ფრ. figure, ინგლ. figure, რუს. фигура):

„ენა თავისი მიზნით, პირველ ყოვლისა, ნიშანთა სისტემაა. რათა საესებით დააკმაყოფილოს ეს მოთხოვნა, იგი მზად უნდა იყოს ახალი ნიშნების, ახალი სიტყვების ან ახალი ძირების წარმოსაქმნელად. ასეთი სიმდიდრის მიუხედავად ენა უნდა იყოს, ამავე დროს, საურთიერთოდ ადვილი, შესწავლისა და გამოყენების თვალსაზრისით პრაქტიკული. ნიშანთა მრავალრიცხოვნების მოთხოვნის პირობებში ეს მიიღწევა იმით, რომ ყველა ნიშანი აიგება არანიშნებისაგან, რომელთა რიცხვი მკაცრად შეზღუდულია. ასეთ არანიშნებს, რომლებიც შედიან ნიშნურ სისტემაში, როგორც ნიშნის ნაწილები, ჩვენ ვუწოდებთ ფიგურებს... ამგვარად, ენა ისეა ორგანიზებული, რომ ფიგურებისა და მათი ახალ-ახალი გადანაწილების საშუალებით შეიძლება მივიღოთ ნიშანთა ურიცხვი რაოდენობა, რომ ენა არ ყოფილიყო ასე ორგანიზებული, იგი შეუფერებელი იქნებოდა თავისი მიზნისათვის. მაშასადამე, ყველა საფუძველი გვაქვს დაეშვათ, რომ შეზღუდული რაოდენობის ფიგურებისაგან ნიშნების შექმნაში ვლინდება ძირითადი თავისებურება ყოველი ენის სტრუქტურაში. აქედან ვასაგებია, რომ ენები არ შეიძლება აღიქვაროს როგორც წმინდა ნიშანთა სისტემები. მართალია, თავიანთი მიზნით ისინი პირველ ყოვლისა ნიშანთა სისტემებია, მაგრამ შინაგანი სტრუქტურით განსხვავდებიან მათგან, სახელოდობრ, წარმოადგენენ ნიშნების შესაქმნელად გამოსაყენებელ ფიგურათა სისტემას“ [18a, 29 (18, 43; 18b, 70; 18c, 305)]. „თუ ერთი წინადადების გამოხატულებას შევეცლით მეორე წინადადების გამოხატულებით და ეს გამოიწვევს განსხვავებას ორი წინადადების შინაარსებს შორის, მაშინ გვექ-

ნება ორი განსხვავებული წინადადება გამოხატულებაშიც. მაგრამ თუ ეს არ მოხდა, მაშინ გვექნება გამოხატულების ორი ვარიანტული წინადადება, ერთი და იმავე გამოხატულების წინადადების ორი განსხვავებული ნიმუში. [...] ეს სამარ-თლიანია ფიგურებისთვისაც, მიუხედავად მათი განვრცობისა, მაგ., მარცვლები-თვისაც. განსხვავება ნიშნებსა და ფიგურებს შორის, ამ თვალსაზრისით, მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ ნიშნების შემთხვევაში ერთი და იგივე განსხვავება შინაარსში ყოველთვის გამოწვეულია ერთი და იმავე განსხვავებით გამოხატულებაში. ფიგურების შემთხვევაში კი ერთსა და იმავე განსხვავებას გამოხატულებაში შეუძლია გამოიწვიოს ყოველ ცალკეულ შემთხვევაში განსხვავებული ცვლილებები შინაარსის არსთა შორის (მაგ., *pel-pat, led-lad, ten-tan*)“ [18, 41—2 (18, 60; 13b, 94; 18c, 324)]. „შინაგან ერთეულებს [იხ.], რომელთაგან შედგება გლოსემატი [იხ.] შეიძლება ეწოდოს ფიგურები;... გლოსემატი შეიძლება აიგოს ერთი ან რამდენიმე ფიგურისაგან. მაგრამ არ უნდა ვიფიქროთ, რომ ფიგურები გამოიყოფა ნიშნის ანალიზით: ფიგურები გამოიყოფა მხოლოდ შინაგანი ერთეულების ანალიზით. [...] შესაბამისად, ფორმასა და სუბსტანციაში ფიგურები გაგებულია როგორც შინაგანი ერთეულები, რომელთაგან შედგება მანიფესტაციის წევრი [იხ.]. მანიფესტაციის წევრიც შეიძლება აიგოს ერთი ან რამდენიმე ფიგურისაგან. ისეთი მანიფესტანტის [იხ.] ნიმუში, რომელიც შედგება ერთადერთი ფიგურისაგან, არის ფონეტიკური სიდიდე—ნაზლობა ფრანგულში. იგი წარმოადგენს გამოხატულების ტაქსემის [იხ. ტ ა ქ ს ე მ ა] (კერძოდ, ი-ს) მანიფესტაციას...“ [18, 185—6].

253 ფიზიკური დონე (ფრ. *niveau physique*, რუს. *физический уровень*): იხ. ს უ ბ ს ტ ა ნ ც ი ის დ ო ნ ე ე ბ ი.

254 ფილოლოგიური ენა (ფრ. *langage philologique*): იგივეა, რაც შ ე უ ზ ლ უ დ ა ვ ი ე ნ ა .

255 ფლექსიური ელემენტი (დან. *bøjningselement*, ფრ. *élément de flexion*, ინგლ. *flexional element*, გერმ. *Flexionselement*): იგივეა, რაც მ ო რ ფ ე მ ა [შდრ. 7, 219; 20b, 107 (20, 104; 20a, 143)].

256 ფონემა (დან. *fonem*, ფრ. *phonème*, ინგლ. *phoneme*, გერმ. *Phonem*, რუს. *фонема*): იხ. ფ ო ნ ე მ ა ტ ე მ ა .

257 ფონემატემა (ფრ. *phonématème*, გერმ. *Phonematem*, რუს. *фонематема*):

„ტაქსემების [იხ.] პირველი დაყოფა საშუალებას გვაძლევს განვასხვაოთ პროსოდიები [იხ.] და შემადგენლები [იხ.]. ამ დაყოფას სუბსტანციის დონეზე შეესაბამება დაყოფა გრაფემატემებისა—გრაფიკულად მანიფესტირებულ პროსოდიებად და გრაფემებად, ფონემატემებისა—ფონიკურად მანიფესტირებულ პროსოდიებად და ფონემებად“ [10, 107. იხ. აგრეთვე 16, 167]. „ფონემატემა (ფონემა), გრაფემატემა (გრაფემა) და სემატემა [იხ.]... ქმნიან მატერიალურ ფორმას [იხ.]“ [18, 281 (18a, 132)].

258 ფონემატიკა (ფრ. *phonématique*, ინგლ. *phonematics*, გერმ. *Phonematik*): 1. ჰვ. იგივეა, რაც კ ე ნ ე მ ა ტ ი კ ა 2 [შდრ. 1, 49]. 2. იგივეა, რაც დ ე ლ უ ქ ც ი უ რ ი ფ ო ნ ე ტ ი კ ა .

259 ფონეტიკური ტიპოლოგია (დან. *lydtypologi*, ფრ. *typologie phonétique*; ინგლ. *phonetic typology*):

„კლასიკურმა ენათმეცნიერებამ ბგერათმოდლეება (ფონოლოგია, ფონეტიკა) განავითარა ძირითადად ფიზიოლოგიური და ფიზიკური თვალსაზრისით და შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ მოხერხდებოდა ფონეტიკური ტიპოლოგიის შექმნა, როგორც გამოხატულების სიბრტყეზე ენობრივი უზუსის [იხ.] ტიპოლოგიის ნაწილისა. [...] რამდენადაც ყოველი ენა თავის საკუთარ საზღვრებს ავლებს ფონეტიკურ სფეროში, არ არსებობს ენებს შორის შესაბამისობაც ფონეტიკური თვალსაზრისით... იმიტომ, რომ გამოხატულების ელემენტთა რიცხვი ენებში განსხვავებულია, არ შეიძლება არსებობდეს ურთიერთკავშირი ამ ელემენტებსა და იმ ზგერითს კატეგორიებს შორის, რომლითაც ისინი არიან წარმოდგენილი. ფრანგულში და ინგლისურში, როგორც ამას კომპუტაციური შემოწმება [იხ.] გვიჩვენებს, მკლერი და ყრუ s წარმოადგენენ გამოხატულების ორ განსხვავებულ ელემენტს (ფრ. poison „საწამლაი“ და poisson „თევზი“ განსხვავებულია მხოლოდ მკლერი და ყრუ s ელემენტებით; შღრ. აგრეთვე ინგლ. zeal „მონდომება“ და seal „ბეჭედი“, „დალი“), მაგრამ დანიური მათ არ განასხვავებს. დანიურში მკლერი შეიძლება გამოყენებულ იქნეს ჩვეულებრივი ყრუ s-ს ნაცვლად, რადგან აღრევის საშიშროება არ არსებობს, მაშინ როდესაც ფრანგულსა და ინგლისურში ეს შეუძლებელია. [...] ამიტომაც ნაკლებ საფიქრებელია, რომ ჩვენ შეგვეძლება ფონეტიკური ტიპოლოგიის შექმნა თუ არ ვუჩვენებთ იმ საზღვრებს, რომლებსაც ფონეტიკურ სფეროში ენობრივი სტრუქტურა ავლებს“ [20b, 115—9 (20, 111-6; 20a, 151—7)].

260 ფონიკურად მანიფესტირებული პროსოდია (ფრ. prosodie manifestée phoniquement): იხ. ფონეტიკა.

261 ფორმა (დან. form, ფრ. forme, ინგლ. form, გერმ. Form, რუს. форма):

„ფორმა განისაზღვრება მხოლოდ ფუნქციებით [იხ.]...“ [12, 52]. „... ფორმა ქმნის მუდმივს [იხ.], ხოლო სუბსტანცია [იხ.] წარმოდგენილია ცვლადებით [იხ.]...“ [11, 39 (11a, 117)]. იხ. აგრეთვე 10a, 85. (10c, 385). „მანიფესტაციაში [იხ.] მუდმივს შეიძლება ეწოდოს ფორმა, ხოლო თუ ეს ფორმა წარმოადგენს ენას, ჩვენ მას ვუწოდებთ ენობრივ სქემას“ [18a, 68 (18, 94; 18b, 145; 18c, 361)]. „ფორმასა და სუბსტანციას შორის მიმართება ნებისმიერია. [...] თვით მანიფესტაციის ნებისმიერობის, ე. ი. ფორმასა და სუბსტანციას შორის მიმართების ნებისმიერობის, პრინციპიდან ლოგიკურად გამომდინარეობს, რომ ერთი და იგივე ფორმა შეიძლება მანიფესტირებულ იქნეს სხვადასხვა სუბსტანციით“ [18, 279—80 (18a, 130—31)]. იხ. აგრეთვე 7, 134]. „ჩვეულებრივ ისეთი ენების შემთხვევაში, როგორცაა ფრანგული ან ინგლისური, გამოხატულების სიბრტყის [იხ.] ფონეტიკური და გრაფემატიკული ანალიზი გვივლენს ორ განსხვავებულ სემიოტიკურ ფორმას და არა ერთსა და იმავე სემიოტიკურ ფორმას, რომელიც მანიფესტირებულია განსხვავებული სუბსტანციებით. ეს შემთხვევა არ წარმოადგენს სასურველ მაგალითს. რათა ასეთი მაგალითი გვექონდეს, საჭიროა, რომ სემიოტიკური ფორმა დარჩეს თავისი თავის იდენტური, მაგრამ იყოს განსხვავებულად მანიფესტირებული. ნიმუშად შეიძლება ავიღოთ წარმოთქმა (ე. ი. ფონეტიკური სუბსტანცია) და შესაბამისი ფონოლოგიური აღნიშვნა ანუ ორთოგრაფია (ე. ი. გრაფემატიკული სუბსტანცია)...“ [16, 174]. „ღეტერმინაციას [იხ.] (კალმხრივ ფუნქციას სუბსტანციასა, როგორც ცვლადსა, და ფორმას, როგორც მუდმივს, შორის) ადგილი აქვს მხოლოდ სინტაგმატიკური თვალსაზრისით (როგორც სელექციას) [იხ.], მაშინ როდესაც პარადიგმატიკის

[იხ.] თვალსაზრისით ფორმასა და სუბსტანციას შორის არის რეციპროცია.
[იხ.] (ყერძოდ, შეესებადობა [იხ.]). ამდენად სუბსტანციას შეუძლია შეას-
რულოს ცვლადის როლი მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც უშუალო ანა-
ლოზის საგნად სინტაგმატიკაა აღებული“ [16, 171. იხ. აგრეთვე 17, 214].

[გამოხატულების ფორმა, შინაარსის ფორმა].

262 ფუნქციო (დან. funktiv, ფრ. fonction, ინგლ. functive, რუს. функция):
„ფუნქციის [იხ.] წევრებს ჩვენ ვუწოდებთ ფუნქციებს, გვესმის რა ფუნქ-
ციე როგორც ობიექტი, რომელსაც აქვს ფუნქცია სხვა ობიექტებთან“ [18a,
20 (13, 31; 18b, 53; 18c, 292). იხ. აგრეთვე 22, 37].

[მუდმივი, ცვლადი].

263 ფუნქციური კატეგორია (დან. funktivkategorie, ფრ. categorie de fonc-
tifs, ინგლ. funclival category, რუს. функциональная категория):

„ფუნქციური კატეგორია გვესმის როგორც ისეთი კატეგორია [იხ.], რო-
მელიც დადგენილია ფუნქციური შესაძლებლობების მიხედვით ფუნქციური კა-
ტეგორიის [იხ.] დანაწევრებით“ [18a, 55 (13, 77; 18b, 118; 18c, 342)].

264 ფუნქცია (დან. funktion, ფრ. fonction, ინგლ. function, გერმ. Fun-
ktion, რუს. функция):

„დამოკიდებულებას [იხ.], რომელიც უპასუხებს ანალიზის [იხ.] პირო-
ბებს, ჩვენ ვუწოდებთ ფუნქციას“ [18a, 20 (13, 31; 18b, 53; 18c, 292)]. იხ.
აგრეთვე 20b, 8 (20, 12; 20a, 29)]. „სტრუქტურის აღწერა, ამგვარად, ამო-
იწურება იმ დამოკიდებულებათა აღწერით, რომლებიც არ არიან მთლიანად
დამოკიდებული სხვებზე და სიმარტივის პრინციპი [იხ.] მოითხოვს, რომ
სტრუქტურა დაყვანილ იქნეს ასეთ დამოკიდებულებამდე. ამ დამოკიდებუ-
ლებებს შეიძლება ეწოდოს ფუნქციები“ [9, 114]. „ფუნქცია გაგებულია
როგორც ნებისმიერი დამოკიდებულება“ [22, 36. იხ. აგრეთვე 8, 267]. „ნე-
ბისმიერი მოცემული ფუნქციის საპირობება არ გამომდინარეობს თვით მასა-
ლიდან [იხ.]. იგი ფასდება შესაბამისი თეორიით: ყველა ფუნქცია პოტენ-
ციურად მართებულია და ყოველი ფუნქცია მართებულია რაიმე თვალსაზრი-
სით; თვალსაზრისის, ე. ი. თეორიის, შეცვლა აუცილებლად იწვევს ხელახალ-
გადაფასებას. როდესაც გლოსემატიკაში ჩვენ ვირჩევთ გარკვეულ ფუნქცი-
ებს და გამოვრიცხავთ სხვებს, ეს ხდება არა იმიტომ, რომ გვწამს არჩეული
ფუნქციების აბსოლუტური უპირატესობა, არამედ მხოლოდ იმიტომ, რომ
სწორედ ეს ფუნქციებია რელევანტური ამ თეორიისათვის“ [22, 37].

[ურთიერთდამოკიდებულება, დეტერმინაცია, თავ-
სებადობა; კორელაცია, რელაცია; ორწევრიანი ფუნ-
ქცია, მრავალწევრიანი ფუნქცია].

265 ფუნქციური კატეგორია (დან. funktionskategorie, ფრ. categorie fonc-
tionnelle, ინგლ. functional category, რუს. функциональная категория):

„ანალიზი [იხ.] უნდა აიგოს იმგვარად, რომ ანალიზის საფუძველი [იხ.]
შეირჩეს ემპირიული პრინციპისა [იხ.] და მისგან გამომდინარე პრინციპების
შესაბამისად. წარმოიდგინოთ, რომ ანალიზის საფუძველად აღებულია სელექ-
ცია [იხ.], მაშინ პირველ ოპერაციაში [იხ.] მოცემული ჯაჭვი [იხ.] იყოფა
პირველი ხარისხის სელექციურ ერთეულებად. კატეგორიას, რომელიც მიი-
ღება ყველა ამ ერთეულისაგან, ჩვენ ვუწოდებთ ფუნქციურ კატეგორიას. ეს
უკანასკნელი გვესმის როგორც კატეგორია ფუნქციებისა, რომლებიც და-
დგენილია მოცემული ფუნქციის საფუძველზე ჩატარებული ერთგვარი ანა-

ლიზით. ასეთი ფუნქციური კატეგორიის შიგნით შეიძლება გამოიყოს ოთხი სახის ფუნქტივები: 1. ფუნქტივები, რომლებიც გვევლინებიან მხოლოდ როგორც სელექტირებული [იხ.]; 2. ფუნქტივები, რომლებიც გვევლინებიან მხოლოდ როგორც მასელექტირებული [იხ.]; 3. ფუნქტივები, რომლებიც გვევლინებიან როგორც სელექტირებული, ისე მასელექტირებული; 4. ფუნქტივები, რომლებიც არ გამოდიან არც სელექტირებული და არც მასელექტირებული ფუნქტივების როლში (ე. ი. ფუნქტივები, რომლებიც შედიან მხოლოდ სოლოდარობაში [იხ.] ან კომბინაციაში [იხ.], ან საერთოდ არ ირთვიან რელაციაში). აქ ჩამოთვლილ თითოეულ კატეგორიას ჩვენ ვუწოდებთ ფუნქტიურ კატეგორიას [იხ.]...“ [18a, 54—5 (18, 77; 18b, 118; 18c, 342)].

266 ფუძისეული ელემენტი (დან. stammelement, ფრ. élément radical, ინგლ. stem element, გერმ. Stammelement): იგივეა, რაც **3 ლ ე რ ე მ ა**.

ლ

267 ღირებულება (ფრ. valeur, ინგლ. value, რუს. значимость):

„ღირებულება, სოსიურისეული აზრით, ენის ორსავე სიბრტყეზე არის ელემენტი, რომელიც განსაზღვრავს კორელაციათა [იხ.] პარადიგმატიკულ განაწილებას. წევრების რიცხვი, რომელიც განსაზღვრავს კატეგორიის [იხ.] ან პარადიგმის [იხ.] შემადგენლობას და განაპირობებს მის ფარგლებში წევრების პოტენციური ურთიერთმოქმედების სფეროს, შესაძლო დაპირისპირებები (ანუ ფაქულტატიური შენაცვლებები)... და ის აზრი, რომელიც მათ უნდა მიეწეროს,—ყველაფერი ეს შეიძლება დადგენილ და განკვეთილ იქნეს სუბტანციის გარეშე. ამიტომაც არის შესაძლებელი გრამატიკული სქესის სისტემათა იდენტობის დადგენა ლათინურსა და გერმანულ ენებში ან მარტივი დროების სისტემათა იდენტობის დადგენა ინგლისურში, დანიურსა და გერმანულში მხოლოდ იმის გათვალისწინებით, რაც განეკუთვნება ღირებულებას, მნიშვნელობის ყოველგვარი ელემენტების შემოტანის გარეშე“ [18, 279—80 (18a, 130—31)].

ყ

268 ყოველდღიური ენა (დან. dagligsprog, ფრ. langue de tous les jours, langue quotidienne, ინგლ. everyday language): იგივეა, რაც **შ ე უ ზ ლ უ ღ ა ვ ი ე ნ ა** [შდრ. 20b, 104—5 (20, 101; 20a, 139)].

შ

269 შევსებადი ფუნქტივი (დან. komplementær funktiv, ფრ. fonctif complémentaire, ინგლ. complementary functive, რუს. комплементарный функцив): იხ. **უ რ თ ი ე რ თ და მ ო კ ი დ ე ბ უ ლ ი ფ უ ნ ქ ტ ი ვ ე ბ ი**.

270 შევსებადობა (დან. komplementaritet, ფრ. complémentarité, ინგლ. complementarity, რუს. комплементарность) [|| ურთიერთგანაპირობებული კორელაცია]:

„... ურთიერთდამოკიდებულებას [იხ.] წევრებს შორის სისტემაში [იხ.] ჩვენ ვუწოდებთ შევსებადობას...“ [18a, 15 (18, 23; 18b, 42; 18c, 284). იხ. აგრეთვე 22, 66].

271 შეზღუდული ენა (ფრ. langue restreint) [|| არაფილოლოგიური ენა]

„თუ ტერმინ „ენას“ [langage] ავიღებთ ფართო მნიშვნელობით, შეგვიძლია განვასახვავოთ ორი სახის ენები, რომლებიც ზუსტად ემთხვევიან „არაფილოლოგიურ“ და „ფილოლოგიურ“ ენათა სფეროებს. ეს არის, ერთი მხრივ, შეზღუდული ენები, რომლებიც გამოიყენებიან მხოლოდ გარკვეული მიზნებისათვის და, მეორე მხრივ, შეუზღუდავი ანუ ყოველდღიური ენები. ესენი შეიძლება გამოყენებულ იქნენ ნებისმიერი ლინგვისტური მიზნებისათვის და გამოდგებიან ყველგან, რადგანაც მათი საშუალებით შეიძლება ფორმულირებულ იქნეს ნებისმიერი აზრი და მათზე შეიძლება ითარგმნოს ყველაფერი“ [21, 180]. „შეუზღუდავი ანუ „ფილოლოგიური“ ენა გამოდგება ნებისმიერი აზრის გამოსახატავად, მაშინ როდესაც შეზღუდული ენები, როგორცაა მათემატიკური ფორმულები, გამოდგებიან მხოლოდ მნიშვნელობათა გარკვეული კლასისათვის. ...ყველაფერი ის, რაც ითქმის დანიურზე, შეიძლება ითარგმნოს ინგლისურ ენაზეც და პირიქით, იმიტომ, რომ ესენი შეუზღუდავი ენებია. ის, რაც ფორმულირებულია მათემატიკურ ენაზე, შეიძლება გამოიხატოს ინგლისურად, მაგრამ არ იქნება სწორი იმის დაშვება, რომ ყველა ინგლისური გამონათქვამი შეიძლება გამოიხატოს მათემატიკური ფორმულებით. ეს იმიტომ ხდება, რომ მათემატიკური ფორმულების ენა შეზღუდულია, მაშინ როდესაც ინგლისური არ არის შეზღუდული ენა“ [21, 179].

272 შემადგენელი ელემენტი (დან. grundelement, ფრ. élément constituant, ინგლ. constituent, basic element, გერმ. Konstituent):

„...ელემენტებს [იხ. ელემენტი 2], რომლებიც შედიან აქცენტურ თემაში [იხ.], შეიძლება ეწოდოთ „შემადგენლები“ [8, 268]. „ექსპონენტი [იხ.] არის ის, რომელსაც აქვს უნარი იყოს მართული აქცენტურ სინტაგმებსა [იხ.] ან აქცენტურ სინტაგმებზე უფრო დიდ ერთეულებს შორის არსებული მართვის [იხ.] დროს. შემადგენელი არის ის, რომელსაც არა აქვს უნარი იყოს მართული ასეთი მართვის დროს“ [8, 269]. „მახასიათებელი ელემენტი [იხ.] ჩვენ გვეხმის ან როგორც ელემენტი, რომელსაც შეუძლია იყოს მართული ღირეკი-ციაში [იხ.], ან როგორც ელემენტი, რომელსაც შეუძლია შევიდეს პარადიგ-მაში ასეთ ელემენტთან ერთად. შემადგენელი ელემენტი იქნება ელემენტი, რომელსაც არა აქვს არც ერთი თვისება“ [20b, 107 (20, 104—5; 20a, 143). იხ. აგრეთვე 2, 155; 7, 218—9; 11, 51]. „ენის ორსავე სიბრტყეზე, კენემატიკურ სიბრტყეზე [იხ.] და პლერემატიკულ სიბრტყეზე [იხ.], შეიძლება განსხვავებულ იქნეს შემადგენლები (შესაბამისად—კენემები და პლერემები) და ექსპონენტები“ [8, 318]. „შინაარსის სიბრტყეზე... შემადგენელი ელემენტებია ფუძისეული ელემენტები“ [20b, 107 (20, 105; 20a, 143)].

273 შემადგენლის ტიპები (დან. typer, ფრ. types, ინგლ. types):

„შემადგენლები [იხ.] ძირითად ერთეულში, ჩვეულებრივ სინტაგმატემაში [იხ.], მათი ფუნქციის მიხედვით იყოფიან ტიპებად. შემადგენლები—პლერემატიკაში: პლერემები, კენემატიკაში: კენემები—ჩვეულებრივ ორი ტიპისაა: ცენტრალური და განაპირა“ [8, 272. იხ. აგრეთვე 11, 51; 20b, 109 (20, 106—7; 20a, 145)].

[გ ა ნ ა პ ი რ ა შე მ ა დ გ ე ნ ე ლ ი, ც ე ნ ტ რ ა ლ უ რ ი შე მ ა დ გ ე ნ ე ლ ი].

274 შემცირების პრინციპი (დან. reduktionsprincip, ფრ. principe de réduction, ინგლ. principle of reduction, რუს. принцип сокращения, принцип сводимости):

„ყოველი ოპერაცია [იხ.] პროცედურაში [იხ.] უნდა გაგრძელდეს ან გამორდეს მანამდე, სანამ აღწერა არ იქნება ამომწურავი. ამ ოპერაციამ ყოველ საფეხურზე უნდა შეძლოს ობიექტთა უმცირესი რიცხვის გამოვლენა. თუ დაყოფის ყოველ საფეხურზე მიღებულ არსებს [იხ.] ვუწოდებთ ელემენტებს, მაშინ შემცირების პრინციპი ანალიზის [იხ.] მიმართ მიიღებს ასეთ სახეს: ყოველი დაყოფა (ან დაყოფათა კომპლექსი), რომელშიც ფუნქტივები [იხ.] რეგისტრირებულია მოცემული ფუნქციით [იხ.] როგორც დაყოფის საფუძვლით [იხ.], უნდა ჩატარდეს ისე, რომ მან მიგვიყვანოს ელემენტთა უმცირესი რიცხვის გამოვლენამდე“ [18a, 38 (13, 55; 18b, 88; 18c, 319). იხ. აგრეთვე 22, 32 (22a, 432)]

275 შერწყმა (დან. sammenfald, ფრ. fusion, ინგლ. coalescence, რუს. коалесценция):

„სინკრეტიზმი [იხ.] შეიძლება მანიფესტირებულ იქნეს ორგვარად: როგორც შერწყმა და როგორც იმპლიკაცია [იხ.]. შერწყმა სინკრეტიზმის ისეთი მანიფესტაციაა [იხ.], რომელიც სუბსტანციური იერარქიის თვალსაზრისით იდენტურია სინკრეტიზმში შემავალი ყველა ფუნქტივის [იხ.] მანიფესტაციისა ან არის არც ერთი მათგანის იდენტური. [...] მაგ., სახ. და ბრალდ. ბრუნვების სინკრეტიზმი ლათინურში იღებს მნიშვნელობას „სახელობით-ბრალდებითი“...; ასევე, სინკრეტიზმი p/b დანიურში წარმოითქმის ისე, როგორც ჩვეულებრივ p და b... სინკრეტიზმის მაგალითები, როდესაც მანიფესტაცია არ არის იდენტური სინკრეტიზმში, შემავალი არც ერთი ფუნქტივის მანიფესტაციისა, არის რუსულსა და ინგლისურში, სადაც გარკვეულ აქცენტურ პირობებში გვაქვს განსხვავებულ ხმოვანთა დამთხვევა და სინკრეტიზმი წარმოითქმის როგორც [აქ]“ [18a, 57 (18, 80; 18b, 123—4; 18c, 345—6)].

276 შეხიტუება (დან. junktion, ფრ. jonction, ინგლ. junction): იხ. დ ი ე ქ ი ა.

277 შეუზღუდავი ენა (ფრ. langage non-ressreint) [|| ფილოლოგიური ენა, ყოველდღიური ენა]: იხ. შ ე ზ ლ უ დ უ ლ ი ე ნ ა.

278 შინაარსი (დან. indhold, ფრ. contenu, ინგლ. content, გერმ. Inhalt, რუს. содержание): იხ. ნ ი შ ნ უ რ ი ფ უ ნ ქ ი ა.

279 შინაარსის მასალა (დან. indholdsmening, ფრ. sens du contenu, ინგლ. content purport, გერმ. Inhaltsstoff, რუს. материал содержания):

„ჩვენ ვხედავთ, რომ ჯაჭვებს

jeg véd det ikke	(დანიური)	} „არ ვიცი“
I do not know	(ინგლისური)	
je ne sais pas	(ფრანგული)	
en tiedä	(ფინური)	
naluvava	(ესკიმოსური)	

მიუხედავად განსხვავებებისა, აქვთ საერთო ფაქტორი, სახელდობრ, მასალა [იხ.], თვით აზრი. ეს მასალა, ამგვარად განხილული, წინასწარ არსებობს როგორც ამორფული მასა, როგორც დაუნაწევრებელი არსი, რომელიც განისაზღვრება მხოლოდ გარეგანი ფუნქციებით, კერძოდ, თავისი ფუნქციით თითოეულ შემომოყვანილ ენობრივ წინადადებასთან. [...] დღიე ფიქრი არ არის საჭირო იმის გასარკვევად, რომ ყოველივე ეს სამართლიანია შინაარსის სისტემისთვისაც. შეიძლება ითქვას, რომ ნებისმიერი პარადიგმა [იხ.] ერთ

ენაში და შესაბამისი პარადიგმა სხვა ენაში ფარავენ მასალის ერთსა და იმავე ზონას. ეს მასალა, თუ მოეხდინებინათ ამ ენათაგან აბსტრაქციას, წარმოგვიდგება როგორც დაუნაწევრებელი ამორფული კონტინუუმი, რომელშიც საზღვრები გავლებულია მხოლოდ ენის ფორმაციის მოქმედებით“ [18a, 31—3 (18, 47—8; 18b, 75—6; 18c, 309—10)].

280 შინაარსის მხარე (დან. indholdside, ფრ. face du contenu, ინგლ. content side, გერმ. Inhaltsseite, რუს. сторона содержания): იხ. გ ა მ ო ხ ა ტ უ ლ ე ბ ი ს მ ხ ა რ ე .

281 შინაარსის სიბრტყე (დან. indholdsplan, ფრ. plan du contenu, ინგლ. content plane, გერმ. Inhaltsplan, რუს. план содержания): [|| პლერემატიკული სიბრტყე]:

„საერთო სახელწოდებად... შინაარსის ხაზისა [იხ.] და შინაარსის მხარისათვის [იხ.], გამოვიყენებთ ...შინაარსის სიბრტყეს...“ [18a, 37 (18, 54; 18b, 84; 18c, 317)].

282 შინაარსის სუბსტანცია (დან. indholdssubstans, ფრ. substance du contenu, ინგლ. content substance, გერმ. Inhaltssubstanz, რუს. субстанция содержания):

„ყოველი ენა თავის საკუთარ საზღვრებს ავლებს ამორფულ „აზრობრივ მასაში“, გამოყოფს სხვადასხვა ფაქტორებს, სიმძიმის ცენტრს ათავსებს სხვადასხვა ადგილებში და წარმოგვიდგენს მათ სხვადასხვაგვარი ემფაზით. [...] ამგვარად, ენობრივ შინაარსში, მის პროცესში, ვადგენთ სპეციფიკურ ფორმას [იხ.], შინაარსის ფორმას, რომელიც დამოუკიდებელია ნებისმიერი მასალის მიმართ და აფორმებს მას შინაარსის სუბსტანციად. დიდი ფიქრი არ არის საჭირო იმის გასარკვევად, რომ ყოველივე ეს სამართლიანია შინაარსის სისტემისთვისაც. [...] იმ პარადიგმების მიღმა, რომლებიც დადგენილია სხვადასხვა ენებში ფერის აღსანიშნავად, თუ გამოვრიცხავთ განსხვავებებს, შეგვიძლია გამოვყოთ ისეთი ამორფული კონტინუუმი—ფერთა სპექტრი, რომელშიაც ყოველი ენა ნებისმიერად აღგენს თავის საზღვრებს. [...] ასეთ მდგომარეობას გვიჩვენებს მორფემათა პარადიგმებიც. რიცხვის ზონა სხვადასხვაგვარად იყოფა იმ ენებში, რომლებიც განასხვავებენ მარტო მხოლოდობით და მრავლობით რიცხვებს, იმ ენებში, სადაც გვაქვს ორობითი რიცხვიც (ძვ. ბერძნულისა და ლიტვურის მსგავსად) და იმ ენებში, სადაც გვაქვს პაუკალური ან უბრალოდ სამობითი რიცხვი... და აგრეთვე ოთხობითი რიცხვიც...“ [18a, 31—3 (18, 56; 18b, 68; 18c, 311—2)].

283 შინაარსის ფორმა (დან. indholdsform, ფრ. forme du contenu, ინგლ. content form, გერმ. Inhaltsform, რუს. форма содержания): იხ. ფ ო რ მ ა .

284 შინაარსის ხაზი (დან. indholdslinie, ფრ. ligne du contenu, ინგლ. content line, რუს. линия содержания): იხ. გ ა მ ო ხ ა ტ უ ლ ე ბ ი ს მ ხ ა ზ ი .

285 შინაგანი ერთეული (ფრ. unité intrinsèque, ინგლ. intrinsic unit, რუს. внутренняя единица): იგივეა, რაც ფ ი გ უ რ ა .

286 შინაგანი რელაცია (ფრ. relation intrinsèque):

„... რელაციები, რომელთაც ადგილი აქვთ ერთი და იმავე შრის [იხ.] შიგნით (და რომელთაც ეწოდებთ შინაგან რელაციებს)“ [16, 183].

287 შრე (ფრ. stratum):

„ფაქტობრივად, ჩვენი ერთ-ერთი დებულება... გულისხმობს, რომ გარკვეული თვალსაზრისით არსებობს ანალოგიური მიმართება შინაარსის სუბსტანციას, შინაარსის ფორმასა, გამოხატულების ფორმასა და გამოხატულების სუბსტანციას შორის ... შეიძლება ჩამოვაყალიბოთ წესები, რომლებიც განაგებენ ამ ოთხ (წყვილ-წყვილად აღებულ) სიდიდეს შორის მიმართებებს... მაშასადამე, სასარგებლო იქნებოდა გვეჩონოდა საერთო სახელწოდება ამ სიდიდეთა აღსანიშნავად. ...ჩვენ მათ ვუწოდებთ შრეებს“ [10, 165]. „...შრეები უშუალო ანალიზის დროს წარმოგვიდგება როგორც თანაარსებული და, მაშასადამე, ერთ კლასში გაერთიანებულ შრეებს შორის ძირითადი ფუნქცია უშუალო ანალიზისათვის არის რელაცია [იხ.] (ანუ ლოგიკური კონიუნქცია). [...] მაგრამ სისრულისათვის შრეები უნდა განვიხილოთ როგორც მონაცვლეები, ე. ი. როგორც ერთი პარადიგმის [იხ.] წევრები, რომელთა შორის ძირითადი ფუნქცია არის კორელაცია [იხ.]“ [10, 170].

288 შრეთაშორისი რელაცია (ფრ. relation interstratigue):

„შეიძლება დადგინოთ იქნეს გარკვეული წესები, რომლებიც განაგებენ შრეებს [იხ.] შორის რელაციებს (ერთი მხრივ — მანიფესტაციას [იხ.], მეორე მხრივ — სემიოტიკურ რელაციას [იხ. ს ე მ ი ო ტ ი კ უ რ ი ფ უ ნ ქ ც ი ა] ანუ დენოტაციას), ან უფრო ზუსტად, შრეებს შორის რელაციათა (შრეთაშორისი რელაციათა) მიმართებებს...“ [10, 183].

[მ ა ნ ი ფ ე ს ტ ა ც ი ა , ს ე მ ი ო ტ ი კ უ რ ი ფ უ ნ ქ ც ი ა].

3

289 ცალმხრივად განპირობებული კორელაცია (დან. ensidig forudsætningsforbold, ფრ. corrélation de présupposition unilatérale, ინგლ. unilateral implicational correlation): იგივეა, რაც ს პ ე ც ი ფ ი კ ა ც ი ა [შდრ. 20b, 107 (20, 104; 20a, 142)].

290 ცალმხრივად განპირობებული რელაცია (დან. ensidig forudsætningsforbindelse, ფრ. relation de présupposition unilatérale, ინგლ. unilateral implicational relation): იგივეა, რაც ს ე ლ ე ქ ც ი ა [შდრ. 20b, 99 (20, 95; 20a, 132)].

291 ცალმხრივი იმპლიკაცია (დან. ensidig implikation, ფრ. implication unilatérale, ინგლ. unilateral implication, რუს. односторонняя (унилатеральная) импликация):

„თუ სინკრეტიზმი [იხ.] მელერ და ყრუ თანხმობენ შორის ხორციელება (როგორც ეს გვაქვს, მაგ., სლაურ ენებში) იმეკარად, რომ ყრუ თანხმობანი მელერი თანხმობის წინ წარმოითქმის როგორც მელერი, ხოლო მელერი თანხმობანი ყრუ თანხმობის წინ—როგორც ყრუ, მაშინ იმპლიკაცია იქნება არა ცალმხრივი; არამედ მრავალმხრივი (ორმხრივი): ურთიერთგამომრიცხავ პირობებში მელერი იმგავსებს ყრუს, ხოლო ყრუ — მელერს“ [18a, 58 (18, 81; 18b, 124; 18c, 346)].

292 ცალმხრივი მართვა (ფრ. rectiön unilatérale): იგივეა, რაც დ ე ტ ე რ მ ი ნ ა ც ი ა [შდრ. 21, 225].

293 ცალმხრივი ფუნქცია (ფრ. fonction unilatérale): იგივეა, რაც დ ე ტ ე რ მ ი ნ ა ც ი ა [შდრ. 16, 171].

204 ცენტრალური ელემენტი (დან. central element, ფრ. élément central, ინგლ. central element): იგივეა, რაც ცენტრალური შემადგენელი.

205 ცენტრალური შემადგენელი (ფრ. constituent central, ინგლ. central constituent) || ცენტრალური ელემენტი):

„ისევე როგორც ექსპონენტები [იხ.], შემადგენლებიც [იხ.] იყოფიან ორ ტიპად: ცენტრალურ შემადგენლებად, რომლებიც შეიცავენ 1. შემადგენლებს, რომელთაც აქვთ უნარი თვითონ შექმნან გამონათქვამი და 2. შემადგენლებს, რომელთაც ეს უნარი რეალიზებული არა აქვთ, მაგრამ ფუნქციონალური თვალსაზრისით ასევე იქცევიან, და განაპირა შემადგენლებად [იხ.]... . ცენტრალური პლერემებია ძირეული ელემენტები... . ცენტრალური კენემებია ხმოვნები... . გარდა ამისა, აქვე შემოდის გამოხატულების კონკრეტული ფაქტობიც: სერბულ-ხორვატული *filo* სიტყვის *r* არის კენემატიკური ხმოვანი“ [5, 318—9. იხ. აგრეთვე 2, 155; 7, 218—9; 8, 271—2]. „ცენტრალური ელემენტები ის ელემენტებია, რომლებიც აუცილებელი არიან მინიმალურ ერთეულებში ან შედიან პარადიგმაში ასეთ ელემენტებთან“ [20b, 109 (20, 106—7; 20a, 145). იხ. აგრეთვე 21, 223]. „გამოხატულების სიბრტყეზე, სადაც მინიმალური ერთეულია მარცვალი, აუცილებელი ელემენტებია ხმოვნები... . შინაარსობრივი მარცვლები“... . რომლებიც იყოფა აუცილებელ ანუ ძირეულ ელემენტებად... და დერევაციულ ელემენტებად“ [20b, 110 (20, 107; 20a, 146)].

206 ცვლადი (დან. variabel, ფრ. variable, ინგლ. variable, რუს. переменная):

„...ცვლადი ჩვენ გვესმის როგორც ფუნქტივი [იხ.], რომლის არსებობა არ წარმოადგენს აუცილებელ პირობას იმ ფუნქტივის არსებობისათვის, რომელთანაც მას აქვს ფუნქცია [იხ.]“ [18a, 21 (18, 32; 18b, 55; 18c, 294)].

207 ცნება (დან. begreb, ფრ. concept, ინგლ. concept, რუს. понятие, концепт):

„თუ ჩვენ გვინდა ზუსტი მნიშვნელობა მივაწეროთ სიტყვა „ცნებას“, უნდა განვიხილოთ იგი როგორც ამოხსნადი სინკრეტიზმი [იხ.] საგნებს შორის (სახელდობრ, იმ საგნებს შორის, რომლებიც შედიან ცნებაში)“ [18a, 59 (18, 83; 18b, 127; 18c, 348)]. „ინვენტარა [იხ.] მანიფესტაციის [იხ.] აღსაწერად შეიძლება მიემართოთ სხვადასხვა პროცედურას. ყველაზე დამაკმაყოფილებლად მიგვაჩნია ის პროცედურა, რომელიც აბსტრაქციის გზით ადგენს „ცნებას“ ანუ გვარეობით ტერმინს, ითვალისწინებს რა ყველა შესაძლებელი ვარიანტის ყველა შესაძლებელ მანიფესტაციას. ასე, გამოხატულების სიბრტყეზე უნდა განისაზღვროს ფონემატემა [იხ.] და გრაფემატემა (ფონემა და გრაფემა). ამავე პროცედურით ანალოგიურად შეიძლება განისაზღვროს სემატემა, ვერტიკანები რა „ცნებაში“ ანუ გვარეობით ტერმინში მოცემული უზუსტის [იხ.] თვალსაზრისით შესაძლებელ კერძობით მნიშვნელობებს, საიდანაც აღნიშნული პროცედურის გზით შეიძლება გამოყვანილი იქნეს ნორმა“ [18, 280—81 (18a, 132)]. „გვარეობითი ტერმინი შეიძლება დადგინდეს... არსებობის პოსტულატის გარეშე. ეს არის უბრალოდ აღწერის მეთოდი, რომლითაც ერთიანდება და აიხსნება ცალკეულ შესაძლებლობათა უდიდესი რაოდენობა, დაიყვანებიან რა ეს შესაძლებლობები ზოგად ფორმულამდე“ [17, 218—9].

298 ძირეული ელემენტი (დან. *rodelement*, ფრ. *élément radical*, ინგლ. *radical element*, გერმ. *Wurzelement*): იხ. ცენტრალური შემადგენელი.

299 წარმოება (ფრ. *dérivation*, ინგლ. *derivation*, რუს. *деривация*): „წარმოება არის ფუნქცია [იხ.], რომელიც არსებობს ერთეულსა და იმავეს [იხ.] შორის, რომლის წევრადაც თვით გველინება“ [22, 84].

300 წარმოებული (დან. *derivat*, ფრ. *dérivé*, ინგლ. *derivate*, რუს. *derivat*):

„გაგრძელებული ანალიზის შემთხვევაში ჩვენ ვილაპარაკებთ წარმოებულებზე. მაშინ იერარქია [იხ.] იქნება თავის წარმოებულთა კლასი. ...კლასის წარმოებულები ჩვენ გვესმის როგორც მისი სეგმენტები და სეგმენტთა სეგმენტები ერთი და იმავე დედუქციის ფარგლებში“ [18a, 20 (18, 30; 18b, 51; 18c, 292)]. იხ. აგრეთვე 22, 84].

301 წარმოებულის შემოწმება (დან. *derivatprøve*, ფრ. *épreuve de dérivé*, ინგლ. *derivative test*, რუს. *derivационное испытание*):

„ორი ფუნქციები [იხ.] იქნება ერთგვაროვანი, თუ ერთი ფუნქციის ნებისმიერი კონკრეტული წარმოებული [იხ.] უგამონაკისოდ შედის იმავე ფუნქციაში [იხ.], რომელშიც შედის სხვა ფუნქციის კონკრეტული წარმოებული და პირიქით. შესაბამისად, ჩვენ შეგვიძლია ჩამოვყალიბოთ წესი, რომ ერთი და იმავე კლასის [იხ.] ორი შესამოწმებელი სეგმენტი [იხ.] დაიყვანება ერთ სეგმენტამდე, თუ ისინი არიან ერთგვაროვანი და არ შედიან კომუტაციაში [იხ.]. შემოწმება, ჩვენ მას ვუწოდებთ წარმოებულის შემოწმებას, რომელიც ადგენს ამ წესს, თეორიის მიერ კომუტაციურ შემოწმებასთან ერთად შემოტანილია ანალიზის ყოველი კონკრეტული ეტაპისათვის“ [18a, 72 (18, 99; 18b, 151; 18c, 366—7)].

302 წარმოებულის ხარისხი (დან. *derivaters grad*, ფრ. *degré des dérivés*, ინგლ. *degree of the derivatives*, რუს. *степень производной*):

„წარმოებულის [იხ.] ხარისხს ჩვენ ვუწოდებთ იმ კლასების [იხ.] რიცხვს, რომელთა გზით წარმოებულები დამოკიდებული არიან თავიანთ პირველად საერთო კლასზე. თუ კლასების რიცხვი ნულია, მაშინ გვაქვს პირველი ხარისხის წარმოებულები, თუ ერთი—მეორე ხარისხისა და ა. შ. [...] მაშასადამე, პირველი ხარისხის წარმოებულები და სეგმენტები [იხ.] ტოლფასოვანი ტერმინებია“ [18a, 20 (18, 30; 18b, 52; 18c, 292)].

303 წევრი (დან. *led*, ფრ. *membre*, ინგლ. *member*, რუს. *член*):

„...პარადიგმის [იხ.] სეგმენტებს [იხ.] ვუწოდებთ მის წევრებს“ [18a, 18 (18, 28; 18b, 48; 18c, 289)].

304 ხმოვანი (დან. *vokal*, ფრ. *voyelle*, ინგლ. *vowel*, გერმ. *Vokal*): იხ. ცენტრალური შემადგენელი.

305 ჯამი (დან. sum, ფრ. somme, ინგლ. sum, რუს. сумма):

„კლასს [იხ.], რომელსაც აქვს ფუნქცია [იხ.] ერთ ან რამდენიმე სხვა კლასთან ერთი და იმავე რიგის ფარგლებში, ვუწოდებთ ჯამს“ [13a, 54, (19, 76; 13b, 117; 13c, 341)].

[ე რ თ ე უ ლ ი, კ ა ტ ე გ ო რ ი ა].

306 ჯაჭვი (დან. kæde, ფრ. chaîne, ინგლ. chain, გერმ. Kette, რუს. цепь):

„კლასებს [იხ.] ენობრივ პროცესში [იხ.] ვუწოდებთ ჯაჭვებს...“ [18a, 18 (18, 28; 18b, 48; 18c, 289)].



ზრანგულ ტერმინთა საკითხები

A

accent 14
 accent syntagm (ინგლ.) 16
 accent theme (ინგლ.) 15
 acte 160
 adéquation 98
 analyse 7
 application 49
 arl trariness of a theory (ინგლ.) 99
 articulation 47
 autonomie 1

B

base d'analyse 9,51
 but de la théorie du langage 139

C

catalyse 110
 catégorie 111
 catégorie de fonctifs 263
 catégorie fonctionnelle 265
 cénématème 113
 cénématie 114
 cénématique 115
 cénème 112
 cénie 117
 chaîne 306
 chaînon 172
 classe 118
 classe réalisée 198
 classe virtuelle 88
 combinaison 120
 commutation 122
 complémentarité 270
 complexe d'analyses
 (complexe de divisions) 6
 concept 297
 conjonction 126

connexion 124, 133
 connotateur 127
 consonne 94
 constante 169
 constellation 93
 constituant central 295
 constituant marginal 29
 contenu 278
 contoid (ინგლ.) 130
 corrélat 131
 corrélation 132
 corrélation de présupposition réciproque
 245
 corrélation de présupposition unilatérale
 289
 corrélation sans présupposition 33

D

déduction 52
 déduction paradigmaticque 183
 deduktive Phonetik (გერმ.) 54
 deduktive Semantik (გერმ.) 53
 définition 32
 degré de dérivés 302
 dépendance 45
 dérivation 299
 dérivé 300
 description 19
 détermination 58
 détermination bilatérale 178
 diachronie 60
 direction 62
 d sjonction 61
 Distanzfunktion (გერმ.) 63
 distinctive feature (ინგლ.) 31
 division 48, 50

E

élément 65
 élément caractérisant 153

* საძიებელში მოცემულია აგრეთვე ინგლისური და გერმანული ტერმინებიც ისეთ შემთხვევებში, როდესაც შესაბამისი ფრანგული ტერმინი გვაკლია.

élément central 294
élément constituant 272
élément de dérivation 56
élément de flexion 255
élément de flexion nominale 204
élément de flexion verbale 91
élément extense 83
élément intense 107
élément périphérique 185
élément radical 266, 298
empirisme 69
épreuve de commutation 123
épreuve de dérivé 301
espèces 66
état synchronique 229
exposant 81
exposant converti 125
exposant extense 84
exposant intense 108
expression 22

F

face de l'expression 24
face du contenu 280
familiarité avec une langue 77
figure 252
fonctif 262
fonctif autonome 2
fonctif combiné 121
fonctif complémentaire 269
fonctif connexe 134
fonctif constellaire 92
fonctif déterminant 57
fonctif déterminé 59
fonctif réciproque 201
fonctif sélectionnant 150
fonctif sélectionné 206
fonctif solidaire 232
fonctif spécifiant 151
fonctif spécifié 235
fonctifs conformes 78
fonctifs interdépendants 249
fonction 264
fonction hétéroplane 171
fonction homoplane 80
fonction multilatérale 168
fonction paradigmatique 184
fonction sémiologique 213
fonction sémiotique 175, 216
fonction syntagmatique 228
fonction unilatérale 180, 293
forme 261
forme de l'expression 27
forme du contenu 283

forme matérielle 152
fusion 275.

G

glossématique 37
glossématique 38.
glossème 36
glossie 39
grammaire 40
grandeur 13
graphématème 42
graphème 41

H

hiérarchie 100
homogénéité de la dépendances 46

I

implication 102
implication multilatérale (bilatérale) 167
implication unilatérale 291
indicateur 104
individual (ინდივიდუალური) 103
induction 105
interdépendance 248
intonation 109
invariant 106

J

jonction 276

K

Kontaktfunktion (კავშირის) 129

L

langage 71
langage de dénotation 55
langage non-philologique 12
langage non-restreint 277
langage non-scientifique 11
langage-objet 215
langage philologique 254
langage restreint 271
langage scientifique 161
langue 71
langue de tous les jours 268
langue quotidienne 268
latence 135
lexie 136
ligne de l'expression 28
ligne du contenu 284
linguistique immanente 101
linguistique structurale 237

M

manifestante 143
 manifestation 144
 manifestée 146
 matière 149
 membre 303
 métachronie 158
 métalangage 154
 métalangage scientifique 155
 métasémiologie 156
 métasémiotique 157
 méthode apriorique 10
 méthode empirique 70
 modulation 163
 modulation syntagm (ინგლ.) 165
 modulation theme (ინგლ.) 164
 morphème 166
 mutation 170

N

nexus 173
 niveau d'appréciation collective 119
 niveau physique 253
 niveau socio-biologique 233
 niveaux de la substance 240
 nom 203
 norme 176

O

object language (ინგლ.) 72
 opération 177

P

paradigmatique 182
 paradigme 181
 parole 159
 partition (ინგლ.) 48
 permutation 186
 perspectives de la théorie du langage 140
 phonématème 257
 phonématique 258
 phonème 256
 plan 217
 plan scénaristique 116
 plan de l'expression 25
 plan du contenu 281
 plan plérematique 191
 plérematème 188
 plérematie 189
 plérematique 190
 pléreme 187
 plérie 192

prephonème (ინგლ.) 193
 principe d'économie 64
 principe de description exhaustive 3
 principe de généralisation 30
 principe de l'analyse 8
 principe de la simplicité 219
 principe d'empirisme 69
 principe de réduction 274
 principe structural 238
 procédure 196
 procès 197
 prosodème 194
 prosodie 195
 prosodie manifestée graphiquement 43
 prosodie manifestée phoniquement 260

R

rapport 162
 réciprocité 202
 réaction 147
 réaction bilatérale 179
 réaction mutuelle 250
 réaction unilatérale 292
 relat 199
 relation 200
 relation de présupposition réciproque 247
 relation de présupposition unilatérale 290
 relation interslatique 288
 relation intrinsèque 286
 relation sans présupposition 34
 résolution 224

S

schéma 242
 schéma de la langue 75
 schéma linguistique 75
 segment (ინგლ.) 205
 sélection 207
 sémantème 208
 sématème 210
 sémantique 211
 sémiologie 212
 sémiotique 214
 sémiotique connotative 128
 sémiotique linguistique 141
 sens 149
 sens d'expression 23
 sens du contenu 279
 signal 218
 signe 174
 signifiant 17
 signifié 18
 solidarité 231
 somme 305

sous-types 68
spécification 234
stratum 287
structure 236
structure linguistique 73
substance 239
substance de l'expression 26
substance du contenu 282
substance sémiotique immédiate 251
substitution 241
superposition 44
suspension 21
syllabe 148
symbole 220
synchrélisme 223
synchrélisme dissoluble 5
synchrélisme indissoluble 4
syntagmatème 226
syntagmatique 227
syntagme 225
synthèse 222
système 230
systèmes de symboles 221

T

taxème 243
term de manifestiaton 145
texte 244

thème 95
théorème 96
théorie 97
théorie du langage 138
types 67, 82, 273
typologie de la signification 209
typologie de la structure linguistique 74
typologie phonétique 259

U

unité 79
unité extrinsèque 35
unité intrinsèque 285
usage 245
usage de la langue 76
usage linguistique 76

V

valeur 267
variable 296
variante 85
variation 87
variété 86
variété localisée 142
verbe 90
vocoid (o68л.) 89
voyelle 304

ქ რ ო ნ ი კ ა

1971 წლის 22—26 ნოემბერს ქ. თბილისში ჩატარდა სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტისა და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის გაერთიანებული სამეცნიერო სესია, რომელიც მიეძღვნა პრობლემას „ენა და მეტყველება“. სესიის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს სპეციალისტებმა საბჭოთა კავშირის სხვადასხვა საენათმეცნიერო ცენტრებიდან.

სესია გახსნა და შესავალი სიტყვა წარმოთქვა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა, პროფ. ა რ ნ ო ლ დ ჩ ი ქ ო ბ ა ე ა მ. თავის გამოსვლაში მან ხაზი გაუსვა განსახილველი პრობლემის მნიშვნელობასა და აქტუალურობას.

სესიაზე ძირითადი მოხსენებით „ენისა და მეტყველების ურთიერთმიმართების შესახებ“ გამოვიდა პროფ. თ ი ნ. შ ა რ ა შ ე ნ ი ძ ე (თბილისი). ამ მოხსენების სრული ტექსტი დასტამბული სახით დაურვიდა სესიის მონაწილეებს.

თ. შარაძენიძემ მოხსენებაში განიხილა ენისა და მეტყველების დიქტომიის ისტორია. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ეს დაპირისპირება ამა თუ იმ სახით შეინიშნებოდა სოსიურამდეც (ვ. ჰუმბოლტი, ი. ა. ბოდუენ დე კურტენე, გ. ფონ დერ გაბელენცი, ფ. ფინკი...). თ. შარაძენიძემ დაწვრილებით გააანალიზა ფერდინანდ დე სოსიურის კონცეფცია. სახელდობრ, განიხილა სხვადასხვა ნიშნები, რომლებიც გამოიყენა სოსიურმა ენისა და მეტყველების დაპირისპირებისათვის. ამ ნიშნებიდან რელევანტურად იქნა მიჩნეული ფორმისა და სუბსტანციის, აგრეთვე ნიშანთა სისტემის პოტენციალური ცოდნისა და მისი რეალიზაციის განსხვავება. მაგრამ, მომხსენებლის აზრით, ეს განსხვავებები არ იძლევა საფუძველს ორი ავტონომიური ობიექტის—ენისა და მეტყველების—გამოყოფისათვის და, შესაბამისად, ორი დამოუკიდებელი მეცნიერების—ენის ლინგვისტიკისა და მეტყველების ლინგვისტიკის—არსებობისათვის, როგორც ამას მოითხოვდა ფ. დე სოსიური.

მომხსენებელმა სოსიურის ძირითად მიმდევართა კონცეფციების გათვალისწინებით განიხილა საკვანძო სადისკუსიო საკითხები, რომლებიც უკავშირდება ენისა და მეტყველების ანტინომიის პრობლემას. სახელდობრ: ა) რამდენი ცნებაა დაპირისპირებული; ბ) რა ნიშნები უდევს საფუძველად ენისა და მეტყველების დაპირისპირებას; გ) როგორია ენისა და მეტყველების ურთიერთობა; დ) ერთი ლინგვისტიკა თუ ორი. გამოვლენილი იყო სიმძნელები, რომლებიც წამოიჭრება ენისა და მეტყველების დიქტომიის დამკველთა წინაშე ამ საკითხების გადაწყვეტის დროს.

თანამედროვე ლინგვისტურ მიმართულებათა თეორიების ანალიზის საფუძველზე მომხსენებელი ასკვნის, რომ ენისა და მეტყველების დაპირისპირე-

ბა არ შეიძლება ჩაითვალოს მთელი სოსიურის შემდეგდროინდელი ენათმეცნიერების დამახასიათებლად. ენისა და მეტყველების დიქტოპია უარყოფილია არა მარტო იმ ლინგვისტური სკოლების მიერ, რომელიც არ ემყარებიან სოსიურის კონცეფციას (ნეოლინგვისტიკა, ნეოპუბოლდტიანელები), არამედ ზოგიერთი ისეთი მიმდინარეობის მიერაც, რომელიც ახლოს დგას ფ. დე სოსიურის მოძღვრებასთან (ფრანგული სოციოლოგიური სკოლის უფროსი თაობის მიერ, ლონდონის სკოლაში და დესკრიფციულ ლინგვისტიკაში).

თ. შარაძენიძემ ზახი გაუსვა იმ ფაქტს, რომ ენა როგორც კომუნიკაციისა და აზროვნების საშუალება წარმოადგენს ერთიან ობიექტს. მისი გათიშვა ორ ავტონომიურ ობიექტად იწვევს რიგ სიძნელეს. ერთი ობიექტის აღიარება მოხსნის ორი ლინგვისტიკის არსებობის აუცილებლობას. ამასთანავე ენას აქვს რამდენიმე ასპექტი; მასში გამოიყოფა სხვადასხვა მხარე, რომელიც უნდა შეისწავლებოდეს (და შეისწავლებს) ენათმეცნიერების სხვადასხვა დარგში. თ. შარაძენიძეს გაუმართლებლად მიაჩნია ბგერების, მნიშვნელობისა და მიმართებათა სოსიურისეული გათიშვა, რის შედეგადაც ბგერები და მნიშვნელობა განეკუთვნება ერთ ობიექტს—მეტყველებას, ხოლო მიმართება ანუ ფორმა მეორეს—ენას. ეს სამი მხარე, აღნიშნავს მომხსენებელი, ერთნაირად აუცილებელია ენის, როგორც ურთიერთობისა და აზროვნების საშუალების ფუნქციონერებისათვის.

პროფ. ვ. ა. ზ ვ ე გ ი ნ ც ე ვ მ ა (მოსკოვი) თავის მოხსენებაში „ენისა და მეტყველების გათიშვა, როგორც ლინგვისტიკის ობიექტის ორმხრივი ბუნების გამოხატულება“, აღნიშნა, რომ ენისა და მეტყველების გათიშვა წარმოადგენს ლინგვისტიკისათვის ფუნდამენტალური პრინციპის,—მისი შესასწავლი ობიექტის ორმხრივი ბუნების—კერძო გამოხატულებას. ობიექტის ორმხრივი ბუნება არ იძლევა საფუძველს ორი მეცნიერების, ენის ლინგვისტიკისა და მეტყველების ლინგვისტიკის, შექმნისათვის. თუმცა ლინგვისტიკა შეისწავლის ორ განსხვავებულ მოვლენას, ობიექტი მას ერთი აქვს. ეს ობიექტი არის ადამიანის ქცევის გარკვეული სახე, რომელიც ადამიანთა საზოგადოებაში გარკვეულ ფუნქციებს ასრულებს და რომელსაც ამ ფუნქციათა შესასრულებლად აქვს შესაბამისი საშუალებები. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ენისა და მეტყველების დაპირისპირების შედეგად სოსიურის შემდეგ განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ენის შესწავლას. ეს შეეხება თანამედროვე გენერატიულ ლინგვისტიკასაც, რომელიც ცდილობს ენობრივი უნივერსალების შესწავლას გზით მიაღწიოს აზროვნების გარკვეულ უნივერსალებს. მაგრამ, მომხსენებლის აზრით, ეს შეუძლებელი იქნება მხოლოდ ენის ფარგლებში დარჩენის შემთხვევაში. აუცილებელია გავითვალისწინოთ მეტყველება, სადაც ენა გვხვდება აზრთან ერთად.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის ა რ ნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა ს (თბილისი) მოხსენებაში „ენისა და მისი არსებობის მოდუსის საკითხისათვის“ მოცემული იყო ზოგადი შეფასება იმ როლისა, რომელიც ითამაშა ენისა და მეტყველების დაპირისპირებამ თანამედროვე ენათმეცნიერებაში. მომხსენებელმა აღნიშნა; რომ განსხვავება, რომელიც სოსიურის მოძღვრებაში არის ცნებებს შორის „ენა“ და „მეტყველება“ არის ანალოგიური იმ განსხვავებისა, რომელიც სოსიურამდე გვხვდება ჰ. პაულთან, სადაც სოსიურისეულ „ენას“ შეესაბამება ცნება „ფსიქიკური ორგანიზმი“. არნ. ჩიქობავას აზრით, ენის მიჩნევამ ნიშანთა სისტემად, რომელიც ფსიქიკურია თავისი ბუნებით; მი-

იყვანა სოსიური არა მხოლოდ ფსიქოლოგიზმამდე, არამედ დებულებამდე სინქრონიის პრიმატის შესახებ დიაქრონიის წინაშე, რაც მეცნიერულად გაუმართლებელია. მომხსენებლის აზრით, ენის სინქრონიული ანალიზი აუცილებელია, მაგრამ იგი არ უნდა დაუპირისპირდეს დიაქრონულ ლინგვისტიკას, ისტორიზმის პრინციპი აუცილებელია ენათმეცნიერებისათვის, როგორც ჰუმანიტარული მეცნიერებისათვის. ა. ჩიქობავამ ხაზი გაუსვა, აგრეთვე, რომ „ენა“ წარმოიქმნება „სამეტყველო აქტების“ საშუალებით. „ენის“ შესწავლა ხერხდება მხოლოდ „სამეტყველო აქტებში“; ამიტომ ენის შესახებ მეცნიერების რეალური შინაარსი დადის „მეტყველების ლინგვისტიკამდე“. ენის არსებობის პოდუსზე მსჯელობისას ა. ჩიქობავა ამტკიცებდა, რომ ენა არსებობს მეხსიერებაში, როგორც პოტენცია, მეტყველების აქტებში მის აქტუალიზაციამდე. ენისა და მეტყველების განსხვავება საჭიროა, მაგრამ არ არის გამართლებული მათი დაპირისპირება.

ფილოლ. მეცნ. დოქტორმა ა. ვ. ბონდარკომ (ლენინგრადი) მოხსენებაში „დაყოფა „ენა-მეტყველება“ და ფუნქციონალურ-სემანტიკური ველების ანალიზი“ გამოთქვა მოსაზრება, რომ კონკრეტული ენობრივი მასალის კვლევის დროს ყოველთვის არ გამოვლინდება ენისა და მეტყველების დაპირისპირების მრავალფეროვანი ასპექტი. ხდება ამ დაპირისპირების გარკვეული მხარის აქტუალიზება. საკვლევი მასალა და პრობლემატიკა ასევე სვეციფიკურ დას ენისა და მეტყველების დაპირისპირების ბუნებასა და მიმართულებას. ა. ბონდარკოს მოხსენებაში განხილული იყო ფუნქციონალურ-სემანტიკური ველების საკითხი ენისა და მეტყველების თვალსაზრისით.

ფილოლ. მეცნ. დოქტორის ა. ნ. საეჩენკოს (დონის როსტოვი) მოხსენებაში „ენისა და მეტყველების გათიშვა და ენობრივი ნიშნის პრობლემა“ წარმოდგენილი იყო დებულება, რომ ენისა და მეტყველების გათიშვას აქვს პრინციპული მნიშვნელობა ენის თეორიისათვის და იგი წარმოადგენს XX საუკუნის თეორიული ენათმეცნიერების უმნიშვნელოვანეს მიღწევას. ა. საეჩენკოს აზრით, ენისა და მეტყველების დიქოტომია აუცილებელია ენის არსის შემეცნებისათვის.

ფილოლ. მეცნ. კანდიდატის ი. რამიშვილის (თბილისი) მოხსენებაში „ადამიანური მეტყველების დიქოტომიის პრობლემა“ ხაზგასმული იყო, რომ რეალურად არსებობს მხოლოდ განუყოფელი ადამიანური მეტყველება, რომელიც წარმოადგენს მეცნიერების შესასწავლ ობიექტს. ენისა და მეტყველების დიქოტომია არის მეცნიერული ჰიპოსტაზირების შედეგი.

ფილოლ. მეცნ. კანდიდატი ვ. დ. ივშინი (კალუგა) მოხსენებაში „ცნებების „ენისა“ და „მეტყველების“ მიმართების საკითხისათვის“ იცავდა შეხედულებას, რომ ცნებები „ენა“ და „მეტყველება“ არ არის ურთიერთგამორიცხველი. ისინი განსაზღვრავენ მხოლოდ გრამატიკული სისტემის ორ სხვადასხვა სფეროს. ენა და მეტყველება მუდმივ ურთიერთობაში არიან, გადადიან ერთმანეთში. ივშინს მიზანშეწონილად მიაჩნია ენისა და მეტყველების კატეგორიათა შესასწავლად „დონის“ ცნების გამოყენება. იგი განიხილავს ენობრივი დონის ერთეულებს და მეტყველებების დონის ერთეულებს.

ფილოლ. მეცნ. დოქტორი ზ. ი. კერაშევა (მაიკოპი) მოხსენებაში „ენისა და მეტყველების გაყოფის მართებულობის საკითხი“ აღნიშნავდა, რომ სამეტყველო მოქმედების დაყოფა ენად და მეტყველებად წარმოადგენს რთული შესასწავლი ობიექტის ხელოვნურ გამარტივებას. ენობრივი ნიშნის სოსიური-

სეული გაგება, ენობრივი სუბსტანციისაგან მოწყვეტა, ენის ფსიქოლოგიური განსაზღვრა არა ერთხელ გამხდარა საბჭოთა და საზღვარგარეთელ ენათმეცნიერთა კრიტიკის საგანი.

სსრკ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ბ. ა. ს ე რ ბ რ ე ნ ი კო ვ ი (მოსკოვი) მოხსენებაში „კიდევ ერთხელ „ენისა“ და „მეტყველების“ დიქტომიის შესახებ“ ვრცლად და კრიტიკულად განიხილავდა სისტემურობის ცნების, ზოგადისა და კონკრეტულის მიმართების საკითხს სოსიურის კონცეფციაში. მომხსენებელმა წარმოადგინა თავისი თვალსაზრისი დასახელებულ საკითხებზე.

სერებრენიკოვის აზრით, ენის სისტემისა და მისი თვისებების შესახებ სოსიურის ბევრი მსჯელობა აპრიორულია, რადგანაც მას არ დაუდგენია და არ შეუსწავლია რომელიმე კონკრეტული ენის სისტემა. მცდარია სოსიურის მტკიცება მეტყველების არასისტემურობის შესახებ, რადგანაც კომუნიკაცია აუცილებლობით მოითხოვს სისტემურობას მეტყველებაში. საზოგადოებრივად რელევანტურ სტერეოტიპთა სისტემას, რომელიც შედგება გრძნობით აღქმედი ელემენტებისაგან შეიძლება ვუწოდოთ ენა, მაგრამ ეს სისტემა განუყოფელია მეტყველებისაგან. მომხსენებლის აზრით, ენა არის მიკროსისტემების თავისებური კონგლომერატი. ენა არ შეიძლება იყოს მათემატიკურად სწორი სისტემა. ადამიანის თავში იდეალური და აბსოლუტურად სწორი კონსტრუქციების არსებობა სადაო ჩანს.

ფილოლ. მეცნ. კანდიდატმა ს. გ. ბ ე რ ე ე ა ნ მ ა (კიშინიოვი) ენისა და მეტყველების დიქტომიის პრობლემა განიხილა ლექსიკო-სემანტიკურ მიმართებათა შესწავლასთან დაკავშირებით. მოხსენებაში „დიქტომია „ენა-მეტყველება“ და ლექსიკურ-სემანტიკურ მიმართებათა შესწავლა“ მან აღნიშნა, რომ მხოლოდ ენისა და მეტყველების ფაქტებისადმი დიფერენცირებული მიდგომა გვაძლევს საფუძველს თავიდან ავიცილოთ სინონიმის თეორიის ძირითად ცნებათა ოდითგან დამკვიდრებული სინკრეტიზმი და შეექმნათ მკაცრი წინამძღვრები ისეთ ლექსიკურ ერთეულთა ფუნქციონალური თავისებურებების შესასწავლად, რომლებიც ენაში დაკავშირებული არიან ომოსემიის მიმართებით.

ფილოლ. მეცნ. დოქტორის ს. დ. კ ა ც ნ ე ლ ს ო ნ ი ს (ლენინგრადი) მოხსენებაში „ენის სტრუქტურა და სამეტყველო მექანიზმები“ ყურადღება ექცეოდა იმას, რომ უშუალო დაკვირვება შეიძლება მხოლოდ მეტყველებაზე, უფრო ზუსტად, ზეპირ ან ფიქსირებულ ტექსტებზე, რომელიც წარმოიქმნება და აღიქმება სამეტყველო აქტებში. ენის სტრუქტურაზე მსჯელობა შეიძლება მხოლოდ არაპირდაპირი მონაცემებით, რომელსაც ვიღებთ ტექსტის ანალიზის შედეგად. ენის შინაგანი ორგანიზაციის რეკონსტრუქციისათვის აუცილებელია ტექსტის ლინგვისტური ანალიზის პროდუქტების კლასიფიკაცია და განზოგადება, ენის შემადგენელი ერთეულების გამოვლენა და მათ შორის რთული ურთიერთობის დადგენა. განიხილავს რა ენის სტრუქტურისა და სამეტყველო მექანიზმების ურთიერთობის საკითხს, მომხსენებელი აღნიშნავს, რომ არ შეიძლება მეტყველების გარეგნული თავისებურების მექანიკური გადატანა ენის სტრუქტურაზე, მეტყველების სტრუქტურაში ენის სტრუქტურის გარდატეხის სირთულეების გაუთვალისწინებლად.

ფილოლ. მეცნ. დოქტორმა ი. ლ. გ ა ლ ჰ ე რ ი ნ მ ა (მოსკოვი) მოხსენებაში „ცნებები „ტექსტი“ და „შესრულება“ ენისა და მეტყველების დიქტომი-

ასთან დაკავშირებით“ აღნიშნა, რომ ენის საშუალებით კომუნიკაციის პროცესში უფრო ღრმად შექრის მიზნით აუცილებელია დაწვრილებით გავეანალიზოთ არა მარტო ენისა და მეტყველების მიმართება, არამედ, აგრეთვე, მასთან მჭიდროდ დაკავშირებული ცნებები „ტექსტი“ და „შესრულება“. გალპერიმმა განმარტა, თუ რა მიმართებაა, მისი აზრით, ამ ოთხ ცნებას შორის. მომხსენებელს მიზანშეწონილად მიაჩნია განასხვავოს ცნებები „ენა“, „მეტყველება“, „ტექსტი“ და „შესრულება“ მათი ფუნქციების თვალსაზრისით.

სოსიურის კონცეფციის ამოსავალ ზოგადლინგვისტურ საფუძველთა დაზუსტების აუცილებლობას შეეხო ფილოლ. მეცნ. დოქტორი ვლ. ფანჯვიძე (თბილისი) თავის მოხსენებაში „ენა და მეტყველება ფ. დე სოსიურის კონცეფციაში“. მომხსენებლის აზრით, მიუხედავად იმისა, რომ სოსიურის ზოგადლინგვისტური და მეთოდოლოგიური პრინციპები მრავალგზის ყოფილა განხილვის საგანი, ძირითადი დებულებანი ყოველთვის ადეკვატურად არ არის გაგებული. მომხსენებელს მიაჩნია, რომ ენისა და მეტყველების ურთიერთგანმანსხვავებელი ნიშნები, რომელსაც გვაძლევს სოსიური, არ იძლევა საფუძველს განვასხვავოთ და ერთმანეთს დაუპირისპიროთ ისინი, როგორც ლინგვისტიკის დამოუკიდებელი ობიექტები.

ფილოლ. მეცნ. კანდიდატის ზ. უ. ბლიაგოზის (მაიკობი) მოხსენებაში „ორენოვნობის პრობლემის შესწავლისას ენისა და მეტყველების გამიჯვნის საკითხისათვის“ გამოთქმული იყო მოსაზრება, რომ ორენოვნობის შესწავლისას უნდა გავაყალიბოთ ენა და მეტყველება. ამ პრობლემის შესწავლა შეიძლება როგორც ენის, ისე მეტყველების დონეზე. აღსანიშნავია, აგრეთვე, რომ ბლიაგოზის აზრით, ენა და მეტყველება ქმნიან ერთიანობას, ისინი ურთიერთგანპირობებულად არიან, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ავტორს მიზანშეწონილად მიაჩნია ორი დისციპლინის—ენის ლინგვისტიკისა და მეტყველების ლინგვისტიკის—გამოყოფა.

ფილოლ. მეცნ. კანდიდატების ვ. ვ. აკულებეკოსა და ნ. ი. სუკალენკოს (ხარკოვი) მოხსენებაში „ნორმის ცნება ენასა და მეტყველებაში“ განხილული იყო ნორმატიულ კანონზომიერებათა საკითხი ენასა და მეტყველებაში. მომხსენებელთა აზრით, ენის ნორმა განსაზღვრავს სტრუქტურულ-სემანტიკურ შეზღუდვებს, რომელიც ედება სისტემის ღია შესაძლებლობებს. ხოლო მეტყველების ნორმა განსაზღვრავს გარკვეული ეპოქის ენისათვის მეტყველების აგების ობიექტურ კანონზომიერებებს.

მომხსენებათა მოსმენის შემდეგ გაიმართა კამათი პრობლემისა და წარმოდგენილ მოხსენებათა ირგვლივ.

მოდღავეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის ნ. გ. კორლენტიანუსი (კიშინიოვი) გამოსვლაში აღნიშნული იყო, რომ ჩვენი საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე უფრო სადისკუსიო პრობლემა არის ენისა და მეტყველების დიქტომომის პრობლემა, სოსიურმა ეს დაპირისპირება მხოლოდ განაახლა, რადგან იგი მანამდეც არსებობდა. ჰუმბოლტი ერთმანეთს უპირისპირებდა ერაგონსა და ენერგიას, პაული განარჩევდა უზუსსა და იხდიდულურ მეტყველებას. ასევე გარჩეული იყო ეს ცნებები ბოდუენ დე კურტენეს მიერ, მაგრამ მხოლოდ სოსიურის შემდეგ გახდა იგი ენათმეცნიერებაში ფართოდ ცნობილი. სოსიურის გავლენა მეცნიერებაზე ძლიერი იყო. ბენვენისტმა აღნიშნა 1963 წელს, რომ ჩვენ დროში არ მოიძებნება ლინგვისტი, რომელიც არ იყოს დავალებული სოსიურისაგან. ჩვენ ქვეყანაში სხვადასხვა დამოკიდე-

ბულგაბა სოსიურის თეორიისადმი. ზოგი თვლის მას ძირფესვიან გადატრი-
ალებად ენათმეცნიერებაში, ზოგი უარყოფს მის მნიშვნელობას, ხოლო ზოგი
ამგვარი შეფასებისაგან თავს იკავებს. საზღვარგარეთაც ყველა არ აღიარებს
სოსიურის თეორიას. ბოლო ხანებში ენისა და მეტყველების დიქტომია სა-
დაოდ მიაჩნია ბევრ ენათმეცნიერს, მათ შორის კოსერიუსს, მარტინეს. გახაზუ-
ლია ის გარემოება, რომ დაპირისპირებას „ენა-მეტყველება“ აქვს პირობითი
ხასიათი. მეტყველება არის პირველი ხარისხის აბსტრაქცია, ენა—მეორე ხა-
რისხის აბსტრაქცია. მარტინე ერთმანეთს უპირისპირებს კოდს და შეტყობი-
ნებას. ვანდრიუსი თვლის, რომ „მეტყველება—ენა“ მოქმედებს მოცემული სო-
ციალური ჯგუფის ჩარჩოებში. მეტყველება ინდივიდუალურია, მაგრამ განი-
საზღვრება სოციალური გარემოცვით.

დასასრულ, კორლეტთან შეგხო ენობრივი ნიშნის საკითხს. მისი აზრით,
ენობრივი ნიშნებს არ ახასიათებს კატეგორიულობა. ადამიანები მეტყველების
პროცესში უშვებენ შეცდომებს. როგორც შჩერბა აღნიშნავდა, მეტყველების
დროს ხშირად ვხმარობთ ისეთ ფორმებს, რომლებიც ადრე არ გავვიგონია,
სიტყვათა შეხამებას ვაწარმოებთ მოულოდნელი გზით. ეს ახალი ენობრივი
მოვლენები შეესატყვისება მოცემული ენის გარკვეულ ტენდენციებს. ხოლო
საყოველთაო შეცდომა შეიძლება იქცეს ნორმად.

კორლეტთანუს აზრით, სოსიურის შეცდომების ძირები უნდა ვეძებოთ
მის იდეოლოგიაში, ფილოსოფიურ კონცეფციაში. მისთვის დიალექტიკა მი-
ულწეველი იყო.

ფილოლ. მეც. დოქტორმა ო. პ. ს უ ნ ი კ მ ა (ლენინგრადი) თავის გამოს-
ვლაში მხარი დაუჭირა იმ მომხსენებლებს, რომელნიც არ უარყოფენ ენისა და
მეტყველების გამოიყენებას, მაგრამ არ ანიჭებენ მას ფუნდამენტალურ მნიშვნე-
ლობას. ბევრი კრიტიკიკი ენისა და მეტყველების დაპირისპირებისათვის შე-
იძლება მოიხსნას და ამდენად, თვით პრობლემაც არააარსებითი ხდება. მაგალი-
თად, როგორც ენა, ისე მეტყველება არის სოციალური; როგორც ენა, ისე
მეტყველება არის სისტემური. ექვგარეშეა, რომ როგორც ენა, ისე მეტყველე-
ლება, თუმცა სხვადასხვაგვარად, მაგრამ მაინც დაკავშირებულია აზროვნებას-
თან. ამდენად ენასა და მეტყველებაში მეტია საერთო, ვიდრე განსხვავებულა,
ამიტომაც მათ შორის ზღვარი ხელოვნური ჩანს. მიუხედავად ამისა, სუნიკის
აზრით, ამგვარ დაყოფას აქვს პრაქტიკული მნიშვნელობა ლინგვისტიკისათვის.
დასასრულ, სუნიკმა განსაზღვრა ენისა და მეტყველების ადგილი აბსტრაქტულ
სემიოტიურ სისტემებში. ლინგვისტიკის ობიექტი, აღნიშნა მან, რთულია, მაგრამ
ერთია.

ფილოლ. მეცნ. დოქტორმა ა. ა. უ ფ ი მ ე ე ვ ა მ (მოსკოვი) აღნიშნა, რომ
ყველა მომხსენებელი თითქმის ერთ თვალსაზრისზე დგას, განსხვავება გამოწვე-
ულია მხოლოდ სოსიურის სხვადასხვაგვარი წაკითხვით. მომხსენებლები გვიჩ-
ვენებენ თავისებურ მიდგომას პრობლემისადმი და თითქმის ყველა აღიარებს
ენისა და მეტყველების გამოიყენებას. საჭიროა განისაზღვროს ენისა და მეტყვე-
ლების დიქტომია ონტოლოგიური მოვლენა თუ ევრისტიკული, აღწერითი
ხერხია. ყველა მომხსენებელში ეს თვალსაზრისი ნათლად არ იყო წარმოდგენი-
ლი. უფიმეევამ არ გაიზიარა თ. შარაძენიძის აზრი, რომ სოსიური გამოყოფ-
და მეცნიერების ორ ობიექტს. საჭირო იყო იმის ჩვენება, აღნიშნა მოკამათემ,
რომ გამოიყენა ხდება შესწავლის პროცესში და არა ობიექტში. ობიექტის შეც-
ნობისას ჩვენ გამოყოფთ დონეებს და გარკვეული თვალსაზრისით რომელი-

მეს წამოვწვევთ წინ. უფიმცევას არ მიაჩნია სწორად თვალსაზრისი, რომ სოსიურმა მოახდინა ენის დემატერიალიზაცია, დესემანტოზაცია. მისი აზრით, სოსიურმა დემატერიალიზაცია კი არ მოახდინა, არამედ ბგერები მიაკუთვნა მეტყველების სფეროს, ასევე, მან გამოყო ენობრივი ნიშნები, ხოლო ყოველ ენობრივ ნიშანს აქვს მნიშვნელობა. ჩვენ, აღნიშნა მოკაშათემ, სოსიურს უფრო მეტად ბრალს ვდებთ, ვიდრე ვუძალდით რიგი მიღწევისათვის, რომელიც გვაქვს თანამედროვე ენათმეცნიერებაში. საჭირო იყო ჩვენება კონკრეტული ენობრივი მასალის კვლევის პროცესში რა შედეგებს გვაძლევს ენისა და მეტყველების გამოიკვანა, როგორც ეს იყო წარმოდგენილი ბონდარკოს, ბერეჟანის და სხვ. მოხსენებებში.

ი. რ. ა. მ. ი. შ. ვ. ი. ლ. ი. (თბილისი) თავის გამოსვლაში შეეხო სოსიურის თეორიაში ენისა და მეტყველების გათიშვის ექსტრალინგვისტურ პრინციპებს, სახელდობრ, მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სოსიურის დიქტომია არის შედეგი დიქტომიისა ვედ. ჰუსერლის ფილოსოფიაში.

სსკ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ვ. ი. ი. ა. ც. ე. ვ. ა. მ. (მოსკოვი) თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ ენისა და მეტყველების გათიშვა, როგორც არ უნდა გაეაკრიტიკოთ იგი, აღმოჩნდა ნაყოფიერი ენათმეცნიერებისათვის, როგორც თეორიაში, ისე პრაქტიკაში. მისი აზრით, წმინდა მეთოდოლოგიური განსხვავებაც კი ენის სისტემასა და მეტყველების სისტემას შორის, როგორც ასახავს ენათმეცნიერების ობიექტში ორი მხარის არსებობას. ენის სისტემა და მეტყველების სისტემა ერთმანეთს არ უნდა დაუპირისპიროთ, მაგრამ აუცილებელია მათი განსხვავება ურთიერთისაგან. ენის სისტემა არ უდრის მეტყველების სისტემას. მეტყველებაში ხდება სხვადასხვა მცირე სისტემების გადაკვეთა.

იარცევას აზრით, ზოგიერთი ტერმინი, პრაქტიკული მოსაზრებებით, უმჯობესია დაეტოვოთ ენის სფეროში და არ გადავიტანოთ მეტყველების სფეროში. ასეთია, მაგალითად, ენის სისტემის ცნება. სისტემა მეტყველებაში რაღაც განსხვავებულია. იარცევას შეუფერებლად მიაჩნია სამეტყველო კომბინაციებს ეწოდოს სისტემა.

ბ. ა. ს. ე. რ. ე. ბ. რ. ე. ნ. ი. კ. ო. ვ. მ. ა. (მოსკოვი) აღნიშნა, რომ როდესაც ლაპარაკობენ ენისა და მეტყველების ურთიერთმიმართების შესახებ, აუცილებელია ორივე ცნების განმარტების დაზუსტება. კრიტერიუმებში, რომლითაც ისინი განიმარტებინან, ბევრი რამ არის სადაო. ნებისმიერი ხალხის ენა არის სხვადასხვა ენობრივ სისტემათა, ლიტერატურული ენის, დიალექტთა და სხვ. კონგლომერატი. როდესაც ვსვამთ კითხვას, როგორ მიმართებაშია მეტყველება ენასთან, უნდა განვმარტოთ, რომელ ენასთან? ზოგ მოხსენებაში მოყვანილი იყო არგუმენტები ენისა და მეტყველების გათიშვის საფუძვლიანობის დასაბამებლად. აღნიშნული იყო, რომ მეტყველებაში არის ინოვაცია, რომელიც არ არის ენაში. საჭიროა განიმარტოს რა არის, რა სახისაა ინოვაცია. კონფერენციაზე შეიმჩნეოდა ტერმინოლოგიური არაერთგვაროვნება. ზოგჯერ „ენა“ აღნიშნავს მთელ ობიექტს, ზოგჯერ ობიექტის ნაწილს. ჩვენ თითქმის არ ვიცით რა არის ენა, თუ იგი არის აბსტრაქტული სქემა—რისი? თუ იგი ინვენტარია—რა სახის? და ა. შ. ენა არის რთული ლინგვო-ფსიქიკური ერთეული. რომელშიაც პოტენციალურად გამოვლინდება ყველაფერი, რაც არის მეტყველებაში. დასასრულ, სერებრენიკოვმა აღნიშნა, რომ იგი არის ენისა და მეტყ-

ველებს დიქტომიის უკიდურესად უარყოფელი. მისი აზრით, უნდა აღინიშნოს, რომ „ენა“ სოსიურის მიერ არ იყო სწორად გაგებული.

ფილოლ. მეცნ. კანდიდატმა მ. ჰინტიმა (ტალინი) აღნიშნა, რომ კვლევის პროცესში მხედველობაში უნდა გვქონდეს ენა საერთოდ. მ. ჰინტი შეეხო ენობრივი უნივერსალების საკითხებს ენაში და, განსაკუთრებით, ფონოლოგიაში.

ფილოლ. მეცნ. კანდიდატის გ. ლებანიძის (თბილისი) აზრით, ენისა და მეტყველების პრობლემის აქტუალურობა აიხსნება იმით, რომ იგი წარმოადგენს უფრო ფუნდამენტალური პრობლემის—ენის მთლიანობის პრობლემის ერთ-ერთ ასპექტს. დიქტომიური კონცეფციის დამსახურებად უნდა ჩაითვალოს ენათმეცნიერებაში ისეთი დიალექტიკურად დაძაბული ატმოსფეროს შექმნა, რომელიც იძლევა ენის, როგორც მთლიანი ფენომენის, ადეკვატური წვდომის შესაძლებლობას. მაგრამ ეს შესაძლებლობა ჯერ არ ქცეულა სინამდვილედ. ხსენებულ კონცეფციაში მოცემულია მხოლოდ ენობრივი სინამდვილის პოლარულ მომენტთა ფიქსირება, მაგრამ არ ხდება ამ მომენტთა ჩართვა დიალექტიკურად სტრუქტურირებულ სინთეზურ მთლიანობაში. ამ უკანასკნელი ამოცანის შესრულება შეიძლება მხოლოდ ვ. ჰუმბოლდტის ლინგვისტური მოძღვრების საფუძველზე: ჰუმბოლდტის ენერგეტიკაში, როგორც ენის მთლიანურ-დინამიური ხედვა, უნდა დაუპირისპირდეს სოსიურის (და საერთოდ თანამედროვე სტრუქტურალიზმის) სემიოტიკას, როგორც ენის სტატიკურ და დიქტომიურად პოლარიზებულ კონცეფციას.

ვ. ლ. ივშინიძე (ყალუგა) თავის გამოსვლაში ყურადღება გაამახვილა ენობრივი სისტემის სისწორის საკითხზე.

სესიის მუშაობის შედეგები თავის საბოლოო სიტყვაში შეაჯამა თ. შარაძემ. მან განმარტა, აგრეთვე, ზოგიერთი მის მიერ გამოთქმული დებულება. ა. ა. უფიმცევას შენიშვნაზე თ. შარაძენიძემ აღნიშნა, რომ მისთვის მოულოდნელი იყო საყვედური იმის შესახებ, თითქოს მან სოსიურს მიაწერა ისეთი რაღაც, რაც არ გამომდინარეობს მისი მოძღვრებიდან. სოსიურის მსჯელობა ენისა და მეტყველების შესახებ არ იძლევა სხვადასხვაგვარი წაკითხვის საფუძველს. ევგვარეშეა, აღნიშნა, თ. შარაძენიძემ, რომ სოსიურს ენა და მეტყველება მიაჩნია ორ, ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებულ საგნად, რომელთა შესწავლა შეუძლებელია ერთ მეცნიერებაში. ენის ლინგვისტიკა და მეტყველების ლინგვისტიკა სოსიურთან არ ქმნის ერთ მეცნიერებას. ენათმეცნიერების სხვადასხვა დარგებისაგან განსხვავებით ეს არის ორი ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი მეცნიერება. მათგან მხოლოდ ენის ლინგვისტიკა არის საკუთრივ ლინგვისტიკა, მეტყველების ლინგვისტიკა კი პირობით იწოდება ლინგვისტიკად, მაშასადამე, ენისა და მეტყველების დაპირისპირება სოსიურთან ატარებს ონტოლოგურს და არა ევრისტიკულ ხასიათს. შემდეგ თ. შარაძენიძემ აღნიშნა, რომ მისი აზრით მოცემულ სესიაზე კიდევ უფრო თვალნათლივ გამოვლინდა ჯერ კიდევ 1962 წელს შემჩნეული ტენდენცია, რომ მოხსნილი ყოფილიყო ენისა და მეტყველების ანტინომია. რომ არაფერი ვთქვათ ქართველ ენათმეცნიერებზე, რომლებიც ა. ჩიქობავას მეთაურობით ჯერ კიდევ ორმოციან წლებში აღნიშნავდნენ ენისა და მეტყველების მკვეთრი დაპირისპირების უმართებულობას, რიგი ენათმეცნიერი ადრეც და ამ სესიაზეც გამოდიოდა სოსიურისეული ანტინომიის კრიტიკული ანალიზით და იცავდა ენათმეცნიერების ობიექტის ერთიანობას. მეორე მხრივ, ენისა და მეტყველების დიქტომიის მომ-

ხრეთა შორისაც შეინიშნებოდა ამ ცნებათა დაახლოების ტენდენცია. სესიაზე არაფერ არ მოითხოვდა, რომ ენა და მეტყველება მიეჩნიათ ენათმეცნიერების ორ სრულიად განსხვავებულ ობიექტად, როგორც ამას თვლიდა სოსიური და ბევრი მისი მიმდევარი. „ერთ-ერთი ამ ცნებათაგან გადაღის მეორეში“ იყო ნათქვამი ერთ-ერთ მოხსენებაში. ასეთი გაგება გვაშორებს ჩვენ ორთოდოქსალური სოსიურიანელობისაგან ენისა და მეტყველების შერწყმის მიმართულებით, ენათმეცნიერების ობიექტის ერთიანობის აღდგენისაკენ. ეს კი არის იმ სიძნელეთა გააზრიანების შედეგი, რომელიც წარმოიქმნება სოსიურ-რუსული ანტინომიის შენარჩუნების შემთხვევაში.

დასკვნით სიტყვაში არნ. ჩიქობავამ აღნიშნა, რომ თეორიულ პრობლემას შეიძლება ორი თვალსაზრისით მივუდგეთ: 1. სპეციალისტის თვალსაზრისით, რომელსაც საქმე აქვს კონკრეტულ ენობრივ მასალასთან და 2. ფილოსოფიის თვალსაზრისით. ჩვენს შორის არიან სხვადასხვა ენათა სპეციალისტები: ჩვენ ყველანი დაკავშირებულნი ვართ კონკრეტულ ენობრივ მასალასთან, ზოგად საკითხებამდე მივღვივართ პრაქტიკიდან, შემდეგ ვახდენთ თეორეტიზებას. სპეციალისტს, რომელსაც საქმე აქვს კონკრეტულ მასალასთან, არ შეუძლია მოსწყდეს მას, როცა თეორიულ საკითხებზე მსჯელობს. თეორიული კვლევის შედეგებს იგი კვლავ იყენებს პრაქტიკაში.

მეორე თვალსაზრისისათვის საკმარისია ენა, როგორც იდეა. მისი ანალიზი არ მოითხოვს კონკრეტული ენების შესწავლას, ეს არის ენის ფილოსოფიის თვალსაზრისი. დამსწრეთათვის ცნობილია, რომ ენის შესწავლა დაიწყო ფილოსოფიიდან, იგი იყო განსაკუთრებული ყურადღების საგანი იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ აზრობრივი და ენობრივი არ განირჩეოდნენ ერთმანეთისაგან. ასე იყო იგი წარმოდგენილი არისტოტელესთან, თუმცა არისტოტელემდეც სწავლობდნენ ენას. ამ სფეროთა გამოიჭენა ეკუთვნის გვიან პერიოდს. არნ. ჩიქობავა შეეხო მე-17 საუკუნის რაციონალურ გრამატიკას; აღნიშნა, რომ ისტორიული გრამატიკა დაშორდა რაციონალურ გრამატიკას, მაგრამ დღეს, როდესაც უნივერსალიზმზე ლაპარაკობენ, კვლავ უბრუნდებიან რაციონალისტებს. სესიაზე რამდენჯერმე შეეხენ ჰუმბოლდტის თვალსაზრისს, ჰუმბოლდტი ენის ფილოსოფიის წარმომადგენელია, მაგრამ ეს არ ამცირებს მის ღირსებას და მნიშვნელობას. ჰუმბოლდტის ფილოსოფია იყენებს „ერგონისა“ და „ენერგეის“ ცნებებს, რომლითაც იგი უკავშირდება ძველ ბერძნულ ფილოსოფიას. ჰუმბოლდტთან ბევრი რამ არის ბუნდოვანი; მის ნააზრევს ემყარება თანამედროვე ენათმეცნიერებაში ნ. ხომსკი, თუმცა ხომსკის ჰუმბოლდტისეული სიღრმე არა აქვს, გაუგებარი და ბუნდოვანი კი კვლავ რჩება.

ენა მრავალი დისციპლინის ობიექტია. იგი ფილოსოფიასაც განეკუთვნება, ასევე ბოზს ავრთვება, ფსიქოლინგვისტიკა, ნეეროლინგვისტიკა, არის კიბერნეტიკული მიდგომა ენისადმი. ენა არ არის ლინგვისტიკის მონოპოლია, მაგრამ საჭიროა იმის დადგენა, რა აინტერესებს ლინგვისტიკას, როგორ გამოიკვეთება მისი ობიექტი.

რაც შეეხება ენისა და მეტყველების გათიშვას, თ. შარაძენიძის მოხსენებაში იყო ერთი არსებითი საკითხი, რომელიც ეხებოდა ბგერისა და ფონემის აღვილს სოსიურის თეორიაში. ბგერა შედის—მეტყველებაში, ფონემა—ენაში. მორფოლოგიაში ასეთი წყვილები არ შეინიშნება, მაგრამ ეს დიქტომია უნდა გრძელდებოდეს, თუ ამოსავალი თვალსაზრისი ენისა და მეტყველების დაპირისპირებისა სწორია.

დასასრულ, არნ. ჩიქთბავამ აღნიშნა, რომ თეორიული საკითხები, რომელნიც პრაქტიკის შედეგად წარმოიქმნებიან, რთული საკითხებია. ფიზიკოსებლ. მათემატიკოსები დაობენ, რა არის მათემატიკური კეშმარიტება, ლოგიკის საგნის განსაზღვრისას გაცილებით მეტი ნაირსახეობაა, ვიდრე ენათმეცნიერებაში გვაქვს, იგივე შეიძლება ითქვას ფილოსოფიაზეც. ლინგვისტიკას აქვს ის უპირატესობა, რამ მისი ობიექტები: ფონეტიკა, მორფოლოგია, სინტაქსი... ემპირიული დისციპლინებია და მათი ზუსტად აღწერის შემთხვევაში გვექნება ზუსტი შედეგები.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტი ვარაუდობს სესიის მასალების გამოცემას. ამ გზით მოხსენებები და მოკამათეთა გამოსვლები ხელმისაწვდომი გახდება ენათმეცნიერთა ფართო წრისათვის.

ლ. ბნუქიძე, ა. ლორნარი

შინაარსი

1. თ. შ ა რ ა ძ ე ნ ი ძ ე, პორ-როიალის რაციონალური გრამატიკა და თანამედროვე უნივერსალიზმი	3
Т. С. Ш а р а д з е н и д з е, Рациональная грамматика Пор-Рояля и современный универсализм	3
2. ი. რ ა შ ი შ ე ი ლ ი, ადამიანის შეტყუვლების დიქტომიის პრობლემა	10
И. Б. Р а м и ш в и л и, Проблема дихотомии человеческой речи	10
3. მ. შ ა ქ ა ვ ა რ ი ა ნ ი, სემანტიკის საკითხები საშუალო საუკუნეების ენის თეორიებში თანამედროვე ენათმეცნიერების თვალსაზრისით	15
М. В. М а ч а в а р и а н и, Вопросы семантики в средневековых теориях языка с точки зрения современного языкознания	15
4. ლ. ა ბ უ ლ ა ძ ე, სტილის სტატისტიკური ანალიზის ერთი ცდა	21
Л. Б. А б у л а д з е, Об одной попытке статистического изучения стиля	31
5. გ. კ ვ ა რ ა ც ხ ე ლ ი ა, ფერისა და სინათლის აღმნიშვნელი სიტყვები ვაჟა-ფშაველას ლექსიკაში	33
Г. Ш. К в а р а ц х е л и я, Цветообозначения в лексике Важа-Пшавела	43
6. ლ. ე ნ უ ქ ი ძ ე, ზმნის ვალენტობისა და პირიანობის მიმართების საკითხისათვის კართულში	50
Л. А. Е н у к и д з е, К вопросу о соотношении синтаксической валентности и категории лица грузинского глагола	66
7. ი. მ ე ლ ი ქ ი შ ე ი ლ ი, მარკირების მიმართების გაპირობებული ხასიათის შესახებ	68
И. Г. М е л я к и ш в и л и, Об относительном характере отношения маркированности	82
8. ლ. ა ბ უ ლ ა ძ ე, სტატისტიკური მეთოდები სემანტიკაში (ლიტერატურის მიმოხილვა)	84
Л. Б. А б у л а д з ე, Статистические методы в семантике (обзор литературы)	103
9. ი. ქ ო ბ ა ლ ა ვ ა, მასალები გლოსემატიკურ ტერმინთა ლექსიკონისათვის	104
И. Д. К о б а л а в а, Материалы словарю глоссематических терминов	108
10. კრონიკა	177
Хроника	177

**ВОПРОСЫ СОВРЕМЕННОГО ОБЩЕГО И
МАТЕМАТИЧЕСКОГО ЯЗЫКОЗНАНИЯ**

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

რედაქტორი თ ი ნ. შ ა რ ა ძ ე ნ ი ძ ე
გამომცემლობის რედაქტორი გ. გოგიაძე
ტექნიკური ნ. ჭეჭენაძე
კორექტორი ლ. ჭაჭიაძე

გადაეცა წარმოებას 21.2 1974; ხელმოწერილია დასაბეჭდად 24.6.1974;
ქალაქის ზომა 70×108¹/₁₆; ქალაქი № 2; ნაბეჭდი თაბახი
16.45; სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 13.76;

უე 00920; ტირაჟი 700; შეკვეთა № 1911
ღირსე 1 მან. 40 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ. 19
Издательство «Медниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქ. სსრ. მეცნ. აკად. სტა. ა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ. № 19
Тип. АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

შედეგების ასურტკვას

პეჩრდო	სტრ. ზეშ.	არის	უწდა იყოს
17	14	то	это
57	სქოლო	Strukturellen	strukturellen
62	სქოლო	ო-უ-ს-ო-ო-აღ	ო-უ-ს-ო-ო-აღ
71	26	ს'ვ'ე'კა	ს'ვ'ე'კა
71	25	9	с
83	39	тенденци	тенденци
121	27	დაიდებულება	დამოიდებულება

თანამედროვე ზოგადო და მათემატიკური ინჟინერების სკოლები. IV